

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

ლამარა გერგედავა

დონკიხოტური რემინისცენციები მეოცე საუკუნის
ქართულ ლიტერატურაში

დისერტაცია

წარდგენილია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლუარა სორდია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

თბილისი -2015

სარჩევი

შესავალი --

I თავი - საკითხის შესწავლის ისტორიისათვის--

II თავი - დონ კიხოტის არქექტიპული მოდელის რეფლექსია მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში--

§1. უანგარო სიკეთისა და სინამდვილესთან შეუთავსებელი ოცნების პრობლემა გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის“ მიხედვით („ჩორები“ „ბუნბულა“ „ნიშარძეულის წყალი“)--

§2. კონსტანტინე ლორთქიფანიძის „გაუმარჯოს დონ კიხოტს“--

§3. დონ კიხოტის ნიღაბი ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „მარიანა“--

§4. დონკიხოტური სიკეთე და ოცნება - გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟების იდეალი („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, „მხიარული ბორცვი“, „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“)--

§5.ორი ბიბლიოთეკა, ორი მკითხველი--

§6. სიქველისა და სიკეთის ხვედრი რევაზ მიშველაძის პროზაში („დიოგენი“, „ვინ დამეძებს“, „61-11-25“, „უფასო პანსიონატი“, „ქველი“)--

§7. დინკიხოტიზმი და გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობანი“--

§8.მიუღებელი რეალობიდან ვირტუალურ სამყაროში გაქცევა ირაკლი ლომოურის„შემთხვევა“ --

დასკვნა --

გამოყენებული ლიტერატურა .

შესავალი

მეოცე საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ განვითარების უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი გზა განვლო. მიუხედავად იმისა, რომ იგი მსოფლიო შემოქმედებითი პროცესების თანამონაწილე და თანამდევნი მუდამ იყო, მაინც დამოუკიდებელ, თავისთავად და ორიგინალურ მწერლობად რჩებოდა.

სავსებით გასაზიარებელია ლიტერატურის თეორეტიკოსთა მოსაზრება, რომ „XX საუკუნის „მხატვრულ-ესთეტიკური ლანდშაფტი“ მრავალი თავისებურებით გამოირჩევა. მათ შორის მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული ეპოქა კულტურული ციკლების მონაცვლეობით არ ხასიათდება. მასში ერთდროულად, სინქრონულად არსებობს ორი უზარმაზარი, განსხვავებული ესთეტიკისა და იდეური პლატფორმის მქონე მხატვრული სამყარო: რეალისტური და ავანგარდისტული“ [10,24]. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულმა ეპოქამ მომდევნო, XXI საუკუნეს, თითქოს, მემკვიდრეობით გადასცა ავანგარდისტული ხედვა.

XX საუკუნის ლიტერატურული მიმართულებები და მიმდინარეობები - რეალიზმი, სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ფუტურიზმი, ექსპრესიონიზმი, პოსტმოდერნიზმი - მრავალწახნაგოვნებით გამოირჩევა. განსხვავებასთან ერთად, მათ ბევრი საერთოც აქვთ; უმთავრესია კი ის, რომ მათთვის არ არსებობს საზღვრები. შეუძლებელია თანამედროვე მსოფლიო ხელოვანთა აზროვნება მოექცეს ერთი კულტურული ციკლის, ერთი კონკრეტული ეპოქის ან ერის ჩარჩოებში, რადგან, როგორც იტალიელი ფილოსოფოსი, პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსი, ისტორიკოს-მედიევისტი, კულტურის კრიტიკოსი და მწერალი, უმბერტო ეკო (1932) აღნიშნავს: „...წიგნები ერთმანეთს ელაპარაკებიან...“ [15, 839]. რასაკვირველია, საუბარია სხვადასხვა კულტურული ეპოქის ურთიერთ-ზეგავლენაზე, რომლის ქვაკუთხედს მაღალი ღირებულებების მქონე ლიტერატურული ნაწარმოებები და „მარადიული“ პარადიგმული სახეები წარმოადგენენ.

თეორეტიკოსთა მიერ, ლიტერატურულ მიმართულებებზე, არაერთხელ აღნიშნულა: „...რეალიზმი, როგორც სინამდვილის ასახვის მეთოდი... არსებობდა,

არსებობს და იარსებებს...“ [10,211], „...სიმბოლიზმის გენეზისი სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაგვარია...“ [10,245], „პოსტმოდერნიზმი დამახასიათებელია ნებისმიერი გარდამავალი და კრიზისული ეპოქისათვის...“ [10, 259]. თვალი რომ გავადევნოთ ამა თუ იმ მხატვრული მიმდინარეობის გავრცელების პროცესს, დავინახავთ, რომ ცენტრიდან (ანუ, იმ ქვეყნებიდან, საიდანაც იგი იღებს სათავეს), განვითარების კვალდაკვალ, მისი გეოგრაფიული და კულტურული არეალი ფართოვდება; ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა „სიმბოლის ცენტრიც“ შეიცვალოს, სხვადასხვა კულტურაში უფრო მრავალფეროვნადაც გამოვლინდეს; თუმცა, ყველა ეპოქაში უცვლელი დარჩება განვითარებული საზოგადოების მიერ აღიარებული, მარადიული ღირებულებების მატარებელი შემოქმედებითი ნიმუშები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ეპოქებსა და კულტურებზე, „კარგი ლიტერატურა ადამიანებს შორის ხიდებს დებს“ (მარიო ვარგას ლიოსა). მიუხედავად იმისა, რომ თითოეული შემოქმედი განსხვავებული ხელწერის, იდეოლოგიის მატარებელია, მთელი სამყარო, სულიერების სფეროში, მაინც ერთიანი ჩანს; ამაში კი, ე.წ. „დიადი“ ნაწარმოებების წვლილი ძალზე დიდია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა მრავალფეროვნებით გამოირჩევა:

- იგი ასახავს ცხოვრებისეულ სიმართლეს, ამით დიდ როლს ასრულებს ერის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში (რეალიზმი);
- განავითარებს სიმბოლოს თეორიას (სიმბოლიზმი), რომელშიც წარმოჩენილია ეროვნული კულტურული ტრადიციები და კულტურათაშორისი ურთიერთობები;
- ყურადღებას ამახვილებს ამა თუ იმ ფაქტის სუბიექტურ აღქმაზე (იმპრესიონიზმი);
- მისთვის მნიშვნელოვანია ნაწარმოების ფორმა (ფუტურიზმი);
- გამოხატავს:
 - ა) პროტესტს სამყაროს მიმართ, გაუცხოებას, ღელვას, ნოსტალგიას... (ექსპრესიონიზმი);
 - ბ) „ეპოქის სულს“ (პოსტმოდერნიზმი) [10, 258].

XX საუკუნის ქართული მწერლობა, მართალია, გამოსახვის ხერხებითა და ლიტერატურული მიმდინარეობებისადმი მრავალფეროვანი დამოკიდებულებებით გამოირჩევა, მაგრამ მის განვითარებას, ხშირად, ეპოქისეული ცვლილებები განსაზღვრავს.

საქართველოს გასაბჭოებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე (1921-1991) ოფიციალური ერთადერთი მხატვრულ მეთოდად სოციალისტურ რეალიზმს აღიარებდა.

თეორეტიკოსები (მ.მირესაშვილი, ნ.გაფრინდაშვილი, ნ. წერეთელი) სოციალისტური რეალიზმის განვითარების ოთხ პერიოდს ამგვარად წარმოგვიდგენენ:

- 1921-1932 - პროლეტარული მწერლობა
- 1932-1953 - ქართული საბჭოთა ლიტერატურა
- 1953-1985 - „დათობისა“ და „უძრაობის“ პერიოდები
- 1985-1991 - „გარდაქმნის“ პერიოდი

ჩვენ მიერ განსახილველად მოხმობილი ნაწარმოებების ქრონოლოგია, ძირითადად, სოციალისტური რეალიზმის განვითარების მესამე ეტაპს მოიცავს, ასევე განვიხილავთ პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოცემულ ნაწარმოებსაც. როგორც ცნობილია, „დათობისა“ და „უძრაობის“ ხანის ლიტერატურა (ამ პერიოდს 1954-1964 წლებითაც განსაზღვრავენ) გამოირჩეოდა გულწრფელობის, სიმართლის, დისიდენტური მოძრაობისა და სოციალური სიმწვავის გამომსახველი ნაწარმოებებით.

60-70-იან წლებში, მწერლობაში, აქტუალური გახდა სოციალისტური იდეალის ძიება. „პიროვნების კულტის“ დაგმობის შემდეგ (1956), მწერლები ყურადღებას ამახვილებდნენ მორალურ საკითხებზე, ოცნებობდნენ უკეთეს მომავალზე, წარმოაჩენდნენ ეროვნული გმირებისათვის დამახასიათებელ თვისებებს.

მიიჩნევენ, რომ 60-იანი წლები ცხოვრებაში უტოპიური აზროვნების დამკვიდრების მცდელობის პერიოდი იყო: „...იმითომ, რომ სკკპ ახალი პროგრამა (1961) საზოგადოებას ჰპირდებოდა კომუნიზმის აშენებას 20 წელიწადში, ანუ 1980 წლისთვის“ [26,106].

სსრკ-ში კომუნიზმის აშენებისა ბევრს არ სჯეროდა, შესაბამისად, ყოველივე ის, რაც ამ პერიოდის ცხოვრებას თან სდევდა, აისახა მხატვრულ ნაწარმოებებში.

პოსტსაბჭოური სალიტერატურო კრიტიკა XX საუკუნის 80-იანი წლების II ნახევარს პოსტმოდერნულს უწოდებს „...1985-1991 წლების ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკური ნიშანი იყო ის, რომ საბჭოთა მწერლობას დაუდგა კრიზისის ხანა, რადგან ნათლად გამოჩნდა, რომ მის მიერ მოწოდებული იდეალები, პოზიტიური პროგრამები, სამყაროს მხატვრული კონცეფცია უსუსური და გაკოტრებული აღმოჩნდა (ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმას, რომ ცალკეული მწერლების შემოქმედებას ჭეშმარიტი მხატვრული ღირებულება ჰქონდა“)[26,185-186].

პოსტმოდერნიზმთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, საინტერესოდ გვეჩვენება იტალიელი კულტუროლოგის, ფილოსოფოსისა და მწერლის, უმბერტო ეკოს (1932), მოსაზრება; ის თავისი პირველი გახმაურებული რომანის, „ვარდის სახელის“(1980), ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავს, რომ „...ყველა ეპოქას თავისი პოსტმოდერნი აქვს“... [15,829], თუმცა, იქვე განავრცობს: „საუბედუროდ, „პოსტმოდერნი“ მეტისმეტად tout faire გამოსადეგი ტერმინია. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ მას ყველაფერს უსადაგებენ: საკმარისია, ადამიანს მოსწონდეს ის, რაზეც ლაპარაკობს. მეორე მხრივ, მუდმივად ცდილობენ, დროში უკან დასწიონ პოსტმოდერნი: ჯერ ბოლო ოც წელიწადში მოღვაწე მწერლებსა და ხელოვანებს არგებდნენ ხოლმე ამ ცნებას, შემდეგ პოსტმოდერნმა საუკუნის დასაწყისამდე გადაიწია, და ასე, გაუთავებელი უკუსვლით, პოსტმოდერნი მალე ჰომეროსამდე მიაღწევს“ [15, 829].

არსებობს მნიშვნელოვანი ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევები მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის, მისი განვითარების ეტაპებისა და ნაწარმოებების მხატვრულ-ესთეტიკური სისტემების შესახებ, თუმცა, ჩვენს სამეცნიერო სივრცეში, შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი ქართული ლიტერატურის მსოფლიო შედეგებად აღიარებულ თხზულებებთან, „მარადი-ულ“ მხატვრულ სახეებთან, რემინისცენციების არსებობისა და ტიპოლოგიური თანხვედრების საკითხები.

წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს ესპანური რენესანსის უდიდესი წარმომადგენლის, მიგელ დე სერვანტეს საავედრას, საკულტო რომანზე დაყრდნობით დონკიხოტური რემინისცენციების შესწავლა, მეოცე საუკუნის ქართულ

ლიტერატურაში; ზემოაღნიშნულთან მიმართებით ტიპოლოგიური მსგავსებების დადგენა, განმასხვავებელი ნიშნების წარმოჩენა.

სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენებით, საჭიროდ მივიჩნით:

- XX საუკუნის ქართული ლიტერატურიდან იმ ნაწარმოებების შერჩევა, რომლებშიც წარმოჩენილია დონკიხოტური რემინისცენციები;
- შესადარებელი ტექსტების ანალიზზე დაყრდნობით იმის დემონსტრირება, თუ როგორ ურთიერთზემოქმედებენ ეროვნული ლიტერატურები მსოფლიო მხატვრული აზროვნების კონტექსტში;
- უცხოური და ქართული წიგნადი ფონდის გამოყენება; გლობალურ ქსელებში არსებული ინფორმაციების შეკრება; კვლევისთვის საჭირო მეთოდოლოგიის შერჩევა;
- კომპარატივისტული, შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდით გამოყენებით ლიტერატურული მოვლენების, პერსონაჟების კლასიფიცირება, შედარება, დაჯგუფება, დასკვნების გამოტანა.

როგორც ცნობილია, XX საუკუნის დამლევს ტერმინი „ტიპოლოგია“ განიმარტა როგორც მეთოდი, რომელსაც საფუძვლად უდევს ობიექტების სისტემათა დანაწევრება და მათი დაჯგუფება განზოგადებული მოდელის თუ ტიპის საშუალებით, ასევე ტიპოლოგიური აღწერისა და ურთიერთშეპირის-პირების შედეგებით [25,17]. ამდენად, ტიპოლოგიური მიდგომა გულისხმობს, ერთი მხრივ, განსაზღვრული კლასიფიკაციისადმი შედეგების სახით მის გამოყენებას და, მეორე მხრივ, სისტემის ყოველი შემადგენელი ნაწილის სპეციფიკის სიღრმისეულ აღწერას.

რუსი ლიტერატურათმცოდნე, სემიოტიკოსი და კულტუროლოგი, იური ლოტმანი (1922-1933), წერდა: „...თვით იდეა ტიპოლოგიისა მდგომარეობს იმაში, რომ მოცემულ იქნას გარკვეულწილად აღწერილი და, აქედან გამომდინარე, შესადარებელი კულტურის ყველა სისტემა“ [25,18]. იმავდროულად, სავსებით გასაზიარებელია დიონიზ დიურიშინის თვალსაზრისი; თავის მონოგრაფიაში („Теория сравнительного изучения литературы“) იგი აღნიშნავს, რომ დაუშვებელია კომპარატივისტიკის არსობრივი დეფინიციისას მისგან დამოუკიდებლად გენეტიკური ან ტიპოლოგიური კავშირების

წარმოჩენა; „...ცხადია, ეროვნულ-ლიტერატურულ და ლიტერატურათა საერთაშორისო კავშირებს შორის განსხვავებები არსებობს, თუმცა მათ პრინციპული ხასიათი არ გააჩნიათ“ [62, 102].

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით, შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებით, წარმოვაჩინოთ მსგავსებები და განსხვავებები, შესადარებელ ობიექტებს შორის.

„შედარება შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ერთი უმთავრესი მეთოდია. მისი საშუალებით მიიღწევა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მთავარი მიზანი, ლიტერატურული მოვლენის (პროცესის) გენეტიკური და ტიპოლოგიური მხატვრულ-ესთეტიკური არსის დადგენა“ [9,11].

აღნიშნულ მეთოდზე დაყრდნობითა და საქართველოში სოციალისტური რეალიზმის განვითარების ძირითადი ეტაპების გათვალისწინებით, გავაანალიზებთ შემდეგ ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს:

„დათბობისა“ და „უძრაობის“ პერიოდი (1953-1985):

1. გიორგი ლეონიძე (1899-1966)

- „ჩორები“-1962;
- „ბუნბულა“-1962;
- „ნიშარძეულის წყალი“-1962;

2. კონსტანტინე ლორთქიფანიძე (1905-1986)

- „გაუმარჯოს დონ კიხოტს“ - 1969;

3. ჯემალ ქარჩხაძე(1936-1998)

- „მარიანა“-1974;

4. გურამ დოჩანაშვილი(1939)

- „მხიარული ბორცვი“-1969;
- „კაცი,რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“-1973;
- „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“-1980-1981;

5. რევაზ მიშველაძე-(1940)

- „დიოგენი“-1980;

- „ვინ დამეძებს“-1981;
- „61-11-25“-1983;
- „ქველი“ – 1983;

პოსტსაბჭოთა პერიოდი:

- „უფასო პანსიონატი“ – 1991;

6. გოდერძი ჩოხელი-(1954-2007)

პოსტსაბჭოთა პერიოდი:

- „სულეთის კიდობანი“-2001;

7. ირაკლი ლომოური(1959)

„დათბობისა“ და „უძრაობის“პერიოდი (1953-1985):

- „შემთხვევა“-1981 .

შევეცდებით დავძებნოთ ანალოგიები ლიტერატურულ მოვლენებსა და პერსონაჟთა ხასიათებს შორის, აღნიშნულთან დაკავშირებით, გამოვიყენებთ კომპარატივისტული კვლევის მეთოდს, რომელიც ლიტერატურას შეისწავლის: „...ფართო ლიტერატურულ-ისტორიულ და კულტუროლოგიულ კონტექსტში, ახდენს ეროვნული ლიტერატურების საზღვრების გადალახვას და ლიტერატურათა კავშირებისა და ინტერმედიალური პრობლემების კვლევას“ [9,20], აუცილებელია წარმოვაჩინოთ, ეროვნული ლიტერატურები, ეპოქისეული პარადიგმული სახეები და მათი შემქმნელი მწერლები როგორ ახდენენ ზეგავლენას ერთმანეთზე, როგორ მოიაზრებიან ისინი მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში (ჩვენს შემთხვევაში, საქართველოს მაგალითზე).

ცნობილი ამერიკელი თეორეტიკოსები: ოსტინ უორენი (1899-1986) და რენე უელეკი (1903-1995) თავიანთ ნაშრომში, „ლიტერატურის თეორია“, გამოყოფენ მკვლევართა სამ ჯგუფს, რომელთაგან ერთნი ასკვნიან, რომ „მხატვრული ნაწარმოები უნდა შევისწავლოთ ავტორის ბიოგრაფიისა და ფსიქოლოგიის საფუძველზე“, მეორენი თვლიან, რომ „ლიტერატურული შემოქმედების განმსაზღვრელი ფაქტორები ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ“, მესამეთათვის კი მთავარია „ამა თუ იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი სულისკვეთება“ [46,100]. ჩვენ

შევეცდებით, ძირითადად, ნაწარმოებები განვიხილოთ „პერიოდისათვის დამახასიათებელი სულისკვეთე- ბით“ ნაწილობრივ კი, გავითვალისწინოთ ავტორის ბიოგრაფია და ფსიქოლოგია.

მიგვაჩნია, რომ ეროვნული ლიტერატურებისთვის ჭეშმარიტების საზომს მსოფლიო მწერლობასთან მისი კავშირი წარმოადგენს; ამდენად, ქართული ლიტერატურის არსი, ერთი მხრივ, მსოფლიო კულტურასთან ზიარებაში, ხოლო, მეორე მხრივ, მისი თავისთავადობის, იდენტობის შენარჩუნებაში იკვეთება. თუკი უელექსა და უორენს დავესესხებით, „...თითოეული ეროვნული ლიტერატურის ფარგლებში წამოიჭრება მსგავსი პრობლემები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენადაა წარმოდგენილი რეგიონები და ქალაქები საერთო ლიტერატურის ფარგლებში“ [46,72]; აქედან გამომდინარე, იგივე შეიძლება ითქვას მსოფლიო ლიტერატურასთან ეროვნული მწერლობის კავშირზეც.

მსოფლიო ლიტერატურა ეპოქისეული ცვლილებების კვალდაკვალ ვითარდება. პრობლემატიკა, თემატიკა, სტილი, ესთეტიკური პასაჟები და სხვ., თავისი მრავალფეროვანი გამოვლინებებით ამ ცვლილებებს ექვემდებარება. თუმცა, არსებობს ჰუმანიზმის პრინციპებზე აღმოცენებული მარადიული ღირებულებები, რომელთა მატარებლები ყველა დროისა და ყველა ლიტერატურის პარადიგმულ სახეებად მოიაზრებიან. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია „მწუხარე სახის რაინდს“, რომლის ქმედებები და მისწრაფებები მომდევნო ეპოქების ლიტერატურებში დონკიხოტიზმთან, კეთილშობილ და განუხორციელებელ ოცნებებთან ასოცირდება.

ქართული ლიტერატურისთვის, თავისი განვითარების ყველა ეტაპზე, კაცთმოყვარეობის იდეა ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს. მასში ჰუმანიზმის გამოვლენის საუკეთესო ნიმუშს აღმოსავლური რენესანსის შედეგრი, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (XIII) წარმოადგენს, ამ უკვდავი პოემის მიხედვით, სიკეთის ქმნა ღვთიურ ნიჭად ცხადდება; მისკენ სწრაფვა ადამიანს უფალთან სიახლოვეში ეხმარება; ღვთის მოყვარული, მრწამსის განურჩევლად, პატივს მიაგებს საკუთარ მეობას, მოყვასს, ქვეყანას; საქვეყნო

და პირად ინტერესებს უთავსებს ერთმანეთს, შეუძლია საზოგადოებაში ჰარმონიული დამოკიდებულებების წარმართველი იყოს, დააფასოს სხვათა ღირსებები.

ქართულმა ეროვნულმა ცნობიერებამ შეინარჩუნა და ჩვენს თანამედრო-ვეობამდე მოიტანა რუსთველისეული, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ჰუმანისტური იდეები. ამიტომაც, მისთვის მისაღები და ახლობელი გახდა ესპანური რენესანსული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლის, მიგელ დე სერვანტეს საავედრას სიკეთისათვის უანგაროდ მეზრძოლი გმირის სახე.

XX საუკუნემ ხელოვანთაგან მოითხოვა, რომ კიდევ ერთხელ, წინა პლანზე წამოეწია პიროვნების ღირსების, თავისუფლებისა და რელიგიური მრწამსის, ზნეობის საკითხები. ჩვენმა ეროვნულმა ლიტერატურამ თვალნათლივ ცხადყო, რომ ჰუმანისტური იდეებისთვის ბრძოლა, განურჩევლად დროისა, ქვეყნებისა, რელიგიური მრწამსისა, მუდამ აქტუალურია. ამ საკითხში ერთიანნი არიან მსოფლიო ლიტერატურის კორიფეები.

რენესანსული მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი - ჰუმანიზმის პრინციპი - დღესაც შემოქმედთა ყურადღების არეალში რჩება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ XX საუკუნის ქართულ მწერლობაში შეიქმნა არაერთი მხატვრული სახე, რომელშიც მსოფლიო ლიტერატურის შედეგის, სერვანტესის დონ კიხოტის რემინისცენციებს ვხვდებით; ისინი ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული სიკეთის გაგებას მსოფლიო ლიტერატურულ შედეგთან კავშირით ამრავალფეროვნებენ.

დონ კიხოტი, დიდი ხანია, ლიტერატურაში მარადიულ სახედ დამკვიდრდა. ცნობილია, რომ ავტორმა, თავისი უკვდავი ნაწარმოები ჩაიფიქრა, როგორც რომანი-პაროდია. სერვანტესის დროს ყველაზე პოპულარული იყო ესპანელი მწერლის გარსია როდრიგეს დე მონტალვოს (1450–1504) ნაწარმოები „უძლევამოსილესი და უქველესი რაინდის, ამადის გალელის თავგადასავალი“ (1508). დღესდღეობით მსოფლიო ლიტერატურა არაერთ ლიტერატურულ დონ კიხოტსა თუ დონ კიხოტის არქეტიპით ინსპირირებულ გმირებს იცნობს; მათ შორის აღსანიშნავია ჰენრი ფილდინგის (1707-1754) „დონ კიხოტი ინგლისში“ (1734); ჩარლზ დიკენსის (1812-1870) მისტერ პიკვიკი („პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“, 1836), ფიოდორ დოსტოევსკის (1821-1881) თავადი

მიშკინი („იდიოტი“,1869), „დონ კიხოტს ქვედაბოლოთი“ უწოდებენ (ხოსე ორტეგა-ი-გასეტი) გუსტავ ფლობერის (1821-1880) ემა ბოვარის („მადამ ბოვარი“ (1856), ალფონს დოდეს (1840-1897) ტარტარენი („ტარტარენი ტარასკონიდან“, 1872); და სხვ. ერთი შეხედვით, დონ კიხოტის კომიკური იდეალიზმი მიუღებელი უნდა იყოს პრაგმატიზმით გაჯერებული გასული საუკუნისა და ყოველგვარი სენტიმენტალური გამოვლინებების მიმართ გულგრილი თანამედროვე მკითხველისთვის. ამის მიუხედავად, სერვანტესის რომანი დღემდე აღძრავს დიამეტრალურად განსხვავებულ მსჯელობებსა და ხედვებს; გამოდის ახალი სამეცნიერო სტატიები და მონოგრაფიები; მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვითარდება ფილოლოგიის სპეციალიზირებული დარგი - სერვანტისტიკა. 1991 წელს, ესპანეთის მთავრობის მიერ შექმნილი სერვანტესის ინსტიტუტის ცენტრები, რომლებიც მადრიდსა და ალკალა დე ენარესში მდებარეობს, ესპანურ ენასა და კულტურას იკვლევენ, მის განვითარებას უწყობენ ხელს. ამჟამად, მრავალ ქვეყანაში არსებული სერვანტესის ინსტიტუტების სწავლულები, მსოფლიოს სამეცნიერო წრეების, საგანმანათ-ლებლო კერების მკვლევრები, რომელთა საქმიანობას განათლების, კვლევისა და ესპანური ენის შესწავლის საკითხები წარმოადგენს, ცდილობენ პასუხი გასცენ კითხვაზე, ვინ არის დონ კიხოტი - ბრძენი თუ შეურაცხადი; რომანის მასალაზე დაყრდნობით, ფილოსოფოსები აგებენ რთულ მსოფლმხედველობით კონსტრუქციებს; ფსიქოლოგებს, რომლებიც სწავლობენ ინტუიტიურ-ლოგიკური ექსტრავერტის ადამიანურ ტიპს, მიაჩნიათ. რომ დონ-კიხოტი მისი ერთ-ერთი სახეა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი იმის მაჩვენებელია, რომ ლამაზი იდალგოს თემა კვლავაც აქტუალური და ამოუწურავია; სერვანტესის ნაწარმოებისა და მისი მთავარი გმირისადმი ინტერესი არ ცხრება; ავტორისა და მისი რომანის ავტორიტეტი დღითიდღე იზრდება.

მნიშვნელოვანია სერვანტესის პრემიის დაფუძნება (1976), ის ერთ-ერთი უდიდესი, პრესტიჟული ჯილდოა და მხატვრული ნაწარმოებების ესპანურ ენაზე შემქმნელ წარმატებულ ავტორებს გადაეცემათ ყოველწლიურად, ლიტერატურის დარგში მოპოვებული მიღწევებისათვის.

სერვანტესის უკვდავმა რომანმა არაერთი ქვეყნის ეროვნულ ლიტერატურაში ჰპოვა გამოძახილი, მათ შორის საქართველოშიც.

ფრანგი მწერლის, მილან კუნდერას (1929), თქმით: „ლეგენდებით ნაქსოვი ჯადოსნური ფარდა სამყაროს ჩამოჰფარებოდა. სერვანტესმა დონ კიხოტი სახეტილოდ გაგზავნა და ეს ფარდა გახია. მოხეტიალე რაინდის წინაშე სამყარო მისივე პროზის კომიკური სიშიშვლით გადაიხსნა“ [83].

ნაშრომში კვლევის ობიექტს წარმოადგენს მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ნიმუშები, გაანალიზებულია მათი მიმართება სერვანტესის „დონ კიხოტთან“; დაძებნილია დონ კიხოტის არქეტიპით ინსპირირებული სახეები; შედარებულია ლიტერატურული მოვლენები, პერსონაჟები, სიუჟეტები; გავლებულია პარალელები; დამოწმებულია მკვლევართა ნააზრევი, დასკვნები ფილოსოფიურ, ესთეტიკურ, რელიგიურ ჭრილში.

საკვალიფიკაციო ნაშრომი „დონკიხოტური რემინისცენციები მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“ **აქტუალურია**, ეროვნული მწერლობის მსოფლიო კულტურის კონტექსტში გასააზრებლად.

მკვლევარი ნანა გაფრინდაშვილი მონოგრაფიაში „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები“ ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურების ერთმანეთთან კავშირის შესახებ აღნიშნავს: „ეროვნული ლიტერატურებია ის შენაკადები, რომლებიც ასაზრდოებენ მსოფლიო ლიტერატურას. მწერალი ჯერ ეროვნული ლიტერატურის საკუთრებაა და მხოლოდ შემდეგ იკავებს ადგილს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში“ [9,27]. (მკვლევარი იმოწმებს ცნობილი ფრანგი მეცნიერისა და მწერლის, ფილარეტ შალის (1798-1873), მოსაზრებას, რომ იზოლირებულად არაფერი არსებობს, ყველა რაღაცას იღებს თავისი მეზობლისგან, უცხო ლიტერატურისა და კულტურისკენ სწრაფვას უნივერსალური ხასიათი აქვს) [9,13].

მართალია, ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებობს ცალკეული წერილები, რომლებშიც განხილულია საკითხები მიზანმიმართული და უნებლიე ციტატური

რემინისცენციების ფორმების გამოვლენის შესახებ, მაგრამ „დონ კიხოტთან“ მიმართებით, შედარებით-ტიპოლოგიური კვლევა პირველად ჩატარდა.

წარმოდგენილი ნაშრომი მოკრძალებული მცდელობაა გენიალური ესპანური ნაწარმოების ქართულ მწერლობასთან დაკავშირებისა და დონ კიხოტის არქექტიპით ინსპირირებული სახეების წარმოჩენისა. შევეცადეთ სერვანტესის „დონ კიხოტსა“ და მასთან შედარებული ქართული მწერლობის ტექსტებიდან მოხმობილ ამონარიდებზე დაყრდნობით გვეჩვენებინა, რომ ეროვნულ მწერლობაში მარადიული, პარადიგმული სახეების გადმონაცვლების შემთხვევაში, ისინი განზოგადებულ, ტიპოლოგიურ ნიშნებს იძენენ; რომ ამ დროს იშლება ან ფერმკრთალდება ლიტერატურულ მიმდინარეობებს შორის განსხვავებები.

ნაშრომში დამოწმებული ნაწარმოებები „ეპოქის სულს“ [10,258] გამოხატავენ; მათ შორის ტიპოლოგიური მსგავსებაც შეინიშნება და განსხვავებაც.

მსოფლიო ლიტერატურული პროცესები ყოველთვის იწვევდა ამა თუ იმ ქვეყნის მწერალთა ინტერესს, მცირერიცხოვან ერებს თავიანთი მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობა გააჩნიათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოწინავე გამოცდილების მქონე შემოქმედთ სწამთ, რომ მსოფლიო ლიტერატურა აერთიანებს ერებსაც და მათ მწერლობასაც, მართალია, დროთა განმავლობაში, იცვლება ერთი მხარეცა და მეორეც, მაგრამ დამოკიდებულებები ზემოხსენებული გამაერთიანებელი პროცესებისადმი მარადიულია. „უცხო- ეროვნული თემატიკა...ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმაა“...(ნ.გაფრინ- დაშვილი,2012), ის მნიშვნელოვანია ხალხთა ურთიერთდაახლოებისათვის.

ეროვნული ლიტერატურების ის ცნობილი წარმომადგენლები მიიკვლევენ გზას, სამყაროსეული ფართო კულტურული სივრცისკენ, რომელთა ნაწარმოებები ხდებიან უნივერსალურები.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ XX საუკუნის ქართული მწერლობითა და კომპარატივისტული კვლევებით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა მიეცემათ, მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში გაიაზრონ ზემოთ

მითითებულ მწერალთა ნაწარმოებები; დაამუშაონ მსგავსი საკითხები შედარებით-ტიპოლოგიური და კომპარატივისტული მიდგომებით.

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 201 გვერდს და შედგება შესავლის, ორი თავის, რვა პარაგრაფისა და დასკვნისგან. ნაშრომს ერთვის დამოწმებული ლიტერატურის სია.

თავი I. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის

მიგელ დე სერვანტეს საავედრას (1547-1616), აღორძინების პერიოდის ჰუმანისტ მწერალს, პოეტსა და დრამატურგს, რომანმა „დონ კიხოტმა“ (1605-1615), გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა ესპანური და მსოფლიო ლიტერატურის კულტურის საგანძურში. მიიჩნევენ, რომ ეს ნაწარმოები XVI-XVII საუკუნეების ესპანეთის ცხოვრების ენციკლოპედიური ასახვაა [121], მისი გმირი დონ კიხოტი კი - მარადიული მხატვრული სახე.

ესპანური კულტურა აღორძინების ეპოქაში (XVI ს. II და XVII ს. I ნახევარს „ოქროს ხანას“ უწოდებენ). განსაკუთრებულ აყვავებას განიცდიდა, რასაც ხელი შეუწყო რეკონკისტის (ესპ. Reconquista- დაბრუნება) დასრულებამ, დაკარგული ქრისტიანული მიწების დაბრუნებამ, პირინეის ნახევარკუნძულზე , კასტილიისა და არაგონის გაერთიანებამ, ქვეყნის შემდგომმა წინსვლამ.

ქვეყანაში ფეოდალურ-კათოლიკური რეჟიმის კაპიტალიზმით შეცვლისა და რეალიზმის დამკვიდრების შემდეგ, რაინდობის, სოციალური ჯგუფის არსებობამ ფუნქცია დაკარგა. რუსული ლიტერატურული ენციკლოპედიის მესამე ტომი („დონ კიხოტი“,1930) მიუთითებს: „Социальная функция романа именно в том и состояла, чтобы помочь социальной группе Сервантеса изжить рыцарское сознание, изжить рыцарскую идеологию“ .

სერვანტესის სამშობლოში ფეოდალურ-აბსოლუტურმა რეაქციამ ვერ შეძლო ყოფილიყო ქვეყნის კულტურული ცხოვრების წარმმართველი. ინტელიგენცია ოპოზიციურად განეწყო, რამაც ასახვა ჰპოვა იმდროინდელი ესპანური ლიტერატურის იდეურ და მხატვრულ შინაარსში. მწერალს მოღვაწეობა უხდებოდა პერიოდში,

როდესაც საზოგადოების მოწინავე ნაწილი ებრძოდა კათოლიკური ეკლესიის უსამართლობებს, სქოლასტიკური, პედაგოგიური მეთოდების სუსტ მხარეებს.

ესპანეთი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყანა იყო; მისი სამფლობელოები იზრდებოდა როგორც ევროპაში, ასევე ამერიკაში, აზიაში, აფრიკაში. მან 1581 წელს მიიერთა პორტუგალია.

XVI ს. I ნახევარში გამოირჩეოდნენ ჰუმანისტები (ადამიანური ფასეულობების გაიდეალების, რენესანსის იდეოლოგიები): ალფონსო დე ვალდესი (გარდაიცვალა 1532), ხუან ლუის ვივესი (1492-1540), ფრანსისკო სანჩესი (1550-1632) და სხვები, რომელთაც „ერაზმისტებს“ უწოდებდნენ (რენესანსის დროინდელი ნიდერლანდელი ფილოსოფოსის, ფილოლოგისა და მწერლის, ცნობილი ჰუმანისტის, ერაზმ როტერდამელის (დაახლ.1466-1536) მიხედვით).

აღორძინების პერიოდის (X-IV ს. დასაწყისი - XVII ს. ათიანი წლები) ლიტერატურის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს ესპანელმა რომანისტმა და დრამატურგმა, ფერნანდო დე როხასმა (1465-1541), ესპანელმა მწერალმა, ალამენ-ი-დე-ენერო მატეომ (1547-1614), და სხვებმა, რომელთა მიღწევების შეჯერების შედეგად მათი ქვეყნის ახალ ლიტერატურას ჩაეყარა საფუძველი, მიგელ დე სერვანტეს საავედრას შემოქმედების სახით (ამ ფაქტს ხელი იმანაც შეუწყო, რომ სერვანტესი, 1568 წელს, გამოჩენილი ჰუმანისტის, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი, ცნობილი უნივერსიტეტის, სალამანკის (დაარსდა 1218) პროფესორის, ხუან ლოპეს დე ოიოსის, მოსწავლე გახდა).

მიიჩნევენ, რომ ესპანური აღორძინების დროინდელი ლიტერატურა სინთეზია ნაციონალური ხალხური შემოქმედებისა და მოწინავე ჰუმანისტური ლიტერატურისა. ყურადღებას იპყრობს ნაწარმოებები პორტუგალიელ-ესპანელი მწერლის, ხორხე დე მონტემაიორის (1520-1561), რელიგიური ლირიკა, ესპანელთა: პოეტისა და მისტიკოსი მოაზროვნის, ლეონ დე ლუისის (1527-1591), შემოქმედება, პოეტ ერსილია ი სუნიაგა დე ალონსოს (1533-1594), ჰეროიკული ეპოპეა, დრამატურგის, პოეტისა და პროზაიკოსის, ლოპე დე ვეგას (1562-1635), ნაწარმოებები. ქვეყანაში ლიტერატურისა და მეცნიერების,

ჰუმანისტური იდეების ამგვარმა აღმავლობამ სერვანტესის მსოფლმხედველობას ნათელი კვალი დაატყო.

სერვანტესი მარად თანამედროვეა და ყველა ეპოქისა და ხალხის გამორჩეული შემოქმედი, ადამიანთა სულიერების მარადიული თანამგზავრი, მისი მოღვაწეობა მაჩვენებელია იმისა, რომ მწერალი მთელი ცხოვრების განმავლობაში დაინტერესებული იყო პატრიოტიზმის, თავისუფლების, სამართლიანობის, ზნეობრივი სრულყოფის, სოციალური ფენის ყველა წარმომადგენლის ცხოვრების, ქვეყნის გარდაქმნის საკითხებით. ეს ყოველივე მის უკვდავ ნაწარმოებებში აისახა:

- პირველი წიგნი „გალათეა“ (1585) ლექსად და პროზად დაწერილი პასტორალური ნაწარმოებია;
- „სამოძღვრებო ნოველები“ (1613) ესპანეთის ხალხის ყველა ფენის ცხოვრებას ასახავს. 12 შესანიშნავი ნაწარმოები 30 წლის განმავლობაში იქმნებოდა, ის სერვანტესის ერთ-ერთ საუკეთესო წიგნად ითვლება. დრამატურგმა ტირსო დე მოლინამ (1579-1648) მის ავტორს „ესპანელი ბოკაჩო“ უწოდა (იტალიელი მეცნიერი და მწერალი, ჯოვანი ბოკაჩო-1313-1357);
- „დონ კიხოტი,“ I ნაწილი (1605), გამოქვეყნდა მადრიდში (გამომცემლები: ფრანსისკო რობლესი და ხუან დე ლა კუესტა);
- „მოგზაურობა პარნასზე“(1614) სატირული პოემაა, სერვანტესმა ამ ნაწარმოებით ხალხს უჩვენა, რომ ხელოვნებისთვის მანერულობა ცუდია, ის სიმართლეს უნდა ასახავდეს და არ უნდა არწმუნებდეს ადამიანებს, რომ ირგვლივ ყველაფერი კარგადაა;
- „დონ კიხოტი,“ II ნაწილი (1615);
- „კომედიები და ინტერმედიები“ (1615);
- „ჩრდილოეთური მოთხრობა პერსილესისა და სიგიზმუნდას მოგზაურობასა და ვნებებზე“ (1617), პროზად დაწერილი ეპიკური პოემა (სერვანტესის უკანასკნელი ნაწარმოები, გამოიცა ავტორის გარდაცვალების შემდეგ). ავტორი მიიჩნევდა , რომ ის საუკეთესო იყო მის შემოქმედებაში.

ნაწარმოებები: „სამოდღვრეო ნოველები“, „დონ კიხოტის“ II ნაწილი, „კომედიები და ინტერმედიები“, „ჩრდილოეთური მოთხრობა პერსილესისა და სიგიზმუნდას მოგზაურობასა და ვნებებზე“ მწერალმა ლემოსის გრაფის დახმარებით გამოსცა და მას მიუძღვნა (იგულისხმება ესპანელი მეცენატი, არისტოკრატი, დონ პედრო ფერნანდეს დე კასტრო (1560-1622). სამწუხაროდ, სერვანტესის ბევრი ქმნილება დაიკარგა, ასეთივე ბედი ეწია სახელგანთქმული მწერლის საფლავსაც: „2016 წელს სრულდება სერვანტესის გარდაცვალებიდან 400 წელი. სერვანტესი მადრიდში, ტრინიტარიელების ორდენის ქალთა მონასტერშია დაკრძალული. 1609 წელს აშენებულ მონასტრის კომპლექსს ბევრჯერ ჩაუტარდა რესტავრაცია. მწერლის საფლავი 1673 წელს მონასტრის რეკონსტრუქციის შემდეგ დაიკარგა... ესპანელი მეცნიერების ჯგუფი, ისტორიკოს ფერნანდო პრადოს ხელმძღვანელობით, იმედოვნებენ, რომ სერვანტესის ნეშტს მოიძიებენ და შეისწავლიან.“.. [113].

აღორძინების ანუ რენესანსის პერიოდმა ჰუმანისტური იდეები სხვა ეპოქებსაც უსახსოვრა. გაჩნდნენ დონ კიხოტის არქეტიპით ინსპირირებული სახეები, ხალხთა ლიტერატურაში აისახა ამ პერიოდის ამსახველი ნაწარმოებები.

„დონ კიხოტის“ მთავარი მოქმედი გმირი საკაცობრიო იდეალებისთვის იბრძვის. მის სახეში ყველა ქვეყანამ დაინახა ის საყოველთაო პრობლემები, რაც, მეტ-ნაკლებად, ახასიათებდა ერთმანეთისაგან რწმენით, ტერიტორიით, ენით, მისწრაფებით დაშორებულ ადამიანებს, თითოეულმა გაიზიარა სერვანტესის (მისი პერსონაჟის) შეხედულება: „ადამიანის ჭეშმარიტი ღირსება მისი წარმოშობის წარჩინებულება კი არ არის, არამედ მისწრაფებათა და საქმეთა კეთილშობილება“ [37, 17]. მეცნიერები, მკითხველები ერთხმად აღიარებენ, რომ ეს რომანი ესპანური და მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუშია, მასში ფილოსოფიურად, იუმორისტულად და სატირულადაა გადმოცემული აზრები ცხოვრებაზე.

გამოცემის რაოდენობის მიხედვით, ნაწარმოები, მეორეა ბიბლიის შემდეგ. „დონ კიხოტი“ 1605 წლიდან გასული საუკუნის მიწურულამდე მარტო ესპანეთში 400-ჯერ გამოიცა. ინგლისურად ითარგმნა 200-ჯერ, ფრანგულად - 170-ჯერ, იტალიურად - 100-ჯერ, პორტუგალიურად - 80-ჯერ, გერმანულად - 70-ჯერ, შვედურად - 15-ჯერ. პირველი

არასრული რუსული თარგმანი გამოვიდა 1769 წელს, მას შემდეგ დაახლოებით გამოიცა 20-ჯერ. 1900-იანი წლების დამდეგს მსოფლიოს ყველა ენაზე ითვლებოდა რომანის 700-მდე გამოცემა. „დონ კიხოტი“ მრავალჯერ დაიდგა მსოფლიოს სხვადასხვა თეატრის სცენაზე დრამად, ოპერად, ბალეტად. გადაღებულია ფილმად. ქართულ ენაზე „დონ კიხოტი“, რუსულიდან, მთლიანად თარგმნა ნიკოლოზ ავალიშვილმა, პირველი 32 თავი იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“ 1869-1871 წლებში“ [53,132]. ქართველი მთარგმნელის, ჟურნალისტისა და თეატრალური მოღვაწის, ნიკოლოზ ავალიშვილის (1844-1929) მიერ თარგმნილი სრულყოფილი თარგმანი „დონ კიხოტის“ I ნაწილისა გამოვიდა 1951, ხოლო II 1953 წელს. მისი თარგმანები, ზემოთ დასახელებული ნაწარ- მოებისა, შემდგომშიც ქვეყნდებოდა.

ჩვენს კვლევაში ვეყრდნობით ავალიშვილისეული 1985 წელს გამოცემული I და 1959 წელს დაბეჭდილი II ნაწილის გამოცემებს. (ქართულ ენაზე არსებობს „დონ კიხოტის“ თარგმანები ქართველი მწერლისა და კრიტიკოსის ალექსანდრე სარაჯიშვილისა (1851-1914), რომელიც 1906 წელს გამოვიდა. ცნობილი ქართველი პედაგოგისა და კრიტიკოსის მიხეილ აბრამიშვილისა (1892-1939) და ვ. გაგუას რედაქციით, ნაწარმოების შემოკლებული ვერსია (35 თავი, I და II ნაწილი) 1929 წელს დაიბეჭდა. ქართველმა მკითხველმა მიიღო ფილოსოფოსის, მწერლისა და მთარგმნელის, ბაჩანა ბრეგვაძის (1936), მიერ ესპანურიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი „დონ კიხოტის“ ორტომეული (1994).

რუსეთში, „დონ კიხოტი“, პირველად, როგორც უკვე ვთქვით, 1769 წელს გამოვიდა, ის, 27 თავი, ფრანგულიდან რუსულ ენაზე, თარგმნა პროზაიკოსმა, პოეტმა ეგნატე ტეილისმა (1744-1815); XVIII საუკუნის ბოლოს (1791) ნიკოლაი ოსიპოვმა (1751-1799); 1938 წელს კონსტანტინე მასალსკიმ (1802-1861), ესპანური ენიდან, პირველი ნაწილი. „დონ კიხოტის“ პირველი და მეორე ნაწილი (1866), ესპანური ენიდან ნათარგმნი, გამოსცა ვლადიმერ კარელინმა (1839-1871) (ავტორი წიგნისა „Дон-кихотизм и демонизм. Критический этюд. По поводу Дон-Кихота Сервантеса" -1866).

საქართველოში, 1941 წელს, პირველად, ქართველი მწერალის, ნიკოლოზ (ნიკა) აგიაშვილის (1903-1984), ბიოგრაფიული რომანი, „სერვანტესის ცხოვრება“ გამოიცა.

„დონ კიხოტი“ შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

XX საუკუნის შუა წლებში, ინგლისურმა ჟურნალმა, „დიდი ბრიტანეთი დღეს“, ჩაატარა საერთაშორისო გამოკითხვა, I საუკუნიდან დღემდე გამოცემული 40 საუკეთესო წიგნის დასასახელებლად. პირველ ადგილზე აღმოჩნდა „დონ კიხოტი“

ინტერნეტსივრცეში (Consulate-georgia.org) მოთავსებულ სტატიაში: „დონ კიხოტი“ - ყველა ხალხისა და ყველა დროის საუკეთესო წიგნი“... ვკითხულობთ (ზოგიერთ დეტალს შემოკლებით გადმოვცემთ) არაერთხელ გაგონილ წინადადებებს, რომ არა მარტო დონ კიხოტი, არამედ როსინანტიც კი იქცა სინონიმად, რომ 2002 წელს, ნობელის კომიტეტმა, მსოფლიოს 54 ქვეყნის 100 გამოჩენილი მწერლისგან ჩამოაყალიბა ჟიური, რომელსაც მარტივ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი: „რომელია მსოფლიოს ყველა ხალხისა და ყველა დროის საუკეთესო წიგნი?“ და გაიმარჯვა „დონ კიხოტმა“ [99].

სტატიის ავტორი, „დონ კიხოტის“ I წიგნიდან, იხსენებს „მწუხარე სახის რაინდის“ ნათქვამ სიტყვებს: „ნეტა იმ დროსა და იმ საუკუნეს, როცა საქვეყნოდ ცნობილი გახდება ჩემი გმირული ღვაწლი, ღირსი იმისა, რომ მომავალ თაობათა სახსოვრად ბრინჯაოში ჩამოასხან, მარმარილოში გამოკვეთონ და ტილოზე გადაიტანონ!“ სერვანტესმა ეს წინასწარმეტყველება წარმოათქმევინა ლამანჩელ იდალგოს. არც ერთ ლიტერატურულ თუ მითოლოგიურ წყაროს, არც ერთ პერსონაჟს არ „დაუსაქმებია“ იმდენი ფერმწერი, მოქანდაკე, კომპოზიტორი, ქორეოგრაფი, რეჟისორი, მსახიობი თუ არქიტექტორი, რამდენიც დონ კიხოტს, სანჩო პანსას, ჯაგლაგ როსინანტსა და სახედარს.

„დონ კიხოტი“ მრავალი ლიტერატურული ჟანრისა და მხატვრული გამომსახველობითი საშუალების (იუმორის, სატირის, ბალადების, ანდაზების, პაროდის, რომანტიკის...) ჰარმონიული თანაარსებობის შემცველი ნაწარმოებია, ის სამართლიანობისათვის მებრძოლ, რაინდული სულისკვეთების, რეალობას მოწყვეტილ ისეთ მთავარ გმირს წარმოგვიდგენს, რომლისთვისაც სიკეთე განყენებული, ზოგადი ცნებაა.

ლამანჩელ იდალგოს რაინდული რომანების კითხვისგან გონებადაბინდულ ადამიანსა და უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ რაინდს

უწოდებენ, დონკიხოტობას კი დამარცხებისთვის განწირულ, განუხორციელებელ იდეალებზე ოცნებებსა და ღირსეულ ქმედებებს. ის ხან გაუწონასწორებელია, ხან კი ჭკვიანურ საქციელს ჩადის, მწერალი პერსონაჟის ხატვის ამგვარ ხერხს მიზანმიმართულად მიმართავს, ამით გვიჩვენებს სულიერებისაგან დაცლილ ეპოქას, რომელშიც იდალგოს მშვენიერება და ამაღლებული გრძნობები შეაქვს.

არაერთი ავტორის მიერ აღნიშნულა, რომ სერვანტესის პროზა მუდამ იქცევდა ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ყურადღებას. ამ მხრივ, აღსანიშნავია ესპანელ მხატვართა: დიეგო ველასკესის (1559-1660), ფრანსისკო გოიას (1746-1828), პაბლო პიკასოსა (1881-1973) და სალვადორ დალის (1904-1989) შემოქმედება, მათ მიერ შექმნილი მხატვრული სახეები მაღალი ოსტატობით წარმოგვიდგენენ იდალგოს. შთამბეჭდავია ფრანგ მხატვართა შემოქმედების ნიმუშები: ონორე დომიეს (1808-1879) გრაფიკოსს, ფერმწერსა და მოქანდაკეს, ეკუთვნის საინტერესო ნამუშევრები. ყველა დროის უდიდესმა, მხატვარ-ილუსტრატორად მიჩნეულმა, გუსტავ დორემ (1832-1883), ფერმწერმა და გრავიორმა, „დონ კიხოტის“ 300-ზე მეტი ბრწყინვალე ილუსტრაცია შექმნა. მხატვრებმა უკვდავყვეს სამართლიანობისათვის, კეთილშობილი, განუხორციელებელი იდეებისათვის მეზრძოლი რაინდისა და მისი საჭურველმტვირთვე-ლის სახეები. შეიქმნა უამრავი მიუზიკლი, სპექტაკლი, კინო და ტელეეკრანი-ზაცია, ქანდაკება... ქვის, ბრინჯაოსა და სხვა მასალისგან შექმნილი ფიგურა, დაარსდა დონ კიხოტის მუზეუმები: ქალაქ სიუდად-რეალში უკვდავი პერსონაჟის მშობლიური მხარის, ლამანჩის, შუაგულში (2002), ასევე, ტობოსოში, დულსინეას ქალაქში (აღრე იქ სოფელი იყო), ამბობენ ეს ხელისუფალთა მადლობააო ამ პერსონაჟისადმი, მისმა სახელმა იქაურობა დანგრევას გადაარჩინა მაშინ, როდესაც ნაპოლეონის არმია შეიჭრა ესპანეთში. ერთ-ერთი იერიშის დროს, დიუპონს მოახსენეს, რომ მათ წინაშე დონ კიხოტის სატრფოს მშობლიური დაბა იყო. ფრანგმა გენერალმა არ ისურვა ისტორიაში ამ სოფლის დამანგრეველის სახელით შესულიყო და, თურმე, საარტილერიო შეტევა გააუქმა, ამით მან ხაზი გაუსვა ლამანჩელი იდალგოს ყველა დროის მარადიული მოგზაურისა და სტრიქონებიდან ხალხში, ცოცხალ ლეგენდად გადასული, მთარული რაინდის სიდიადეს.

„დონ კიხოტის“ გამოცემიდან 400 წლის იუბილეს აღსანიშნავად, მოს- კოვში, 2005 წელს, ვირტუალური მუზეუმი შეიქმნა...

ათეულობით გამოკვლევა მიემდგნა მიგელ დე სერვანტესის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას; მრავალი საყურადღებო და საინტერესო მოსაზრება გამოითქვა მარადიულ პერსონაჟ დონ კიხოტსა და მის შემქმნელ ავტორზე. მკვლევართა დასკვნები სერვანტესის საკულტო რომანსა და მის მთავარ პერსონაჟზე, იდეასა და პრობლემატიკაზე, ხშირად, ურთიერთგამომრიცხავია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველას თავისი სერვანტესი და, შესაბამისად, დონ კიხოტი ჰყავს, რომელიც დღემდე ძლიერ გავლენას ახდენს მსოფლიოს ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და მხატვრულ აზროვნებაზე. ქვემოთ შევეცდებით სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნეთა მიერ სერვანტესის „დონ კიხოტზე“ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრების წარმოჩენასა და შეჯერებას.

მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ოთხი საუკუნის განმავლობაში „დონ კიხოტის“ ინვარიანტული წაკითხვის ორი ძირითადი ხაზი გამოიკვეთა: ერთნი - დონ კიხოტისა და სანჩო პანსას მოგზაურობისა და დიალოგების კომიკურ ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას, ხოლო მეორენი - ცდილობენ, ავტორისეული ირონიისა და რაინდული რომანების პაროდირების მიღმა დაინახონ უფრო სერიოზული, ლამის ტრაგიკული სიტუაციები, რომლებიც „მწუხარე სახის რაინდის“ მიმართ თანაგრძნობითა და თანალმობით განაწყობს მკითხველს.

ხსენებულ რომანში, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ძეგლში, „...ჰარმონიულადაა შერწყმული მომხიბვლელი სიუჟეტი, მახვილი აზრი, სრულყოფილი სტილი... ადამიანებისადმი უსაზღვრო თანაგრძნობითაა გამთბარი მისი თითოეული სტრიქონი. აქედანაა სერვანტესის შემოქმედების საკაცობრიო ხასიათი და სამარადჟამო დიდების ბრწყინვალება...“ [1,211-2012]. ადამიანის, საზოგადოების ბედზე ფიქრი, მწერლის სხვა ნაწარმოებებშიც ჩანს.

1985 წელს, ქართულ ენაზე გამოცემული „მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელის“ პირველი წიგნის წინასიტყვაობაში, ნიკა აგიაშვილი მიუთითებს, რომ სერვანტესის ყველაზე საუკეთესო დრამა, პიესა „ნუმანსის დანგრევა“, რომელიც ძველ იბერიელთა ქალაქ ნუმანსის გმირულ დაცვაზე მოგვითხრობს არის: „ნამდვილი

ნაციონალურ-გმირული ტრაგედია, სადაც ამბავი ეხება არა ცალკეულ ადამიანს, მის ბედ-იღბალს, არამედ კოლექტივს, მასას, მთელ ხალხს. ტრაგედიის გმირი ვინმე ცალკე პიროვნება კი არაა, არამედ ხალხის კოლექტიური ნებისყოფა, მისი სიძულვილი სიკვდილისადმი, მისი მზადყოფნა თავდადებისათვის, მისი პატრიოტული აღტყინება და მგზნებარე ლტოლვა დიდებისაკენ. სერვანტესი-თავისი სამშობლოს სახელოვანი ჯარისკაცი და პატ-რიოტი, ცდილობდა წარსულის გმირული მაგალითებით აღეგზნო თანამედროვეთა პატრიოტული გრძნობები. ტრაგედიის წერის დროს ის შთაგონებული იყო მოწინავე ჰუმანური იდეებით: ქადაგებდა თავისუფლე-ბისათვის არა მარტო ცალკეული პიროვნებების, არამედ მთელი ხალხის გმირულ თავდადებათა მშვენიერებასა და უკვდავებას“ [37, 11].

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში დონ კიხოტი, ესპანელებისთვის, სინამდვილის, რეალობის გამოვლინებად გადაიქცა. მასზე, როგორც თავისი ქვეყნის სიმბოლოზე, წერდნენ ანხელ განივეტი (1865-1898), რამირო დე მანსტრუ (1875-1936), ანტონიო მაჩადო ი რუისი, მიგელ დე უნამუნო, ხოსე ორტეგა-ი-გასეტი, და სხვ. ისინი ცდილობდნენ მის სახეში ამოეცნოთ თავიანთი სამშობლოს ბედისწერა.

ესპანელ ფილოსოფოსს, მიგელ დე უნამუნოს (1864-1936), პოეტთა ჯგუფის-„98-იანელთა“ ლიდერსა და ერთ-ერთ აქტიურ წევრს („98-იანელთა“ თაობის სამოქმედო პროგრამას ესპანეთის კულტურული აღორძინება წარმოადგენდა), თავისი შეხედულებები რამდენიმე ნაშრომში აქვს წარმოჩენილი. 1897 წლიდან, ფილოსოფიური კონცეფციის დამუშავებით გატაცებულმა, მთავარი ადგილი ადამიანის სულიერ განვითარებას, სიკვდილ-სიცოცხლის, რწმენისა და ურწმუნობის საკითხებს დაუთმო. შემდეგ, დაეჭვდა რელიგიის ჭეშმარიტებაში და უკვდავების რწმენის შენარჩუნების მსურველმა, ყურადღება მიმართა კიხოტიზმისკენ, რომელიც შორეული, მიუწვდომელი, აუხდენელი იდეალების-თვის ბრძოლაა. უნამუნოს მიხედვით, ადამიანის არსებაში ბევრი რამ წინააღმდეგობრივია: სასრული და უსასრულო, მას სურს მარადისობა, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მოკვდავია, ამგვარმა შეხედულებებმა გამოიწვია ფილოსოფოსის მისწრაფება დონკიხოტიზმისკენ.

„დონ კიხოტის“ I ნაწილის გამოსვლიდან , 300 წლის შემდეგ , გამოიცა მიგელ დე უნამუნოს წიგნი: „დონ კიხოტისა და სანჩოს ცხოვრება მიგელ დე სერვანტეს საავტორო მიხედვით და მიგელ დე უნამუნოს კომენტარების თანხლებით“(1905), რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან, ყურადსაღებ ნაშრომს, სერვანტესის შემოქმედების შესახებ. ავტორი ეწინააღმდეგება იმ მკვლევრებს, რომელთაც ლამაზი იდალგო მხოლოდ ლიტერატურული პერსონაჟი ჰგონიათ ან მასში „მკვდარ იდეას“ ხედავენ: „არსებობს მხოლოდ ის, რაც აქტიურად მოქმედებს“ [126]; უნამუნოსთვის სერვანტესის რომანი რჩება „კაცობრიობის ბიბლიად, უპირველეს წიგნად“ [126].

ესეში „დონ კიხოტის სამარე“, ავტორი სერვანტესის უკვდავ პერსონაჟს „ქემმარიტად კეთილშობილური სიგიჟით“ შეპყრობილად წარმოგვიდგენს. მთხრობელი თავის მეგობარს (პერსონაჟს) ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოუწოდებს: „წავიდეთ დონ კიხოტის საფლავის გამოსახსნელად“; მართალია, მათ არც იციან, სადაა იგი, მაგრამ ბრძოლით უნდა გაიკვლიონ გზა. ავტორი აქვე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „დონ კიხოტი“ - ახალი რელიგიაა და თანამოსაუბრეს მიმართავს: „დონკიხოტური სიგიჟით შეპყრობილს კი, არა ერთხელ გითქვამს ახალი რელიგიის - „კიხოტიზმის“ შესახებ“ [48, 30]. ესეში უნამუნო ეჭვს გამოთქვამს, რომ, შესაძლოა, დონ კიხოტი გამოგონილი, რეალურად არარსებული სახეა, თუმცა, იქვე დასძენს: „ვინც საფლავის საძებნელად მიემშრება, მარტო ერთი ხიდიც კმარა - რწმენა“ [48, 38].

მიგელ დე უნამუნოს აზრით, დონ კიხოტი - ესპანელი ქრისტია, ხოლო კიხოტიზმი - ქრისტიანობის ნაციონალურ ვარიანტს წარმოადგენს.

ოცნებებით შეპყრობილი მოგზაური, ქემმარიტების მამიებელი დონ კიხოტი, სულიერ გზას გადის, იდალგო, ხშირად, კრძალვით ახსენებს ან მიმართავს ღმერთს. მისი დამოკიდებულება უფლისადმი ბიბლიასთან სიახლოვის ასოციაციას გვიქმნის: „სიბრძნის სათავე უფლის შიშია და მორწმუნეებს საშოდანვე დაჰყვება თან“ (სიბრძნე ზირაქისა 1, 14) [4, 502]ან: „... ღვთის შიში სიბრძნის დასაბამია, თუ ბრძენი იქნები, არასოდეს არ შეცდები“ [38, 312].

ესეში „მწუხარე სახის რაინდი“ (1896), უნამუნომ დონ კიხოტი ესპანეთის სულის სიმბოლოდ მიიჩნია. ესპანეთ-ამერიკის ომის შემდეგ, მან გამოაქვეყნა ესე „სიკვდილი

დონ კიხოტს“, რომელშიც ესპანეთის გამოფხიზლებისა და ოცნებებისგან გათავისუფლების სურვილს გამოთქვამდა.

ესპანელი პოეტი, ანტონიო მაჩადო ი რუისი (1875-1939), დრამატურგი, ესეისტი, „98-იანელთა“ წარმომადგენელი, გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, ლიტერატურულ და ფილოსოფიურ ჩანაწერებს, რომლებიც გააერთიანა კრებულში „ხუან დე მაირენა. სენტენციები, აზრები, შენიშვნები და მოგონებები ერთი აპოკრიფული პროფესორისა“ (1936) [24,6]. ნაწარმოებში, მასწავლებელი აბელ მარტინი - მოაზროვნის, პოეტისა და ფილოსოფოსის მარადიული სახეა, იგი პოლიტიკურ და ლიტერატურულ საკითხებზე ესაუბრება ხუან დე მაირენას. სწორედ ამ დიალოგებში აფიქსირებს ა. მაჩადო თავის შეხედულებებს „დონ კიხოტის“ ავტორის სიდიადეზე: „სრულიად შესაძლებლად მიმაჩნია.... რომ სერვანტესს არც დაეწერა თავისი „კიხოტე“, რომ არ ჰქონოდა ნიმუშად სარაინდო რომანები და ძველი რომანსები, რაზეც უნდა შეექმნა პაროდია; დარწმუნებული ვარ, სხვა არანაკლებ ღირებულს რასმე გვაჩუქებდა“ [24, 36-37].

ესეში, „პოეტი და ხალხი“, ანტონიო მაჩადო განმარტავს, რომ ხალხისთვის წერა ნიშნავს სამშობლოსთვის ზრუნვას, იმასაც, რომ მის საზღვრებს გავცდეთ: „ხალხისთვის წერა იმასაც გულისხმობს, რომ იყო სერვანტესი ესპანეთში, შექსპირი ინგლისში, ტოლსტოი - რუსეთში“ [24,11-12]. მკვლევარს მიაჩნია, რომ „დონ კიხოტმა“ სერვანტესამდე გამოსულ რომანებს სიცოცხლე გაუხანგრძლივა: „ჩვენს სერვანტესს რაინდული რომანები არ მოუკლავს... რადგან მანამდე უკვე მკვდარი იყო, პირიქით, მან მკვდრეთით აღადგინა, გააცოცხლა კიდევ, როცა გიჟის ტვინის უჯრედებში ისინი ისე ჩაალაგა, ვითარცა ლამანჩის უდაბნოს მირაჟები“ [24, 63-64]. ავტორის თქმით, სერვანტესის რომანი განცვიფრებას იწვევს: „უცნაურია და სასწაულებრივი სერვანტესის ფანტაზიით შექმნილი სამყარო თავისი ორმაგი რიგით - რეალურითა და ჰალუცინაციით, ადამიანის ორმაგი შემეცნებით, ორი გმირით.... რომლებიც ერთმანეთს ავსებენ, მოგზაურობენ და საუბრობენ“ [24, 64]. „დონ კიხოტის“ ავტორმა ფოლკლორი, რომელსაც ლიტერატორი პროფესორები ნაკლებ დროს უთმობენ, გააცოცხლა; ანდაზა ... სერვანტესის ხელში რიტორიკას აჩუმებს... სერვანტისტები უთუოდ გვეტყვიან... როგორ

ანაწილებს ამ ანდაზებს... დონ კიხოტსა და სანჩო პანსას, ამ ორ ერთმანეთის შემავსებელ ხასიათს შორის; როდის ისმის ამ ანდაზებში ხმა მიწისა, როდის - ერისა, როდის კაცისა და როდის - თვით ენისა...“ [24,38]. ა.მაჩადო ასკვნის: „...ფოლკლორითა და ხალხური სიბრძნით გაჯერებულ ენაზე... გამოძერწა სერვანტესმა ყველაზე ორიგინალური ქმნილება...“ [24,43]. ავტორი შემოქმედთ აფრთხილებს: „ერიდეთ ლიტერატურულ მანერულობას“ [24,43]. ამით მან ხაზი გაუსვა ხალხური ენის სისადავეს და დაგმო მანერული, მოჩვენებითი ლიტერატურული საქმიანობა. სერვანტესი, თავისი შემოქმედებით, ადამიანური ღირსების სახელით იბრძვის, მისგან შორსაა მანერულობა.

მაჩადო ი რუისი ესეში „ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის“ აღნიშნავს: ესპანეთი მუდამ იბრძოდა ადამიანური ღირსების ან ღმერთის სიყვარულის სახელით (ალონსო X ბრძენი, კასტილიისა და ლეონის მეფე (1252-1284) ესპანეთს ასე წარმოაჩენდა: „მსოფლიოს ყველა ქვეყნებს შორის, ესპანეთი ყველაზე უხვია და სიკეთით სავსე“). ქვეყნის ამგვარი მდგომარეობა, მისი საუკეთესო შვილის, სერვანტესის, შემოქმედებაში აისახა.

XX საუკუნის გამოჩენილმა ესპანელმა ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა, ხოსე ორტეგა-ი-გასეტმა (1883-1955), როგორც ცნობილია, თავისი შრომებით: „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“ (1925) და „მასების ამბოხი“ (1930), დასავლეთში პირველმა ჩამოაყალიბა დოქტრინა მასების ფსიქოლოგიაზე, მათი ქცევის თაობაზე. ჩვენთვის საინტერესოა მისი წიგნი: „ფიქრები დონ კიხოტზე“ (1914), რომელშიც ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს სერვანტესის უკვდავ ნაწარმოებს. იგი მიიჩნევს, რომ „დონ კიხოტი“ წარმოადგენს კულტურაში მომხდარი ახალი და არსებითი გადატრიალების კულმინაციას“ [119]. მასვე ეკუთვნის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გუსტავ ფლობერის „მადამ ბოვარისა“ და სერვანტესის „დონ კიხოტის“ მთავარი გმირები ერთმანეთს ჰგვანან და მადამ ბოვარი არის შინაგანი სულიერი ტრაგიზმით აღბეჭდილი დონ კიხოტი ქვედაბოლოში. დონ კიხოტი, მისი თქმით, ასევე არის დინამიკური, აქტიური გმირი, რომელსაც სურს სინამდვილის შეცვლა [61,137].

ხორხე ლუის ბორხესის, მიგელ დე უნამუნოსა და ჟერარ ჟენეტის ვარაუდით, პერსონაჟ დონ კიხოტის სახეში შეიძლება თვით ავტორი, მიგელ დე სერვანტეს საავედრა, იგულისხმებოდეს.

არგენტინელი პროზაიკოსი, პოეტი და პუბლიცისტი, ხორხე ლუის ბორხესი (1899-1986), XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, ესპანუროვან, ლათინო-ამერიკულ პოეზიაში, ავანგარდიზმის ერთ-ერთი დამამკვიდრებელი, ცნობილია, როგორც სერვანტესის მწერლობით უაღრესად დაინტერესებული შემოქმედი.

ბორხესი ესეში „დონ კიხოტში დაფარული მაგიაა“ (1949), ყურადღებას ამახვილებს რომანის ერთ-ერთ პასაჟზე; კერძოდ, ნაწარმოების პირველი ნაწილის მეექვსე თავში მოთხრობილია, თუ როგორ ათვალთქვამენ მღვდელი და დალაქი იდალგოს ბიბლიოთეკას, რომელშიც „გალათეაც“ ინახება; პერსონაჟები, ვითომ, ამ წიგნზე მსჯელობენ, სინამდვილეში კი, მათი საუბარი სერვანტესს შეეხება. რომანის მეორე ნაწილში „უცნაურ ორაზროვნებასთან თამაში კულმინაციას აღწევს... იქ რომანის პერსონაჟებს უკვე წაკითხული აქვთ „დონ კიხოტის“ პირველი ნაწილი, მაშასადამე, „დონ კიხოტის“ პერსონაჟები იმავე „დონ კიხოტის“ მკითხველებად გვევლინებიან“ [5,13]. ლოგიკურია, რომ მკითხველი განცვიფრებულია. ასეთ ადამიანებს ბორხესი კითხვით მიმართავს: „...რატომ გვაცბუნებს ის, რომ დონ კიხოტი თვითონ კითხულობს „დონ კიხოტს?...“ [5,16].

ბორხესის პერსონაჟი, პიერ მენარი, წიგნიდან: „პიერ მენარი - ავტორი დონ კიხოტისა“ (1939), ხელახლა წერს სერვანტესის საყოველთაოდ ცნობილ რომანს. საყოველთაოდ ესეების კრებულ „ენიგმათა სარკეში“ (1940) მწერლის მიერ შემოთავაზებული კარლეილისეული თვალსაზრისი: „1883 წელს კარლეილმა აღნიშნა, რომ კაცობრიობის ისტორია არის დაუსრულებელი ღვთაებრივი წიგნი, რომელსაც მსოფლიოში წერენ და კითხულობენ“ [5,16]. ბორხესის ვარაუდით, „შესაძლოა, მსოფლიო ისტორია რამდენიმე მეტაფორის ისტორიაა“ [5,3]. ვფიქრობთ, რომ „დონ კიხოტიც“, შესაძლოა, მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ მეტაფორას წარმოადგენდეს, თუმცა, ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს: „დონ კიხოტის ისტორიას ვერ უწოდებ კაცობრიობის ისტორიის განსახიერებას“ (ოქტავიო პასი) [116], „ერთი

შეხედვით, ბორხესი-კრიტიკოსი შეკავშირების უცნაური დემონით ატანილსა ჰგავს“ (ჟერარ ჟენეტი) [95].

ესეში „წიგნის კულტის შესახებ“ (1951), ხორხე ლუის ბორხესი გვთავაზობს საინტერესო ინფორმაციებს წიგნის შესახებ, დაწყებული ჰომეროსის „ოდისეადან“ (დაახლ. მე-9 ს. ძვ. წელთაღრ), ვიდრე სამყაროსეული წიგნის წარმოსახვით დამთავრებული. ბორხესის თვალთახედვის არეალში მოქცეულია მარადიული ბიბლია, ყურანი, ასევე, კაცობრიობის გამორჩეული მწიგნობრები: პირველი ქრისტიანი მეცნიერი ათენიდან, კლიმენტი ალექსანდრიელი (II-III სს-ის მიჯნა, დაახლოებით 140-214 წლები), ალჟირელი (ჩრდ. აფრიკა) ქრისტიანი თეოლოგი და ფილოსოფოსი, ნეტარი ავგუსტინე (354-430), კლასიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონი (ძვ.წ.427-ძვ.წ.347), ბერძენი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი. პითაგორა (ძვ.წ.580-ძვ.წ.500), ბორხესი გვთავაზობს მათ აფორისტულ გამონათქვამებსა და სენტენციებს. ზოგიერთი მწიგნობარი მიიჩნევს, რომ წიგნი მთელი ქვეყნიერებაა, მაგ., იტალიელი ფიზიკოსი, ასტრონომი, ფილოსოფოსი, ფილოლოგი გალილეო გალილეი (1564-1642): „სამყარო მუდმივად გაშლილი წიგნია“; ინგლისელი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, ფრენსის ბეკონი (1561-1626): „იმისთვის, რომ ავერიდოთ შეცდომებს, ღმერთმა ორი წიგნი მოგვცა. პირველი - წმინდა წერილის გრაგნილია, რომლის მეშვეობითაც თავის ნებას გვიმხელს, მეორე - გრაგნილი ქმნილებათა, რომლის მეშვეობითაც გვიმხელს თავის ძალმოსილებას. ეს უკანასკნელი წარმოადგენს გასაღებს პირველისას...“; ფრანგი მწერალი, ბლუა ლეონ მარი (1846-1917): „ისტორია უზარმაზარი ლიტურგიკული ტექსტია.... ჩვენ მაგიური წიგნის სტრიქონები ვართ, ან სიტყვები, ან ასოები; და წიგნი, რომელიც მარადდღე იწერება - ერთადერთია, რაც არის მსოფლიოში, უფრო სწორად, იგი თვითონ არის მსოფლიო“; ფრანგი პოეტი, სიმბოლისტი თეორეტიკოსი, სტეფანე მალარმე (1842-1898): „მსოფლიო იმისთვის არსებობს, რომ წიგნში აღიბეჭდოს“ [5,38-42] სხვ.

ფრანგი ლიტერატურათმცოდნე, მკვლევარი ჟერარ ჟენეტი (1930), მიიჩნევს, რომ „...უტოპიაა ლიტერატურა ბორხესის მიხედვით, მხოლოდ მითია“ [95]. თავის „ლიტერატურის უტოპიაში“ იგი იმოწმებს ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის, პერსი

ბიში შელის (1792-1822), მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ყველა ლექსი ერთი საყოველთაო პოემის ფრაგმენტია; მაგ., ამერიკელი პოეტისა და ფილოსოფოსის, რალფ უალდო ემერსონისთვის (1803-1882): „სამყაროში არსებული ყველა წიგნის ავტორი ერთადერთი პიროვნებაა“, ფრანგი პოეტისა და ფილოსოფოსის, პოლ ვალერის (1871-1945,) მიხედვით, ლიტერატურის ისტორია „ლიტერატურის მწარმოებელი და მომხმარებელი სულის ისტორიაა...“ ავტორს მიაჩნია, რომ ეს არის ლიტერატურის აღქმა: „ეკუმენური გრძნობა, რომლის წყალობითაც მსოფლიო ლიტერატურა უზარმაზარ ანონიმურ ქმნილებად წარმოგვიდგება“... [95]. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ „დონ კიხოტი“ ზემოხსენებული მსოფლიო უზარმაზარი ანონიმური ქმნილების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ, პერსონაჟი ალონსო კიხანოც ლიტერატურამ აქცია მოგზაურ რაინდად.

ჟენეტის აზრით, უნამუნოსა და ბორხესის ჰიპოთეზებს შორის მცირეოდენი განსხვავებაა, მათი შეხედულებით, დონ კიხოტი, უბრალოდ, ამავე სახელწოდების რომანის ავტორია. უნამუნო აღნიშნავს: „უეჭველია, რომ სერვანტესმა „დონ კიხოტში“ უკეთ წარმოგვიდგინა თავი, ვიდრე ჩვენ მოველოდით ამას; მან აჯობა საკუთარ თავს. ეს გვაფიქრებინებს, რომ არაბი ისტორიკოსი სიდ აჰმედ ბენ-ინჰალი არაა წმინდა ლიტერატურული ქმნილება, არამედ მის მიღმა ღრმა ჭეშმარიტებაა დაფარული: ეს ამბავი სერვანტესს ვიღაც სხვამ უკარნახა, სულმა, რომელიც მისი სულის სიღრმეში იყო დაფარული... ეს ამბავი რეალურია და იგი თავად დონ კიხოტმა - სიდ აჰმედ ბენ ინჰალის სახელს ამოფარებულმა უკარნახა სერვანტესს“ [95].

ჟერარ ჟენეტის თქმით, ის, ვინც ავტორი გვგონია, პერსონაჟს წარმოადგენს. მას ასევე მიაჩნია, რომ ლიტერატურა დასწავლად ერთი ცრურწმენით, რომლის თანახმადაც: „ნაწარმოები, ძირითადად, განპირობებულია ავტორის მიერ, ე.ი. მას გამოხატავს“. თუკი ასეა, მაშინ: „დღეს კითხვა - განსწავლული შეჭრაა უცხო პირთა ცხოვრებაში, რომელიც ფარულ კამერას გვაგონებს“ [95].

სერვანტესის შემოქმედება სხვადასხვა დროის ცნობილ შემოქმედთა დაინტერესების საგანს წარმოადგენდა, რასაც ადასტურებს ქვემოთ მოტანილი ცალკეული ამონარიდები მათი შეფასებებიდან.

მილან კუნდერა სერვანტესის „დონ კიხოტს“ უწოდებს „უნიკალურ, განუმეორებელ ქმნილებას, ერთი ავტორის წარმოსახვისგან განუყოფელს“ [83]. გერმანელი პოეტის, ენათმეცნიერისა და კრიტიკოსის ფრიდრიხ შლეგელის (1772-1829), აზრით: „Главное в романе – проявление двух жизненных сил: поэзий представленной Дон Кихотом, и прозы, интересы которой защищает Санчо Панса“;

გერმანელი ფილოსოფოსი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (1770-1831), აღნიშნავდა: „Сумасшествие Дон Кихота только в том и состоит, что он уверен и остаётся столь уверенным в себе и во всём дале“; გერმანელი ფილოსოფოსი, ფრიდრიხ ვილჰელმ იოზეფ შელინგი (1775-1854), მიიჩნევდა, რომ : „Главная тема романа – реальное в Борьбе с идеальным... Сервантес создал из материала своего времени историю Дон Кихота, который, как и Санчо, носит черты мифологической личности..“; კრისტიან იოჰან ჰაინრიხ ჰაინეს (1797-1856), გერმანელი რომანტიკოსის, პოეტის, პუბლიცისტისა და კრიტიკოსის აზრით: „Сервантес, сам того ясно не осознавая, написал величайшую сатиру на человеческую восторженность“; რუსი ფილოსოფოსი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი, ბესარიონ ბელინსკი (1811-1848), ამბობდა: „Каждый человек немножечко Дон Кихот“[125]; რუსი მწერალი, მთარგმნელი და პოეტი, ივანე ტურგენევი (1818-1883), აცხადებდა: „На Страшном Суде люди смогут оправдаться перед Господом Богом, предъявив одну эту книгу...“; რუსი მწერალი და ესეისტი, ფიოდორ დოსტოევსკი (1821-1881), ფიქრობდა, რომ: „Во всём мире нет глубже и сильнее этого сочинения. Это пока последнее и величайшее слово человеческой мысли, это самая горькая ирония, которую только мог выразить человек, и если б кончилась земля, и спросили там, где – нибудь, людей: „Что вы, поняли ли вашу жизнь на земле и что об ней заключили?“ - то человек мог бы молча подать Дон Кихота: „Вот моё заключение в жизни и – можете ли вы за него осудить меня?“), რუსი მწერლის, რომანისტისა და ფილოსოფოსის, ლევ ტოლსტოის (1928-1910) აზრით: „...этот роман - указание пути спастись от пустоты“ (ო.მალაშენკო „Сервантес - путь к совершенству“).

როგორც ვხედავთ, ზემოთ დასახელებული მასალებიდან გამომდინარე, სერვანტესის დონ კიხოტსა და სანჩო პანსას სხვადასხვაგვარად აღიქვამენ, მაგრამ

მიუხედავად ამისა, „დონ კიხოტი“ წარსული ეპოქების გადაძახილია, ის მომდევნო დროსაც ეხმიანება და მიგვაჩნია, რომ იდალგოს ერთ-ერთი მიზანი სრულყოფილებისკენ სწრაფვაა, ეს კი ყველა დროისა და ქვეყნის ლიტერატურისთვის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

ავსტრიელმა პოეტმა, დრამატურგმა და მთარგმნელმა, ჰანს კარლ არტმანმა (1921-2000), თავისი „პოეტური აქტის რვაპუნქტიან პროკლამაციაში“ (1953), დონ კიხოტის განსაკუთრებულობას გაუსვა ხაზი: „პოეტური აქტის ყველაზე სათაყვანებელ ოსტატებს შორის ჩვენ ვასახელებთ დემონურ-ელეგიურ კ.დ. ნერონს და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს უფალს, ფილოსოფიურ-ჰუმანურ დონ კიხოტს“ [70].

სამხრეთაფრიკელი მწერალი, თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინგლისურენოვანი რომანისტი, კრიტიკოსი და ლინგვისტი, ჯონ მაქსველ კუტზეე (1940), თვლის („მძინარე მზეთუნახავი“), რომ „მთელი ესპანურენოვანი ლიტერატურა სერვანტესის სულით არის გაჟღენთილი“ [84], ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ, არა მარტო ესპანურენოვანი, არამედ მსოფლიოს შემოქმედთა უმეტესი ნაწილის ხელოვნების ნიმუშებიც...

ჩვენთვის საინტერესოა ზოგიერთი ამონარიდი ჯონ მაქსველ კუტზეეს წერილიდან: „არის ისეთი წუთებიც, როცა დონ კიხოტი ამტკიცებს, თითქოს თავგანწირვასა და უანგარო მსახურებას შეეძლოს უკეთეს ადამიანებად გვაქციოს, მიუხედავად იმისა, წარმოსახვით არსებას ვემსახურებით თუ არა. „რაც მოხეტიალე რაინდი გავხდი“, - ამბობს ის,- „მე ვარ გულადი, ზნეკეთილი, სულგრძელი, თავაზიანი, გულუბვი, გულისხმიერი, უშიშარი, მშვიდი, თვინიერი, და ბევრის მომთმენი“. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ის მართლაც ისეთი გულადია, ზნეკეთილია და ა.შ., როგორც ამტკიცებს, მის ბრძნულ მსჯელობაზე რაღას იტყვის, რომლის თანახმადაც ოცნების ძალას ჩვენი ზნეობრივი ცხოვრების წარმართვა შეუძლია...

... ვისაც ამ კაცთან ურთიერთობა უხდება, მცირე ხანში თითქმის მისნაირად იწყებს აზროვნებას და თვითონაც რაღაცით დონ კიხოტი ხდება. თუ ის რაიმეს გვასწავლის, მხოლოდ იმას, რომ გაცილებით უკეთესი, უფრო სისხლსავსე ცხოვრებისთვის სხვა სამყაროში გადასვლის უნარი უნდა განვივითაროთ - შეიძლება სულაც

გაცნობიერებულად - თუმცა ამანაც შეიძლება მიიყვანოს გარშემომყოფნი იმ დასკვნამდე, რომ დროდადრო ილუზიებით ვიტანჯებით“ [84].

რენესანსის დროინდელ მწერალს გარკვეული ძალისხმევა სჭირდებოდა საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად, მაგრამ აქვე შევ- ნიშნავთ, რომ „დონ კიხოტი“ სერვანტესის სიცოცხლეშივე მიიჩნის გამორჩეულ ნაწარმოებად, მისი ავტორი კი, კლასიკოსად, XVIII საუკუნეში იქნა აღიარებული. რუსი მეცნიერი ანდრეი კრასნოგლაზოვი (1964), წიგნში „სერვანტესი“ (2003), მოგ- ვითხრობს, რომ მწერლის პირველი ბიოგრაფია და, ასევე, პირველი ფუნდამენტური გამოცემა რომან „დონ კიხოტისა“ ეკუთვნის ცნობილ ინგლისელ ბარონს, ლორდ კარტერეტს (1690-1765). წარმატება წილად ხვდა გრეგორიო მაიანს-ი-სისკარას (1699-1781) მიერ 1722-1738 წლებში დაბეჭდილ ბიოგრაფიას, რომელიც შემდგომში სხვადახვა ენებზე ითარგმნა და არაერთხელ გამოიცა [64,257]. გარდა ზემოდასახელებული ავტორებისა, სერვანტესის ცხოვრება აღწერეს: უილიამ პრესკოტმა (1726-1795), ვისენტე დე ლოს როისმა (1732-1779), მანუელ ჟოზეფ კინტანამ (1772-1857), უილიამ სიმონ აუგერამ (1772-1829), ბონავენტურა კარლეს არიბაუმ (1798-1862) და სხვ.

მიგელ დე სერვანტეს საავედრას პირველი პორტრეტი უცნობი მხატვრის მიერაა შესრულებული, რომელიც შემდგომში სრულყვეს: „Кент усовершенствовал этот анонимный портрет, который, кстати, в последующих изданиях будет значительно изменен. Исследователи полагают, что наиболее удачно „исходный“ портрет Сервантеса был обработан Якобом Фолкемой...Именно эти два портрета - Кента и Фолкемы - послужили основой для создания предположительно истинного

изображения автора „Дон Кихота“ в Испанской королевской академии... неясно, имел ли анонимный автор перед собой оригинал, то есть живого Мигеля де Сервантеса“ [64, 257].

1835 წელს მადრიდში აღმართეს ბრინჯაოს ქანდაკება დონ კიხოტისა და სანჩო პანსას ფიგურებით, რომელიც ჩამოასხა ესპანელმა მოქანდაკემ, ანტონიო სოლამ (1787-1861), „მეგლის კვარცხლბეკზე ესპანურსა და ლათინურ ენებზე ეწერა: „მიგელ დე სერვანტეს საავედრას, ესპანეთის პოეტთა მეფეს“ [1,267]. როგორც უკვე ვახსენეთ, „დონ

კიხოტს“ XVI-XVII საუკუნეების ესპანეთის ცხოვრების ენციკლოპედიურად ამსახველს უწოდებენ.

დონ კიხოტის პროტოტიპის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები არსებობს. რუსი ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი ვსევოლოდ ბაგნო (1951), წიგნში: „Дорогами Дон Кихота“ (1988), გადმოგვცემს მკვლევართა, ე. შალის (1827-1873), პ. როხასისა და ლუის ასტრანა მარინის (1889-1959) შეხედულებებს იმის თაობაზე, რომ მიგელ დე სერვანტეს საავედრა, ავტორი „დონ კიხოტისა“, მთავარი მოქმედი გმირის პროტოტიპია და ეს წიგნი, მისი თქმით, ავტობიოგრაფიულია [60,21-22].

არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც; მაგ., ცნობილი ინგლისელი ჰუმანისტი და განმანათლებელი, დანიელ დეფო (1660-1731), „რობინზონ კრუზოს“ (1719) ავტორი, მიიჩნევდა, რომ დონ კიხოტის სახეში სერვანტესი მო- იაზრებდა ესპანური დაუმარცხებელი არმადის ხელმძღვანელს, ჰერცოგ მედინა-სიდონიას, რომელმაც სრული ფიასკო განიცადა ინგლისის ფლოტთან [120]. არსებობს სხვა ვერსიებიც; ერთ- ერთი მათგანის თანახმად, დონ კიხოტის პროტოტიპი იყო სერვანტესის ცოლის ნათესავი-ალონსო კიხადა, რომელიც ესკივიასში ცხოვრობდა და სარაინდო რომანების მოტრფიალე იყო.

სერვანტესის „დონ კიხოტში“ დახატულია კონტრასტული სახეები მეოცნებე, იდეალისტი რაინდისა და მისი რეალისტი საჭურველმტვირთველისა: „За национальным „донкихотством“, за кризисом испанской культуры Сервантес уловил и нечто большее - всеевропейский кризис гуманизма Возрождения, его представлений о рождающемся новом обществе и о месте, отведённом в нём человеческой личности“ [122].

დონ კიხოტის სახე მსოფლიო ლიტერატურის უამრავი შემოქმედისთვის სულიერად ახლობელი გახდა, რადგან „მან შექმნა რომანი, რომელშიც ღირსეულადაა შეფასებული მისი თანამედროვე ეპოქის ყველა ცრუ შეხედულება, არაბუნებრივი გრძნობები, სიყალბე, რაინდული ყეყეობა და თავგასულობა“ [1, 267].

XX საუკუნის რუსი-ამერიკელი მწერლის, ვლადიმერ ნაბოკოვის (1899-1977), პოპულარული „ლექციები დონ კიხოტზე“ (1951-1952) წაკითხულ იქნა ჰარვარდის უნივერსიტეტში. მისი აზრით, სერვანტესმა შექმნა პერსონაჟი, რომელიც აღემატება

თავად ნაწარმოებს; დონ კიხოტმა რომანიდან გადაინაცვლა ფილოსოფიაში, ხელოვნებაში, პოლიტიკურ სიმბოლიკასა და ფოლკლორშიც კი [63,19]. ვ. ნაბოკოვი სერვანტესის რომანს ადარებს რუსული და ფრანგული ლიტერატურის შედევრებს: „Дон Кихот“ – сказка, как „Холодный дом“. или „Мёртвые души“. „Госпожа Бовари,“ и „Анна Каренина“ – великолепные сказки“ [63, 23], ამავე წიგნში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ავტორი ყურადღებას რომანის გარშემო არსებული შეხედულებების სხვაობაზეც ამახვილებს: „Некоторые критики (расплывчатое, давно почившее меньшинство) пытались доказать, что „Дон Кихот“ всего лишь безвкусный фарс. Другие объявляли „Дон Кихота“ величайшим из романов. Сто лет назад один восторженный французский критик, Сент-Бёв, назвал его „Библией человечества“.

უანგარო სიკეთისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი სერვანტესი არაერთ ავტორს შთააგონებდა გაეთავისებინა ზოგადსაკაცობრიო იდეალები, მისი პერსონაჟის ხასიათის შტრიხები, დეტალები და ამით თავისი გმირებისათვის ჩაედგა ლამანჩელი იდალგოს მსგავსი მარადიული მხატვრული სული. ასე იქცა დონ კიხოტი არქექტიპულ სახედ, ალუზიად ან რემინისცენციად.

ქართულ ლიტერატურულ სამყაროს მხედველობიდან არ გამორჩენია საკაცობრიო იდეალებისათვის მებრძოლი მწერალი, გენიალური სერვანტესი და მარადიული მხატვრული სახე, დონ კიხოტი. შემოქმედთა ნაწარმოებებში გვხვდება დონკიხოტური ასოციაციები, პარალელები, რემინისცენციები.

რემინისცენცია (ლათ. *reminiscentia* - გახსენება, მოგონება), როგორც ვი- ცით, მწერლის მიერ თავის ნაწარმოებში სხვა მწერლის ნაწარმოებისა თუ მხატვრული ფრაზის კონსტრუქციის აღდგენა-გამეორებაა. მწერლები მას, ხშირად, თავიანთი იდეურ-ესთეტიკური პოზიციის წარმოსაჩენად მიმართავენ.

ყველა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ, ფორმამ, მეთოდმა, ყველა ეპოქამ, ყველა ქვეყანამ მსოფლიოს თავისებური თვალთახედვით მიაწოდა თავისი მთავარი სათქმელი, მაგრამ, ამასთანავე, დაამტკიცა, რომ არ არსებობს რომელიმე ეროვნული ლიტერატურა სხვა ქვეყნების შემოქმედების გათვალისწინების გარეშე, სამყარო ერთია, საკაცობრიო პრობლემების გადასაჭრელად ბრძოლა - მარადიული. იცვლება ეპოქები,

თაობები, სულთა კავშირები კი, ლიტერატურის მეშვეობით, უცვლელი რჩება. სერვანტესის „დონ კიხოტის“ განსაკუთრებულობაზე ყველა დროის მკვლევრები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ამხვილებენ ყურადღებას. ამ მხრივ, ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაციები, რასაკვირველია, არასრულია, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია „დონ კიხოტზე“ არსებული მასალებისა.

მსოფლიო ლიტერატურაში მრავლად მოიძებნება ნაწარმოები, ესე, კრიტიკა, რომელშიც მაგალითად მოჰყავთ დონ კიხოტისა და სანჩო პანსას ქმედებები, ან ახსენებენ უკვდავი ავტორის, სერვანტესის სახელს. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

უანგარო სიკეთისა და სინამდვილესთან შეუთავსებელი ოცნების პრობლემა, სიკეთისა და სიქველის ხვედრი, დონკიხოტური ნიღაბი-ესაა შტრიხები, დეტალები და სახეები, მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეში მარადიულად სხვადასხვა ფორმით, სახით, გამოთქმით მორაული გმირისა, რომელიც თანამედროვე ქართული ლიტერატურის ზოგიერთი პერსონაჟის ხასიათში განსხეულდა, ამით მივიღეთ კულტურათა შორის დიალოგის, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან თანაზიარობის საუკეთესო მაგალითები.

ქართული პრესა მიგელ დე სერვანტესის შემოქმედებით, აქტიურად, 1941 წლიდან დაინტერესდა (აქ მოხმობილი ინფორმაცია, ძირითადად, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ „გაზეთების მატრიანეს“ ეყრდნობა). 1941-1956 წლებში ქართული პრესა ფართოდ აშუქებდა „მსოფლიო ლიტერატურის ბუმბერაზის“, „კლასიკოსის“, „დიდი ესპანელი მწერლის“, „გენიალური ჰუმანისტის“, „მსოფლიო ლიტერატურის სიამაყის“ მიგელ დე სერვანტეს საავედრას შესახებ მასალებს (იხ.გაზეთები: „ლიტერატურული საქართველო“ (1941,13 ივნისი), „ლიტერატურული გაზეთი“ (1956,11 მაისი), ჟურ-ნალები: „ლიტერატურა და ხელოვნება“ (1946, №18, 1946, 26 აპრილი, 1951, 9 სექ-ტემბერი), „მნათობი“ (1869, ნოემბერ-დეკემბერი, 1870, №2, 1871, №1, 1871, №2, 1871, №3) და სხვა [76].

დონ კიხოტის სახე ასაზრდოებს ცნობილი ქართველი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებას, ილია ჭავჭავაძეს (1837-1907): „განზრახული ჰქონდა დაეხატა დონ კიხოტის მსგავსი ტიპი ქართველი მეოცნებე თავადისა...ჩვენი ვარაუდით, ეს ჩანაფიქრი

მიზეზი უნდა გამხდარიყო „კაცია-ადამიანის?!“ შექმნისა“ (ნინო ჩიხლაძე „ოლდა გურამიშვილი-ნიკოლაძე“,1855-1940).

ვაჟა-ფშაველა (1861-1915), პუბლიცისტურ წერილში, „სად არის პოეზია?“ დონ კიხოტს ბუნებას უდარებს: „რა არის თვით ბუნება, თუ არა იგივე დონ კიხოტი, რომელიც თავდაუზოგავად ჰღელავს, იბრძვის, მიისწრაფის ერთხელ არჩეულ, აჩემებულ გზაზე თავდაუზოგავად? აზრი მაღალი აქვს, ფიქრი კეთილი, მაგრამ შეცდომაც ბევრში მოსდის, უნაკლო არც იგია“... სხვაგან, სადაც მწერალი ეროვნული და უნივერსალური, საკაცობრიო პრობლემების საკითხს განიხილავს („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“,1905), აღნიშნავს: „სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად“.

გალაკტიონ ტაბიძე (1891-1959) „...თავისივე წარმოსახვის ლანდებთან შეჭიდებული, დამსხვრეული ფარ-შუბით მებრძოლ დონ კიხოტთან პოულობს ანალოგიას: „მე დემონები ქროლვით მარადით მომაგონებდნენ დაფარულ შხამით, რომ უიმედოდ მოვქროდი ღამით გატეხილ შუბით და მუზარადით“ („მაგრამ მე რა ვქნა?“) დონ კიხოტის ფარ-შუბის პარალელურად, გალაკტიონის შემოქმედებაში ფიგურირებს ამ რაინდის ცხენის - როსინანტის სახელიც, ეს სახე გვხვდება იმპრესიონისტული მანერით დაწერილ ლექსში „გაქრნენ ზაფხულის დღენი“ [41, 16]. მკვლევარ ლ. სორდიას თქმით, ლექსის პირველივე სტრიქონები ბუნების კონტურებს გვიჩვენებს, ცხენი ცისკენ მზირალია: „... ზიდავს ... ყვავილებიან ურემს...“ საფიქრებელია, ეს იყოს „პოეზიის მერანი“, მაგრამ არა ლურჯა ცხენებივით გაქანებული... ლექსიდან გამოკრთის ზაფხულის დღეების გაქრობისა და ყვავილების ქარში არევის სევდა, წუხს ლირიკული გმირიც ბუნების წარმავლობასა და ყოფიერების ამოებაზე... და ყოველივე ძალიან ჰგავს დონ კიხოტის პოზიტიურ, მაგრამ უნიადაგო ოცნებას [41, 16-17].

გ. ტაბიძის შემოქმედებაში (ისევე, როგორც სერვანტესის რომანში) გარ- კვეული ადგილი ეთმობა ბავშვების თემას, რომელიც ასოციაციურად უკავშირდება „დონ კიხოტის“ ერთ-ერთი პერსონაჟის, ანდრესის ბედს. ლექსი „ბავშვები კაფეში“, ქართველი ლიტერატურათმცოდნისა და კრიტიკოსის, გურამ ასათიანის (1928-1982), თქმით,

„გამსჭვალულია ცივილიზებული კაცობრიობის ბარბაროსობისადმი შეურიგებელი სიძულვილით. ეს არის სასტიკი მხილება ამ სამყაროს ველური, ანტიადამიანური ბუნებისა“ [44, 615]. „მკაცრი და გამყიდველი“, „მშვიერი სახით კაფეში შედის ბავშვების გუნდი შიშველ-ტიტველი“, რომელთა ხედვაშიც „ხანჯლის არის ციება, არ ეპატიოს, - კვენესენ ისინი, - ქვეყანას ჩვენზე შურისძიება“, მათ „გული სავესე აქვთ შხამის წვეთებით“ [44,280], „ასე იბადება გალაკტიონის პოეზიაში არპატიების, შურისგების თემა“ [44, 615], რომელიც მის სხვა ნაწარმოებებშიც ვლინდება.

პოეტი მუხრან მაჭავარიანის (1929-2010) ლექსი: „...ძველად - იალქნიანი ნავების ხანაში“, ვერლიბრია. ნაწარმოებში ყურადღება გამახვილებულია ესპანელი კეთილი მოხუცისა და მისი „სულიერი შთამომავლის“, თბილისელი ახალგაზრდა ვაჟის სახეზე. მოხუცი მძინარე მოსახლეობას არიგებს და ლოცავს : „გიყვარდეთ ხელმწიფე, პატივი ეცით მას. გფარავდეთ ზეციური მამა-მპყრობელი ცათა“. ეს სტრიქონი, შუასაუკუნეების მორალის დაცვისკენ მოგვიწოდებს, აქ სიმშვიდე სიკეთეა, მოხუცის სურვილებიდან ერთ-ერთი ასე მთავრდება: „იყავით კეთილ- ნი“, ახალგაზრდაც იმავეს ფიქრობს.

ლექსში ესპანეთისა და საქართველოს პარალელურად ხსენება, ვფიქრობთ, ამ ორი ქვეყნის ნათესაური ურთიერთობის ასოციაციას იწვევს...

„კეთილი მოხუცი“, ალბათ, სერვანტესია, მის ეპოქაში ასევე „ეძინათ“ და არ ესმოდათ საკაცობრიო იდეალებისა და მისი განხორციელებისთვის მეზრძოლი დონ კიხოტისა, რაც შეეხება თბილისელ ახალგაზრდას, მას, პოეტის თქმით, შეიძლება დასცინონ, იმიტომ, რომ „დღეს-ატომური ენერჯის ხანაში“, მუხრან მაჭავარიანის ლექსის ლირიკული გმირი, მოხუცი, ისევე დადის, მოგზაურობს ესპანეთის ქუჩებში, როგორც მიგელ დე სერვანტეს საავედრას პერსონაჟი, დონ კიხოტი. ორივე ჰარმონიის, საყოველთაო სიმშვიდისა და ღვთის მოყვარულია. მოწოდება: „გიყვარდეთ ხელმწიფე, პატივი ეცით მას“ ხომ ქრისტიანული მორალიდან გამომდინარეობს.

ქართველმა პოეტმა, შოთა ნიშნიანიძემ (1929-1999), პოეტური წარმოსახვით, კეთილშობილი იდალგო იმერეთში ამოგზაურა („დონ კიხოტის მოგზაურობა ზემო იმერეთში“).

ცნობილი ქართველი მწერალი და პოეტი, ოთარ ჭილაძე (1933-2009), სერვანტესის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევს. ის პუბლიცისტური წერილებისა და ინტერვიუების კრებულში, „ბედნიერი ტანჯული“(2003), წერს: „დასავლეთში ...ლიტერატურული ცხოვრების დონე მაღალია. ყოველ ათწლეულში შეიძლება არც იქ იბადებიან ახალი სერვანტესები და პრუსტები, მაგრამ სერვანტესისა და პრუსტის შემფასებელთა „თვალთახედვის არე“ განუწყვეტლივ იზრდება!“ [114].

თანამედროვე ქართველი მწერლის, ჯემალ ქირიას (1940), ავტობიოგრაფიულ რომანს: „მე, როსინანტი“ (2006), უძღვის ეპიგრაფი: „ყველანი ცოტათი დონ კიხოტები ვართ, ცოტათი როსინანტები და არცთუ იშვიათად - სანჩოს ვირები. ჩვენ, წიგნით დაავადებულნი, ჩვენში დავატარებთ დონ კიხოტს, ვიღწვით სიკეთისათვის, ვაშენებთ ბროლის კოშკებს!“ (მწერლის ეს სიტყვები ასოციაციურად ბესარიონ ბელინსკის ცნობილ, მსგავს მოსაზრებას გვა- გონებს: „Каждый человек немножечко Дон Кихот“).

მიიჩნევენ, რომ მხატვრულ ტექსტებში, თითქოს, ხშირად, ერთი და იგივე სქემა დომინირებს: სიკეთე-მშვენიერება-სიავე, რომელსაც, ჩვენი აზრით, სერვანტესის „დონ კიხოტის“ სიუჟეტური ხაზიც, ამგვარად, ესადაგება: სიკეთე - დონ კიხოტისა, მშვენიერება მისი იდეისა და სიავე-მისი უნიადაგო, ფუჭი, განუხორციელებელი ოცნებებისა, ამგვარი სქემით მსოფლიო ლიტერატურული ნაწარმოებები მეტ-ნაკლებად ენათესავებიან ერთმანეთს.

ქართული კინემატოგრაფია დონ კიხოტის თემით აქტიურად დაინტერესდა, ამ მხრივ, შეიძლება მიღწევად ჩაითვალოს ფილმები, რომლებშიც სერვანტესის პერსონაჟის სახელი ფიგურირებს. თამარ ტატიშვილი (საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი) „ქართული კინემატოგრაფიის ისტორიის“ შესახებ გვამცნობს: „ესპანური და ქართული კინოს თანამშრომლობის პირველი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1989 წელი, როცა რევაზ ჩხეიძემ „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ გადაიღო. ეს იყო ქართულ-ესპანური კინოპროდუქციის ნიმუში - 9 სერიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი, რომელიც სერვანტესის რომანის თანამედროვე გააზრებას წარმოადგენს. მასშტაბური ფილმის გადაღებები ესპანეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, სცენარის ერთ-ერთი ავტორი იყო ესპანელი მარსიალ სუარესი.

ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ კახი კავსაძე, მამუკა კიკალეიშვილი, რამაზ ჩხიკვაძე და სხვა ცნობილი მსახიობები“ [111].

გოდერძი ჩოხელმა გადაიღო ფილმი „მიჯაჭვული რაინდები“(1999) (ამავე სახელწოდების თავისივე მოთხრობის მიხედვით), რომელშიც ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ პერსონაჟი ლუარსაბ თათქარიძე და სერვანტესის დონ კიხოტი გაერთიანებული ძალით იბრძვიან ამირანის, კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული გმირის, გასათავისუფლებლად.

ცნობილი ქართველი კინორეჟისორის, პროფესორ რევაზ (რეზო) ჩხეიძის (1926) მიერ გადაღებული ფილმის შემდეგ („ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩო პანსასი“ – 1988 წ), პეტერ როლბერგი, (ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი. სტატია „დონ კიხოტი საქართველოში: სერვანტესისა და ჭავჭავაძის გოდერძი ჩოხელისეული სინთეზი“) წერს, მწერალმა ჩოხელმა: „ლეგენდარული იდალგო პირდაპირ მე-19 საუკუნის საქართველოში გადმოიყვანა. მან თამამად შეახვედრა თავის ფილმში ტრაგიკომიკური რაინდი და კლასიკური ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერსონაჟი - თავადი ლუარსაბ თათქარიძე ილია ჭავჭავაძის „კაცია - ადამიანისა?!“ [97].

მსახიობებმა ვახტანგ ჭაბუკიანმა (1910-1992), ავსტრიელი კომპოზიტორის, მევიოლინისა და დირიჟორის, ლუდვიგ მინკუსის (1826-1917), ბალეტ „დონ კიხოტში“ (1869) პირველად, (ბაზილის პარტია,1930) ხოლო ნინო ანანიაშვილმა (მთავარი პარტია, 1963) როლები შეასრულეს. მას შემდეგ, არაერთხელ იხილა ქართველმა მაყურებელმა „დონ კიხოტი“ კლასიკური ბალეტების სადამოზე: თბილისის ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის, გრიბოედოვის სახელობის თეატრების სცენებზე...

ქართველმა ფერმწერებმა დონ კიხოტის შთამბეჭდავი სახეები შექმნეს. საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება თეატრალური მხატვრის სიმონ (სოლიკო) ვირსალაძის (1908-1989) მიერ შესრულებული ორი ესკიზი ლუდვიგ მინკუსის ბალეტისათვის „დონ კიხოტი“ (1943).

ცნობილია ქართველი მხატვრისა და ესეისტის რეზო (ემელიანე) ადამიას (1938) „დონ კიხოტი“(2012), გრაფიკული ნამუშევარი [12, 123].

რუსუდან დარჩიაშვილი წერილში „ხარანაულები“, გვამცნობს: ქართველმა მხატვარმა ლევან ხარანაულმა შექმნა ესკიზები ტელესპექტაკლისათვის „დონ კიხოტი“, 21 გრაფიკული ნახატი: „მწუხარე სახის რაინდის“ იერში საკუთარი შტრიხები შეაქვს... დონ კიხოტის თემას წლების შემდეგადაც ვერ შეელია და ფერწერაში გადაიტანა, ამ ნამუშევრებით ილუსტრირებული „დონ კიხოტი“ საბავშვო ვარიანტი... ლიტერატურული კონკურსის „გალას“ გამარჯვებული გახდა [78].

ქართველ მეცნიერთა ცალკეული წერილები სერვანტესის პერსონაჟს ხან მარგინალად, ხან მარტოსულად წარმოგვიდგენენ. როგორც უცხოელი ისე ქართველი მკვლევრებისთვის, დონ კიხოტი განუხორციელებელი ოცნებების სამყაროში ცხოვრობს, ოცნებას კი, ხშირად, არსებული პირობებით უკმაყოფი-ლება იწვევს.

ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი და პედაგოგი დიმიტრი უზნაძე (1886-1950), მიუთითებს: „არაფერს იმდენი კავშირი არა აქვს ოცნებასთან, რამდენიც ჩვენს... განუხორციელებელ სურვილებს“ [49, 581].

ოცნების შინაარსის გასათვალისწინებლად არ კმარა მარტო სურვილი... ადამიანები სხვადასხვაგვარად წარმოიდგენენ სასურველი მიზნების განხორციელების გზებს, ზოგი პირად კეთილდღეობასა და მიღწევებზე ოცნებობს, ზოგიერთი - საქვეყნოზე. მეცნიერის თქმით, „ოცნების ერთ-ერთ ძირითად ნიშანს შეადგენს, რომ მისი შინაარსი, შეიძლება ითქვას, ეგოცენტრულია, ამ მხრივ, ის ისტორიულ მეცნიერებას ჰგავს. მაგრამ თუ ეს უკანასკნელი მე-ს წარსულს ეხება, ოცნებას მისი მომავალი აქვს მხედველობაში... რაც უფრო ძლიერია ჩვენი სურვილი და რაც უფრო ნაკლებია არსებული სინამდვილის პირობებით მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა, მით უფრო ადვილად ვსარგებლობთ ყველა საბაბით და ჩვენი სურვილების განხორციელების შესახებ ვიწყებთ ოცნებას. ის, რაც გვაკლია და რისი შევსების შესაძლებლობას არსებულ პირობებში მოკლებული ვართ, ყველაფერ ამას ოცნების სამყაროში ვეუფლებით“ [49, 581].

დიმიტრი უზნაძე ასკვნის, რომ ზრდასრული ადამიანის ოცნება, უფრო ხშირად, მის მომავალ გეგმებს ეხება და, ამიტომაც, ოცნებაში სინამდვილისათვის ანგარიშის სრული გაუწევლობა შეუძლებელია.

მკვლევარ ცირა ბარბაქაძის წერილში: „კონცეპტი „ოცნება“ - სემიოტიკური ანალიზი“, ვკითხულობთ, რომ კონცეპტი აზრის ვერბალური გამოვლინებაა, რომელიც ნაციონალურ ენობრივ ცნობიერებას მიეკუთვნება: „იგი ენისა და აზრის ერთიანობაა, რომელიც ასახავს იდეალური ან რეალური სამყაროს საგანს (მოვლენას) და ინახავს ენის ნაციონალურ მეხსიერებაში ვერბალური აღმნიშვნელის სახით“ [71]. მეოცნებე დონ კიხოტს მიზნის მიღწევის ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებად მოგზაურობა მიაჩნია. ის დარწმუნებულია თავისი ქმედებების სისწორესა და ძლიერებაში: „...ჩემი სიმართლე... ყველას დაამარცხებს“ [38,433], აცხადებს რაინდი. მან, როგორც კი მიიღო გადაწყვეტილება, კეთილშობილური მისია აღესრულებინა, მაშინვე სამზადისს შეუდგა, ეგონა მისი ყოველგვარი დაყოვნება კაცობრიობას დიდ ზიანს მიაყენებდა, რამდენი უსამართლობა უნდა აღმოეფხვრა და რამდენი იყო: „უფლება აღსადგენი“... [37,38]. მას ეს ნაბიჯი შინაგანმა თავისუფლებამ, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობამ და ოცნებამ გადაადგმევინა, ამგვარ ფიქრებს ფესვები მის არსებაში უფრო ადრე ჰქონდა გადგმული, მანამ, სანამ სარაინდო წიგნების კითხვა უკარნახებდა რაიმეს, უბრალოდ, ლიტერატურამ, კითხვისადმი მეტისმეტმა მიჯაჭვულობამ პროცესი დააჩქარა, განუხორციელებელმა მიზნებმა, ქვეყანაში გამეფებულმა უსამართლობამ, მოუწესრიგებელმა სამყარომ რაინდობა გადააწყვეტინა.

სერვანტესი თავის პერსონაჟს მიზანმიმართულად, იძულებულს ხდის იხეტილოს, ამით მისი მისიის მრავალმნიშვნელოვნებაზე ორგვარად ამახვილებს ყურადღებას, გზებზე იდაღოს ხეტიალი და ქმედებები, ერთი მხრივ, გეოგრაფიული არეალის დაპყრობაზე, ადამიანებთან კონტაქტზე, გაცნობასა და ყველა კუთხის პრობლემის ხილვაზე მიგვითითებს, მეორე მხრივ ეს სულიერი გზის გავლაა.

დიოკლიის ტიტულარული ეპისკოპოსი, კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოში, კალისტე უეარი (1934), გზის მნიშვნელობას ასე განმარტავს: „ქრისტიანობის ერთ-ერთი უძველესი სახელი მარტივად „გზა“... ეს არის გზა, რომელზეც მივდივართ და, ყველაზე ღრმა და ფართო გაგებით, ეს არის ცხოვრების გზა... იყო ქრისტიანი, ნიშნავს - იყო მოგზაური“ [47,9].

მკვლევარი სალომე ომიამე წერილში: „გზა, როგორც ლინგვოსემიოტიკური ნიშანი“ აღნიშნავს: „გზა“, როგორც სიმბოლო, განსაკუთრებული საკითხია ქრისტიანული მრწამსის ლინგვოკულტურებში. იესო ამბობს: „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და ცხოვრება“ (იოანე 14:6) იესოსა და გზის გაიგივება ქრისტიანობისა და „გზის“ გაიგივებას ნიშნავს. ასე ჩნდება ქრისტიანულ კულტურაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ამდღეული სიმბოლო „გზა“ [93]. არსებობს მოსაზრებები, რომ გზას აქვს „სივრცული და წარმოსახვითი განზომილებები“ (ანემსაძე) [90]. სულიერ გზას, თვით ავტორი, პერსონაჟთან ერთად, ღვთისადმი მოკრძალებული დამოკიდებულებით გადის.

„უფლის შიში სიბრძნის სათავეა, სიწმინდეთა ცოდნა კი-გონიერება“ (იგავნი სოლომონისა 9, 10) [4, 623]. „თუმცა ყველანი ამტკიცებენ, უდიდესი ცოდვა სიამაყეაო, მე მაინც, რაკი სხვებთან ერთად მწამს ანდაზა, რომ: „ჯოჯოხეთი უმადურებით არის დასახლებული“, და უდიდეს ცოდვად უმადურებას ვთვლი, მას აქეთ, რაც ჩემი გონებით ვცხოვრობ, ყოველგვარი ღონისძიებით ვცდილობდი უმადურებას მოვრიდებოდი, და თუ არ შემიძლია, ვინც მე სიკეთეს მიშვრება, მაგიერი სიკეთე მივაგო, ის მაინც არის, რომ ამისი სურვილი მუდამ მეზადება, და როდესაც იძულებული ვხდები, ეს სურვილი ვიკმარო, მაშინ, ვინც რა სიკეთე მიყო, - ვამჟღავნებ ხოლმე. ვინც თავისადმი ჩადენილ სიკეთეს ამჟღავნებს, ის იმის მზადყოფნას აცხადებს, შემთხვევის ჟამს სიკეთის მაგიერი საქმით გადაუხადოს... ყველა ჩვენთაგანზე მაღლა ღმერთი დგას, ჩვენი საერთო კეთილისმყოფელი, და ყველა ჩვენი კეთილი მის კეთილისყოფას ვერ შეედრება, - მათ შუა უზომო სივრცე ძევს, მაგრამ ამ ჩვენი სიგლახაკის მაგიერობას მაღლიერება სწევს!“... [38, 432]. „როდესაც ბრალდებულის განსჯა მოგიხდეს, უცქირე მას, რათა საწყალ ადამიანს, ჩვენი გარყვნილი ბუნების ყოველგვარი სისუსტის პატრონს, და, რამდენადაც შეიძლება, მეორე მხარისადმი წყენის მიუყენებლად, შებრალებით და ღმობიერად მოეკიდე, რადგან, თუმცა ყველა თვისება, რასაც ღმერთს მიაწერენ, თანასწორია, მაინც ღმობიერება ჩვენს თვალში უფრო მეტად ბრწყინავს და ელვარებს“ [38, 314].

ღონ კიხოტი რჩევა-დარიგებას აძლევს იმ მძარცველებს, ვინც სანჩოს მოჰპარა ნივთები, ცდილობს დაარწმუნოს ისინი „თავიანთ ხელობაზე უარი ეთქვათ, რომ ის ხელობა დიდად საშიში იყო, როგორც მათი სულისთვის, ისე ხორცისთვისაც“... [38,

451].მძარცველთა მეთაური, როკე, თავს იმართლებს რაინდის წინაშე: „...ბუნებით მე შემბრალებელი და სიკეთის მოსურნე ვარ, მაგრამ ... შურისძიების სურვილმა, ჩემდამი მიყენებული შეურაცხყოფის გამო, ყველა ჩემი კეთილი მიდრეკილება ისე ჩააქრო, რომ, რასაც ვგრძნობ, იმის ჯინაზე ამ ასპარეზზე შეუპოვრად ვრჩები და ერთ უფსკრულს მეორისკენ მივყავარ... მაინც იმედს არ ვკარგავ, ამ ყოფიდან უშიშარ ნავსაყუდეღში გამოვიდე“ [38, 453]. გაცეხული დონ კიხოტი მას მეგობრულ რჩევას აძლევს, სწამს, რომ ათასი ცოდვის ჩამდენი ყაჩაღი, თუკი შეიგნებს თავის დანაშაულს, ღვთის წყალობით, გადარჩება. იდალგო მიმტევებელია, როკეს არ საყვედურობს, იმედს უნერგავს: „...სენის განკურნების დასაბამი სენის გაგებაშია და იმაშიც, რომ ავადმყოფმა ექიმის მიცემული წამალი ხალისიანად მიიღოს. თქვენი მოწყალება ავად არის, რა ავადმყოფობაც გჭირთ - იცით: ზენაც, ანუ უკეთ ვთქვათ, ღმერთი, რომელიც ჩვენი მკურნალია, წამალს შეგირჩევთ და განკურნავთ, მაგრამ წამლები, ჩვეულებრივ, ნელ-ნელა ჰკურნავენ და არა უცებ, რაიმე სასწაულით, ამასაც დავუმატებ, რომ გონიერი ცოდვილნი უფრო ადვილად მოიქცევიან და სწორდებიან, ვიდრე უგუნურნი, და რადგან თქვენმა მოწყალებამ ლაპარაკის დროს სიბრძნე გამოამჟღავნა, ისღა დაგრჩენიათ, სულის სიფხიზლე დაიცვათ და თქვენი დაავადებული სინდისის განკურნების იმედი იქონიოთ...“ [38,453], რაინდმა ურჩია როკეს „გზა შეამოკლოს და ცხონების გზისაკენ ადვილად შეუხვიოს“, ან გაჰყვეს იდალგოს, რათა ისწავლოს „მოგზაური რაინდობა“, მოითმინოს „შეწუხება“, „განსაცდელი!“... საპასუხოდ „როკემ დონ კიხოტის რჩევაზე ჩაიცინა, ლაპარაკი შესცვალა“, რაც კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ყველასთვის თავგამოდებული რაინდი, ამჯერადაც, აინუნშიც არ ჩააგდეს. დონ კიხოტი, მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრების ბევრ სფეროზე ამახვილებს ყურადღებას, ბრძნულ აზრებს გამოთქვამს და მზერა მუდმივად უფლისკენ აქვს მიპყრობილი:

„...ვინიცობაა, შემთხვევით ვინმე ნათესავმა გინახულოს, ნუ უარყოფ მას და ნუ აწყენინებ, პირიქით, მიუალერსე, მიუსალამე და წვეულებაც გაუმართე, პატივი ეცი, ამით შენ ღვთის ნებას შეასრულებ და იმასაც, რასაც ბუნების ბრძნული კანონი გავალებს - არც ერთი მისი ქმნილება არ უნდა გპულდეს“ [38, 313].

კეთილი სურვილებითაა გამსჭვალული იდალგო მაშინაც, როცა სანჩო პანსას რჩევა-დარიგებებს აძლევს „კუნძულის გამგებლად წასვლის წინ“, ის უფალს ემადლიერება, რომ უფრო ადრე ბედმა საჭურველმტვირთველს გაუღიმა, ვიდრე მას, უხარია: „...ვხედავ, რომ კეთილდღეობისაკენ მიმავალ გზაზე მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადამიდგამს“... [38, 311].

დონ კიხოტი უშურველად მოძღვრავს თავის საჭურველმტვირთველს, უპირველეს ყოვლისა, მოუწოდებს, იყოს ღვთისმოშიში.

შეიძლება ითქვას, რომ სანჩო პანსას მან სიკეთისა და ზნეობის „გაკვეთილი“ ჩაუტარა, სერვანტესი დონ კიხოტს ვრცელ რჩევა-დარიგებებს წარმოათქმევინებს, ამით სხვისთვის უნაგარო მზრუნველისა და თავდადებული ადამიანის სახეს გვიხატავს.

მოვიყვანთ ამონარიდებს მოგზაური იდალგოს დიალოგიდან, ის სანჩოს მიმართავს:

„...თვალნი შენნი შენს თავს მიჰმართე, რათა გაიგო რა ხარ, რაიც საცოდნელად მეტად ძნელია. შენს თავს რომ იცნობ, იმ ბაყაყივით არ გაიბერები, ხარის ტოლად გახდომა რომ მოინდომა...“ [38, 312].

„ეცადე, ყველაფერში ჭეშმარიტება აღმოაჩინო-როგორც მდიდრის და- პირებასა და საჩუქრების დროს, ისე ღარიბ-ღატაკთა ქვითინსა და მოსაწყენ მუდარის დროს.

როდესაც მიუდგომლობა მსხვერპლს მოითხოვს, დამნაშავეს თავს სასტიკი კანონის რისხვას მთლად ნუ დაატეხ, სასტიკი მსაჯული ღმობიერ მსაჯულზე უმჯობესი არ არის.

თუ მართლმსაჯულების კვერთხის დახრა დაგჭირდეს, ეს ჩაიდინე არა საჩუქრების იძულებით, არამედ შებრალების იძულებით.

თუ ოდესმე შენი მტრის საჩივრის განხილვა მოგიხდეს, დაივიწყე შენი პირადი მტრობა და უსიამოვნება და მხოლოდ იმაზე იფიქრე, თუ ვის მხარეზეა სიმართლე.

სხვისი საქმის გარჩევის ჟამს პირადი ჟინით თვალს ნუ აიხვევ, მართო სიმართლე გახსოვდეს, რადგან უფრო ხშირად გაუსწორებელ შეცდომას ჩაიდენ და მათი გასწორება შესაძლოა. - ეს შენგან დამსახურებული ნდობის და შენი ქონების ხარჯით მოგიხდეს!“ [38, 314].

დონ კიხოტის აღთქმა: „კეთილს ვემსახურო“ მისი დროის საზოგადოების ირონიას იწვევს, ჰგონიათ, რომ ასეთი სიტყვების წარმოთქმა და საპასუხო ქმედებაც მხოლოდ გიჟს შეუძლია.

კეთილშობილი რაინდის მხატვრული სახის შემქმნელის (ავტორის) დამოკიდებულება თავისივე რომანის გმირის მიმართ სატირულ-კრიტიკულია. მწერალი დასცინის სარაინდო რომანებს, თავის პერსონაჟს და, პარალელურად, ეცოდება კიდევ იგი.

ამ მხრივ, ქართველი მწერლების, ილია ჭავჭავაძისა (1837-1907) და მიხეილ ჯავახიშვილის (1880-1937) დამოკიდებულება თავიანთი ნაწარმოებების, „კაცია-ადამიანისა?!“ (1858-1863) და „ჯაყოს ხიზნების“ (1924), მთავარი გმირებისადმი ძალიან ჰგავს სერვანტესისას.

ცნობილი ქართველი მეცნიერი როსტომ ჩხეიძე ლუარსაბ თათქარიძეს, თეიმურაზ ხევისთავსა და დონ კიხოტს სატირულ-კრიტიკული ხედვით აერთიანებს („აპოლოგია ლუარსაბ თათქარიძისა“, 2003): „ჯაყოს ხიზნები“ ჩამოჰგავს „დონ კიხოტს“ და ლუარსაბ თათქარიძე და თეიმურაზ ხევისთავი - სერვანტესის რომანის გმირს”.

ორივე ქართულ თხზულებას თავიდან ბოლომდე ერთი ხედვა გასდევს და მთავარი გმირებისადმი ავტორთა დამოკიდებულება უცვლელია: სატირულ-კრიტიკული“ [110].

ყველა ის მკითხველი, ვინც ვერ გაუგებს დონ კიხოტის გულკეთილობას (რომელიც თანამდევნი იყო მისი სიგიჟისა), ჰგავს ცრუ, დაუნდობელ ავტორს, ალონსო ფერნანდეს დე აველიანედას ფსევდონიმით რომ დაბეჭდა „დონ კიხოტის“ ყალბი გაგრძელება (1614), მანაც ვერ გაუგო კეთილშობილი პერსონაჟის მისიას, დაამახინჯა და შეცვალა სერვანტესის სახელგანთქმული რომანის პასაჟები.

დონ კიხოტი შელახული ადამიანური ღირსებების აღსადგენად იბრძვის, მაგრამ ის რჩეული მარტოსულია. მის მხატვრულ სახეს სხვადასხვაგვარად აღიქვამენ.

მკვლევარი მაია ჯალიაშვილი წერილში „მარგინალობის ასპექტები“ (გურამ რჩეულიშვილის „ბათარეკა ჭინჭარაული“) წერს: „რჩეულები ნებისმიერ საზოგადოებაში ერთგვარი მარგინალები არიან, რადგან გაურბიან ერთფეროვნებას, ჩარჩოებს

და სულ მუდამ პიროვნული სრულყოფისაკენ მიისწრაფვიან. ასეთებს კარგად იცნობს მსოფლიო თუ ქართული ლიტერატურა, ხან „ზედმეტი ადამიანის“ სახელითაც რომ მოიხსენიებიან ხოლმე. მათი ყველაზე სიღრმისეული არქეტიპი, ალბათ, განკაცებული უფალია, სახარებების იესო ქრისტე, რომელიც ვერ იცნეს ადამიანებმა, რადგან მათ არ ჰგავდა და ჯვარს აცვეს. მსოფლიო ლიტერატურის მარგინალებიდან შეიძლება დავასახელოთ დონ კიხოტი, რომელიც, თავის მხრივ, იქცა მრავალი პერსონაჟის ლიტერატურულ არქეტიპად“ [117].

მეორე წერილში, „დროის მეტაფიზიკა ქართულ მოდერნისტულ რომანში“, მკვლევარი მექსიკელი პოეტისა და ნობელის პრემიის ლაურეატის, ოქტავიო პასის (1914-1998), მოსაზრებას გვაწვდის, ის „ღვთაებრივი კომედიასა“ და „დონ კიხოტს“ ერთმანეთის გვერდიგვერდ ახსენებს, მისი აზრით, პირველი ქრისტიანული საზოგადოების ყველაზე სრულყოფილი და გამთლიანებული ნაწარმოებია, მეორე-ახალი სამყაროს ყველაზე დიადი ქმნილება: „სერვანტესის რომანში ადამიანის სულზეა საუბარი, მაგრამ არა უკვე დაცემულ, არამედ გაუცხოებულ სულზე. მისი გმირი ცოდვილი კი არა, შეშლილია. იგი ზოგადსაკაცობრიო ხვედრის მიღმა დგას, რადგანაც გაწყვიტა კავშირი სამყაროსთან. დონ კიხოტის ისტორიას ვერ უწოდებ კაცობრიობის ისტორიის განსახიერებას. იგი გამონაკლისია. იგი ირონიული მსოფლადქმის მაგალითია, რომელიც აქამდე უარყოფით მიდის: იგი ისეთი არაა, როგორც ყველა სხვა ადამიანი. ლამანჩელი რაინდის ხეტიალი არ არის ღმერთის რჩეული ხალხის თავგადასავალთა ალეგორია. ესაა გზასაცდენილი, მარტოხელა ადამიანის ალეგორია“ (პასი 1999 : 4) [116].

მეცნიერ მერაბ ლაღანიძის (1961) თქმით („მიგელ დე უნამუნო“), ესპანელი მწერალი, პოეტი, ფილოსოფიური ნაშრომების ავტორი, მიგელ დე უნამუნო: „იმის დამტკიცებასაც კი ცდილობდა, რომ ესპანელებს საკუთარი რელიგია აქვთ - დონკიხოტიზმი, რელიგია, რომელმაც ისინი ყოველგვარი ილუზიებისა და ფუჭი იმედებისაგან უნდა გაათავისუფლოს, ხოლო ნამდვილი იმედი ისაა, რომ, დონ კიხოტის მსგავსად, მარადიული და თვალთ უნახავი დუღსინეას ერთგული დარჩე...“ [105].

დონ კიხოტი მეტისმეტად მგრძობიარეა სხვისი გასაჭირის მიმართ, მან როდესაც გაიგო, რომ ვიღაცამ დონა როდრიგესის ქალიშვილი შეაცდინა, უცებ გადაწყვიტა, შებრძოლებოდა დამნაშავეს და აემულებინა ის, შეესრულებინა ასულისთვის მიცემული პირობა და შეერთო იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილი ჰქონდა შებრძოლებოდა, მტკიცედ გადაწყვიტა: მოწინააღმდეგე „...დაე, ბრძოლაში მოკვდეს...“ [38, 392], რაინდი: „...აუწერელი სიხარულით მოელოდა დონა როდრიგესის შვილის შეურაცხმყოფელთან ბრძოლას და იმედი ჰქონდა, რომ ამ ქალს იარაღით მოსწმენდდა ლაქას“... [38, 411], მან უმაგალითო ქმედება დაიწყო დაჩაგრულის ღირსების დასაცავად.

რაინდს შემთხვევით გაცნობილი ადამიანების გამოსარჩლებაც თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია. ბარსელონას მიმავალმა გაიგო, რომ ვიღაც მშვენიერ ქალს, კლავდიას, სატრფო ცოლად შერთვას შეჰპირდა, მერე კი პირობა დაარღვია, სხვასთან გადაწყვიტა ჯვრისწერა. ქალმა ესროლა ფიცის გამტეხს, მომხდარზე კი, დონ კიხოტის თანდასწრებით, უამბო როკეს და მისგან დახმარება ითხოვა, მაგრამ იდალგომ გამოაცხადა: „ამ ქალბატონის გამოსარჩლების შრომას ნურავინ იღებს თავს, რადგან ამას მე ვკისრულობ. მე წავალ, მოვძებნი იმ კაბალეროს და ცოცხალსა თუ მკვდარს ვაიძულებ ის პირობა აასრულოს, ამ მშვენიერი ქალისთვის რომ მიუცია“... [38, 449].

მეოცნებე მოგზაურს მიაჩნია, რომ მთავარია კეთილმოქმედება: „...თუ საშუალებად კეთილმოქმედებას აირჩევ და შეიძლებ, კეთილი საქციელით იამაყო, მაშინ შენ იმათი შესაშურებელი არა გექნება რა, ვისაც თავის წინაპრად პრინციები და დიდი კაცები ჰყოლია, რადგანაც სისხლი დაიმკვიდრების, ქველმოქმედება კი მოიპოვების, და ქველმოქმედებასაც თავისთავად ისეთი ფასი აქვს, რომ სისხლი მას ვერ შეედრება“ [38, 312].

ყველა დროის რაინდი, „კაი ყმა“, ზრუნავს მოყვასზე, სამშობლოზე. იდალგოს აზრით, მოგზაურ რაინდთა დასმა „ყველა სიამოვნება უარყო და თავისი წუთისოფლის ცხოვრება ხალხის სამსახურს შესწირა...“ [37, 102], რადგან მათ თავიანთ უპირველეს ქრისტიანულ მოვალეობად სიკეთის ქმნა მიაჩნიათ: „მე დონ კიხოტ ლამანჩელი ვარ და ჩემს თავს ვალდებულად ვთვლი, ყველას შემწეობა გავუწიო. ამიტომ შევიქმენ მოგზაური რაინდი, რომლის მოვალეობაა, დაეხმაროს ყველას, თვით სალხინებელში

მყოფ სულებსაც კი“ [38, 354], მაგრამ როგორც ნიკა აგიაშვილი „დონ კიხოტის“ პირველი წიგნის წინასიტყვაობაში მიუთითებს: „დონ კიხოტს არ ესმის, რომ რაინდობის დრო დიდი ხანია გაქრა და ახლა საზოგადოებას აღარ ესაჭიროება რაინდული გმირობა და თავდადება. წარმართული გმირობისა და თავდადების წარმტაცი ძალა ზიანის მომტანია და დონ კიხოტს სურს დაიცვას სიმართლე და დაეხმაროს ჩაგრულებს, მაგრამ თვითონვე ყოველ ნაბიჯზე უსამართლობას ჩადის და ზიანს აყენებს მას, ვისი გადარჩენაც სურს. მან, მართალია, გაათავისუფლა მწყემსი ანდრესი, მაგრამ გლეხმა კვლავ მიაკრა ბიჭი მუხაზე და ცემით კინალამ სული ამოხადა. რამდენიმე ხნის შემდეგ დონ კიხოტი შეხვდა გაათავისუფლებულ ყმაწვილს და მადლობის ნაცვლად მისგან წყევლა-კრულვა მიიღო. ბევრჯერ დაემართა მსგავსი ამბები დონ კიხოტს, შემხვედრთ თავს მოგზაურ რაინდად, სამართლიანობის აღმდგენად, ბოროტების დამთრგუნველად აცნობდა, მაგრამ პასუხად ერთი და იგივე ესმოდა: ყველაზე უდიდესი ბოროტება და უსამართლობა ის არის, ასეთ ბედუკუღმართ და გიჟ რაინდს რომ გადავეყარეთო. ერთი სიტყვით, მიზანშეუწონლად და სულელურად, დონ კიხოტს სურს სიკეთის ჩადენა, მაგრამ სავსებით დაკარგული აქვს რეალობის გრძნობა, არ ესმის, რომ ნამდვილი ცხოვრების პირობები ხელს არ უწყობენ მისი გეგმების განხორციელებას“ [37,16], რაინდი იმედებითაა აღსავსე და მჭევრმეტყველურ წინადადებებს წარმოთქვამს:

„...ყოველგვარი ყოყლოჩინობა ცუდზე უცუდესია...“ [38, 316].

„...ვინც დიდი გვარეულობიდან არ შთამომავლობს, მისდა მინიჭებულ დიდ ხარისხს თავმდაბლობა და ღმობიერი ხასიათი უნდა შეუერთოს... ღმობიერი ხასიათი, გონივრულად მოხმარებული, ბოროტი ენების გესლსა და ცილისწამებას აიცდენს. უამისოდ კი გესლისა და ცილისწამებისაგან ვერავითარი პატივი ვერ დაგვიფარავს“ [38, 312].

„...ყველაზე მეტად ფასი იმას დასდე, რომ კეთილმოქმედი და ღარიბი ხარ და არა იმას, რომ წარჩინებული და ცოდვილი იყო...“ [38, 313].

„...რომელ სახლშიც სიუხვეა, იქ ვახშამი არავის აცდევინებს; როდესაც საქონელს ხელსაყრელ ფასად ჰყიდიან, ვაჭრობა საჭირო აღარ არის; ვინც ზარს რეკავს, ის ხანძრის ჩასაქრობად როდი მიდის“... [38, 314].

„...ვინც მზესთან ერთად არა დგება, ის დღის მშვენიერებით ვერ სტკბება... ბეჯითობა გამარჯვების წყაროა, ხოლო მოპირდაპირე - სიზარმაცეს - კეთილი განზრახვით დასასრულ მიზნამდის არასოდეს არ მიულწევია“ ... [38, 317].

დონ კიხოტს წარსულში მომხდარი მოვლენებიც აღელვებს, საკუთარ შესაძლებლობებზე დიდი წარმოდგენა აქვს გონებადაბინდულ რაინდს და კეთილ იდალგოს თავდაჯერებულობა ალაპარაკებს: „...მე რომ იმ პარისს და ენეასს შევხვედროდი, არც ტროადა იქნებოდა დამწვარი, არც კართაგენი იქნებოდა დანგრეული; საჭირო იყო მარტო პარისი მომეკლა და ამით ყველა იმ უბედურების აცდენაც შეიძლებოდა“... [38, 525].

ლამანჩელი იდალგო ბუნებით რომანტიკოსია. ზოგჯერ, მისი (ავტორის) მსჯელობა რომანტიზმის თეორიული გააზრების წარმოშობის პერიოდს უსწრებს წინ. ეს იდეურ-მხატვრული მოძრაობა, რომელიც ევროპულ და ამერიკულ კულტურაში XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე წარმოიშვა, როგორც ვიცით, ერთ-ერთი ნიშნის მიხედვით, ესთეტიკურ იდეალებს აღიარებდა. ცნობილია, რომ იდეალი ამაღლებულია, მშვენიერია და ის ადამიანის წარმოსახვაში, ოცნებებში არსებობს, მაგრამ იწვევს „მსოფლიო სევდას“ სასურველის მიულწევლობის, კაცობრიობის უამრავი ტანჯვის გამო...

ის, რომ მშვენიერება (ესთეტიკური კატეგორია) ღმერთს, სულიერებას უკავშირდება, სილამაზე კი მიწიერი და წარმავალია, რაინდს არ რჩება ყურად-ღების მიღმა. მისი ზოგიერთი მსჯელობა, მიუხედავად იმისა, რომ ის გონივრულადაა წარმოთქმული, მაინც ყველას აოცებს. „ბატონის“ სიკეთე და გონიერება „ქვეშევრდომისადმი“ მიმართულ რჩევა-დარიგებებში ჩანს:

„...დაიხსომე, სანჩო, სილამაზე ორგვარია, - უთხრა დონ კიხოტმა, - სული-ერი და ხორციელი. სულიერი სიყვარული გამოჩნდება და ბრწყინავს გონებაში, სიუხვეში, კეთილმდრეკილებაში, ზრდილობაში: ყველა ეს შეიძლება სულ ულამაზო კაცთანაც შეგხვდეს. ამ სილამაზეს შეუძლია ისეთივე მგზნებარე და ხანგრძლივი სიყვარული აღანთოს კაცის გულში, როგორც ხორციელ სილამაზეს. მე ძალიან კარგად ვიცი - ლამაზი არა ვარ, მაგრამ არც გონჯი ვარ, ხოლო, კაცს თუ სულიერი სილამაზე აქვს,

ოღონდ კი მთლად გონჯი ნუ იქნება და შეუძლია ადამიანის გულში მგზნებარე სიყვარული აღძრას“ [38, 429].

სერვანტესი რომანის ორივე ნაწილში გადმოგვცემს თავისი პერსონაჟის მრავალი სიკეთის, უანგარო თავგამოდებისა და უშედეგო ბრძოლის ამბებს, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ნაბიჯი მეოცნებე პერსონაჟისა სიკეთისკენ სვლა და ადამიანთათვის ბედნიერებისა და სამართლიანობის მინიჭების მცდელობაა. აქ მოყვანილი რამდენიმე მაგალითიც კი, თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ გონებადაბინდული პიროვნების მსჯელობების გონიერება ბევრ საღად მოაზროვნესაც კი კეთილი შურით აღავსებდა ...

შთამბეჭდავია ნაწარმოების ბოლო თავი: „დონ კიხოტის ავადმყოფობა, ანდერძი და გარდაცვალება“. გონსმოსული, სრულიად საღ ჭკუაზე მყოფი მოგზა-ური რაინდი, სიკვდილის წინ, ისევ კეთილ, ყველასათვის საყვარელ პიროვნებად რჩება. ის მადლობას სწირავს ღმერთს, რომ მადლი მოჰვინა და მის მიმართ ღმობიერება გამოიჩინა: „... გონებას ნათელი ეფინება და იმ სქელი ნისლიდან გამოდის...“ [38, 539].

ღმობიერმა ღმერთმა ტანჯული მარტოსული განკურნა, კეთილმორწმუნე იდალგოს შინაგანად ყოველთვის სწამდა, რომ: „მკურნალობა უზენაესისგან არის და ნიჭიც მეუფისგან ეძლევა“ (სიბრძნე ზირაქისა, 38,2) [4, 524].

დონ კიხოტს მიაჩნია: „თუ ვცოცხლობთ, უფლისთვის ვცოცხლობთ, ხოლო თუ ვკვდებით, უფლისთვის ვკვდებით, და ამიტომ, ვცოცხლობთ თუ ვკვდებით, უფლისანი ვართ“ (პავლე მოციქული,14,8)[4,932]. ის უფლის მიმართ მადლიერებას გამოხატავს: „იყოს-მცა კურთხეულ ყოვლადშემძლე ღმერთი“... [38, 539].

ალონსო კიხანო ნანობს: „დრო აღარ მრჩება, ჩემი სულისთვის ნათელის მომფენი წიგნები წავიკითხო და ამით ჩემი შეცდომა გამოვასწორო... მინდა ისე მოვკვდე - ყველამ გაიგოს, რომ ჩემი სიცოცხლე ისეთი ცუდი არ იყო, რომ ჭკუიდან შემცდარის სახელი შემრჩეს...“ [38,539]. მომაკვდავმა დისწულს მოახმობინა მეგობრები, მღვდელი, ბაკალავრი სამსონ კარასკო და დალაქი, ოსტატი ნიკოლასი. როდესაც სამივენი გამოცხადდნენ, მათ მიმართა: „მომილოცეთ, ჩემო კეთილო ბატონებო! ახლა თქვენ აქ დონ კიხოტ ლამანჩელს კი არ ხედავთ, არამედ უბედურ იდალგოს ალონსო კიხანოს, რომელსაც თავისი მშვიდი საქციელის გამო კეთილი დარქმევია...“ [38, 540].

რაინდს მეგობრებიც კი იმ ეპითეტით მოიხსენიებენ, რომელიც, თითქოს, მეტსახელად შეეზარდა დონ კიხოტს: „...ჩემო მეგობარნო! ალონსო კიხანო კეთილს სრული გონება დაუბრუნდა...“ [38, 540].

სერვანტესს, როგორც ვთქვით, თავიდან, თითქოს, დამცინავი დამოკიდებულება ჰქონდა, დონ კიხოტის მიმართ, წიგნის მეორე ნაწილში, პერსონაჟის უკანასკნელი წუთების აღწერისას, მის მიმართ თანაგრძნობას გამოხატავს. ტექსტის იმ მონაკვეთში, სადაც ანდერძის შედგენას ესწრებიან იდალგოს დისწული, სანჩო პანსა, დიასახლისი, მღვდელი და ბაკალავრი, ავტორი მას სიმპათიით მოიხსენიებს. ალონსო კიხანოს ახლობლები და მეგობრები ცრემლებად იღვრებიან: „...მწარე ქვითინი ამოუშვეს და ოხვრა და ვაი-ვიში გაამრავლეს, რადგან, როგორც უკვე ნათქვამი იყო, დონ კიხოტი მაშინაც კი, როდესაც უბრალო ალონსო კიხანო კეთილი იყო და შემდეგაც, როდესაც რაინდი დონ კიხოტი ლამანჩელი შეიქნა, მუდამ მშვიდი, თავმდაბალი და სასიამოვნო ხასიათისა იყო, და იგი არათუ ნათესავეებს, მეგობრებს და მსახურებსაც, არამედ ყველა ნაცნობს უყვარდა...“ [38, 541].

სიკვდილის წინაშე მდგარი ალონსო კიხანო ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს იმას, რომ ეპითეტი „კეთილი“ სავსებით სწორად შერქმევია: „სანჩო პანსას, ჩემი უგუნურების დროს საჭურველმტვირთველად რომ ავიყვანე, დარჩეს ფული, რაც მის ხელთაა, რადგან ჩემსა და მის შორის სხვადასხვა ანგარიშები იყო, და იმ ფულიდან ჩემი ვალის განაღდების შემდეგ ვინიცობაა მცირედი რამ დარჩეს, ის გადანარჩენიც მის საკუთრებად გადავიდეს და კეთილადაც მოხმარდეს. თუ ჩემი ჭკუადამთხვეულობის დროს მას კუნძულის მფლობელობა მივანიჭე, ახლა სრული გონებით მყოფს რომ შემემძლოს, მთელ სამეფოს მივცემდი. იგი ამის ღირსია გულუბრყვილობისა, ერთგულებისა და გულწრფელობისათვის...“ [38, 541].

ერთგული ქვეშევრდომი, რომლის ბატონიც საკუთარ თავს „მოგზაური რაინდობის ოცნებით“ გატაცებულს უწოდებს, აქვითინებული, გულწრფელად შესძახებს: „... ნუ მოკვდებით, ჩემო კეთილო ბატონო...“ [38, 541].

თვით ალონსო კიხანოც თავის თავს ამ ეპითეტით მოიხსენიებს: „...ახლა ალონსო კიხანო კეთილად მხედავთ...“ [38,542]. საქმითაც (ანდერძით) ადასტურებს კიდევაც,

სანჩოსადმი გადაცემული ფულით, ქონებით, რომელიც დისწულს უსახსოვრა, ჯამაგირის გაცემით, რომელიც დიასახლისისა მართებს და რომელსაც ტანსაცმლის ოცი დუკატიც დაუმატა...

ანდერძი იმასაც ითვალისწინებდა, რომ დონ კიხოტის დისწული, ანტონია კიხანო, ისეთ კაცზე დაქორწინებულიყო, „ვისაც სარაინდო წიგნებისა არა გაეგება რა...“ წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა ჩამორთმეოდა ქონება და „ანდერძის აღმასრულებელთ“ გადასცემოდათ „კეთილი საქმისთვის მოსახმარებლად“. „ქრისტიანულად“ გარდაცვლილი იდალგოს გამო „მღვდელმა ნოტარიუსს სთხოვა მოწმობა მიეცა მისთვის, რომ ჩვეულებრივ დონ კიხოტი ლამაჩელის სახელით ცნობილი ალონსო კიხანო კეთილი ამქვეყნიურ ცხოვრებას გაეყარა“ [38, 543].

კეთილშობილი მოკვდავი აღესრულა, რადგან „ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, სამყაროს აქვს დასაწყისი და დასასრული... ეს დასასრული დასაბამია ახალი ცხოვრებისა, მარადიული სიცოცხლისა...“ [58,2]. ერთხელ, საჭურველ-მტვირთველთან საუბარში იდალგომ აღნიშნა: „...გაჩენილი ვარ სიკვდილით ვიცოცხლო“...[38, 435].

დონ კიხოტი - ალონსო კიხანო ამ სიტყვებით მიგვანიშნებს, რომ სიკვდილი მას მარადიულობას უმზადებს და ამქვეყნიდან წასვლა მისივე სიცოცხლის სილამაზეს შეგვაგრძნობინებს. (სიკვდილის არსებობა სიცოცხლის მშვენიერების მაჩვენებელია ვაჟა-ფშაველას ლექსში „მოგონება“, 1890: „ღმერთმა გიშველოს, სი- კვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“...[79].

მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში „ალონსო კიხანო კეთილს“ მრავალი პროტაგონისტი ჰყავს, სრული იდენტურობით შესაძლოა არა, მაგრამ მხატვრული სახეების უამრავი ელემენტით, ხასიათის თვისებებით, მსჯელობით, ქმედებებით ისინი ენათესავებიან ერთმანეთს.

დონ კიხოტი, თავისი ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთზე, მოჩვენებებსა და ილუზიებში ცხოვრობს.

რაინდის მიერ გადახდილი 40 ბრძოლა (175 დღის განმავლობაში), უფრო მეტად, სამართლიანობისათვის მეზრძოლი იდალგოს ილუზიების ანარეკლია. ის გაორებულ

რეალობაში („ორ სინამდვილეში“-ბაქრაძე) ცხოვრობს და მოქმედებს, მეტამორფოზებს განიცდის,

ქართველი კრიტიკოსი, პუბლიცისტი და ხელოვნებათმცოდნე აკაკი ბაქრაძე (1928-1999) წერს: „ადამიანი ორ სინამდვილეში ცხოვრობს. ერთია რე- ალური, მეორე - ილუზიური. თუ რეალური სინამდვილე შემოქმედების ნაყოფია, ილუზიური სინამდვილე ლიტერატურისა და ხელოვნების შექმნილია...“ [72].

მარადიული მოგზაურის, ლამაჩელი იდალგოს, ყველა ქმედება „ილუზიური სინამდვილის“ მაჩვენებელია, მისი ყველა წარმატებული თუ წარუმატებელი ბრძოლა გამიზნულია მხოლოდ იმისათვის, რათა მან სასურველ შედეგს მიაღწიოს, სიკეთეს, სამართლიანობას, თავისუფლებასა და სიყვარულს ემსახუროს, მას იმედი აქვს, რომ გაიმარჯვებს და მიაღწევს მიზანს.

„მწერალი რეალურისა და წარმოსახულის (მხოლოდ მისგან დანახულ-განცდილ-წარმოსახულის) სინთეზით თითქოს თავის უნივერსუმს ქმნის“ [20, 80], ასე შექმნა სერვანტესმაც „თავისი უნივერსუმი“, რაინდის სახით, დონ კიხოტსაც იმედი წარმოსახვების შემდეგ უჩნდება.

ვლადიმერ ნაბოკოვის („Лекции о „Дон Кихоте“) თქმით, რომანში თანა- ფარდობაა, დაცული, დონ კიხოტის გამარჯვებებისა და დამარცხებების რიცხვი ერთმანეთს უტოლდება: „Финальный счёт 20 : 20... Счёт поединков равный, двадцать побед против двадцати поражений“ [63,148], მკვლევარი მწერლის განსაკუთრებულ ინტუიციასა და უნარზე ამახვილებს ყურადღებას, მისი აზრით, სერვანტეს ამით ჰარმონიის მიღწევა სურს. წიგნში, შესაბამისი თავების მიხედვით, ავტორი წარმოგვიდგენს იდალგოს „ფათერაკებს“.

საჭიროდ მივიჩნიეთ, მარადიული მოგზაურის, ლამაჩელი დონ კიხოტის, ყველა ბრძოლა (ილუზია) ვ. ნაბოკოვის კვალდაკვალ ჩამოგვეთვალა, რადგან მნიშვნელოვანია, რაინდის ყოველი ქმედება შეუდრეკელობისა და სიმტკიცის, უსამართლობის წინააღმდეგ დაუღალავი ბრძოლის, უფლის მცნებების დაცვის მაჩვენებელია:

პირველი ნაწილი

1) პირველი გამარჯვება

დონ კიხოტი იცავს საკუთარ ღირსებას. მან ფუნდუკი ციხე-დარბაზად წარმოიდგინა, იქ მყოფი ქალბატონები ტურფა ასულებად ან სეფექალებად მიიღო. ღარიბული ვახშმის მიღების შემდეგ, მეფუნდუკეს სთხოვა: „რაინდად უნდა დამლოცოთ“ [38, 46], (მე-3 თავი).

მოხერხებულმა მეფუნდუკემ სურვილი აუხდინა, თავისებურად. რაინდად დალოცვის შემდეგ, დონ კიხოტს მიაჩნია, რომ მთელი ღამის განმავლობაში უნდა დარაჯობდეს თავის იარაღს. იდალგოს კონფლიქტი აქვს მეჯორებთან, რადგან ისინი მის იარაღს შეეხნენ. ორივე დაამარცხა.

2) მეორე გამარჯვება

დონ კიხოტმა, ფუნდუკიდან წამოსვლის შემდეგ, ტყიდან მწუხარე ხმა გაიგონა. შევიდა იქ და დაინახა თხუთმეტიოდე წლის ბიჭუნა, რომელიც მუხაზე იყო მიბმული და გლეხი ქამრით სცემდა. ჩათვალა, რომ ვიღაც „ულირსი რაინდი“ ჩაგრავს ისეთ ადამიანს, „რომელსაც მოგერიების ღონე არა აქვს“ [37, 53], (მე-4 თავი).

დონ კიხოტი ბიჭს, ანდრესს, გამოესარჩლა. გლეხმა ის გაათავისუფლა.

3) პირველი დამარცხება

დონ კიხოტი, ანდრესის გაათავისუფლების შემდეგ, გზაჯვარედინზე გადაეყარა ცხენოსანს, რომელსაც ოთხი მსახური და სამი ბიჭი მიჰყვება ჯორებით. ესენი ტოლედოელი ვაჭრები არიან.

დონ კიხოტმა ჩათვალა, რომ „როგორც რომანებში ამოეკითხა“ [37, 56] ერთ-ერთი ბრძოლაში უნდა გამოეწვია, ერთმა გულფიცხმა მეჯორემ ისე სცემა: „ადგომა ვერაფრით ვერ შეძლო“ (მე-4 თავი).

4) მეორე დამარცხება

მახვილგონიერი იდალგოს ბიბლიოთეკა მისმა ახლობლებმა „დიდი უბედურების მიზეზად“ ჩათვალეს და წიგნები დაწვეს. დონ კიხოტი თავის ოთახში „იბრძვის“ და მის ყვირილზე შიგ შესულებს იდალგო განუმარტავს, რომ თორმეტი დიდებული, ტურნირზე გამარჯვებას, რომელიც მოგზაურ რაინდებს უფრო შეჰფერით, კარის რაინდებს უთმობს, რაც შეეხება თვითონ მას, დონ კიხოტის თქმით, ის როლანდმა სცემა.

ორი დღის შემდეგ, გამოღვიძებულმა რაინდმა თავისი ბიბლიოთეკის „გაქრობა“ ჯადოქარ ფრესტონს მიაწერა (მე-6, მე-7 თავები).

5) მესამე გამარჯვება

დონ კიხოტი დაჰპირდა სანჩო პანსას, თუკი ის მისი საჭურველმტვირთველი გახდებოდა, საჩუქრად კუნძულს უბოძებდა (მე-10 თავში კი აღუთქვამს, რომელიმე სამეფოს, დანიის მსგავს სახელმწიფოს, მაინც გიბოძებო).

რაინდმა სანჩოსაგან საჭურველმტვირთველობაზე თანხმობა მიიღო (მე-7 თავი).

6) მესამე დამარცხება

დონ კიხოტმა მინდორზე მდგარი ოცდაათი თუ ორმოციოდე ქარის წისქვილი დევების ბრბოდ ჩათვალა, საბრძოლველად გაექანა. დაიწყო „ბრძოლა“ მაგრამ ქარის წისქვილმა ფრთა გაჰკრა, რაინდი თავისი როსინანტით გადააყირავა და შორს მოისროლა.

დონ კიხოტმა ჩათვალა, ყოველივე „იმ ბრძენი ფრესტონის ახალი ოინბაზობაა, ჩემი წიგნები რომ ოთახიანად მოიტაცა და ახლა კიდევ დევები ქარის წისქვილებად გადააქცია“ [37, 79] (მე-8 თავი).

7) მეოთხე გამარჯვება

დონ კიხოტი და სანჩო პანსა გზაზე შეხვდნენ ორ ბენედიქტულ ბერს, „აქლემის ტოლა“ ჯორებზე მსხდართ, სახეზე ნიღბითა და ხელში ქოლგით მიემართებოდნენ სადღაც. რაინდმა გაიფიქრა, ისინი ადამიანის მსგავსი ჯადოქრები არიან და ეტლით მოტაცებული სეფექალი მიჰყავთო: „მე იმათ უთუოდ გზა უნდა შევუკრა და ეს ბოროტული საქმე ჩავფუშო“ [37, 83] - „გაშმაგებით მიაგდო როსინანტი ერთ ბერს“. ბერები გაიქცნენ [მე-8 თავი].

8) მეხუთე გამარჯვება

ბერების გაქცევის შემდეგ, დონ კიხოტი ბისკაელ ქალს გაესაუბრა: „ჩემმა უშიშარმა მარჯვენამ თქვენი კადნიერი დამატყვევებელნი შემუსრა“... [37, 84]. ქალის ერთმა მხლებელმა ბისკაელმა როცა დაინახა, რომ ეტლი, რომელშიც ქალი იჯდა, ბრკოლდებოდა, რაინდს შეუტია, საპასუხოდ, დონ კიხოტი მას თავს დაესხა [მე-8, მე-9 თავები].

9) მეექვსე გამარჯვება

რაინდი მფარველობს განაწყენებულ გოგონას, მარსელას. მწყემსებს, ცალმხრივი სიყვარულის გამო გარდაცვლილი ქრიზოსტომის საფლავთან, აიძულებს, შეცვალონ თავიანთი გადაწყვეტილება, შური არ უნდა იძიონ გოგონაზე [მე-14 თავი].

10) მეოთხე დამარცხება

ქრიზოსტომის საფლავიდან წამოსულ იდალგოსა და სანჩოს უსიამოვნო ფათერაკი შეემთხვათ იმის გამო, რომ როსინანტი იანგვესელი მეჯოგეების ფაშატებში შეერია. გაიმართა შეხლა-შემოხლა.

დონ კიხოტი და სანჩო პანსა მოწინააღმდეგეებმა „მეტად სავალალო მდგომარეობაში დატოვეს“ [37, 130] [მე-15 თავი].

11) მეხუთე დამარცხება

მეჯოგეებთან კონფლიქტის შემდეგ, დონ კიხოტმა და სანჩომ ცოტა მანძილი რომ გაიარეს, გამოჩნდა ფუნდუკი, რომელიც რაინდმა ციხე-დარბაზად ჩათვალა. ნაცემ-ნაბეგმა ბატონმა და მისმა საჭურველმტვირთველმა იქ შეისვენეს. ასტურიელი გოგო, მარიტორნესი, რომელიც მეჯორეს დაჰპირდა, რომ ღამით მასთან მივიდოდა, იდალგოს უვლიდა. დონ კიხოტი კი, ამ დროს, ილუზიებში იყო, ფიქრობდა, ციხე-დარბაზის მეპატრონის ქალი მომაკითხავსო. მარიტორნესი, ღამით, შემთხვევით, დონ კიხოტს ჩაუვარდა ხელში, ისიც: „ოცნებით მიბნედილი, მაგრად ეხვეოდა“ [37, 141].

მეჯორე მალე გაერკვა ყველაფერში და რაინდს სასტიკად გაუსწორდა (მე-16, მე-17 თავები).

12) მეექვსე დამარცხება

რაინდს, თითქოს, თავს დაესხა აჩრდილი, მოჯადოებული მავრი, სანჩოს სახით მოვლენილი. დონ კიხოტი ილუზიებშია.

რა მოხდა სინამდვილეში: ფუნდუკში მარიტორნესთან მომხდარი ამბის დროს, მისული იყო „წესიერების ერთი დამცველი, ტოლედოდან წამოსული სანტა ჰერმანდადის ქამანდარი“ [37, 143], მან მოიკითხა დონ კიხოტი და ასე მიმართა: „კეთილო კაცო“, [37, 146], რასაც რაინდმა ბრიყვული საუბარი უწოდა. ქამანდარს ეწყინა

და რაინდს თავში ლამპარი ჩაართყა, ზეთიც გადაასხა, მერე სხვენიდან ჩქარა ჩამოვიდა [თავი მე-17].

13) მეშვიდე დამარცხება

რაინდს მოეჩვენა, რომ მრავალი ერისა და ტომისაგან შემდგარი ჯარი მოდიოდა გზაზე და, სინამდვილეში, მეცხვარეებს დაუპირისპირდა, ფარაში შეერია და შუბით გმირავდა მათ. საპასუხოდ, შურდულები და ქვები ესროლეს. დონ კიხოტმა მომხდარი ამბავი ისევ ჯადოქარს გადააბრალა: „მტრის ჯარი ცხვრის ფარებად გადააქციაო“ [37,160], [მე-18 თავი].

14) მეშვიდე გამარჯვება

ღამით, გზაზე, დონ კიხოტმა და სანჩომ ოცამდე თეთრმოსასხამიანი ცხენოსანი დაინახეს, ანთებული მაშხალებით. მათ მოსდევდათ შავადმოსილი ექვსი ადამიანი, საკაცით, მიცვალებულს მიასვენებდნენ. იდალგომ წარმოიდგინა, რომ მძიმედ დაჭრილი რაინდი მიჰყავდათ და თავის მოვალეობად მიიჩნია, ებრძოლა, სამაგიერო გადაეხადა. მივარდა მათ და დაიწყო „ბრძოლა“. ისინი უიარაღონი იყვნენ და გაიფანტნენ (მე-19 თავი).

15) მერვე დამარცხება

დონ კიხოტსა და სანჩოს ღამით ხმაური მოესმათ, შეშინდნენ. რაინდს სურს წავიდეს, ნახოს, რა ხდება, მაგრამ როსინანტი ადგილიდან არ იძვრის, რადგან სანჩომ ცხენს უკანა ფეხები გაუხლართა, შეუმჩნევლად.

დილით, ორივენი გაემართნენ ხმაურიანი ადგილისკენ და აღმოჩნდა, რომ, თურმე, ეს „სამთელავოს ექვსი ჩარხის რიგ-რიგად დარტყმის რახუნი იყო“ [37, 181], დონ კიხოტი კი ფიქრობდა, რომ ფათერაკის წინაშე იდგა და საბრძოლველად აპირებდა წასვლას [მე-20 თავი].

16) მერვე გამარჯვება

დალაქი, რომელსაც თავზე თითბრის თასი ეხურა, წვიმისაგან თავდასაცავად, ვირიდან ჩამოვარდა და გაიქცა, რადგან დონ კიხოტს ის ოქროსჩაჩქანიანი რაინდი ეგონა და შეუტია [21-ე თავი].

17) მეცხრე გამარჯვება

დონ კიხოტმა ხელეშეკრული, ერთი ჯაჭვით გადაბმული კატორღელები გაათავისუფლა, რაინდმა ჩათვალა, რომ მათ აიძულებდნენ ემსახურათ მეფისთვის [22-ე თავი].

18) მეცხრე დამარცხება

დონ კიხოტი დაუპირისპირდა კარდენიოს, პრინცესას გამო [23-ე თავი].

19) მეათე გამარჯვება

იდალგომ სიზმრად ნახა, რომ მიკომიკონის სამეფოში დევს ებრძოდა, სინამდვილეში სავსე ტიკები დაჩეხა და ღვინო დაღვარა [35-ე თავი].

20) მეთერთმეტე გამარჯვება

რაინდი ზის საპატიო ადგილას, თორმეტ ადამიანთან ერთად და საუბრობს სამხედრო საქმეზე, მწიგნობრობაზე, ყველანი ინტერესით უსმენენ [37-ე-38-ე თავები].

21) მეათე დამარცხება

დონ კიხოტს ეჩვენება, რომ ფუნდუკი ციხე-დარბაზია. ცხენზე ამხედრებული თითქოს დულსინეას ესაუბრება. მარიტორნესმა მოატყუა, მშვენიერ ქალბატონს მიუახლოვდით ფანჯარასთან, რათა ხელი გაუწოდოთ, მას ასე სურსო. დონ კიხოტმა დაუჯერა, ქალმა მას მაჯაში მარყუჟი გამოსდო და სათივის გვერდულს მაგრად მიაბა. რაინდს მალე ცხენი გამოეცალა და დონ კიხოტი ორი საათის განმავლობაში იყო ჩამოკიდებული, ტკივილები აწუხებდა [43-ე თავი].

22) მეთორმეტე გამარჯვება

ორი ბიჭი ცდილობს ფუნდუკიდან გაიქცეს ისე, რომ ღამისთევის თანხა არ გადაიხადოს. მეფუნდუკე მათ აგინებს, საპასუხოდ მუშტებს იღებს. დონ კიხოტი ბიჭებს მშვიდად გაესაუბრა. მათ მთელი თანხა გადაიხადეს [44-ე თავი].

23) მეცამეტე გამარჯვება

ფუნდუკში უწესრიგობაა. არავის ახსოვს, რის გამო დაიწყეს აყალმაყალი. დონ კიხოტი აყვირდა და შეხლა-შემოხლაც შეწყდა [45-ე თავი].

24) მეთერთმეტე დამარცხება

მღვდელმა და დალაქმა, ნიღაბაფარებულებმა, დონ კიხოტი სხვების დახმარებით შეკრეს, ჩასვეს გალიაში და შინისკენ გაუყენეს გზას.

იდაღოს ჰგონია, რომ მოჩვენებები დაესხნენ თავს [46-ე თავი].

25) მეთორმეტე დამარცხება

დონ კიხოტი „ჯადოქრებმა“ გალიაში ჩასვეს [52-ე თავი].

26) მეცამეტე დამარცხება

რაინდი ბედს დაემორჩილა. მიაჩნია, რომ „ჯადოქრების შურისძიებითაა“ მოჯადოებული (52-ე თავი).

მეორე ნაწილი

27) მეთოთხმეტე გამარჯვება

დონ კიხოტი ებრძვის სარკის რაინდს, „გაიმარჯვებს“. ბრძოლის შემდეგ ეჩვენება, რომ სამსონ კარასკოს სახით, ჯადოქრებმა, მოწინააღმდეგე მოუვლინეს.

სინამდვილეში, „მოწინააღმდეგეს“, კარასკოს, კეთილი ზრახვა აქვს, სურს დონ კიხოტს რაინდად მოევლინოს, „დაამარცხოს“ და შინ დააბრუნოს (მე-14, მე-16 თავები).

28) მეთხუთმეტე გამარჯვება

დონ კიხოტი გზაზე ჩავლილი დროშებიანი ეტლით დაინტერესდა. მეეტლემ მიუგო, რომ მას ირანის გუბერნატორის მიერ ესპანეთის მეფისადმი საჩუქრად გამოგზავნილი ორი ლომი მოჰყავდა. რაინდმა მეეტლეს ჯერ სთხოვა, მერე კი აიძულა, ცხოველები გამოეშვა გალიიდან. რათა ჯადოქრებს ენახათ, რომ მას არ ეშინია. ყველა გაიქცა. ლომმა დონ კიხოტს ზურგი შეაქცია და დაწვა. რაინდმა თავი გამარჯვებულად ჩათვალა, რადგან მეეტლემ განაცხადა: „...მტერი ბრძოლაზე უარს ამბობს“ [38, 129], [მე-17 თავი].

29) მეთექვსმეტე გამარჯვება

რაინდი ქამაჩოსა და კატერიას ქორწილში შეესწრო პატარძლის შეყვარებულის, ბასილიოს, მიერ გათამაშებული თვითმკვლელობის სცენას. „მომაკვდავმა“ სთხოვა ქალს, მასზე ჯვარი დაეწერა, მისთვის უკანასკნელი სურვილი შეესრულებინა, მაგრამ, შესაბამისი რიტუალის შესრულების შემდეგ, ის „გაცოცხლდა“. პატარძალი ახლა უკვე მას ეკუთვნოდა. ქამაჩოს მომხრეებმა სამაგიეროს გადახდა მოინდომეს. დონ კიხოტმა მათ შესარიგებლად წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ღირსეული ადამიანის ნათქვამად მიიჩნის (21-ე თავი).

30) მეჩვიდმეტე გამარჯვება

თოჯინების თეატრის მიერ წარმოდგენილი სცენა დონ კიხოტს სინამდვილე ჰგონია და „მავრების ცხენოსანი ჯარი“(თოჯინები) გაანადგურა, ცოტა ხანში კი ჩათვალა, რომ ჯადოქრებმა მავრები თოჯინებად გარდაქმნეს [26-ე თავი].

31) მეთოთხმეტე დამარცხება

რაინდმა სერზე შეგროვილი, ერთმანეთს დაპირისპირებული ადამიანები შეამჩნია. შეეცადა, დაემშვიდებინა ისინი, მაგრამ სანჩომ ვირივით დაიყოყინა, საუბარი შეაწყვეტინა, ერთმა გლეხმა ეს თავისი ხალხის გაპამპულებად მიიღო და ცემა-ტყეპა გაუმართეს. დონ კიხოტი ცდილობს დაეხმაროს საჭურველმტვირ-თველს, რადგან ისიც უარეს დღეში ჩააგდეს. მოწინააღმდეგეებმა ორივენი გააქციეს [თავი 27-ე].

32) მეთხუთმეტე დამარცხება

დონ კიხოტის ფათერაკი მოჯადოებულ ნავთან

მდინარე ებროს ნაპირზე, სანჩომ და რაინდმა იპოვეს ნავი. ჩასხდნენ და გასცურეს. მდინარეში რამდენიმე წისქვილი იყო, რომლებიც დონ კიხოტს ან ქალაქი, ან ციხე-დარბაზები ეგონა, სადაც შეიძლება რაინდი, დედოფალი, ან პრინცის ასული შეიძლებოდა ყოფილიყო დატყვევებული. რაინდმა გაიფიქრა, შენობები წისქვილებს იმიტომ ჰგავს, რომ ეს ჯადოქრების ოინებიაო. ჩქარა გაცურეს. მეწისქვილეები გამაფრთხილებელ შემახილებს მოყვნენ, მაგრამ ამაოდ. ორივე ძლივს იხსნეს ფათერაკისგან [თავი 29-ე].

33) მეთვრამეტე გამარჯვება

რაინდი ჰერცოგსა და მის ცოლთან ერთად სანადიროდ წავიდა. იქვე იყო სანჩოც. სხვებთან ერთად, დონ კიხოტმა გარეული ღორი მოკლა [34-ე თავი].

34) მეცხრამეტე გამარჯვება

რაინდს მიაჩნია, რომ იცავს შეყვარებულებს, ებრძვის უსამართლობას, ჰგონია, რომ მფრინავი ცხენით შორეულ სამეფოში მიფრინავს...

სინამდვილეში ჰერცოგისა და მისი ცოლის მიერ მოგონილი გართობიდან ერთ-ერთი ეპიზოდის მონაწილეა [41-ე თავი].

35) მეთექვსმეტე დამარცხება

დონ კიხოტს მიაჩნია, რომ დემონები დაესხნენ თავს.

სინამდვილეში, ჰერცოგის სასახლეში, ფანჯრიდან, იდაღოს ოთახში, თოკით, ტომარაში ჩასმული კატები შეუშვეს. მათ ზარები ჰქონდათ გამოზმული. ერთმა კატამ სახე დაუფხაჭნა რაინდს [თავი 46-ე].

36) მეჩვიდმეტე დამარცხება

დონ კიხოტს სიბნელეში „მოჩვენებები“ აწამებენ [თავი 48-ე].

37) მეოცე გამარჯვება

რაინდი ებრძვის ჰერცოგისა და მისი ცოლის შინაყმის, დონა როდრიგესის, ქალის შეურაცხყოფელს, მსახურ ტოსილოსს, იცავს ასულის ღირსებას [54-ე-56-ე თავები].

38) მეთვრამეტე დამარცხება

ჰერცოგის სასახლიდან წამოსული დონ კიხოტი, სანჩოსთან ერთად, სარაგოსისკენ გაემართა. იარეს. შევიდნენ ტყის სიღრმეში. გზაზე გამოჩნდნენ შუბებით შეიარაღებული ცხენოსნები, რომლებიც ნახირს მიერეკებოდნენ ერთ ქალაქში, ხარების ბრძოლის გასამართავად. დონ კიხოტმა ჩათვალა, რომ ისინი ავაზაკები და ჯადოქრები არიან და ბრძოლაში გამოიწვია. ნახირმა რაინდი, სანჩო, როსინანტი და სახედარი გადათელა [58-ე თავი].

39) მეცხრამეტე დამარცხება

დონ კიხოტი ილუზიებშია, მას ჰგონია, რომ თუკი სანჩო სამი ათასჯერ დაიკრავს მათრახს, დულსინეა ჯადოსგან გათავისუფლდება. ბარსელონისკენ გამგზავრებულ „ბატონსა“ და „ხელქვეითს“ შემოადამდათ, ტყეში შევიდნენ და მუხის ქვეშ „დაბინავდნენ“. მსახურს ჩაეძინა. რაინდმა, მისი დაუდევრობით გაბრაზებულმა, გადაწყვიტა, სანჩო თვითონ გაამათრახოს და ტანსაცმლის გახდა დაუწყო. გამოღვიძებულმა საჭურველმტვირთველმა ბატონს ხელები მოხვია, წააქცია და „მარჯვენა მუხლი მკერდზე დააჭირა“ [38, 445]. რაინდმა, რომელსაც ხელებიც დაუჭირეს, წამოდგომა ვერ მოახერხა. სანჩომ იძულებული გახდა იგი, ეთქვა, რომ არაფერს დააძალებდა და „გამათრახებას სრულ მის ნებაზე მოაგდებდა“ [38,445] [თავი მე-60] .

40) მე-20 დამარცხება

დონ კიხოტი შეხვდა გადაცმულ კარასკოს: „თეთრ აბჯარში ჩამჯდარი, ფარზე თეთრად მოელვარე მთვარე ჰქონდა გამოხატული“ [38,483]. იგი დონ კიხოტს გაეცნო, როგორც „თეთრი მთვარის რაინდი“ [38,483] და ბრძოლაში გამოიწვია. საბაბი: დონ კიხოტმა უნდა აღიაროს, რომ მოწინააღმდეგის სატრფო დულისინეა ტობოსელზე უფრო ლამაზია, მაგრამ თან გააფრთხილა: „თუ ამ ბრძოლაში დაგამარცხე... მოვითხოვ... იარაღი დაჰყარო, ფათერაკების ძებნა მიატოვო“... [38,483].

კარასკომ „დაამარცხა“ დონ კიხოტი და მისგან პირობა მიიღო, რომ ერთი წლის ვადით სოფელში დაბრუნდებოდა [64-ე-65-ე თავები].

დონ კიხოტის კეთილშობილური მისია, ებრძოლა უსამართლობის, ბოროტების წინააღმდეგ, დაეცვა საკუთარი თავისა და ადამიანების ღირსებები, მე-20 ბრძოლით დასრულდა.

ბარსელონისკენ მიმავალმა, ლამანჩელმა იდალგომ, თავისი დამარცხების ადგილი რომ ნახა, შესძახა: „აქ იყო ტროადა! აქ ჩემმა სულმოკლეობამ და ჩემმა უბედურმა ვარსკვლავმა ჩემი წარსული დიდება დააბნელა! აქ ბედმა თავისი ცვალებადობის სათამაშოდ მაქცია; აქ ჩაესვენა ჩემთა გმირულ საქმეთა ბრწყინვალე მზე, დასასრულ, აქ დაეცა ჩემი ბედნიერება, რომ აღარასოდეს აღარ წამოდგეს“ [38, 492].

გენიალურმა სერვანტესმა, ვფიქრობთ, ამ სიტყვებით გამოხატა თავისი მთავარი სათქმელი, ყველა უნიადაგო მეოცნების „წარსული დიდება“ და „ბრწყინვალე მზე“ სწორედ ისე შეიძლება ჩაესვენოს, როგორც დონ კიხოტისა და დონკიხოტიზმით შეპყრობილი ადამიანებისა, შეუძლებელია ადამიანმა იცხოვროს მხოლოდ წარსულით და იოცნებოს მომავალზე, უნიადაგოდ, თუნდაც, უაღრესად კეთილშობილური იდეებით შეპყრობილმა.

დონ კიხოტიცა და მისი მსახურიც, ხშირად, სიბრძნეს ქადაგებენ. ამ პერსონაჟებმა მარადიული ადგილი დაიმკვიდრეს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, უკვდავყოფილია მიგელ დე სერვანტეს საავედრას სახელი. ლიტერატურის მოყვარულთათვის, შემოქმედთათვის დონკიხოტური აჩრდილი, ნიღაბი, რაინდის ხასიათის თვისებები, სიმართლის სიყვარული, სიკეთისაკენ ლტოლვა, ოცნება, მარადიული შთაგონების წყაროა.

მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა, დონკიხოტური სახეებით, სამყაროს კულტურათაშორის ურთიერთობებს ეხმიანება. მსოფლიო იზიარებს სერვანტესის მთავარ სათქმელს, უკვდავ „დონ კიხოტში“ გამოთქმულს, ეს კი, ეხმარება ადამიანებს, სულიერი ურთიერთობა დაამყარონ. ამონარიდები სერვანტესის „დონ კიხოტიდან“, რომელიც კვლევისას გამოვიყენეთ, გვიჩვენებს რაინდის კეთილშობილი ხასიათის თვისებებს, ხოლო იმ ბრძოლების აღწერა, იდალგომ რომ გადაიხადა, საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ გმირის არქეტიპებით ინსპირირებული პერსონაჟების ქმედებები.

დონ კიხოტი საყოველთაო ბედნიერების, სამართლიანობისა და სიკეთისთვის მებრძოლი რაინდია. კვლევა გვიჩვენებს, რომ ქართული მწერლობა, თემატურად და პრობლემურად, მსოფლიო ლიტერატურის სისხლხორცეული ნაწილია. ჩვენს მიზანსაც მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში იდენტური პერსონაჟების, დონკიხოტური რემინისცენციული სახეების მოძიება წარმოადგენს.

ლამანჩელი იდალგოს, დონ კიხოტის პროტაგონისტების, ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში არსებობამ და თვით ესპანური მწერლობის შედევრთან ქართული ნაწარმოებების დაკავშირებამ გვიჩვენა, რომ ყველა ქვეყნის ლიტერატურული მიმდინარეობა, თემატიკა, პრობლემატიკა და იდეა, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება საერთო კონტექსტში მოვიაზროთ.

თავი II. დონ კიხოტის არქეპიტული მოდელის რეფლექსია მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში

§1. უანგარო სიკეთისა და სინამდვილესთან შეუთავსებელი ოცნების პრობლემა გიორგი ლეონიძის „ნატურის ხის“ მიხედვით („ჩორეხი“, „ბუნბულა“, „ნიშარძეულის წყალი“)

გიორგი ლეონიძე (1899-1966) ქართული ლიტერატურის „ერთ-ერთი ყველაზე თვითმყოფადი პოეტური ნიჭი XX საუკუნის ქართული მწერლობისა; ლიტერატურული ტალანტი, მრავალწახნაგოვანი ლირიკოსი, ეპიკოსი, პროზა-იკოსი, ესეისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი, ფილოლოგი... ვერსიფიკაციის ვირტუოზი, ენის დიდი მესაიდუმლეა“ [19, 288].

მრავალფეროვანია გ. ლეონიძის პოეტური, მწერლური სამყარო. შემოქმედს თანამედროვეებმა სიცოცხლეშივე მიაგეს დიდი პატივი. ამ საინტერესო „ლიტერატურულ ტალანტს“ აფასებდნენ, ამკობდნენ, მრავალი ლამაზი ეპითეტით მოიხსენიებდნენ.

კრიტიკოსისა და მთარგმნელის, გერონტი ქიქოძის (1886-1960) თქმით, გოგლას „სტიქიური ტემპერამენტით დაწერილი პატრიოტული ლექსებიდან“ საომარი ხმები მოისმის, „ძლიერია მისი სატრფიალო ლირიკა“, ის „თავისი შემოქმედების ფესვებით ღრმად იჭრება ხალხური შემოქმედების ყამირ ნიადაგში“ და „მის თვალში ჩვენი ისტორიული ქრონიკების ხელნაწერები ცოცხლდებიან“ [52, 430]. ენათმეცნიერი აკაკი შანიძე (1887-1987) გ.ლეონიძეს „შესანიშნავ მკვლევარს“ [36, 264] უწოდებს, მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას (1893-1975) თქმით, ის „ქართული პოეზიის ვეფხვია“... [36, 205] მწერალი დემნა შენგელაია (1896-1990) აღნიშნავს, რომ ის „სიცოცხლის მადიდებელია“ [36, 265] ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოს გიორგი ჯიბლაძის (1913-1989) თქმით, ის არის „სიცოცხლისა და სილამაზის დიდი მომღერალი“ [36, 277]. მწერალი გრიგოლ აბაშიძე (1914-1994) მიუთითებს: გ. ლეონიძე „ერის პოეტია“, რომელიც: „ქართული ენის უსასრულო მრავალფეროვნებიდან ყველაზე გამძლე, ყველაზე ველურ ყვავილებს არჩევდა...

...ეს დიდი რუდუნება და სიყვარული უკანასკნელად მისი მოთხოვნების შესანიშნავ კრებულში - „ნატურის ხეში“ გამოჩნდა მთელი ბრწყინვალეობით... “ პოეტ იოსებ ნონეშვილისთვის (1918-1980) გ. ლეონიძე „ბერმუხაა“ [36, 245], პოეტი მურმან ლებანიძე (1922-2002) გ. ლეონიძის თხზულებებიდან ამოკრებილ აზრებს „ბაჯადლო ოქროს“ უწოდებს [36,126].

მკვლევარი ავთანდილ ნიკოლეიშვილი (1948) მაღალ შეფასებას აძლევს გ. ლეონიძის პროზას. მისი თქმით, „ის თვისებრივად ახალი მოვლენაა მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. იგი ფართო მასშტაბების მომცველი ისეთი დიდი წიგნია, შემოქმედებითი წარმოსახვის შედეგად შექმნილი იმდაგვარი მიკროსამყაროა, ლიტერატურული ტიპებისა და სახეების მრავალფეროვან გალერეას რომ ქმნის ცნობიერებაში“ [32,185]. გ.ლეონიძემ, პატარა ადამიანების ყოფაში, ზნეობრივ-მოქალაქეობრივი პრობლემები დაინახა და შეძლო „...მხატვრული წარმოსახვით შექმნილ ამ ლიტერატურულ მიკროსამყაროში კონდესირებულად ეჩვენებინა ადამიანური ყოფისათვის საზოგადოდ თანამდევითი არაერთი მწვავე და საჭირბოროტო მოვლენა“ [32, 186]. მკვლევარი „ნატურის ხეს“ მოგონებების კრებულს უწოდებს, მისი თქმით, ამ წიგნში ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ ანგარი და ქვენა გრძნობებით გაბოროტებული პიროვნებებიცა და სიკეთით სულგამზიანებული ადამიანებიც, „დახავსებული ცხოვრებით გზადახშული მემბოხენიცა და დონკიხოტური ოცნებებით შეპყრობილი ფანტაზიორებიც“ [32,186]. კრებულის შინაარსობრივ სამყაროსა და მხატვრულ სპეციფიკას კი ორი ფაქტორი განსაზღვრავს: რომანტიკული სევდა გარდასულ ცხოვრებაზე და ტრაგიკული განცდა ყოვლის წარმავლობისა, გარდა ამისა, მისი პერსონაჟები პოეტური ადამიანები არიან, „არარეალური და დონკიხოტური ოცნებებით სასაცილოდ გამოიყურებიან ყოველდღიური პრაქტიკული საზრუნავით გრძნობებგაუხეშებულ საზოგადოებაში, ამიტომაც ისინი ხშირად გარიყულნი და განმარტოებულნი არიან, ხალხისაგან ხელნაკრავნი და საყოველთაო დაცინვის საგნად ქცეულნი“ [32,187].

გ.ლეონიძის „ნატურის ხის“ სამყარო „დათბობის“ პერიოდის დასასრულს, (60-იანი წლების მეორე ნახევარი) უკავშირდება. აღნიშნული დროის „მწერლები, ერთი

მხრივ, ცდილობენ, დასცილდნენ გმირის სტალინურ მოდელს, თუმცა, სინამდვილეში, ერთგვარად განავითარებენ მას, უფრო „ადამიანურ“ სახეს აძლევენ“ [26,111]. „ნატურის ხე“, რომელშიც ქართული სოფლის რეალისტური სურათებია ნაჩვენები, 1962 წელს გამოიცა, მისი გმირები მიისწრაფვიან იდეალების განხორციელებისკენ.

ნოველა „ჩორეხი“, როგორც ერთხელ უკვე იყო აღნიშნული, 60-იან წლებში, საბჭოურ პერიოდში დაიწერა, მაგრამ მასში რუსეთის იმპერიის დროა ნაჩვენები.

ჩორეხი ეროვნული სულისკვეთების გმირია, მას სურს თანამოაზრეებს (ბავშვებს) წარმოსახვაში საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი ერთი- ანობაში წარმოადგენინოს, მაგრამ ამას ვერ აღწევს, რადგან არ იცის, როგორ იმოქმედოს, როგორ განახორციელოს მიზნები. ის თავგადადებული ოცნებობს საქართველოს წარსულზე და მას ისევე მისტირის, როგორც დონ კიხოტი - ოქროს საუკუნეს ესპანეთისას. ორივე ძველი დროის დაბრუნებას ცდილობს.

ჩორეხი ფანატიკურადაა შეყვარებული წარსულზე. მას აღელვებს: „მამულის თავისუფლება“, „მამულის სევდა“, გმირი წინაპრები, „ბაზალეთი“, პირველი აღთქმა მამულისადმი: „უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ, დაივიწყენ მარჯვენა ჩვენი“, წარსული დიდება, ქართული მიწა, სადაც „ჩვენი ქედ-წაგრებილი მოძმენი ცხოვრობენ...“ „ბავშვი ისე არ გაეტირება დედას, როგორც ჩორეხი მისტიროდა საქართველოს წარსულ დიდებას...“ [21, 199]. მწერალმა გვიჩვენა, რომ ქართული სახელმწიფოც ამ პერსონაჟის მსგავსად იდგა სიძნელების წინაშე. პატრიოტი და თავისუფლებისმოყვარე ჩორეხის სახეში, ზოგჯერ თვით ავტორს, გიორგი ლეონიძეს, მოიაზრებენ. ჩორეხი უნიადაგო მეოცნებეცაა, ღრმად სწამს, რომ მომავლის ხმას მალე გაიგონებს, ამბობს, ქალაქში მეოცნებეთა დრო წავიდა და საქმეაო საჭირო, მაგრამ როგორ, რანაირად არც კი იცის, თავის ნათქვამს იმედისმომცემ სიტყვებს დააყოლებს: „ისევ დაისხავს ჩვენი ვენახი, ისევ დაგვებადება რუსთაველი, აღმაშენებელი, თამარი! ნუ გეშინიათ!...“ [21, 201], ჩორეხი ვერ ხვდება, რომ მისი ძალისხმევა და ფიქრები ოცნების კოშკებს არ გასცდენია.

XII საუკუნე, საქართველოს ოქროს ხანად წოდებული ეპოქა, არაერთი შემოქმედის შთაგონების წყარო გამხდარა - ეს ხომ ის პერიოდია, როდესაც ქვეყანა,

თამარ მეფის (1160-1213\1210-1207) ძალისხმევით, პოლიტიკურად ერთიანი იყო, ეკონომიკურად - ძლიერი, საზოგადოებრივ ურთიერთობებში კი ჰარმონია სუფევდა.

გ. ლეონიდის პერსონაჟი სწორედ იმ დროის მსგავს ჟამზე ოცნებობს და ცდილობს, სხვებიც, ახალგაზრდებიც, დაარწმუნოს თავისი ჩანაფიქრის სისწორეში.

ესპანეთის ხელოვნების ოქროს ხანაში (XVI-XVII ს. II ნახევარი) მოღვაწე სერვანტესის რომან „დონ კიხოტის“ პერსონაჟიც, გ. ლეონიდის ჩორეხის მსგავსად, წარსულს მისტირის, ჰგონია, რომ გაიდევალეზული რაინდული საუკუნე აღორძინდება.

დონ კიხოტი ბედნიერს უწოდებს იმ ეპოქას, რომელიც წინაპრებმა „ოქროს საუკუნედ“ მონათლეს, მაშინ ჯერ კიდევ უცნობი იყო სიტყვა „ჩემი და შენი“... ის გულწრფელად არქმევს იმ პერიოდს „კურთხეულს“: „მაშინ ყველგან მეგობრობა, მშვიდობა და სიყვარული მეფობდა“ [37,101]. დონ კიხოტის აზრით, მოგზაურ რაინდთა ორდენი მაშინ დაარსდა, როცა ხალხში გარყვნილებამ გაიდგა ფეხი. რაინდები ხალხის სამსახურს სწირავდნენ თავს. მათ ქალწულები, ქვრივები, ობლები და ჩაგრულები უნდა დაიცვან... თვითონაც ამ პატიოსან ორდენს ეკუთვნოდა...

დონ კიხოტიცა და ჩორეხიც, ორივე, თავისი სამშობლოს ოქროს ხანას აიდევალეებს, ორივეს სურს მისი აღორძინება, ორივეს კეთილშობილური მიზნები ამოძრავებს, მაგრამ არ ჰყავთ მრავალრიცხოვანი თანამოაზრეები, ისინი, თითქოს, მარტოხესავით შრიალებენ ტრიალ მინდორზე, ერთიცა და მეორეც ფანატიკურად არიან შეყვარებული სამშობლოს წარსულზე და არაფერი გაეგებათ დღევანდელი ცხოვრებისა: „... ჩორეხს ბევრი არა გაეგებოდა რა, არა შეესმოდა“, შოთას თქმისა არ იყოს, „სოფლის გაღმა გაებიჯა“. მეოცნებეებს შორეთიდან, წარსულის ლაბირინთებიდან, იდეალთა მოხმობა უჭირთ, რადგან უკვე ჩაიქროლეს, ჩათ- ვლიმეს, მაგრამ მაინც იმედს არ კარგავენ, ჩორეხიცა და დონ კიხოტიც ილუზიათა სამყაროში ცხოვრობენ, ორივეს უანგარო სიკეთე ამოძრავებს, ორივეს ჰყავს თითო-ოროლა თანამზრახველი, ჩორეხს - ახალგაზრდობა, რომელსაც მიაჩნია, რომ „ნამდვილი მასწავლებელი, მართლაც, ჩორეხი იყო და არა ჭროლა ლონგო...“ [21, 198], დონ კიხოტს კი - მიამიტი სანჩო პანსა, რომელიც დარწმუნებულია, რომ თავისი ბატონის ერთგული მხლებელია და ერთობლივად წამოწყებული კეთილშობილური საქმე, ერთ დროს, გამარჯვებით დაგვირგვინდება.

დონ კიხოტის ირგვლივ მისი კეთილშობილური საქმეებით გაკვირვებული ხალხი ტრიალებს, მათ ღიმილს გვრის ბეჩავი „რაინდის“ ფაფხური. ჩორეხის ირგვლივ კი მარტო ბალებს ვხედავთ, მათ ბოლომდე არცა აქვთ გაცნობიერებული თავიანთი „მასწავლებლის“ მოწოდება: „ქუდზე კაცი! ქუდზე კაცი გამოვიდეს და დავიხსნათ მამული“. მას სხვა არავინ უგდებს ყურს, გარდა შეშინებული თავისივე ცოლისა, რომელიც ასეთ შეძახილზე ორივე ხელს აფარებს პირზე: „გაჩუმდი, კაცო, არ გაგიგონ, არ დაგვლუპო!“ [21,201].

„ჩორეხი მხოლოდ წარსულით სუნთქავდა“, წინაპრებს იგონებდა, მათი სული კიდევ მუშაობსო, ამბობდა. ახალგაზრდებს ლექსს შეახსენებდა „ბაზალეთის აკვანზე“... ადგილობრივი მკვიდრის, დათა პაპიაშვილის მიერ ი. ჭავჭავაძისათვის მოყოლილი ლეგენდის საფუძველზე შექმნილი ლიტერა-ტურული ნაწარმოების იდეისა ღრმად სწამდა.

გ. ლეონიძის თქმით: „ასე სწამდა ჩორეხს, სასწაულით, ხელგაუნძრევლად თავისუფლების მოპოვება“ [21, 202].

ჩორეხი, რომელიც სამშობლოს „ნაქარალს, ნაქორალს, დაჭრილ არწივსა და უსულოდ დანარცხებულ ვეფხვს“ უწოდებდა, ვაებდა, ოხრავდა, ცდილობდა, მსმენელთა ყურადღება ნანგრევთა ღაღადისათვის მიეპყრო, მოთქვამდა, რომ იმარხებოდა საქართველო, ქრისტეს კუნძული... უფლისთვის მიეპყრო თვალი, თან თითქოს წინასწარ „ზეიმობდა ჩორეხის სული“... რომ მომავლის ხმას მალე გაიგონებდა. პესიმისტური განწყობაც ეუფლებოდა: „შავ ზღვაში ჩავარდა მზე საქართველოსი! რაღა ამოიყვანს?“ თანაც გაკვირვებული კითხულობდა: „მესია რად იგვიანებს?“ [21, 200].

დონ კიხოტსაც ჰქონდა უკეთესი მომავლის მოლოდინი და სანჩო პანსასაც აიმედებდა.

ნახევრადშეშლილი იდაღოც ადიდებდა თავისუფლებას: „იცით თუ არა, ჩემო სანჩო, რომ თავისუფლება უძვირფასესი სიკეთეა, რომელიც ზენამ მოჰმადლა ადამიანს? ვერაფერი შეედრება თავისუფლებას, ვერც დედამიწის ქვესკნელში დამარხული საუნჯენი, ვერც დიდება, ვერც სხვა რამ, თავისუფლებაზე სანუკვარი ბედნიერება ამქვეყნად არ არსებობს. თავისუფ-ლებისა და სახელისათვის თამამად შეიძლება

თავგანწირვა, რადგან ნამრახი სიცოცხლე და მონობა ყველაზე უდიდესი უბედურებაა კაცისათვის...“ [37, 13].

სიკეთის, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი დონ კიხოტის, ლამანჩელი იდალგოს, სიტყვები ხშირად სიბრძნითაა სავსე, ის მხოლოდ მაშინ იწყებს აბდაუბდას, როცა რაინდობა ახსენდება.

გ. ლეონიდის პერსონაჟის ჩორეხის („ჩორეხი“) სიტყვებიც, ასევე, სიბრძნითაა სავსე, ავტორი არ უწოდებს მას ნახევრად შეშლილს, ხეპრეს, პირიქით, მოძღვრავდაო სკოლიდან გამოცვენილ რამდენიმე ბავშვს, წვრთნიდა, „ნამდვილი მასწავლებლის“ ერთადერთი საგანი საქართველო და მისი სიყვარული იყო, მაგრამ ამ დონკიხოტური სულისკვეთების ადამიანის მთელი მონდომება მიწაზე ფეხის დარტყმასა და წამოძახილში იხატებოდა: „აღსდევ, საქართველოვ!!!“ ილუზიებისა და ოცნებების ტყვეობაში მყოფი, ისევე ვერ ხედავდა ხსნის გზას, ისევე ვერ ცნობდა თავისი დროის საქართველოს, როგორც სერვანტესის უბადრუკი აზნაური, დონ კიხოტი, ესპანეთს... ორივეს-ერთს „ოქროს ხანა“, მე- ორეს - „ოქროს საუკუნე“ მონატრებოდა.

ხასიათის თვისებებით, ეს ორი პერსონაჟი იმითაც ჰგავს ერთმანეთს, რომ ორივე წიგნების მოყვარულია.

გ. ლეონიდის ჩორეხი, შინ გაზრდილი მწიგნობარი, „...თავისი ბუნებით რომანტიკოსი, სამშობლოს წარსულზე ფანატიკურად შეყვარებული“ [18, 172], „ვეფხისტყაოსანს“ შოთას ძღვენს უწოდებს, კვირამალზე მის სურათს სანთელს უნთებს. ნაწარმოები, რომელიც სიყვარულის საგალობელსა და „სამთა ფერთა საქებელთა“ რაინდების ხოტბას წარმოადგენს, ჩორეხის საყვარელი წიგნია. მასში „მშვენივრად თქმული“ „სამთელქვეყნო“ პოემა აღტაცებას იწვევს და მღვდელს გაკვირვებული მიმართავს: „რით არის სახარებაზე ნაკლები?“, შემდეგ კი მისგან შერისხვასა და შეწყალებას ითხოვს, მაგრამ, ავტორის თქმით, სასულიერო პირს, მიწიერ კაცს, რომელიც ხვეჭაში იყო გართული, არც სწყინდა და არც ეცალა რუსთაველისთვის.

დონ კიხოტიც მწიგნობარია, მას სატრფიალო წერილებისა და ხმალში გამოწვევის ამბავთა წაკითხვა მოსწონს. ყველაზე სახელგანთქმულად სარაინდო წიგნების ავტორის, XVI ს. ესპანელი მწერლის, ფილესიანო დე სილვას წიგნებს მიიჩნევს. ისიც,

ჩორების მსგავსად, ან ხშირად ეკამათება სოფლის მღვდელს, ან ესაუბრება. ჩორები, ავტორის თქმით: „სულ ერთთავად დადიოდა, ან შარაგზაზე უნდა გენახათ, ან ტყე-ღრეში იარებოდა“ [21, 205].

დონ კიხოტიც: „...ნადირობის დიდი ტრფიალი იყო და დილაადრიან ადგომა უყვარდა“... [37, 33], ისიც დახეტილობდა.

თითქოს, ზოგიერთი ნიშნის მიხედვით, ჩორები და დონ კიხოტი გარეგნულადაც ემსგავსებიან ერთმანეთს, ჩორები იყო: „...აწოწილი, წვერულვაშიანი, სათვალისანი, გამხდარი, ახოვანი... მკაცრი შესახედაობის, თმაგაბურძგნული, უქუდო, მტვრიანი, გაოფლიანებული, ძველებურ მასრებიან ჩოხაში, ხარაზულ წაღებში“ [21, 205].

დონ კიხოტი: „... თუმცა კაფანდარა და პირხმელი იყო, მაინც ბრგე აგებულება ჰქონდა“... [37, 33].

ორივეს ზედმეტი სახელი შეერქვა წანწალის, ხეტიალის გამო, ერთს- მოგზაური რაინდი, მეორეს- წანწალოსანი.

დონ კიხოტს „მწუხარე სახის რაინდი“ პირველად სანჩო პანსამ უწოდა: „ბერების მაშხალათა შუქზე უცებ შემოგხედეთ და თქვენი სახე ისეთი საცოდავი და საბრალო მეჩვენა, რომ იმ სახისა ჯერ არსად მინახვიხართ“ [37, 169]. ჩორებს „ყოველდღიური ხეტიალისა და წანწალისათვის მუდამ ჩანთით, წერაქვითა და ჭოგრით მავალს, წანწალოსანს უწოდებდნენ“: „მოდის ჩვენი წანწალოსანი!“ [21, 205], ამბობდნენ მისი დანახვისას.

დასცინოდნენ დონ კიხოტს, დასცინოდნენ ჩორებს...

პატივით უსმენდნენ დონ კიხოტს, პატივისცემით ეგებებოდნენ მეზობლები და მეგობრები ჩორებს.

აზნაურია ჩორები, „შავი გურანას“ ქმარი, მაგრამ უშვილო. დონ კიხოტიც აზნაურია და არ ჰყავს ცოლ-შვილი, ჩორები, თითქოს, იდალგოს მსგავსად, ათენ-აღამებს ხეტიალში, სჯერა, რომ ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს გამონახავს.

„წანწალოსანი“ ჩორები, ქვეყნის ეკონომიკური ვითარებით შეფიქრიანე-ბული, ძველი ნაშთების გარდა, ხეტიალის დროს, ღელეებსა და ხევებში მადნებს ეძებს,

სათუთად ინახავს ოქრონარევ ქვიშას, მბრწყინავ რიყის ქვებს... ოცნებით ფრთაშესხმული, ერთხელ, ნანახი სიზმრის შემდეგ, უჯარმის ნანგრევებში, ქვემო კოშკის ლიბოში გადააწყდა უცნაურ ქვას... გ.ლეონიძის თქმით, მას ხალხში გაგონილი ჰქონდა, „უჯარმის მფლობელი ვახტანგ გორგასალი ხელთ ოქროს ბურთს ათამაშებდაო“... [21, 208]. ჩორეხმა ამ ბურთად მიიჩნია ნაპოვნი ქვა, ეგონა: „ქვის ოქროს კრთომა თავისუფლების ღვთის კრთომა იყო“... [21, 208] ჩათვალა, რომ უკვე ეშველა საქართველოს: „ეს ყოველივე მისი ფიცხელი ოცნების ნაგონარი იყო და ჩორეხს ნამდვილად ეგონა, რომ ეს პატარა ქვა სიკეთის უცილოდ ზეგარ- დმო ნიშანი იყო“ [21, 209].

ერთ დროს, ქართლოსის ძეგლის ოქროს თავის პოვნა დაიჟინა. წმინდა ნინოს ლოცვით, სეტყვამ არმაზი კი არა, ქართლოსის ოქროს ძეგლი დაამსხვრია, სეტყვისა და ქარიშხლის მერე მისი ოქროს თავი, გამოქანდაკებული, ხევში ჩაგორებულა და იქ უნდა ვეძიოთო.

ჩორეხი „მისდევდა თავის ოცნებას“, სანამ ზირაქ მღვდელზე არ განაწყენდა... მისი მეშვეობით გორგასლის ქვაც, ნივთებიც, ხელსაწყობიც, „რუს ექზარხოსს“ ჩაუვარდა ხელში...

ოცნება და რეალობა შეეჯახა ერთმანეთს: „ვიდრე მამულის გამოხსნის დღე“ დადგებოდა, მანამ ზირაქთან კამათში ატარებდა დღეებს. ოცნებით თვალახ- ვეული ჩორეხის წინაშე იდგა „სოფლის ამაოებაში“ გართული“ სასულიერო პირი, რომელსაც წირვა-ლოცვისთვის არ ეცალა, ვაჭრობდა, საკუთარი ეტლით „დილიჯანით“ თბილისში მგზავრები დაჰყავდა, ჩუმად არაყს ხდიდა, ფულს დიდი სარგებლით ასესხებდა, ჰყავდა საყვარლები და მაჭანკლობდა კიდევ. უიმისოდ სოფელში არანაირი საქმე არ კეთდებოდა. ასეთი ადამიანების გარემოცვაში მცხოვრები გულანთებული, მეოცნებე ჩორეხი, მწარე სინამდვილეს შერკინებული, ზირაქმა დაასმინა და საპყრობილეში რამდენიმე თვით ჩაასმევინა. მოტეხილმა, მობერებულმა, ცხოვრებაზე ხელჩაქნეულმა ჩორეხმა სული დალია.

მისი სიკვდილის შემდეგ უკვირდათ: „რას წვალობდა, წანწალობდა ამდენს საწყალი?“ [21,212]. „მთელი სიცოცხლე ნანგრევებსა და ხაზინის ძიებაში გაატარა!“

[21,213]. „გურანას კი უკვირდა, რომ მისი მეუღლისაგან არავითარი საქმე და დოვლათი არ დარჩა“ [21, 214].

ერთ-ერთი ნოველის, „ნატვრის ხის“, ბოლოს გ. ლეონიძე ამბობს: „პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან. პოეტური თვალით, პოეტური გულითა და დიდი ოცნებებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე“ [21, 12]. კრებულ „ნატვრის ხეში“ პოეტური სულითა და დიდი ოცნებით გასხივოსნებული ბევრი შთამბეჭდავი სახე გამოძერწა მწერალმა. ისინი თავს, მხეცივით შემოტეული რეალობისგან, ოცნებებით იცავენ, ცდილობენ ხალხისთვის სასიკეთო საქმე ჩაიდინონ.

გ. ლეონიძემ გვიჩვენა, რომ თავის ნაწარმოებებში დახატული, ოცნებას შეწირული ადამიანების შთამბეჭდავი სახეებიდან, ზოგიერთი საკუთარი კეთილდღეობისათვის ნატვრას შეეწირა: ელიოზი („ნატვრის ხე“), ფუფალა („ფუფალა“), ჩირიკი და ჩიკოტელა („ჩირიკი და ჩიკოტელა“)... ზოგიერთი კი-საქვეყნოს. ამ მხრივ, გამოირჩევიან: ჩორეხი („ჩორეხი“), ბუნბულა („ბუნბულა“), ქრისტეფორე თამარიძე („ნიშარძელის წყალი“). ჩორეხი, ბუნბულა და ქრისტეფორე იდე- ალების განხორციელებისკენ მიისწრაფვიან, ოცნებობენ ხალხისთვის სასარგებლო საქმეები აკეთონ. ზემოთ ჩამოთვლილი პერსონაჟების ქმედებები დონკიხოტურ რემინისცენციებს წარმოადგენენ.

ბუნბულა ერთ-ერთი მეოცნებე, კეთილშობილი, ხალხისთვის მზრუნ- ველი პერსონაჟია კრებულ „ნატვრის ხეში“, ამავე სახელწოდების ნოველიდან („ბუნბულა“), „...მის წინადადებაზე ყველას ეღიმიებოდა, ერთმა ვირულა ბიჭმა შეჰკადრა კიდეც: ტვინი ამოგიღვარესო?“ [21, 248]. სერვანტესის გმირის, იდალგოს, მსჯელობებიც ხშირად იწვევდა ღიმილს.

ბუნბულას მოწოდება, შეერთებულიყვნენ, ხელმწიფესთან მისულიყვნენ და ეთქვათ: „ომი არ გვინდა-თქო“, მხოლოდ გაკვირვებას იწვევს: პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ამგვარი მოწოდებით, იგი გამვლელ-გამომვლელებს მიმართავს, ასეთსავე გაკვირვებას იწვევს დონ კიხოტის საქვეყნო საქმეებისთვის ზრუნვაც.

ბუნბულა დონკიხოტური სულისკვეთების ადამიანია, სოფლიდან ისიც მოულოდნელად გაუჩინარდა იდაღოსავით, შეურაცხვეს, არაფრად ჩააგდეს. უკან დაბრუნების შემდეგ, დარცხვენილი, „ტანისამოსშელახული“ უსმენს მამასახლისს: „ვინ მოგცა მთავარმამობა... რომ ხელმწიფის საქმეში ერევო!“ [21, 250]. მერე კი სულხანს უყვება, თუ როგორ გასწია მთავარმმართველის სანახავად, რათა ეთქვა, რომ ხალხს ომი არ სურდა: „სასახლის კართან გამომიცვივდნენ, აქ რა გინდაო, მუჯღუგუნი მკრეს, ქიმუნჯებით გამომავდეს-არ წავალ, საქვეყნო საქმეზე ვარ მოსული-მეთქი! - წამითაქეს. ახლა, ქუჩაში შევჩვივლე ნაცნობს თუ უცნობს. ერთს გადავუდექ, - გაეცინა, მეორემ შემომავინა, მესამემ - გიჟიაო! ეს არ მაკმარეს, ახლა პოლიციამ ჩამჭიდა ხელი, ვინა ხარ, ალბათ ჯამში იქნებო, სხვა ხელმწიფის მოსყიდულიო! პოლიციაში წამიყვანეს, ერთი კვირა ცარიელ ფიცრებზე ვიწექი მშიერ-მწყურვალი!..“ [21, 251].

ბუნბულა გაკვირვებულია: „რას მერჩოდნენ? მე ხომ საქვეყნო საქმეზე ვიყავი წასული, ქვეყნის სამჯობინარი მინდოდა“ [21, 252].

სულხანი ბუნბულას მდუმარედ უსმენს, მერე ღვინოს აწვდის, მაგრამ გაკვირვებულს ესმის: „იქ იმოდენა სისხლი იღვრება, მე ღვინოს როგორ დავლევო, სისხლს მაგონებსო“. ავტორის თქმით, ბუნბულა „იყო კაცი თავმომწონე და გარემოებამ ნაკაცარი გახადა, მერე რისთვის? - კაცობრიობის გულისთვის“ [21, 252] შეიძლება ითქვას, რომ დონ კიხოტსაც იგივე დაემართა, გარემოებამ ისიც, თანადროული ხალხის თვალში, ნაკაცარად აქცია.

„ნიშარძეულის წყალი“. გ. ლეონიძის ნოველაში „ნიშარძეულის წყალი“ ფორე, იგივე ქრისტეფორე თამარიძე, კეთილშობილურ სურვილს მარტო შერჩენია, მას სურს, წყალი თავის სოფელში ჩამოიყვანოს. მხოლოდ ორიოდ მეზობელი აქეზებს. არადა, ყველანი მთელი სიცოცხლე ლაზარეს შესთხოვდნენ, სამყოფი წყალი ჰქონოდათ, ებრძოდნენ გვალვას, სიცხეს, მტვერს, მათ ერთადერთ ნუგეშს წვიმა წარმოადგენდა: „სოფელს თვალები ცაზე ყურებით სტკიოდა შავი ღრუბლის ცვარის მოლოდინში“ [21, 221].

ფორემ მთელი ცხოვრება ნიშარძეულის წყალზე ოცნებას შეაღია, თანამზრახველი ვერ გამონახა, მალე ომმა ყველაფერი შეცვალა. წყლის გამოყვანა უკვე აუხდენელ

ოცნებად ეჩვენებოდათ, ყველანი აღმაცერად უყურებდნენ „სოფლისთვის მარტომბრძოლ ფორეს“. დრო გადიოდა. უკვე ხნიერმა კიდევ ერთხელ მოუწოდა სოფელს. „ტვინი უფრინავსო, ურგები კაციაო, თითქმის სალექსოდ გახადეს“ [21, 224].

ნაწარმოების მთავარ გმირს, ქრისტეფორე თამარიძეს, დონ კიხოტის მსგავსად, უყვარს წიგნები, მისი „ოთახის კედლებზე ეკიდა რუსთაველის, შექსპირის, სპენსერის, ოუენის სურათები“ [21, 216]. ფორეს „არავინ ეხმარებოდა“ და სწორედ ისევე შერჩნენ ერთმანეთს: „ოცნება და ფორე, ფორე და სოფელი“, როგორც დონ კიხოტი, ოცნება და ესპანეთი.

ლამანჩელი ოდალგოს პორტრეტი ფორე თამარიძისას ჰგავს: „ოცნების მიმდევარი, ხალხისათვის ბედნიერების მაძებარი, ხელში წერაქვით, ქაფჩით, რაღაც შინგაკეთებული საზომებით, მუდამ საწვიმარგადაცმული, გახუნებული ქუდით, ტალახიანი, მტვრიანი ფეხსაცმლით, შეჭალარავებული, შუბლდანაოჭე-ბული, სევდიანი, საქმიანი, მზისაგან დამწვარი, გარუჯული, სიცოცხლის აღმურადენილი, ზემთაგონებული...“ [21, 216].

ქრისტეფორე ისე შეეპყრო ოცნებას, რომ როცა წარმოიდგენდა: „სოფელში ჩამოყვანილ წყალს... ახალგაზრდავდებოდა...“ [21, 221].

იმ კუთხეში შემთხვევით მოხვედრილ ინჟინერს, ტექნიკოსსა თუ სტუდენტს „საწყლო ადგილებს“ ათვალიერებინებდა, მაგრამ მაინც მხარი არავინ აუბა, ბოლოს გადაწყვიტა, საჭირო ხარჯები თვითონ გაეღო, დამოუკიდებლად ემოქმედა. არც დონ კიხოტს დახმარებია ვინმე კეთილშობილური საქმის განხორციელებაში, ისიც ცდილობდა, დამოუკიდებელი ყოფილიყო. ფორემ გადაწყვიტა ნიშარძეულის ფონდის დაარსება და, ამ მხრივ, „შეწირულობის მოგროვება“... მაგრამ: „ჩანჩქერის თვითეულ წვეთში იყო ჩამწვარი ფორეს ფიქრიც და ოცნებაც...“ [21, 223].

ქრისტეფორეს, ბევრი რამ, რაც ნიშარძეულის წყალს უკავშირდებოდა, წარმოსახვით ეჩვენებოდა, „რას არ წარმოიდგენდა“, „უცვალელებელი ოცნება“ ძილშიც ჩაჰყვა, ნატვრა სიზმარში აუხდა: მზის სხივებით განათებულ მის კარ-მიდამოში, თითქოს არწივთა გუნდმა მთიდან იხუვლაო, შადრევნები მოჩქეფდნენ, რომელშიც

სხვადასხვა ფერის ცისარტყელები მოჩანდნენ, ზვირთებში მწყობრად იდგნენ ხეები, ხარობდნენ ყვავილები, კორდი, კაკლის ჭალა...

დაჰქროდნენ ჩიტები, თოლიები: „უთეთრესი, უბროლესი, ულურჯესი და უოქროესი, ანკარა თაფლისა და რძის ნიაღვარშხეფი გამოსჩქეფდა თქართქართ“ [21,225]. ქრისტეფორე თამარიძეს, თავისი კეთილშობილური ოცნება, ნიშარძე- ულის წყალი ესიზმრა, „მოთხრობის ერთ-ერთი ძლიერი ადგილია ფორეს ზმანება, რომელშიც გმირის მისტიური ხილვაა გადმოცემული. ალბათ, ასევე წარმოედგინა უწყლო ქვეყნის მკვიდრს, ან უდაბნოში გადაკარგულ ბედუნს“ [22, 179].

ქრისტეფორე, გამოღვიძების შემდეგ, როცა სიცხადე წარმოუდგა, დანაღვლიანდა: „მთელი დღეები გარინდებული იჯდა დერეფანში...“ „რა უეცრად გაცურდა თითებშია ყველაფერი, რა ძნელია, რა ძნელი ყველაფრის გაქარწყლება!..“ [21, 226].

„...უცვალელები ოცნება“ მაინც ცოცხლობდა ფორეს მკერდქვეშ... მარტოდმარტომ ვერ დაიმორჩილა ვერც ჩანჩქერი, ვერც ვერავის გული. ერთი საქმიანი თანამგრძნობელი არ მისცა ბედმა... ერთ ღამეს თვითონაც გადამდნარიყო იმ ოცნებაში!“ [21, 227].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოცნება ზოგჯერ რეალურს უკავშირდება და მას შეიძლება ზოგჯერ ანგარიშიც კი გავუწიოთ, მაგრამ ლიტერატურამ იცის არაერთი მაგალითი იმისა, რომ ხშირად ის სინამდვილეს ეჯახება და ამ უკანასკნელთან მისი კონფლიქტი გარდაუვალია. (გ. ლეონიძის ერთ-ერთ ნაწარმოებ „ნატურის ხეში“, მთავარი მოქმედი გმირი, ელიოზი, სწორედ ამგვარი ურთიერთშეჯახების მსხვერპლია).

მეოცნებე ქრისტეფორე თამარიძესა და დონ კიხოტს, სასტიკად უსწორდება რეალობა, მათი განუხორციელებელი იდეალები სიზმრებში აგრძელებენ არსებობას, აუხდენელი ოცნებები განსაკუთრებულ ელფერს იძენენ, მაგრამ შემდეგ მაინც არაფერი იცვლება. არსებობს არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება სიზმრის ფსიქოლოგიაზე, რომელთაგან, ვფიქრობთ, ზოგიერთი გ.ლეონიძისა და სერვანტესის პერსონაჟებს მიესადაგება.

არისტოტელეს (ძვ.წ.384-ძვ.წ.322) მიხედვით: „როგორც მარილით სავსე ჭურჭელი ამოტივტივდება მდინარის ფსკერიდან, როგორც კი მარილი გადნება, ისე გამოვლინდებიან ძილის დროს ის წარმოდგენები, რომელნიც დღიური შთაბეჭდილების

გავლენით დაფარული იყვნენ და მხოლოდ სიზმრის სახით ახერხებენ სიცხადეზე გამოსვლას. სიზმარი სულისა და სხეულის ერთი მთლიანი მდგომარეობაა... სიზმრის შინაარსი გრძნობის ორგანოებში დარჩენილი გარე შთაბეჭდილებიდან მომდინარეობს“ [7,104], ქრისტეფორესა და დონ კიხოტის სიზმრების შინაარსებიც გარე სინამდვილიდან მომდინარეობს.

მეოცე საუკუნის ცნობილი ავსტრიელი ფსიქოლოგის, ფსიქოანალიზის ფუძემდებლის, ზიგმუნდ ფროიდის (1856-1939), მიერ ჩამოყალიბებული მოძღ- ვრების მიხედვით („სიზმრის ახსნა“-1900), სიზმრის შინაარსი გაუცნობიერებელ სურვილებს გამოხატავს. ფროიდამდე უპირატესობას ცნობიერის გამოვლენას ანიჭებდნენ. ვერც ქრისტეფორე თამარიძე და ვერც დონ კიხოტი, ვერ აცნობიერებენ ბოლომდე, შესაძლებელია თუ არა მათი სურვილების ახდენა, ისინი სახავენ გეგმებს, მაგრამ არ იციან, როგორ იმოქმედონ.

შვეიცარიელ ფსიქიატრსა და ანალიტიკური ფსიქოლოგიის ფუძემდებელს, კარლ გუსტავ იუნგს (1875-1961), ნაშრომში: „ფსიქოლოგია და ალქიმია“(1944), აღწერილი აქვს სიზმრების სერია. სიზმარი: „ცენტრის, ანუ მიზნის, სიმბოლოებს შეიცავს... ცენტრი ანუ მიზანი ხსნის მნიშვნელობას იძენს... სიზმრების კავშირი რელიგიურ ფენომენთან... მრავალმხრივია...“ [17, 33]. ამავე ნაშრომში (მე-20 სიზმარი), იუნგი წერს, რომ: „გამოქვაბული არაცნობიერის სიბნელესა და განცალკევებულობას განასახიერებს“ [17,156], დონ კიხოტის მიზნები, როგორც ერთხელ უკვე ვახსენეთ, არაცნობიერია და თვითონაც, საზოგადოებისგანაც, სულიერად განცალკევებულია.

სიზმარი რაინდმა დონ კიხოტმა შუაგულ ლამანჩაში მდებარე მონტესი- ნოსის მღვიმეში იხილა. ლიცენციატს, ფარიკაობის ოსტატს, სთხოვა, გზა ესწავლებინა, სურდა, თავისი თვალთ ენახა, რამდენად მართალი იყო ხალხში გავრცელებული ხმა ამ მღვიმეზე. ლიცენციატმა იდალგოს თავისი ბიძაშვილი, „სარაინდო წიგნების დიდი მოყვარული“ ახალგაზრდა გააცნო, რომელიც წინ გაუძღვა. მათ „ასი საჟენი თოკი“ იყიდეს და შუადღისას, ორ საათზე, მივიდნენ მღვიმესთან. დონ კიხოტს თოკი სანჩომ და ახალგაზრდამ ტანსაცმლის გარეთ მოაბეს. მან მოკლე ლოცვა წარმოთქვა, მერე კი დაიძახა: „...დუღსინეა ტობოსელო... მე ვაპირებ ჩემთა თვალთა წინ პირდაღებული

მღვიმის უფსკრულში ჩავეშვა მხოლოდ იმიტომ, ქვეყანამ გაიგოს, რომ, ვისიც მწყალობელი შენა ხარ, მისთვის არავითარი ისეთი ფათერაკი არ არსებობს, რომელსაც არ შეეხას და კეთილ ბოლომდის არ მიიყვანოს“ [38,149], სტუდენტმა დალოცა იგი, მერე იდალგო მღვიმეში ჩაუშვეს.

მოცემულ მონაკვეთში სერვანტესმა უძველეს, ესპანურ რომანსებში მოთხრობილი ერთ-ერთი ამბავი გამოიყენა და თავის რომანში მოიხსენია ლეგენდის პერსონაჟები. თითქოს, დონ კიხოტმა, მონტესინოსის მღვიმეში, გმირები იხილა. ნახა ფრანგი ჯადოქრის, მერლინის მიერ „მოხიბლულები“ და „მოჯადოებულები“, რომლებიც ხუთასი წელია ცოცხლობენ, მხოლოდ რუიდერი, მისი ასულები და დისწულები მუდმივად ტიროდნენ, ამიტომ მერლინმა ისინი ტბებად აქცია, რაც შეეხება საჭურველმტვირთველ გვადიანას: „...უბედურების გლოვისაგან ახლა მდინარედ არის გადაქცეული...“ [38,176]. მონტესინოსი, დაჭრილი ბიძაშვილის ცხედარს, რომელსაც „თავისი დროის რაინდებისა და მიჯნურთა სიქადულსა და დიდებას უწოდებს“ [38, 174], აცნობს დონ კიხოტს: „... თქვენს წინ (თვალი გაახილეთ და დაინახავთ) ის დიდი რაინდი დგას, რომელზედაც ბრძენი მერლინი წინასწარმეტყველებდა, სწორედ ის დონ კიხოტ ლამანჩელი... რომელმაც... დავიწყებული მოგზაური რაინდობის წოდება გააცოცხლა და, შესაძლოა, მისი შემწეობით აგვეხსნას მოჯადოება“ [38, 176]. ნახევარი საათის შემდეგ, სანჩომ და სწავლულმა სტუდენტმა გადაწყვიტეს, თოკი ამოეწიათ და რაინდი, რომლის ხმაც უკვე აღარ ისმოდა, ამოეყვანათ. ასეც მოიქცნენ. მაგრამ იდალგოს ეძინა. გარკვეული მცდელობის მერე გამოაღვიძეს. გაკვირვებით მომზირალმა რაინდმა შეშინებულმა დაიძახა: „...ისეთ მშვენიერ სანახაობას მომწყვიტეთ...“ [38, 171].

როგორც ვიცით, იუნგის მიერ მოხმობილი სიმბოლო, გამოქვაბული, (სავარაუდოდ, მღვიმეც) განცალკევებულობას განასახიერებს. სერვანტესმა, დონ კიხოტის მიერ მღვიმეში ნანახი სიზმრით, გვიჩვენა, რომ მისი ნაწარმოების პერსონაჟი მარგინალია.

ბორხესი, ინგლისელი მწერლის, ტომას ბრაუნის (1605-1681 წწ) ციტატას („შვიდი საღამო“) იმოწმებს: „...სიზმრების წყალობით ვხედავთ სულის დიდებულებას, რადგან იგი, სხეულისგან რომ თავისუფლდება, თამაშობს და ოცნებობს. ჩემი აზრით, სული

თავისუფლებით ტკბება. ადისონიც ამბობს, ნამდვილად, სხეულის ბორკილთაგან გათავისუფლებული სული ოცნებებში ეფლობა და ის ელანდება, რაც ცხადში არ შეუძლიაო. იმასაც დასძენს, რომ სულთა (ჩვენ ვიტყვით, გონებათა, ახლა არ ვიყენებთ სიტყვა „სულს“) ქმედებაში ყველაზე ძნელია გამონაგონი. თუმცა, სიზმრად ისე სწრაფად ვფანტაზიორობთ, რომ გონება იბლანდება ჩვენს წარმოსახულ ამბებში“ [6, 27].

დონ კიხოტს ესიზმრა თავისი სიძლიერის აღიარება, სიკეთის ჩადენის მოლოდინი, ოცნებების ასრულება. დონ კიხოტის მონათხრობს, მონტესინოსის მღვიმეზე, ავტორი, მართალია, სიზმარს არ უწოდებს, მაგრამ ჩაძინებულმა რაინდმა, მართლაც, სიზმარი ნახა. როდესაც სანჩომ უთხრა, ერთ საათზე მეტ ხანს გეძინათო, უპასუხა, ეს შეუძლებელი იყო, რადგან მღვიმეში ყოფნისას თურმე: „... სამჯერ დაღამდა და სამჯერ გათენდა...“ [38, 178].

კეთილშობილი გმირი, დონ კიხოტი ამბობს: „იმ შორეულ და ჩვენ თვალთაგან ფარულ ადგილებში სამ დღეს დავრჩი“ [38, 178]. განსაკუთრებული კვლევის საგანს წარმოადგენს დონ კიხოტის მიერ წარმოთქმული ეს წინადადება. სერვანტესის დონ კიხოტისა და გ. ლეონიდის ქრისტეფორე თამარიძის სიზმრები წარმოდგენებზეა დამყარებული. ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის, დიმიტრი უზნაძის მიხედვით, სიზმრები: „...ორ ჯგუფს შეადგენენ, აღქმებისა და წარმოდგენების...“ [49, 587].

ქრისტეფორეცა და დონ კიხოტიც სამყაროს ისე აღიქვამენ, როგორც მოსაწესრიგებელს, წარმოიდგენენ (ოცნებებში), როგორი უნდა იყოს ის, რადგან ყოველდღიურობაში ვერ ახერხებენ სურვილების რეალიზებას, ქვეცნობიერში აგრძელებენ ოცნებებს. დონ კიხოტის ილუზია თავისსავე მიზანს უკავშირდება, ისევე, როგორც გ. ლეონიდის ნოველის „ნიშარძეულის წყლის“ მთავარი გმირის, ქრისტეფორე თამარიძის ხილვა. ფორეს ის ესიზმრა, რაზეც ოცნებობდა.

სერვანტესის დონ კიხოტისა და გ. ლეონიდის ქრისტეფორე თამარიძის სიზმარი, ავტორების მიერ პერსონაჟის დახატვის ერთ-ერთ მთავარ ხერხადაა გამოყენებული.

„დონ კიხოტისა“ და „ნიშარძეულის წყლის“ პერსონაჟების წარმოდგენა - სიზმრები მათი სულიერების გახსნის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა (ისევე, როგორც სიზმრების ეპიზოდები ცნობილ ქართველ შემოქმედთა ნაწარმოებებში: ვაჟა-ფშაველას

პოემა „ალუდა ქეთელაური“ (ალუდას სიზმარი), ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ (ლუარსაბის სიზმარი), კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოს- ტატის მარჯვენა“ (არსაკიძის სიზმარი)...

გ. ლეონიძის ნაწარმოებების პერსონაჟები: ჩორეხი („ჩორეხი“), ქრისტეფორე თამარიძე („ნიშარძეულის წყალი“), ბუნბულა ფარსმანიშვილი („ბუნბულა“) „სხვაგვარად“ მოაზროვნეები, საკაცობრიო იდეებით შეპყრობილი, მეოცნებე გმირები, სერვანტესის უკვდავ ნაწარმოებ „დონ კიხოტის“ პერსონაჟ დონ კიხოტის არქეტიპით არიან ინსპირირებული.

ჩორეხის „სხვაგვარად მოაზროვნეობის“ საფუძვლად საქართველოს ისტორიული წარსულისადმი ფანატიკური სიყვარული იყო ქცეული. მკვლევარი გ. ხერხეულიძე ჩორეხს მიიჩნევს უიღბლო მეოცნებედ: „ჩორეხი-უიღბლო მეოც- ნების კოლორიტული სახეა. იგი მკითხველში ერთდროულად სიბრალულსა და თანაგრძნობას იწვევს“ [22, 209].

„...ჩორეხი მხოლოდ წარსულით სულდგმულობდა“... [32, 202].

წარსული დიდების აღდგენა სურს დონ კიხოტს.

„ჩორეხივით მეოცნებე ადამიანთა რიგს განეკუთვნება ფორეც („ნიშარძეულის წყალი“), მისი დაუცხრომელი ოცნების საგანი... სოფლის მომავალზე ფიქრი და ზრუნვაა“ [32, 203].

ქვეყნის მომავალზე ზრუნვის კეთილშობილური იდეითაა შეპყრობილი დონ კიხოტიც.

„...დალაქი ბუნბულა ფარსმანიშვილი („ბუნბულა“) საკაცობრიო პრობლემათა მოგვარებას ცდილობს. საყოველთაო სიამტკბილობასა და მშვიდობაზე მეოცნებე ეს მოპოლიტიკოსო კაცი, რომელიც თავის სადალაქოში არჩევდა და „წყვეტდა“ მსოფლიოს საჭირბოროტო პრობლემებს, თავგამოდებით ემუდარებოდა ყველას, ხელმწიფესთან წასულიყვნენ, ფეხქვეშ ჩავარდნოდნენ და მუხლმოდრეკით ეთხოვათ მისთვის ომის შეწყვეტა...“ [32, 204].

გ. ლეონიძის კრებული „ნატვრის ხე“ მეოცნებე პერსონაჟთა სახეებით ბრწყინავს, მაგრამ სხვათათვის თავდადებულ, საქვეყნო საქმისათვის მებრძოლ, დონკიხოტური სულისკვეთების გმირებს ჩორეხი, ბუნბულა და ფორე ასახიერებენ.

გ. ლეონიძის პერსონაჟთა გალერეაში ოცნება ისევეა განუხორციელებელი, როგორც სერვანტესის რომანში. მწერლის ერთ-ერთ მთავარ სათქმელს ის წარმოადგენს, რომ ცალკეულ ადამიანთა ყოველგვარ რეალობას მოწყვეტილი ოცნება განწირულია, ის მხოლოდ ერთიანობით, უამრავი ადამიანის მცდელობით შეიძლება განხორციელდეს, მაშინაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აქტიურ მოქმედებაზე იქნება დაფუძნებული.

დიდი ლიტერატურული ღირებულება აქვს გ. ლეონიძის მოთხრობების კრებულს: „ნატვრის ხე“ თანამედროვე ქართული პროზის მნიშვნელოვანი შენაძენია და ახალ, ორიგინალურ ნაკადად ერთვის მას“ [18, 194].

დონკიხოტური რემინისცენციების მაგალითების მოძიებამ „მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში (კონკრეტულად, გიორგი ლეონიძის პერსონაჟებთან მიმართებაში), მიგვიყვანა შემდეგ დასკვნებამდე:

1. გ. ლეონიძის ნოველა „**ჩორეხის**“ პერსონაჟი ჩორეხი და სერვანტესის „დონ კიხოტის“ მთავარი გმირი დონ კიხოტი ტიპოლოგიურად ემსგავსებიან ერთმანეთს.

2. ჩორეხი ოცნებობს საქართველოს წარსულზე და ისევე მისტირის მას, როგორც დონ კიხოტი ესპანეთის ოქროს საუკუნეს. ორივე ცდილობს ძველი დროის დაბრუნებას.

3. ჩორეხისა და დონ კიხოტისათვის, თავისუფლება უმთავრეს მიზანს წარმოადგენს.

4. ორივე პერსონაჟი პატრიოტია.

5. ჩორეხი და დონ კიხოტი მეოცნებეები არიან.

6. ჩორეხი XII საუკუნის, საქართველოს ოქროს ხანის დაბრუნებას მოელის, მსგავსად დონ კიხოტისა, რომელსაც სურს ესპანეთის გაიდეალებული რაინდული საუკუნის აღორძინება.

7. ორივე პერსონაჟი ილუზიათა სამყაროში ცხოვრობს.

8. ჩორეხის თანამზრახველები ბავშვები არიან, დონ კიხოტისა - სანჩო პანსა. ახალგაზრდობას ისევე სჯერა თავისი „მასწავლებლისა“, როგორც სანჩო პანსას თავისი „ბატონისა“.

9. ხალხს უკვირს ორივე პერსონაჟის ქმედება. ბოლომდე ვერც დონ კიხოტის გარემოცვა აცნობიერებს მის კეთილშობილურ აზრებსა და საქციელს, ვერც ჩორეხისა.

10. ჩორეხის სურვილს „დაიხსნან მამული“, არავინ აქცევს ყურადღებას, არც დონ კიხოტის კეთილშობილური ქმედებები იწვევს ხალხის რეაქციას.

11. ორივე პერსონაჟი მხატვრული ლიტერატურის კითხვის მოყვარულია.

12. ჩორეხსა და დონ კიხოტს, ორივეს, ხეტიალი უყვარს.

13. ორივეს ზედმეტი სახელი შეერქვა. ჩორეხს „წაწალოსანი“, დონ კიხოტს „მწუხარე სახის რაინდი“.

14. დასცინიან დონ კიხოტსაც და ჩორეხსაც.

მსგავსებებთან ერთად, ჩორეხი და დონ კიხოტი განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რაც იმაში გამოიხატება, რომ:

1. დონ კიხოტი „იბრძვის“, თავისებურად, ჩორეხს „ხელგაუნძრევლად“ სურს მიზნის მიღწევა.

2. გ. ლეონიძე თავისი ნოველის პერსონაჟს, ჩორეხს, არ უწოდებს ნახევრად შემოლილს, სერვანტესი დონ კიხოტის გონებაარეულობაზე ხშირად ამახვილებს ყურადღებას.

გ. ლეონიძის ნოველა „**ბუნბულას**“ პერსონაჟი ბუნბულა და სერვანტესის „დონ კიხოტის“ მთავარი მოქმედი გმირი დონ კიხოტი (ისევე როგორც ჩორეხი და დონ კიხოტი) ტიპოლოგიურად, რამდენიმე მხატვრული დეტალით ემსგავსებიან ერთმანეთს:

1. ბუნბულა და დონ კიხოტი, ორივე მეოცნებეა.

2. ორივე პერსონაჟი საქვეყნო საქმისათვის მებრძოლი, კეთილშობილი მხატვრული სახეა.

3. ბუნბულას მოწოდება, მისულიყვნენ მეფესთან და განეცხადებინათ, რომ ომი არ სურდათ, გაკვირვებას იწვევდა, ხალხს დონ კიხოტის საქვეყნო საქმისთვის თავგამოდებაც აცვიფრებდა.

ბუნბულასა და დონ კიხოტის მხატვრული სახე ერთმანეთისგან განსხვავდება:

4. დონ კიხოტს, სარაინდო წიგნების კითხვისგან გონებაარეულს, სურს კეთილშობილი საქმეები ჩაიდინოს, წიგნებს ბუნბულაზე, ამ მხრივ, არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია.

„ნიშარძეულის წყალი“ წარმოგვიდგენს კეთილშობილ ქრისტეფორე თამარიძეს, რომელსაც სურს სოფელში წყალი ჩამოიყვანოს. როგორც მხატვრული სახე, ის სერვანტესის რომან „დონ კიხოტის“ პერსონაჟს ემსგავსება:

1. ქრისტეფორე თამარიძე, ისევე როგორც დონ კიხოტი, იბრძვის ქვეყნის, ადამიანების კეთილდღეობისათვის.

2. ქრისტეფორე და დონ კიხოტი - ორივე მეოცნებეა.

3. ორივე პერსონაჟს უყვარს კითხვა, წიგნები.

4. „სოფლისთვის მარტომბრძოლია ფორე“ ისევე, როგორც დონ კიხოტი, საქვეყნო საქმისთვის.

5. ქრისტეფორეს სიზმარში აუხდა ოცნება ისევე, როგორც დონ კიხოტს, მონტესინოსის მღვიმეში, მან გმირები იხილა და მოისმინა: „დონ კიხოტ ლამანჩელი... რომელმაც... დავიწყებული მოგზაური რაინდობის წოდება გააცოცხლა ...“.

ქრისტეფორესა და დონ კიხოტს შორის განსხვავება ისაა, რომ:

1. ქრისტეფორე არ ოცნებობს წარსულის დაბრუნებაზე ისევე, როგორც დონ კიხოტი, მისი ყოველი ქმედება, ოცნება მომავლისკენაა მიპყრობილი.

2. ქრისტეფორე საღ გონებაზე მყოფი გლეხია, დონ კიხოტისგან განსხვავებით, მისი საუბრის ტონი არ მონაცვლეობს, ჭკვიანურსა და გონებაარეულს შორის.

3. დონ კიხოტი მოგზაურობს, ცდილობს, სხვადასხვა ადგილებზე მცხოვრებ ადამიანებზე მოახდინოს ზეგავლენა, ქრისტეფორე კი თავის სოფელს არ გასცდენია.

§2. კონსტანტინე ლორთქიფანიძის „გაუმარჯოს დონ კიხოტს“

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ (1905-1986) XX საუკუნის ქართულ პროზაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა.

მკვლევრები მიიჩნევენ, რომ მის ნაწარმოებთაგან უმეტესი თავისუფალი არ იყო სერიოზული იდეურ-შემოქმედებითი შეცდომებისაგან.

კ.ლორთქიფანიძის ნაწარმოებების ზოგიერთი შტრიხი პატრიოტიზმზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, ოჯახზე ა.შ. დაფიქრების საშუალებას გვაძლევს. პერსონაჟები, რომლებიც დახატა ავტორმა, თავისივე თანადროული ეპოქის შვილები იყვნენ, ცხოვრობდნენ და არსებობდნენ მწერლის გვერდით.

მოთხრობის „გაუმარჯოს დონ კიხოტს“ მოქმედი გმირი პოპულარული ესპანელი მწერლის, სერვანტესის, რომან „დონ კიხოტის“ მარადიული პერსონაჟის, დონ კიხოტ ლამანჩელის, მხატვრული სახისა და მსოფლიოში დამკვიდრებული ტერმინ „დონკიხოტიზმის“ ასოციაციას იწვევს. ავტორმა ნაწარმოების სათაურში მსოფლიო ლიტერატურის კლასიკური ტექსტის პერსონაჟის სახელის გამოყენებით თავისი პოზიცია და მხატვრული იდეალი გამოკვეთა. თუკი ჩავთვლით, რომ „უძრაობისა“ და „დათბობის“ წლებში შემოქმედი გმირის ძიების იდეამ გაიტაცა, ვფიქრობთ, მალევე დარწმუნდა, რომ იმ პერიოდში, ეს, უბრალოდ, სხვა არაფერი იყო, თუ არა დონკიხოტიზმი და, ამის შესახებ, სათაურშივე, შეფარვით მიგვანიშნა.

1969 წელს მწერალმა გამოსცა თხზულებანი ოთხ ტომად. მესამე ტომში დაბეჭდილია მოთხრობა „გაუმარჯოს დონ კიხოტს“.

წიგნი „ერთი კარგი წელიწადი“ კი ქართველმა მკითხველმა 1970 წელს მიიღო. კ.ლორთქიფანიძემ მასში სხვადასხვა ჟანრის, ერთ წელიწადში შექმნილი ნაწარმოებები, რამდენიმე ლექსი, წერილი, თარგმანი და სამი მოთხრობაც („გაუმარჯოს დონ კიხოტს“, „ჩემი პირველი კომკავშირელი“, „ორთაჭალელი მეთევზეები“) შეიტანა.

მიიჩნევენ (გ. გვერდწითელი, ო. პაჭკორია), რომ მოთხრობა „გაუმარჯოს დონ კიხოტს“ პუბლიცისტური განწყობილების შემცველი ნაწარმოებია. კ.ლორთქიფანიძემ ამ თხზულებით ადამიანთა გაორებული ურთიერთ-დამოკიდებულებების საკითხს

ეხმაურება, მათ მიზანს, ერთი მხრივ, წარმო- ადგენს ის, რომ უნდა ვემსახუროთ კეთილს, გამოვესარჩლოთ დაჩაგრულს, მეორე მხრივ - ანდაზისა არ იყოს, მოვშორდეთ: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“.

მოთხრობის-„გაუმარჯოს დონ კიხოტს“-სიუჟეტი მარტივია: ჯაბა გურგე- ნიძე, თავის მეგობრებთან ერთად, რესტორანში, ერთი ახალგაზრდა ქირურგის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე იმყოფებოდა. ექიმი „აფრიკის რომელიღაც სახელმწიფოში სამუშაოდ მიემგზავრებოდა. აფრიკელს გზა დავულოცოთო, ხელდახელ მოილაპარაკეს მეგობრებმა“... [23, 106].

უსასრულო სადღეგრძელოები, სიცილისა და ხუმრობის გარეშე ჩავლილი წუთები, მოსაწყენი გახდა და: „ჯაბა გურგენიძემ თავს უშველა“, გამოიპარა.

ქუჩაში ბიჭების ჩხუბს შეესწრო. სამნი იყვნენ, ორი ერთს სცემდა.

ჯაბამ ალაყაფთან რკინის პატარა ნაჭერი აიღო: „...მაგრამ აქ ისეთი რამ ჩაიდინა, რაც დღემდე ვერ უპატიებია თავისი თავისთვის: რკინის ნაჭერი იქვე დააგდო და იქაურობას ჩუმად გაეცალა. ერთი ხმაც არ გაუღია, ერთხელაც უკან არ მოუხედავს, თითქოს იქ ახლა ადამიანიშვილი კი არა, ტყიდან გამოვარდნილი მხეცი უნდა ჩაექვავებინათ, გაიპარა ჩუმად და სწრაფად“... [23, 108].

მან იცნო კაცი, რომელსაც სცემდნენ და გაჭირვებაში მიატოვა.

... გასულ კვირას, ჯაბა გურგენიძე, თავისი ახლო მეგობრის, ანდრია ბოდოკიას, ოჯახში უსიამოვნო საუბარს შეესწრო. ნახევარ საათში ფეხბურთი უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მამა და მისი ორი შვილი სულაც არ ჰგავდნენ სტადიონზე წამსვლელთ. ოჯახის უფროსი, ექიმი ანდრია და მისი ვაჟები, ოტია და შოთა, არ ჩქარობდნენ. ეტყობოდათ, რომ სანამ საოჯახო სუფრას მიუსხდებოდნენ, მანამ „ერთმანეთს ყელში სწვდნენ“ [23, 111].

დაძაბული სიტუაცია ოდნავ რომ განიმუხტა, ანდრიამ შვილს, შოთას, უსაყვედურა: „...ქვეყანა შევაწრიალე, რომ შენთვის ორდინატორის ადგილი მემოვნა პროფესორ იაშვილის კლინიკაში, ძლივს თბილისში დაგტოვე. შენ კი სად ჯანდაბას იყურები...“ [23, 113].

ანდრიას უკვირს შვილის გადაწყვეტილება, სამსახური დაიწყოს იქ, სადაც გაანაწილეს, ორ-სამ წელიწადში ხომ დისერტაციას დაიცავდა, ის კი უარყოფდა „უზრუნველ ცხოვრებას, სახელს, პატივს...“

შოთამ განმარტა, რომ მას არ სურდა „აზნაურობის მაძიებელს“ დამგვანებოდა. ჯაბა გურგენიძემ სცადა, მისი მხარე დაეჭირა: „მართალი სთქვა, ანდრია-ბატონო! ყოველ დროს თავისი ქეცი და სატკივარი მოაქვს. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში მოდაში იყო აზნაურობის მაძიებლობა. კაცი უკანასკნელ პერანგს გაიხდიდა და გაყიდდა, ოღონდ ის ერთი ბეჭდიანი, ნაკუწა ქაღალდი ეშოვნა. ახლა კი ხარისხის მაძიებლებმა აგვიკლეს! ხომ ეგრეა, ჩემო ოტია“ [23, 144].

ჯაბას ნათქვამს ოტიამ მხარი არ დაუჭირა და ძმას, შოთას, შეუტია.

ჯაბა გურგენიძე შოთას პოზიციას იცავს, ოტიამ კი უანგარობას ლამაზი სიტყვები უწოდა, მისი აზრით: „ყველაზე დიდი ტანჯვა და უბედურება.... სიყვარულმა მოუტანა ადამიანს!“ [23, 121] სიყვარულისათვის თავგანწირვა, დაჩაგრულის გვერდში დგომა დონკიხოტობაა, ვინმეს გამოსარჩლება არაა საჭირო რადგან: „მაგისათვის მილიცია არსებობს“ [23, 122]. „აი, სწორედ ეს კაცი იყო, იმ ღამეს ვაკის პარკში ხულიგნებმა რომ გალახეს“ და ორი კვირა დალილავებული იწვა საავადმყოფოში [23, 122].

ჯაბა გურგენიძეს მიაჩნია, რომ „ვისაც შეუძლია სიყვარულის გამო წყალში გადავარდეს, მეგობრისათვის სიცოცხლე გასწიროს, დაჩაგრულს გვერდში ამოუდგეს - ამ ქვეყანას სწორედ ისინი აძლევენ დიდ სიმტკიცეს და სილამაზეს, კაცის ცხოვრებას ისინი უწერენ დიდ კანონს! ასეთი ადამიანების გვერდით სიკვდილიც კი არ გემწელება. მე მძულს ცივი გულის ადამიანი და მისი ერთადერთი ანგარიში, ჯერ მე და მერე სხვაო!

- ყველაფერი ეს დონკიხოტობაა, ბატონო ჯაბა, - ჩაიცინა ოტიამ.

- დონკიხოტობა? მაშ გაუმარჯოს დონკიხოტს! ის დამთხვეული ლამანჩელი რაინდი როგორ არ მირჩევნია ჩვენი დროის „რაინდს“, ტროლეიბუსის გაჩერებასთან რომ დგას და არხეინად შესცქერის ავარა ბიჭებს, ახალგაზრდა ქალს შეურაცხყოფას რომ აყენებენ...“ [23, 122].

ოტია ბოდოკია სახეა ისეთი ადამიანებისა, რომელთაც დონკიხოტობა სასაცილო მოვლენად მიაჩნიათ, ჯაბა გურგენიძე კი, პირიქით, საზოგადოების იმ ნაწილს შეიძლება

შევადართ, რომელთათვისაც „ალონსო კიხანო“ კეთილია, სამართლიანობისათვის მეზრძოლი რაინდია.

თვითონ ავტორი, კ. ლორთქიფანიძე, სათქმელს ჯაბა გურგენიძის მეშვეობით გვამცნობს. თავისი რჩეული თხზულებების წინასიტყვაობიდან ის მკითხველებს ასე მიმართავს: „...ყველაზე დიდი სიკეთე კაცობრიობას უანგარო ადამიანებმა მოუტანეს. მეც მუდამ ვცდილობდი, ცხოვრებაში ასეთი ადამიანები მეპოვნა და ჩემი წიგნების ფურცლებზე დამესახლებინა... ამიტომ მკითხველს ნურც ის გაუკვირდება, რომ პირველ ტომს ცოტა უცნაური საერთო სათაური დავარქვი: - გაუმარჯოს დონ კიხოტს.

რომელი ლიტერატურული გმირი ცხოვრობდა და იზრძოდა უფრო უანგაროდ, ვიდრე ის ერთი მოუსვენარი ლამანჩელი აზნაური!...“ [23, 6].

ჯაბა გურგენიძე ქადაგებს, რომ დაჩაგრულის გვერდში დგომა ქვეყნის სიმტკიცისა და ძლიერისთვისაა საჭირო, მაგრამ მისი ფრაზები რჩება ხმად მლაღადებლისად უდაბნოსა შინა. როცა საქმე საქმეზე მიდგება, იგი უმალ „ცივი გულის ადამიანად“ იქცევა, უსირცხვილოდ ტოვებს გასაჭირში მყოფ მოყვასს და შემთხვევის ადგილიდან ჩუმად იპარება.

თავის საქციელს ჯაბა იმით ამართლებს, რომ განსაცდელში ჩავარდნილი კაცი, უბადრუკი ოტია ბოდოკია, მისი აზრით, დახმარებას არ იმსახურებს. ჯაბა გურგენიძემ ვერ შეძლო კეთილშობილი ადამიანის როლი ბოლომდე ეთამაშა, ის „ჩვენი დროის რაინდს“ იმას უწოდებს, ვისაც შეუძლია არხეინად უცქიროს, თუ როგორ შეურაცხყოფენ ახალგაზრდა ქალს. პერსონაჟს ეჭვი ეპარება საკუთარი ქმედების სისწორეში, მკითხველსაც კი სთხოვს, განსაჯოს, „ძალიან“ დააშავა თუ არა: „შეიძლება ძალიან დავაშავე, რომ იმ ღამეს ადამიანობა ვერ გამოვიჩინე, მაგრამ რა მექნა, იმ წუთში რაღაცამ შემკრა და მხარი მიქცია.

ძალიან დავაშავე? ეს შენ გადასწყვიტე, მკითხველო...“ [23, 129].

შეიძლება ჯაბა გურგენიძე დონ კიხოტის არქექტიპით ინსპირირებულ სახედ ჩაითვალოს. მისი მსჯელობა, შეხედულებები, შინაგანი ხმა ამის თქმის საფუძველს გვაძლევს, მას არ ერიდება ხმამაღლა, გაბედულად განაცხადოს ის, რაც სიმართლეა, მართალია, თავისი თავდაპირველი „ფილოსოფია“ თვითონვე უარყო იმით, რომ

გულგრილობა გამოიჩინა ოტია ბოდოკიას მიმართ, მაგრამ ზოგადი, ორჭოფული მსჯელობა, შინაგანი ხმა: „შეიძლება ძალიან დავაშავე“, მიგვითითებს იმაზე, რომ მან დაუშვა არა საბედისწერო შეცდომა, არამედ გაუაზრებლად მოიქცა, რომლის გამოსწორებასაც, ისევ, სავარაუდოა, მოახერხებს.

კ. ლორთქიფანიძის მოთხრობას, „გაუმარჯოს დონ კიხოტს“, თავის დროზე, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე, მოჰყვა გამოხმაურებები (ს. ავალიანი, ლ. ხიხაძე, გ. ბათიაშვილი). წერილი „ერთი, მართლაც, კარგი წელიწადი“, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსმა გურამ გვერდწითელმა (1930) დაბეჭდა თავის წიგნში, „მორეულნი და ახლობელნი“ (1984).

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1989 წლის 14 ნოემბრის ნომერში კი ვეცნობით სამ წერილს: ს. ავალიანისა - „ეს ყველას ეხება“, ლ. ხიხაძისა - „გვეავდეს თუ არა რაინდები“ და გ. ბათიაშვილისა „სიცხადისათვის“.

„სამივეს მთავარი შინაარსია ლოზუნგის - „გაუმარჯოს დონ კიხოტს“ - დაცვა - დასაბუთება...

ზემოთდასახელებული წერილების ავტორები ყოველგვარი საშუალებებით ცდილობენ, წარმოგვიდგინონ ჯაბა გურგენიძე, როგორც თანამედროვე საბჭოთა რაინდი“ [2, 2].

კ. აქუბარდია ემიჯნება პერსონაჟ ჯაბა გურგენიძის დამცველებს, მას მიაჩნია, რომ ამგვარ სახეებს ვერ მივიჩნევთ რაინდებად: „... რასაკვირველია, დონ კიხოტი რაინდია. მას გააჩნია ჭეშმარიტი რაინდის ისეთი თვისება, როგორიცაა უანგარო ენთუზიაზმით, თავგანწირვით ბრძოლა, მაგრამ მარტო ეს თვისება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დონ კიხოტი მივიჩნიოთ „სამართლიანობის კულტის“ უდიდეს რაინდად. დონ კიხოტს აკლია ჭეშმარიტი რაინდისათვის დამახასი-ათებელი სხვა ისეთი ნიშნები, როგორიცაა სიფხიზლე, საბოლოო მიზნის განხორციელების უნარი და ა.შ.“...

... დონ კიხოტს „არ შეუძლია არსებული პრაქტიკა უკეთესით შეცვალოს“...

„თეორიულ დისკუსიაში წამოყენებულ კითხვას: საბჭოთა სინამდვილეში არსებული ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა არის თუ არა დონკიხოტობა?... ლოზუნგი

„გაუმარჯოს დონ კიხოტს“ თეორიულად ყალბია, იგი სრულებითაც არ გამოხატავს საბჭოთა ჭეშმარიტი რაინდის თვისებებსა და ნიშნებს!

„...ჯაბა გურგენიძე არ არის მოწინავე, დადებითი საბჭოთა ადამიანი“...

„...მოჩვენებითი ჰუმანიზმი! აი, რა შეიძლება ვუწოდოთ ჯაბა გურგენიძის დამცველთა „ჯვაროსნულ“ ლაშქრობას“ [2, 2].

1970 წელს, „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე წერილით: „ერთი კარგი წელიწადი“, კ. ლორთქიფანიძის ნოველას გამოეხმაურა მწერალი ოტია პაჭკორია (1928-1984): „დედამიწაზე კი დღემდე დააბიჯებს მწუხარე სახის რაინდი, რომლისთვისაც საერთოდ არ არსებობდა წარმატებათა გაღმა ნაპირი და ამიტომაც არასოდეს დაუგდია თაობათა ცნობიერების საზღვრები.“

რატომ შეაშფოთა ეგზომ მწერალი ბოდოკიების მორალმა, რას მოითხოვს იგი? მხოლოდ ლიტერატურულ დისკუსიას, სადაც უნდა დადგინდეს დონკიხოტიზმის ეთიკური არსი“... [35, 1-2].

ო. პაჭკორიას მიაჩნია, რომ „...მწერალი თავს არ არიდებს პასუხისმგებლობის გაზიარებას“...

წერილის ავტორი კ. ლორთქიფანიძის მოთხრობასა და თვით ავტორზეც მნიშვნელოვან მოსაზრებებს გამოთქვამს, ამიტომ, საჭიროდ მივიჩნიეთ, შედარებით ვრცელი ამონარიდები წარმოვადგინოთ მისი წერილიდან. მწერალი: „მზადაა სხვისი ცოდვა-მადლიც იკისროს, თავი ორჭოფულ მდგომარეობაში ჩაიყენოს და მკითხველის თვალში ჯაბა გურგენიძის სახეს შეერწყას („გაუმარჯოს დონ კიხოტს“), ოღონდ დასკვნების ძიება აიძულოს. იგი თავის აზრს თავს არავის ახვევს, მაგრამ ზნეობრივ იდეალსაც მიუთითებს - „დამთხვეულ ლამაზჩელ იდალგოს“, მშვენიერ და მეოცნებე რაინდს, რომელსაც პრაქტიკული ცხოვრების ჩარჩოში აქცევს, აცილებს „სასაცილოს“ და ფერმენტის სახით შეაქვს დონკიხოტობის ცნება ბოდოკიების გათოშულ მიკროსამყაროში... მათ კარგად აქვთ შეთვისებული მემჩანური უხამსობის ურყევი წესი... ესაა მწერლის წუხილის სათავე...“

...ოტია ბოდოკია ჩვეულებრივი თვალთმაქცია, სკეპტიკოსის ნიღაბს ამოფარებული... იმ დარდიმანდთა მოდერნიზებული სახეა, ვინც აზნაურულ პეწს გამწარებით ეპოტინებოდა...

...ბოდოკიებმა უნდა უარყონ დონკიხოტისეული „სულიერი ხილვა“... რადგან ყოველივე მოწამეობრივი მათთვის უცხოა...

...კონსტანტინე ლორთქიფანიძეს არ შეეძლო პრობლემა წამოეჭრა და ისე დაეტოვებინა. მას გამოაქვს სოციალური და ზნეობრივი მსჯავრი. ოღონდ ჯაბა გურგენიძე არ არის მსჯავრმდებელი, მას ეს მისია არც აკისრია. იგი მთხრობელია, რა თქმა უნდა, თხრობისას მისი სიმპათია-ანტიპათია ჩანს, მაგრამ არა მგონია, რომ ეს ავტორის თვალსაზრისის, მით უმეტეს, განაჩენის მლადადებელი იყოს. ჯაბა ქმნის ემოციურ და კომპოზიციურ წონასწორობას, შეკითხვის დასმის შესაძლებლობას“ [35,1-2]. ო. პაჭკორიამ წერილი „ერთი კარგი წელიწადი“ თავის წიგნში „ფიქრი მზისა და სიტყვის გამო“ (1979) შეიტანა. წერილში არსებითად არაფერი შეუცვლია. ყურადღებას იპყრობს მისი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს სურს პერსონაჟ ჯაბა გურგენიძის სახეს შეერწყას. მწერლის სათქმელი ამგვარად იკვეთება, ერთი მხრივ, ოტია ბოდოკია, მეორე მხრივ, ჯაბა გურგენიძე საზოგადოების ორ მხარეს წარმოადგენენ, ერთნი (გურგენიძის მსგავსნი) ეძიებენ, იბრძვიან, მეორენი (ბოდოკიას მსგავსნი) მემჩანური ცხოვრების წესით მოქმედებენ. მწერალი, ზემოხსენებულ წიგნში, მკითხველებს სთავაზობს ესეს „დონ კიხოტის სიკვდილი“, რომელშიც საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს სერვანტესსა და მის მარადიულ პერსონაჟზე.

გ. გვერდწითელს მიაჩნია, რომ ჯაბა გურგენიძის სიტყვებში ავტორის, კ. ლორთქიფანიძის, გულისნადებია გამოხატული. კრიტიკოსი ემიჯნება კ. აქუბარდიას მოსაზრებებს მისივე წერილიდან: „ძირს დონკიხოტობა“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „თბილისში“ (1969, №10). გ. გვერდწითელის თქმით, მოთხრობის „გაუმარჯოს დონ კიხოტს“ მორალს ბოდოკიების მრწამსის მხილება წარმოადგენს და არა ის, თუ როგორ დაავგმოთ დოგმატიზმი და ჭეშმარიტი პრინციპების რევიზიის ყოველგვარი ცდა, როგორც ეს კ. აქუბარდიას ჰგონია. კ. ლორ-თქიფანიძის გმირი მეგობრისთვის თავგანწირვას დონკიხოტობას უწოდებს, ამით, გ. გვერდწითელის თქმით, იგი დონ

კიხოტს კი არ შეურაცხყოფს, არამედ იმ ეპოქას, რომელშიც სერვანტესის ნაწარმოები შეიქმნა., ხოლო ჯაბა გურგენიძე წამოძახილით „გაუმარჯოს დონ კიხოტს“, ლამანჩელი რაინდის დამთხვეულ ქმედებებს კი არ ესაღმება, არამედ მის კეთილშობილ იდეალებს. ამიტომ, „ძირს დონ კიხოტი“, არ შეესაბამება კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოების პათოსს. განსახილველი საკითხიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მწერალმა სცადა ახალი ლიტერატურული გმირი დაეხატა, ბოდოკიების სახით ეჩვენებინა ყალბი, თვალთმაქცი საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთაც ამხელდნენ დონკიხოტისებურად მოქმედი სხვა სოციალური ფენის (გურგენიძეების მსგავსი) ადამიანები, კეთილშობილნი, რომლებიც გასაანალიზებელ კითხვას სთავაზობ-დნენ საზოგადოებას, ცდილობდნენ, რეალობას დაახლოებოდნენ.

ნაწარმოები 60-იან წლებში იქმნებოდა. ეს იყო ქართული საბჭოთა ლიტერატურის „დათბობისა“ და „უძრაობის“ პერიოდი (1953-1985): „1960-იან წლებში ბევრ მწერალს კვლავაც გულწრფელად სჯეროდა „წითელი მომავლის“-კომუნიზმის. თუმცა, პარტიის XX ყრილობის შემდეგ სოცრეალიზმის გმირი შეიცვალა. სიმპტომატურია, რომ თავისი წინამორბედისგან, ე.წ. „კონკიას“ მოდელისგან განსხვავებით, ახალი ლიტერატურული გმირი ისწრაფოდა, გაეუმჯობესებინა საკუთარი ცხოვრებისეული პირობები და გადაეწყვიტა ინდივიდუალური ყოფითი თუ ეგზისტენციალური პრობლემები. ახალი ლიტერატურული გმირისთვის „ნათელი მომავალი“ გახდა პირადულ-ინდივიდუალისტური მიზანი“ [26,100], ხსენებული პერიოდის შემოქმედები („სამოციანელები“) გაერთიანდნენ, რაც, მკვლევარ მ. მირესაშვილის განცხადებით, განაპირობა არა დამკვიდრების, არამედ უარყოფის პათოსმა: „სამოციანელებმა“ უარყვეს ის, რაც მათი გარემომცველი სინამდვილისთვის აუტანელ ანაქრონიზმად იქცა: ფსევდომონუმენტალიზმი, სიყალბე, სქემატიზმი... იმავდროულად მათ პირველებმა შეძლეს სოციალისტური რეალიზმის ნორმატიული ესთეტიკის „გარღვევა“, ქართულ სალიტერატურო სივრცეში არსებული გულწრფელობისა და სიმართლის დეფიციტის შევსება, წინა ათწლეულებში დამკვიდრებული სტალინური ტროპების გარღვევა და ქართული მწერლობის ცხოვრებისეულ რეალობასთან დაახლოება“ [26,102].

სავარაუდოა, რომ კ. ლორთქიფანიძე მოთხრობით, „გაუმარჯოს დონ კიხოტს“ გმირის ძიების პროცესშია. ვფიქრობთ, მწერალმა, ამ ნაწარმოებით, სერვანტესის „დონ კიხოტის“ მიზანმიმართული რემინისცენციის მაგალითი გვიჩვენა, რადგან მოთხრობის „გაუმარჯოს დონ კიხოტს“ პერსონაჟი, ჯაბა გურგენიძე, მსჯელობს ისე, როგორც დონ კიხოტი, ლამანჩელი იდალგოს მსგავსად, სურს იყოს სიკეთის, სამართლიანობის მსახური, ამ მხრივ, ის დონ კიხოტის იდეებს იზიარებს, მაგრამ სამყაროში შეუძლებელია ბუნებრივად იდენტური მოვლენები და ფაქტები არსებობდეს, ჯაბა გურგენიძეცა და დონ კიხოტიც, ამიტომაც, გარკვეული შტრიხებით ენათესავებიან ერთმანეთს.

მწერალმა თავისი მოთხრობით წინა პლანზე წამოსწია დონკიხოტიზმის თემა, შეეხო ისეთ მწვავე და განსასჯელ საკითხს, რომელიც ისევე შეიძლება იყოს მარადიული სამყაროში, როგორც „მწუხარე სახის რაინდის“ ნაბიჯების ხმა და მისი ზეგავლენა მსოფლიო ლიტერატურულ სახეებზე.

რომან „დონ კიხოტის“ მთავარი გმირის (დონ კიხოტი) და მოთხრობის „გაუმარჯოს დონ კიხოტს“ პერსონაჟების (ოტია ბოდოკია, ჯაბა გურგენიძე) შედარებამ შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა: მათ შორის მსგავსება - განსხვავებებია.

ოტია ბოდოკია დონ კიხოტის კონტრასტული სახეა. ჯაბა გურგენიძე კი იდალგოს რამდენიმე ნიშნით ემსგავსება:

1. ოტია ბოდოკიას აზრით, ყველაზე დიდი უბედურება ადამიანს სიყვარულმა მოუტანა. საპირისპიროს ქადაგებს დონ კიხოტი, მისთვის ეს გრძნობა ბედნიერების მომტანია, საჭიროა მოიპოვო და დაიცვა იგი.
2. სიყვარულისთვის თავგანწირვა ოტია ბოდოკიასთვის დონკიხოტობაა, დონ კიხოტისთვის - გზა სიკეთისკენ, უფლისკენ.
3. ვინმეს გამოსარჩლება არაა საჭირო, რადგან, ოტიას შეხედულებით, „მაგისტვის მილიცია არსებობს“, დონ კიხოტი უანგაროდ, სხვების დახმარების გარეშე ცდილობს დაჩაგრულს გამოესარჩლოს, მისი ცხოვრების დევიზი სწორედ ეს არის.

1. ჯაბა გურგენიძეს მიაჩნია, რომ ქვეყანას სიმტკიცეს ის ადამიანები აძლევენ, რომელთაც შეუძლიათ სიყვარულისა და მეგობრობისთვის თავგანწირვა. ასე ქადაგებს დონ კიხოტიც.
2. სიყვარულისა და მეგობრობისთვის თავგანწირვა ვისაც შეუძლია, ჯაბას აზრით, ისინი წერენ ცხოვრების დიდ კანონს. დონ კიხოტის ყოველი ქმედება, ყოველი წარმოთქმული წინადადება იმავეს ადასტურებს. „დონკიხოტობა“ ანუ სხვისთვის თავგანწირვა, თუნდაც არაფერი გამოგვივიდეს, ჯაბას აზრით, ჯობია ქმედებას ავარა ბიჭისა, რომელიც არხეინად შესცქერის, თუ როგორ აყენებენ შეურაცხყოფას ახალგაზრდა ქალს.
დონ კიხოტს (მიუხედავად მრავალი დამარცხებისა, გულგატეხილობისა) უმოქმედობას „დონკიხოტობა“ - სხვისთვის თავგანწირვა ურჩევნია.
3. ჯაბა გურგენიძე კეთილშობილურ აზრებს ისევე წარმოთქვამს, როგორც დონ კიხოტი, მაგრამ მისგან იმით განსხვავდება, რომ მისი სიტყვები მხოლოდ ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებია, არ აქტიურობს, არ მოქმედებს, დონ კიხოტის სიტყვას კი ყოველთვის საქმე მოჰყვება ხოლმე.
4. ჯაბა გურგენიძემ „სამაგიერო“ გადაუხადა ოტია ბოდოკიას, რაკი ეს უკანასკნელი განზე დგომას ქადაგებდა, მასაც უნდა გამოეცადა საკუთარ თავზე, როგორია განსაცდელში მყოფი ადამიანის მიტოვება.
დონ კიხოტი არასდროს ტოვებს ადამიანს გასაჭირში.
5. ჯაბა გურგენიძე „კეთილშობილი რაინდის“ როლს ბოლომდე ვერ თამაშობს.
დონ კიხოტი სიკვდილამდე თავისი პრინციპების ერთგული რჩება.
6. ჯაბა გურგენიძე, თავიდან, ყველაფრისადმი კეთილგანწყობილი, შემთხვევის შემდეგ ორჭოფობს: „შეიძლება ძალიან დავაშავე“. გონსმოსულ იდაღოს ეპითეტი „კეთილი“ თავიდანაც ამშვენებდა და შემდეგაც შერჩა.
7. კ. ლორთქიფანიძე მოთხრობის „გაუმარჯოს დონ კიხოტს“ პერსონაჟის - ჯაბა გურგენიძის დახატვით ეხმიანება დონკიხოტობის თემას. ნაწარმოებში შეინიშნება სერვანტესის რომანის გავლენის კვალი.

მწერალი სათაურიდანვე განგვაწყობს მსოფლიო ლიტერატურასთან კომუნიკაციისთვის, მაგრამ ნაწარმოების შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოტია ბოდოკიას, ჯაბა გურგენიძესა და დონ კიხოტს შორის მსგავსი და განმასხვავებელი ასპექტები შეინიშნება.

ტიპოლოგიურად, ძირითადად, ვ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „გაუმარჯოს დონ კიხოტს“ და სერვანტესის რომანი „დონ კიხოტი“ ემსგავსება ერთმანეთს. ორივე მწერალი რეალიზმის წარმომადგენელია, ორივე ემსახურება ჰუმანიზმის პრინციპებს.

ესპანეთის აღორძინებისა (XIV-XVI) და საქართველოს მეოცე საუკუნის ლიტერატურის პერიოდები შინაგანი კონტაქტური კავშირებით გამოირჩევა, ორივე ეპოქის მწერლობის მთავარი სათქმელია ის, რომ ზნეობრივი სფეროები გარდასაქმნელია და ადამიანურ ფასეულობებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

§3 . დონ კიხოტის ნილაზი ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში

„მარიანა“

თანამედროვეობის გამოჩენილი ქართველი მწერლის ჯემალ ქარჩხაძის (1936-1998) „პირველმა პუბლიკაციებმა საზოგადოების ძლიერი მოწონება, ხოლო საბჭოთა კრიტიკოსების მკაცრი შეფასებები დაიმსახურა“... „მწერლის სტილი მრავალფეროვანია. ეს არის ინტელექტუალური პროზა, რომელიც კლასიკური ფორმითაა გამოხატული და ლექსიკურად ძალზე მდიდარი და ექსპრესიულია. ქარჩხაძის პროზა, ერთი მხრივ, მიჰყვება თხრობის ტრადიციულ ეტიკეტს, მაგრამ, მეორე მხრივ, მკვეთრად ინდივიდუალური და განუმეორებელია. ქარჩხაძის ნაწარმოებებს ზნეობრივი მაქსიმალიზმი და უკომპრომისობა ახასიათებთ: მისი გმირები სიკეთით არიან გაჯერებულნი“...

„...ანტონიო და დავითი“, „ზეზულონი“, „იგი“, „ქარავანი“ - ეს იმ წიგნების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ახალმა თაობამ ხელახლა აღმოაჩინა და, აწ უკვე „თანამედროვე კლასიკად“ წოდებული მრავალი ადამიანის გონებასა და გულს იპყრობს“ [104].

ჯ. ქარჩხაძის შემოქმედება მრავალფეროვანია. მწერლისეული კრედოს გასაცნობად, მკვლევრები, გარდა მისი მხატვრული ნაწარმოებებისა, ასახელებენ წიგნს „შემოქმედების კანონი“, რომელშიც შესულია: „რჩეული ფრაგმენტები ... ესეებიდან და ინტერვიუებიდან. ტექსტები თემატურადაა დალაგებული და დასრულებულ სურათს იძლევა მწერლის პიროვნებისა და შემოქმედებითი კონცეფციის შესახებ“ [103].

2010 წელს ქარჩხაძის გამომცემლობამ მკითხველებს წარუდგინა მწერლის წიგნი „პუბლიცისტიკა“, „რომელშიც შესულია ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტური წერილები, ესეები და ინტერვიუები, რომლებიც 1988-1998 წლებში იყო გამოქვეყნებული ქართულ პრესაში. თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც კონცეპტუალურ ნააზრევს ლიტერატურისა და, ზოგადად, შემოქმედებითი პროცესის შესახებ, ასევე ქართული საზოგადოების კვლევას და, კერძოდ, 90-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკური

მოვლენების თანადროულ ანალიზს“[106] თუმცა, საკვალიფიკაციო ნაშრომიდან გამომდინარე, ჩვენ შემოვიფარგლებით მოთხრობა „მარიანას“ ანალიზით.

საგანგებო დაკვირვების საგანს წარმოადგენს, ამ მხრივ, მწერლის კიდევ ერთი ნაწარმოები „ბიძაჩემი იონა“. ამჯერად, მას მოვუხმობთ პარალელების გასავლებად.

მკვლევარი ლელა მირცხულავა მიიჩნევს, რომ პოსტმოდერნისტი მწერლის, ჯ. ქარჩხაძის პროზაში „ქრონოტიპი და ორმაგი ფინალია“ ასახული, ის თხრობის ტრადიციულ ეტიკეტსაც მიუყვება და „მკვეთრად ინდივიდუალურიცაა“, მის ნაწარმოებებში „ასოციაციებითა და ქვეტექსტებით დატვირთული „სივრცეებია“ [27, 117].

ოცნებები და ილუზიები, წარმოსახვითი სამყარო გაუქარწყლდა, დონ კიხოტის მსგავსად, ჯემალ ქარჩხაძის ნაწარმოებ „მარიანას“ პერსონაჟს - გუცას, მაგრამ მის სახეში ქვეტექსტებსა და ასოციაციებსაც ვხვდებით.

„მარიანა“ 1974 წელს დაიწერა. 70-იანი წლების მეოცნებეთა გალერეის პატარა წევრს, გუცას, თავისი უხეში თანადროულობიდან გასაქცევ საშუალებად ჯერ წიგნების კითხვა, მერე კი წარმოსახვა მიაჩნია. მწერალს მორიდებული გუცა თანასოფლელ ბავშვებთან ერთად შემოჰყავს ნაწარმოებში, ისინი დგანან საავტომობილო გზაზე და ხილს ჰყიდიან. გოგონა ოცნებობს, ატამი გაყიდოს, სახლში დედას ფული მიუტანოს, გასამრჯელოდ კი მისგან კინოში წასასვლელი თანხა მიიღოს, ან ფრანგი რომანტიკოსი მწერლის, ვიქტორ ჰიუგოს (1802-1885) რომანის „კაცი, რომელიც იცინის“(1869), კითხვა განაგრძოს.

გუცამ ერთხელაც წარმოიდგინა, რომ მთელი კალათა ხილი გაყიდა, დაბრუნდა შინ და კითხვა განაგრძო. ოცნებებში ჩაძირულს, მუჯღუგუნე ჰკრეს, სანამ გამოერკვეოდა, მანქანა დაიძრა, თურმე, მისი თანატოლები ვაჭრობას მორჩნენ. ვიღაცამ იხუმრა: „გუცა ჯერ ტკბილ სიზმრებშია“, მაგრამ, მალე, ერთ-ერთმა მგზავრმა არჩია, მისი ატამი ერთიანად ეყიდა. მყიდველი ლევან ქართველიშვილად გაეცნო. მან გოგონას სახელი ჰკითხა. მარიანა მქვიაო უპასუხა და ამ თავისივე მოულოდნელი გამოგონებით გუცა პირქუში რეალობიდან სხვა სამყაროში გადასახლდა, პირველი დღე სხვად ქცევისა და ოცნების მხედართან, ქართველიშვილთან, შეხვედრისა იყო, ისიც სულ რამდენიმე

წუთით. ეს იყო მოგზაურობა სინამდვილიდან წარმოსახვამდე. მის არსებაში ხილვები, განცდები მონაცვლეობდნენ, მერე გუცა-მარიანას გაუჩნდა წარმოსახვისა და სინამდვილის მონაცვლეობის „ფორმულა“. გოგონა გაექცა თავის ნამდვილ სახელს, ატმის გამყიდველი, რეალობის წინაშე მორცხვად მდგარი ვაჭრისას და მოულოდნელად გამოგონილ მარიანას ამოეფარა.

მას დასცინეს ისევე, როგორც დასცინოდნენ დონ კიხოტს, ირგვლივ მყოფნი.

არსებული მდგომარეობიდან გაქცევის მსურველი დონ კიხოტი შვებას კითხვაში პოულობს, რომელმაც მალე გონება აურია და მოგზაურად აქცია.

წარმოსახვებით, ქუჩის „საზოგადოებასა“ და ერთფეროვნებას გაურბის მარიანა, მას უყვარს ლიტერატურა, ისიც ოცნებებში მოგზაურობს.

ჯემალ ქარჩხაძე ნაწარმოებში ქვეტექსტებს გვთავაზობს, მინიშნებებს მიმართავს. მაგალითად, როგორც უკვე ვახსენეთ, გუცაზე ნაწარმოებში ვკითხულობთ, რომ მას სურს მალე გაყიდოს ხილი და ვიქტორ ჰიუგოს წიგნის კითხვას დაუბრუნდეს. ნაწარმოები „კაცი, რომელიც იცინის“, მოგვითხრობს XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის ინგლისის მონარქიის თვითნებობასა და სისასტიკეზე, არისტოკრატიაზე, რომლებიც უმსგავს ფეოდალურ ტრადიციებს მფარველობდნენ.

მთავარი გმირი ინგლისელი დიდგვაროვნის ლორდი კლენჩარლის შვილია. რომელიც მეფის ბრძანებით მოიტაცეს ორი წლის ასაკში და ისეთი ოპერაცია გაუკეთეს, რომ სახეზე სამუდამოდ დარჩა გაცინებული ადამიანის გამომეტყველება. როდესაც გუინპლენი გაიზარდა, ის, ურსუსი და დეა ქალაქ-ქალაქ დადიოდნენ და წარმოდგენებს მართავდნენ. ხალხისთვის საკმარისი იყო მისი სახისთვის შეეხედათ, რომ მაშინვე მხიარულებას მიეცემოდნენ.

ჯ. ქარჩხაძემ მიგვანიშნა, რომ გუცა კომპრაჩიკოსების მსხვერპლის ბედით დაინტერესდა. დანაშაულებრივი ჯგუფები იტაცებდნენ ბავშვებს, სრულყოფილ სახეს უმახინჯებდნენ, შემდეგ კი ყიდდნენ მასხარებად, აკრობატებად და ა.შ. პატარები საშემოსავლო საშუალებად ჰყავდათ გადაქცეული.

კომპრაჩიკოსებზე არსებული მასალები მწირია. თითქოს ისტორია, ინტერნეტსივრცე და წიგნები საგანგებოდ სდუმან მათს სამარცხვინო, საშინელ ქმედებებსა და ფაქტებზე.

კომპრაჩიკოსები ბრბოს წარმოადგენდნენ.

„Компрачикосы (от. исп.- comprachicos- покупатели детей) в Испаний, Англии, Германии, Франций XIII-XVII вв. преступные сообщества, занимавшиеся похищением и куплей – продажей детей. Изуродовав физически детей, они продавали их в качестве шутов, акробатов и.т.п.“ [123].

„მარიანაში“ ვკითხულობთ: გუცა ფიქრებიდან მაშინ გამოერკვა, როცა მანქანა წავიდა, არადა სურდა ჩქარა გაეყიდა ატამი და ისევ კითხვა განეგრძო. ინსტინქტურად ვგრძნობთ, რომ ბავშვობაწართმეული, სხვად ქცეული პერსონაჟის, გუინპლენის („კაცი, რომელიც იცინის“) ბედი აინტერესებს. პერსონაჟისა, რომელიც საზარელი ეპოქის მსხვერპლია. გუცასაც თავისი ეპოქა აიძულებს, იდგეს გზაზე და ჯამით ხელში ელოდოს, როდის გამოივლის მყიდველი, რათა აბუზღუნებულ დედას ფული მიუტანოს, მერე კი ისევ მას, თავისივე ნავაჭრი თანხით, სთხოვოს კინოში გაშვება. გოგონას არც კითხვის დრო აქვს.

გუცა-მარიანას არ მოსწონს ძველი XIII-XVII საუკუნეებში, უცხოეთში, კომპრაჩიკოსების მიერ ჩადენილი ამბები, არც თანამედროვე „კომპრაჩიკოსების“- თავისი დროის ეპოქა მოსწონს და გუცადან მარიანად გადაქცევის სურვილიც, ალბათ, ამან დაბადა.

დონ კიხოტიცა და მარიანაც წარმოსახვით სამყაროში ცხოვრობენ, დროებით. ბოლოს, ორივე ილუზიების ტყვეობიდან აღწევს თავს და რეალობას უბრუნდება. დონ კიხოტი, ძველებურად, ალონსო კიხანაა, მარიანა კი - ისევ გუცა.

გუცა-მარიანას აკვიატებული სიტყვები: „ციდან ეშვებოდა წვიმის წვეთები...“ მისივე განცდებითა და მღელვარებებით აღსავსე შინაგან სამყაროს გვიჩვენებს.

მკვლევარი ლ. ბრეგაძე („ქვეტექსტის ფუნქციისა და ფუნქციონირებისათვის“) აღნიშნავს: „ლაიტმოტივურ გამეორებებზე დაფუძნებული ქვეტექსტი („შინაგანი თემა“) მოვლენების ეპიზოდებს შორის იდუმალ კავშირზე მინიშნებას ემსახურება“ [73].

თავიდან, გუცასთვის, ჯერ ოცნების კომპის კარები იღება ფართოდ, იქიდან ზღაპრული, ჯერაც გამოუცნობი, ულამაზესი სამყარო იმზირება, მერე, გზისპირას, მღელვარებით აღსავსე წუთებში, ქართველიშვილს ელოდება; მან უნდა გამოიაროს და იმ კომპში შეუძღვეს, მესამედ კი... ატმით სავსე ჯამით, გულის ბაგაბუგით გადარბის გზაზე, იცნო მანქანა, მან კი კინალამ იმსხვერპლა: „ფეხებთან ჯამის ნამსხვრევები ეყარა“, ოცნების კომპები დაინგრა. რეალობისა და სინამდვილის კონფლიქტი გუცას ყოფილი სამყაროსკენ აბრუნებს ისევე, როგორც ციდან შხაპუნით, სამყაროს მაცოცხლებლად დაშვებული წვიმის წვეთები ბრუნდებიან უკან, მარადიულად.

დონ კიხოტი, ვასიკო, ჩორეხი, გრიშა, გუცა-ყველანი წიგნების კითხვით, ლიტერატურის სიყვარულის მეშვეობით, თავს აღწევენ ირგვლივ გამეფებული უფერული გარემოდან, მწარე სინამდვილიდან. ისინი წიგნებში პოულობენ განსხვავებულ სამყაროს.

„რა თქმა უნდა, უფრო მდიდარი და შთამბეჭდავია ფანტაზიის ის ქმნილებები, სადაც სამყარო გარდაისახება კაცობრიობის სანუკვარ ჰარმონიულ იდეალებად. მომხიბვლელია იმგვარი სახეებიც, რომელნიც გამოხატავენ ადამიანის ყოფიერების ჭეშმარიტ საზრისს, მის უტყუარ ფორმას - მათ ხშირად ვერ ვამჩნევთ ცხოვრების ორომტრიალში“... [34, 115]. ასევე, არ გვესმის ფიქრიანი, გულჩათხრობილი, მორცხვი ადამიანების განცდით სავსე შინაგანი მონოლოგები.

გუცა - მარიანას ფიქრებისა, რასაკვირველია, არავის ესმის. თუკი XIX საუკუნის ქართულმა მწერლობამ შინაგანი ხმა სხვადასხვა ფორმით წარმოგვიდგინა (ბარათაშვილის („ხმა იდუმალი-1836“) ლირიკული გმირი ძიების პროცესშია, ვაჟა-ფშაველას პერსონიფიცირებული სინდისი („სინდისი-1913“) ფარ-ხმალს ყრის დედამიწაზე გამეფებული უმსგავსოების გამო და უფალს დახმარებას სთხოვს, დაატოვებინოს მიწიერი სამყარო), XX საუკუნეში - ეს ადამიანის არსებაში მომწყვდეული ამბოხია (ჯ. ქარჩხაძის „მარიანა“).

ჯ. ქარჩხაძის გუცა - მარიანას არ მოსწონს „ქუჩის მეგობრები“, არც დედის დაუსრულებელი საყვედურები. მწერლის თქმით, თუ იღბლიანი დღე არ დაუდგებოდა, ნახევარი კალათი ატამი უკანვე მოჰქონდა და კინოს ფულის გასამრჯელოდ დედის

ლანძღვა-გინებას იღებდა. ქალს უკვირს შვილის მოუხერხებლობა, ასეთი უნიათო ვის დაემსგავსეო, მერე კი „რჩევას“ აძლევს, გაძრომაც უნდა იცოდე ახლა შენ და გამოძრომაცო. ამგვარ მდგომარეობაში მყოფი მარიანა - გუცა შინაგან მონოლოგთან, თავის რვეულებთან, დღიურებთან რჩება მარტო. ერთხელაც, ფიქრების ლაბირინთს დროებით დააღწია თავი, ლევან ქართველიშვილთან პირისპირ შეხვედრისას, თითქოს, სხვა სამყაროში აღმოჩნდა, მან „მშვენიერი ბავშვი“ უწოდა. ჯ. ქარჩხაძემ მიგვანიშნა, რომ გოგონას აღფრთოვანება დროებითი იყო. მეორედ, როცა ქართველიშვილის მანქანისკენ გაექანა, გუცა-მარიანა, შეშინებულ, გაბრაზებულ მძღოლს მხოლოდ სალანძღავი სიტყვა აღმოხდა, ლევან ქართველიშვილმა კი „აზრგამოცლილი მზერით“ მხოლოდ წამით შეხედა გუცას, დაამთქნარა, თვალები დახუჭა და მანქანის საზურგეს მიესვენა. ჰიუგოს რომანი, გუცას, სპეციალურად დამახინჯებული, ბავშვობაწარმეული ადამიანის ისტორიას უყვება, მერე მოულოდნელად, აღმოაჩინა, რომ თვითონ „პირველყოფილი სილამაზისა“ იყო და ამას სხვები ამჩნევდნენ, ქართველიშვილის ფსიქოლოგიური ზეგავლენის ქვეშ მყოფს იმედები მალე გაუცრუვდა და წარმოსახვითი სამყარო სადღაც გაქრა, გუცას ფიქრების კონტურზე ისევ გუინპლენის აჩრდილი გამოისახა.

„ფსიქოლოგიური გავლენა იწვევს ადამიანის განცდების, შეხედულებების და სხვა ფსიქიკური პროცესების შეცვლას. ყველა ამ ცვლილებას, ჩვენი აზრით, საფუძვლად უდევს განწყობა, რომელიც ადამიანს ყოველი ქცევის წინ მზაობის სახით უყალიბდება“ [33,12]. ლიტერატურის, კითხვის, ფსიქოლოგიური გავლენის ქვეშაა მოქცეული დონ კიხოტიც, მან „პირდაპირი ზეგავლენის“ ქვეშ მოაქცია თავისი საჭურველმტვირთველი, სანჩო პანსა.

„პირდაპირი ზეგავლენა არის ერთი ადამიანის აზრით, ქცევით, ემოციით მეორეზე ზეგავლენა იმ მიზნით, რომ მან შეიტანოს ცვლილებები თავის ქცევაში“ [33,12], გუცა-მარიანას შემთხვევაშიც ასე მოხდა, ქართველიშვილთან შეხვედრამ გოგონა რეალურ სამყაროს მოსწყვიტა.

გ. დოჩანაშვილის მოთხრობის პერსონაჟი ვასიკოც, თვითონ ლიტერატურის გავლენის ქვეშ მოქცეული, კლიმზე ახდენს ზეგავლენას. ასევე შალვა (გ. დოჩანაშვილის „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება...“) ცდილობს გერასიმეზე

მოახდინოს ზეგავლენა, მას შეაყვაროს სამშობლო, მისი სილამაზე, ყოველდღიურობა, უფრო თვალნათლივ დაანახვოს...

გ. ლეონიძის ჩორები („ჩორები“) ჯ. ქარჩხაძის გუცა („მარიანა“), გ. დოჩანაშვილის გრიშა („იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი ანუ გრიშა და მთავარი“), ვასიკო („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“) ლიტერატურული ნაწარმოებების აქტიური მკითხველები არიან. მათ, ყველას, კითხვისადმი სიყვარული და სიკეთისკენ სწრაფვა აერთიანებთ.

ჯ. ქარჩხაძემ ეპოქით უკმაყოფილო საზოგადოების მხატვრული სახეები სხვა ნაწარმოებებშიც წარმოაჩინა, საზოგადოებას ზოგჯერ, მხსნელი, „საჭირო კაცი“ გამოუჩნდება ხოლმე. მას მინდობილი ხალხი ილუზიებში ეხვევა. ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „ბიძაჩემი იონას“ მოქმედი გმირი იონაც არასდროს არ მიიჩნეოდა ოჯახისა და ქვეყნისთვის სასარგებლო ადამიანად, მაგრამ, მოულოდნელად, ისევე აღმოჩნდა საზოგადოების ცენტრში, როგორც მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟი, „კვაჭი კვაჭანტირაძის“ მოქმედი პირი, კვაჭი.

(„კვაჭი კვაჭანტირაძისა“ (1924) და „ბიძაჩემი იონას“ (1983) პერსონაჟები, იონა და კვაჭი, თავიანთი ეპოქის სახეს წარმოადგენენ. იონა თვითკმაყოფილი, მიამიტი, მორჩილი, უმოქმედო საზოგადოების ცენტრში მოქმედებს, კვაჭის მსგავსად, ცდილობს მოირგოს კეთილშობილი ადამიანის ნიღაბი).

ჯემალ ქარჩხაძემ მოთხრობა „ბიძაჩემი იონას“ ქვეტექსტით მიგვანიშნა (ისევე როგორც „მარიანაში“), რომ მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან ხელოვნების განვითარებაში დაწყებული შეფერხებები იმდროინდელი მთავრობის იდეოლო-გიური დიქტატის გამო, როცა ყველა მწერალს ევალებოდა სოციალისტური რეალიზმის რელსებზე მდგარიყო, ისევ გრძელდებოდა, ამიტომაც ილუზიებში გახვეული, რაღაც სიახლის მომლოდინე, ზოგჯერ კი თვითკმაყოფილი პერსონაჟებისა და საზოგადოების დახატვა დაისახა მიზნად მწერლობამ.

„ბიძაჩემი იონას“ პერსონაჟი „მე“ (მოთხრობელი) შინაგანი მონოლოგითა და პაროდული განწყობით გვიჩვენებს ხელოვნურობის, სიყალბისა და მოჩვენებითობის მორევში ჩათრეული საზოგადოების უსუსურობას, რომელსაც იონა კამკამიძე მართავს.

მარიანას საზოგადოებაც ასეთია. ისინი კონტრასტულები, მაგრამ მეოცნებეებიც არიან, ერთი მხრივ - მარიანას, მეორე მხრივ - იონა კამკამიდის საზოგადოება).

„მწერალი განახორციელებს საყოველთაო მისწრაფებას. ამ დროს ის გამოხატავს არა მარტო საკუთარ სამყაროს, არამედ - იმ ადამიანთა სულიერ ლტოლვებსაც, ვისაც არ ძალუძს ან არ ეხერხება თვითგამოხატვა“ [34, 115].

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ დასახელებული პერსონაჟებიც თავიანთ სულიერ სამყაროს ლიტერატურულ ნაწარმოებებში პოულობდნენ.

კითხვა ხელს გვიწყობს ჩავწვდეთ ჭეშმარიტებას, მივხვდეთ, რომ ადამიანები, პერსონაჟები, ქვეყნები, თუ დავაკვირდებით, რაღაც ნიშნებით, ხასიათებით, მისწრაფებებით ერთმანეთს ჰგვანან.

დონ კიხოტი გამორჩეული მკითხველია, მწერლის თანაშემოქმედი და, პირიქითაც, სერვანტესის ცხოვრება თავისი პერსონაჟების იდენტურია. ვიცით, რომ მკითხველის მიერ ტექსტის აღქმის პირველ საფეხურს ზოგჯერ რეალური სინამდვილიდან მკითხველის გამოთიშვა და მისი ცნობიერების მხატვრულ სინამდვილეზე გადართვა წარმოადგენს.

წარმოსახვითი სინამდვილე, მომავლის კადრებია, ეს სასურველის მიღწევის, დანახვისა და განცდისკენ მიმავალი გზაა, რომელსაც მიუყვება დონ კიხოტი სანჩო პანსათი, ვასიკო კეჟერაძე კლიმით („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“), ელიოზი და ჩორეხი (გ. ლეონიდის „ნატურის ხე“), მარიანა-გუცა (ჯემალ ქარჩხაძის „მარიანა“).

ჯემალ ქარჩხაძის მარიანა კეთილშობილია. ავალებენ საარსებო საშუალება გამოუნახოს ოჯახს, ისიც ემორჩილება დედის მოთხოვნებს, თან ჩქარობს, ამ საქმიანობის შემდეგ, წიგნის კითხვა განაგრძოს.

კითხვამ და ქართველიშვილთან შეხვედრამ თუკი გოგონა სხვა, წარმოსახვით სამყაროში გადაიყვანა, ცხოვრებამ ისევ რეალობას დაუბრუნა, როგორც დონ კიხოტი.

ქართველიშვილმა დააფასა გუცას (მარიანას) „პირველყოფილი სილამაზე“, გოგონა დროებით მოწყდა კომპრაჩიკოსის მიერ დამახინჯებული ჰიუგოს პერსონაჟის სამყაროს, ქუჩაში ატმით ხელში დგომასაც სხვა ელფერი მიეცა, მან ჩათვალა, რომ ცხოვრობს ისეთ

ქვეყანაში, სადაც მას და მის თანატოლებს შეამჩნევენ, პიროვნული და გარეგნული ღირსებები დაფასდება, არც ძველი ეპოქები შეაწუხებენ უსიამოვნო მოგონებებით და არც თანამედროვეობა იქნება ისეთ შეჭირვებულ ყოფაში, რომ პატარებს დასჭირდეთ წანწალი ქუჩა-ქუჩა, რათა ოჯახებს მცირედით მაინც გაუწიონ დახმარება. ამაზე მისი გარდასახვა მეტყველებს.

გუცა - მარიანას თანატოლებიც არ არიან დალხენილი ოჯახების შვილები, მაგრამ მათ მეტი მხიარულება შეუძლიათ, ისინი ისე არიან გაწაფულნი და მოხერხებულნი ქუჩის საქმიანობით (ხილის გაყიდვით), რომ ოცნებებში გართულ გოგონას დასცინიან მყიდველების შეუმჩნევლობისა და მოუხერხებლობის გამო.

ავტორი, ჯ. ქარჩხაძე, ქვეტექსტებით მიგვანიშნებს, რომ საზოგადოება არაერთგვაროვანია, ის ქართველიშვილისნაირი და გუცა - მარიანას მსგავსი ადამიანებისაგან შედგება. ქართველიშვილი თვითკმაყოფილი ადამიანების სახეა, გუცა კი თავის ამხანაგებთან ერთად, ალბათ, ეკონომიურად შეჭირვებულებისა (ბავშვები მხოლოდ ერთხელ გამოდიან ყოველდღიურად, ხილის გასაყიდად, ე.ი. მოსავალი მცირე აქვთ).

გუცას არ სურს ვაჭრობა, მისთვის ყველაზე ძვირფასი თავისუფლებაა, მაგრამ ცხოვრების პირობები ამის საშუალებას არ აძლევს.

გუცა-მარიანა მეოცნებეა, როგორც დონ კიხოტი; მასავით მოწყვეტილია რეალობას, შვებას კითხვაში ჰპოვებს, წაკითხულს კი, განიცდის, როგორც რეალობას, რომელიც ასოციაციურად მასაც უკავშირდება. მანაც ისევე გადაირქვა სახელი, როგორც ლამანჩელმა იდალგომ და რეალობას ისევე გულგატეხილი უბრუნდება, როგორც დონ კიხოტი.

ჯემალ ქარჩხაძის „მარიანას“ კვლევისას შემდეგი ასპექტები გამოიკვეთა:

ჯემალ ქარჩხაძის მარიანა (გუცა) ვერ ახერხებს თავის დამკვიდრებას გზისპირა „საზოგადოებაში“, მისთვის ოჯახიც, დედაც „დედინაცვალია“, არ შეუძლია ვაჭრობა. მას ანუგეშებს კითხვა და თავისუფლების მოლოდინი. მწერალი მიგვანიშნებს, მიუხედავად იმისა, რომ ლევან ქართველიშვილმა „ალიარა“, მარიანა - გუცას სილამაზე და, თვითკმაყოფილს, წარმატებულს, შემდეგ გოგონა არც გახსენებია, გუცას მაინც

არსებულ სინამდვილეში სული უმახინჯდება. მას არ სურს იყოს ის, ვინც არის და ინსტინქტურად, როცა სახელი ჰკითხეს, მარიანად გარდაისახა. მისი მეტამორფოზა, სულ რაღაც ორ დღეში, ასე წარიმართა: გუცა - მარიანა - გუცა. ოცნებებიდან ისევ საწყის მდგომარეობას, რეალობას უბრუნდება. მარიანა - გუცა, ავტორის - ჯ. ქარჩხაძის მინიშნებით, ეპოქით უკმაყოფილო პიროვნების სახეა.

გუცა - მარიანას სახე, საბოლოოდ ასე გამოიკვეთა:

გუცა ეპოქით უკმაყოფილო, თავისუფლების მოყვარული, უნიადაგო მეოცნებეა, რომელიც მოწყდა რეალობას. მას კითხვის სიყვარულმა, კონკრეტულად, ერთმა წიგნმა (ვიქტორ ჰიუგო „კაცი, რომელიც იცინის“) და რეალობამ, რომელშიც თვითონ ცხოვრობს, უჩვენა, რომ აწმყო უხეშია და საჭიროა მომავალში გადასახლდეს. ეგონა, რომ ეს ლევან ქართველიშვილთან შეხვედრის მერე მოხდებოდა. ილუზიით შეპყრობილს, ხელთ დამსხვრეული ჯამი შერჩა. მარიანა ამქვეყნად ყველა ბავშვის ბედითაა შეწუხებული, ამაზე მწერალი ვ. ჰიუგოს რომანით მიგვანიშნებს, გუცა ინსტინქტურად მსგავსებას პოულობს ეპოქებით ერთმანეთისგან დაშორებულ (მე-17 საუკუნის დასასრულისა და მე-18 საუკუნის დასაწყისის ინგლისის ყოველდღიურობა და მე-20 საუკუნის საქარ-თველოს ცხოვრება) მოზარდების ბედს შორის.

სერვანტესის „დონ კიხოტის“ მთავარი გმირი სარაინდო წიგნების კითხვის შემდეგ იწყებს მოგზაურობას, რათა ისიც მომავალში, სხვებთან ერთად, კეთილმოწყობილ საზოგადოებაში გადასახლდეს. ისიც მისწრაფვის თავისუფლებისაკენ, მასაც არ მოსწონს თავისი აწმყო და ისიც ილუზიით შეპყრობილი, სახელგადარქმეული, უბრუნდება საწყის მდგომარეობას. მისი მეტამორფოზაც, ისევე როგორც გუცა- მარიანა - გუცასი, ასეთია: „სენიორ კეხანა“ - დონ კიხოტი - ალონსო კიხანა.

**§4. დონკიხოტური სიკეთე და ოცნება - გურამ დოჩანაშვილის
პერსონაჟების იდეალი („მხიარული ბორცვი“, „კაცი, რომელსაც
ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, „ვატერ(პო)ლოო
ანუ აღდგენითი სამუშაოები“)**

XX და XXI საუკუნეთა მიჯნა ძველი და ახალი თაობების დაპირისპირების სურათს ქმნის. ძველი-საბჭოთა იდეოლოგიით მოქმედებდა, ახალი-ტრადიციების რღვევისკენ მიაბიჯებდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ეწინააღ-მდეგებოდნენ ძველს, მაგრამ ვერც ახალს უწყობდნენ ნაბიჯებს. მიიჩნევენ, რომ ლიტერატურული ნაწარმოებების სიახლე, კრიზისი და ხარისხიც ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ძვრებმა გამოიწვია, 90-იან წლებამდე და შემდგომაც. საქართველომ ცვლილებების, ღირებულებათა გადაფასების რთული პერიოდი გაიარა.

90-იან წლებში ქართულ მწერლობაში მოსულ თაობას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: „დაკარგული“, „ომისშემდგომი“, „პოსტსაბჭოთა“. იმ სულიერმა კრიზისმა, რაც გამოიწვია XX საუკუნის დასასრულის პოლიტიკამ, ეკონომიკამ, მწერლობას მიზნად დაუსახა ყურადღება ყოველდღიური სოციალური, სულიერი პრობლემებისკენ მიეპყრო. ლიტერატურას, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, უნდა აესახა სამართლიანობის, სიკეთისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეპოქა დონ კიხოტის მსგავსი პერსონაჟების შექმნასაც გვპირდებოდა. რეალური სივრცე მწერლობას აქეთკენ უბიძგებდა. ხშირად აღნიშნავენ, რომ ქართულ კულტურულ სივრცეში ყველა ლიტერატურულმა დაჯგუფებამ, ასოციაციამ, ჟურნალმა და გაზეთმა ვერ აიღო ერთი გეზი, რადგან ერთიანი ლიტერატურული სივრცე დაიშალა და დაქუცმაცდა. ლიტერატურულმა დაჯგუფებებმა წარმოაჩინეს ქვეყნისთვის თავდადებული რაინდი - პერსონაჟები და სწორედ ასეთ დროს, გამოიკვეთა დონკიხოტური სულისკვეთების სახეები, ზოგიერთი შემოქმედის ნაწარმოებებში.

მიგელ დე სერვანტეს საავტორო თავისი უკვდავი „დონ კიხოტი“ თუკი შუა საუკუნეების სარაინდო რომანების პაროდიად წარმოაჩინა, მე-20 საუკუნის ქართული

ლიტერატურისათვის დონკიხოტური შტრიხები, ალუზიები და ხასიათები, გარკვეულ შემთხვევებში, ეპოქის ერთგვარ პაროდირებას წარმოადგენს. ქართველ მწერალთა მიერ შექმნილი დონ კიხოტის არქეტიპები, რომლებიც ტიპოლოგიურად ემსგავსებიან მარადიულ სახეს, ისევე იბრძვიან თავიანთი ქვეყნის, საქართველოს გაკეთილშობილებისათვის, როგორც ესპანური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლის, სერვანტესის დონ კიხოტი იბრძვის ესპანეთისთვის.

დონ კიხოტი, მართალია, უნიადაგო მეოცნებეა, მაგრამ ის აფხიზლებს ჩაძინებულ, თვითკმაყოფილ საზოგადოებას, ყველას მოქმედებისკენ მოუწოდებს, ის გვიჩვენებს, რომ თუკი ხან ბრძენ, ხან სულელ იდაღოსაც კი, კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ქვეყანას სხვა, უფრო აქტიური, უფრო კეთილშობილური ქმედებები სჭირდება, ნორმალურად მოაზროვნე საზოგადოების მოწინავე ნაწილს, უფრო უკეთ უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული საქმის არსი.

ქართულმა მწერლობამ დონ კიხოტის მსგავსი, ტიპური პერსონაჟების შექმნით „სარკის“ ფუნქცია იკისრა, რათა ყველას ჩაეხედა, გაეანალიზებინა, უკეთ დაენახა სიმართლე. ქართულ ლიტერატურაში, შემოქმედთა მიერ, დონ კიხოტის, რეალური და ილუზიური, წარმოსახვითი სამყაროს მქონე პერსონაჟის, არქეტიპით ინსპირირებული სახეები შეიქმნა. სამყაროს ამგვარი ეკლექტიკა ქართული რომანისთვის დამახასიათებელია. მკვლევარ ნ. კუციას თქმით, „რეალური და წარმოსახული გურამ დოჩანაშვილის რომანში (იგულისხმება „სამოსელი პირველი“ - ლ. გ.) ისევე, როგორც ყოფიერებაში, ლამის გაუმიჯნავია“ [20, 90].

გ. დოჩანაშვილის რომან „სამოსელი პირველის“ პერსონაჟი დომენიკო მოგზაურია, წარმოსახვითი გზებით: „გადის უუნათლეს, უძნელეს გზას - მაღალსოფლიდან - მაღალსოფლისაკენ, მამის მარადი, მხსნელი წიაღიდან - მამის მხსნელი წიაღისაკენ [20,63].

„თავად დომენიკოს სულს სჭირდება ეს იდუმალი აღმასვლა, წუთისოფლის თონეში გამოცხოვა“ [20, 63].

სერვანტესის გმირი, დონ კიხოტიც, წარმოსახვებით, ილუზიებით იწყებს მოგზაურობას და ბოლოს, ისევ უკან უბრუნდება რეალურ გარემოს. მისი მიზანიც

სიკეთის მსახურებაა. სიკეთე და სიყვარული კი „მამა“, ღმერთია. დონ კიხოტის გზამ „წუთისოფლის თონეში“ არაერთი თაობა „გამოაცხო“.საყოველთაოდ ცნობილია,რომ დონ კიხოტი სამართლიანობის დამყარებისთვის იბრძვის, მან შედეგს უნდა მიაღწიოს.

ესპანური ლიტერატურის თვალსაჩინო ნაწარმოებ „დონ კიხოტის“ მთავარ გმირს ენათესავებიან გ. დოჩანაშვილის გმირები,მისი კრებული „კეჟერაძეები“ (2005) ოთხ სხვადასხვა მოთხრობადაა წარმოდგენილი: „იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი“ (1969), „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ (1973), „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება ანუ მესამე ძმა კეჟერაძე“ (1978), „ცალ-ცალკე და ერთად“ (1983-84). ჩამოთვლილი ნაწარმოებების მთავარი გმირები ძმები არიან. მათ აერთიანებთ ერთი სათქმელი, უნდა გვიყვარდეს საქართველო, ლიტერატურა, ადამიანი, უნდა ვზრუნავდეთ თითოეულის სრულყოფისათვის. ისინი ამალღებულისა და მშვენიერებისათვის იბრძვიან. მწერალი „...დონ კიხოტშიც (ლიტერატურის გამორჩეული ძალმოსილების დასტურად სერვანტესის ამ რომანს მოიხმობდა ხოლმე - მწერლობას და მხოლოდ მწერლობას შეუძლია პერპეტუუმ მობილეს შექმნაო) ამ ცნებებს მიაკვლევდა, როგორც მთავარი გმირის ხასიათისა და რომანის სტილისტიკის განსასაზღვრავად. სხვას არავის გაემახვილებინა ყურადღება ამ მხრივ, მაგრამ გურამ დოჩანაშვილი საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა და ესეისტის ოსტატობით წარმოაჩენდა „დონ კიხოტის“ მარადმფეთქავი ძარღვის ამ მამოძრავებელ ტრიადას რომანში „ლოდი, ნასაყდრალი“ [56, 5]. მარადიული მოგზაური - ლამანჩელი იდალგო ყველა დროის საუკეთესო მწერლად აღიარებული დატაკი გენიოსისა და ხეიბრის, სერვანტესის, მიერ შექმნილი ლიტერატურული სახე, მოგზაურობას განაგრძობს...

ამბობენ, პოპულარობით ავტორს გადააჭარბაო...

ის ყველა ქვეყნის ხალხთათვის ახლობელია ხასიათის თვისებებით. შორია სერვანტესის ეპოქამდე, მაგრამ „სიახლოვის სიშორე“ (გალაკტიონი), სულთა კავშირი, მარადიულად ხიბლავს ყველა იმათ, ვინც ერთხელ მაინც ზიარებია მისი უკვდავი რომანის სტრიქონებს.

ეროვნული კლასიკური მწერლობის არსებობა შეუძლებელია მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან კავშირის გარეშე.

„მხიარული ბორცვი“ (1969). მოთხრობაში „მხიარული ბორცვი“ მოხრობელი პერსონაჟიცირებული სიმართლე, გვამცნობს, თუ როგორ გაგზავნა თავისმა მბრძანებელმა იგი ისპაჰანში, დავალებები მისცა, მერე კი ზურგი აქცია. სიმართლე ხომალდს აედევნა.

„... ხანდახან სინამდვილესაც მეძახიან, მაგრამ ეს სახელი, სიმართლე, უფრო მომწონს, მე - სიმართლე ვარ, ყველგან მოარული, მოხეტიალე, უჩინარი მოწმე, ყოველივეს დამნახავი მაწანწალა...“ [14, 118].

ხომალდზე ბენ იჯნპალი თანამოსაუბრეს „ჭეშმარიტებაა, ჭეშმარიტებაო“, ის გაპერსონაჟებული სიმართლის მბრძანებლის, ჭეშმარიტების, სახელით დაეთანხმა მას.

მოწყენილობაა, მგზავრებს სადღაც „გულის კუნჭულში მიმალული დაღუპვის შიში აქვთ, მაგრამ მაინც თავაზიანად მასლაათობენ. ისპაჰანში სიმდიდრით განთქმული ბენ იჯნპალი აღნიშნავს: „სიმართლე რომ ითქვას, ხომალდზე არა ცხელა“, იქვე მდგარი ასისტავი კი კვერს უკრავს: „ჭეშმარიტებაა, ჭეშმარიტება“...

სიმართლე ცას, მზეს, ღრუბლებს ათვალეირებს, მბჟუტავი ვარსკვლავების დანახვა აფიქრებინებს: „მე რომ სიმართლე არ ვყოფილიყავ, შეიძლება ისეც კი მომჩვენებოდა, თითქოს ცაზე დამსხვრეული მზე მიმოზნეულაო, მაგრამ მე არა მქონდა ამის უფლება და მხოლოდ ის მიკვირდა, ამ შორეულ და ამოუცნობ, მაგრამ მიწიდან მაინც ერთნაირ კაშკაშს როგორ დაარქვეს ადამიანებმა ისეთი განსხვავებული სახელები, როგორიცაა მეეტლე, ქალწული, ღრიანკალი...“ [14, 118].

უხილავი სიმართლე ანმიდან მსუბუქად ჩამოცურდა და ხომალდის პაწია ოთახები შემოიარა. მას უყვარს ადამიანების დათვალეირება, პირველი ძილით მიყუჩებულებისა. დააცქერდა მოქანცულ მეზღვაურს: „... მართალი დაღლილობით გარუჯულ სახეზე და ამ კუთვნილი ძილით მოხიბლული, მის საწოლთან კარგა ხანს ვტივტივებდი და მძიმე ჰაერი ჩემითაც გაიჟღინთა“ [14, 119].

ამის შემდეგ, სიმართლე ბენ იჯნპალის იმ ერთადერთ ვაჟიშვილს მიადგა ვის „...გამოც ამ ხომალდს დამადევნა მბრძანებელმა“, [14, 119] ზიზღით შეათვალეირა

მძინარე ასისტავი, მისმა უსიამოვნო გამომეტყველებამ: „...მღვიძარი ადამიანი მომანატრა“... საჭესთან მჯდარ, სიბნელეში ჯიუტად მაცქერალ მეზღვაურს შეეხო მხარზე, მერე კი მძინარე ადამიანთა ფშვინვითა და დაბუჟებული სახეების ხილვით გაღიაზიანებული ზღვაში გადაეშვა და მთელი ღამე დასდევდა უზარმაზარ თევზს. ქალაქი გმირთაგმირ არებ ხანს ელოდა. სიმართლე, ზევით აჭრილი, დასცქეროდა ადამიანებს. გმირთაგმირის გამოჩენაზე, ქალაქის ქუჩებში, საკრავების ხმა გაისმა, ბენ იჯნპალი მისი მეგობარი იყო. სიმართლეს კი, თეთრ ფარჩებში გამოწყობილი მისი ვაჟიშვილი აინტერესებდა, მბრძანებელმა მის გამო გამოგზავნა.

სიმართლე მოგვითხრობს, რომ არებ ხანი დაიბადა მშვიერი ადამიანების გარემოცვაში, ჭაობიან მორდოვში, მან ისპაჰანს მიაშურა, ათასჯერ იცვალა ფერი, ერთ დროს კი გაუმართლა ყველაფერში, ყოველგვარ საუკუღმართო საქმეებს ავალებდნენ და ასრულებდა. ერთხელ, გაბრაზებულმა, რუსტამ ბეგი დაითანხმა, მოეკლათ შაჰი. როცა დადგა მომენტი, თვითონ რუსტამ ბეგი მოკლა, „შეცბუნებული დარბაზის წინაშე“, „შაჰის სიცოცხლის გადამრჩენელს“ [14, 124], შემდეგ გმირთაგმირი უწოდეს. ახლა ტრიუმფით შემოდიოდა ქალაქში. შაჰი ალერსით ეკითხებოდა, თუ გიყვარვარო, ისიც მლიქვნელურად, დადებითად პასუხობდა.

სიმართლემ ვერ გაუძლო პირფერობას და ქალაქგარეთ, მინდვრისკენ გაექანა: „ისევ ამ ბალახოვან ველზე ტალღად გადასვლა მერჩია და თუ გზადაგზა ბორცვს გადავაწყდებოდი, მსუბუქად ავიჭრებოდი ხოლმე მაღლა. იმ ბორცვებს კი, რომლებზედაც სადა, ფერადი ყვავილები იზრდება, მხიარულს ვეძახი. მრავლად მინახავს მოტიტვლებული, მკვდარი ბორცვებიც, აქ კი, ისპაჰანის ახლოს, ბევრი იყო მხიარული ბორცვი და მათი ყურება თვალს მიხალისებდა“[14, 125].

სიმართლე გრძნობდა, რომ თავისი „უხილავი სხეულით“ აქ იმას გადაეყრებოდა, ვისი ნახვაც მბრძანებელს მისთვის არ დაუვალეზია, ეს იყო მაჰმუდ აალი.

„სიდ ბენ იჯნპალი სიმდიდრითა და გონიერებით მთელს სამეფოში იყო განთქმული“ [14, 126], ჰყავდა ერთადერთი მეუღლე სორეია ხანუმი, რომელიც „ნესვივით ქალი იყო, - გრილი, ტკბილი, დასაწაფებელი“ [14, 127], ჰყავდა შვილი, სახელად ნორჩი, რომელსაც მჭევრმეტყველების მასწავლებელი - მადერისი ასწავლიდა.

სიმართლე მაჰმუდ აალის დაემბდა, მას სევდიანი, მკრთალი ღიმილით აბჟუტებული სახე ჰქონდა, დაფიქრებული შესცქეროდა უსაქმურებს, ბავშვებს. მოგების წყურვილით აფორიაქებულ ქალაქში გამოირჩეოდა მშვიდი და ნაღვლიანი ღიმილით, მრავლისმეტყველი მზერა ჰქონდა, მართალი, პირდაპირი... სიმართლემ იცოდა: „...რად არ უყვარდა ისპაჰანელებს...“ [14, 135], ის სინდისივით დაიარებოდა მტვრიან ქალაქში.

მთავარმა მზარეულმა ბენ იჯნპალს სორეია ხანუმის - ცოლის უმსგავსო საქციელზე უამბო: „...თქვენ რომ წაბრძანდით, სახელოებდაკაპიწებული მეპურე ეზოში რომ გამოვიდა... თითი დაუქნია და თავისთან...“ [14, 138].

ბენ იჯნპალის მონდომებით „ნაშუადღევს მთავარ მზარეულსა და მეპურეს მოედანზე თავი მოჰკვეთეს, როგორც მოღალატეებს“. კმაყოფილი შაჰი რომ დაბრუნდა, სორეია ხანუმმა უსაყვედურა, მთავარ მზარეულს ყოველივე ძალით ვათქმევინეო... „...იმავ საღამოს...სორეია ხანუმი სიმღერითა და ცეკვით ძალიან გაცელქდა“ [14, 141].

სანამ შაჰი მეპურესა და მზარეულს გაუსწორდებოდა, მანამ არებ ხანი, შაჰის სახელით, სულთნისგან თავისი ძმის ხუნდებით გადმოცემას ითხოვდა. სულთანი იფიცებოდა ჩემს მიწაზე არ არისო, ისე კი, უღრან ტყეებში გადამალა. ავაზაკმა არებ ხანმა იპოვა და მოკლა იგი, შემდეგ კი ჯიკიჯიკის ბორცვი გადაიარა, მშობლიურ სოფელს, მორღოვს, მიუახლოვდა. თავის ჩამოძენძილ თანამემამულეებს დამცინავად მიაჩერდა, ერთმა თმაგაჩეჩილმა კაცმა მიწურიდან ჯამით რძე გამოუტანა, მიაწოდა. არებ ხანს სურვილი ჰქონდა, მასაც გასწორებოდა სასტიკად, რადგან მის თვალეზში სწორედ ის ამოიკითხა, რაც ძალიან სძულდა: „უმიზეზო სიკეთე“ [14, 139], ვერც მოკლა, ვერც ჯამით რძე გამოართვა, იმიტომ, რომ „არ შეიძლებოდა“...

არებ ხანს მოსწყინდა მდიდრულ სახლში ყოფნა, მობეზრდა ყველაფერი და ქალაქში გავლა ისურვა. ბენ იჯნპალი, თავის მემკვიდრე ნორჩისთან ერთად, თან ახლდა. გზაზე უცნაური სპარსელი შემოხვდათ, ის არებ ხანის თანასოფლელი იყო, გაახსენდა, რძე რომ მიაწოდა. ხელი ხანჯალზე გაიკრა, მაგრამ თავი შეიკავა, ჰკითხა, შაჰი თუ გიყვარსო. სიმართლეს შეეშინდა, მივარდა და სიცრუე ჩასჩურჩულა, თქვი რომ გიყვარსო. მაჰმუდ აალიმ კი უპასუხა: „ვერაფერს გეტყვი, არსად მინახავსო“. შაჰს მიჰგვარეს. მანაც იგივე შეკითხვა დაუსვა:

„ - გიყვარვარ, მაჰმუდ აალი?

- არ მძულხარ.

- თუ გიყვარვარ?

- არ მძულხარ-მეთქი“ [14, 143].

შაჰის მიერ მოქმედება კვერთხმა წარბი გაუჩხა, მაგრამ მან მაინც მიუგო: „მაინც არ მძულხარ“ [14, 143].

მსახურებმა მოედნისკენ დიდი ჭოკი წაიღეს.

რ.ჩხეიძე წიგნში „აღსარება გურამ დოჩანაშვილისა“ (თ. III „მხიარული ბორცვის ქარაგმა და მისტერია“), ყურადღებას ამახვილებს მოთხრობის ფინალურ მონაკვეთზე:

„სცენა თავზარდამცემია, როდესაც ჭოკის წვერზე ჩამოკიდებულ მაჰმუდ აალის ისრებითაც დაცხრილავენ, მაგრამ ეს ხომ ესქატოლოგიის თავისებური გამოსხივებაა, გამჭვირვალე მინიშნება რაღაც დიდ გარდატეხაზე ქვეყნის სულიერებაში, უჩვეულო ფერისცვალებაზე, რამაც უნდა შემოაბრუნოს დაღუპვის კარზე მიმდგარი ქვეყანა და ამერიდან ბუნებრივი მდინარების კალაპოტში მიუშვას მისი ცხოვრება.

ასე ჩნდება ტრაგიზმში დიდი იმედოვნებისა და რწმენის სათავე.

დაღვრილი სისხლი, სასიკეთოს მაცნედ გარდაქმნილი, დღესასწაულის შარავანდს აირეკლავს, და ის ბორცვიც, სადაც ის შემზარავი სცენა უნდა გათამაშდეს, მხიარულების სამოსელით ამიტომაც იმოსება“ [55, 67-68].

მოთხრობის მიხედვით, სიმართლე დამცირებული იყო, ხალხი სეირს ელოდა. ჭოკის თავზე, სამიზნედ, მაჰმუდ აალი მიეკრათ. შაჰი ამაღასთან, ხანთან, ასისტავებთან ერთად მოემართებოდა მშვილდ-ისრით. მან ესროლა მაჰმუდ აალის, შემდეგ კი გამოაცხადა: „ვისაც ვუყვარვარ, ყველამ ესროლოს“. სიმართლე ზიზლით შესცქეროდა იმათ, ვინც ესროლა. ის მოკლეს: „...და მე, უსუსურს, გამწარებულს, ერთი ნუგეში მაინც მქონდა - ჰაერში მოკვდა“ [14, 145], ასე ფიქრობდა სიმართლე. მასა და მის მბრძანებელს შორის საუბარში გამოიკვეთა, რომ ბედნიერი არავინაა. მბრძანებლის თქმით, ყველანი წავლენ, და რჩება ის, ვინც უყვარდათ: „მაჰმუდ აალი, მხიარულ ბორცვზე“ [14, 147].

მოთხრობა „მხიარული ბორცვის“ სიუჟეტის შემოკლებულად გადმოცემა მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რადგან პერსონიფიცირებულია (მოქმედი პირები)

სიმართლე და ჭეშმარიტება. სიმართლის ყოვლისმხედველი თვალი მოიცავს მთელი მოქმედების არეალს, ის ვერ ახდენს სასიკეთო გავლენას ადამიანებზე, (ისევე, როგორც ლეო ქიაჩელის ნოველა „ჰაკი ამბაში“ (1943) დამოუკიდებელ პერსონაჟად წარმოჩენილი შიში, რომელიც თითქმის მთელი სოხუმის მოსახლეობას ღირსებას აკარგვინებს, ნეორომანტიზმის ნიმუშად მიჩნეულ ამ ნაწარმოებზე, შეიძლება გავიმეოროთ ის, რომ მან გვიჩვენა უჩვეულო, გამორჩეული, ღირსეული პერსონაჟი, ჰაკი ამბას სახით, რომელიც კონფორმისტი მოსახლეობისგან მკვეთრად განსხვავდება).

სიმართლის პერსონიფიცირება, გ. დოჩანაშვილის ამ მოთხრობაში, ვაჟა-ფშაველას პოემა „სინდისის“ (1913) ასოციაციასაც იწვევს. ამ ნაწარმოებშიც პერსონიფიცირებულია სინდისი, ის ისევე დამცირებული და გათელილია, როგორც სიმართლე გ. დოჩანაშვილის ნაწარმოებიდან.

გ. დოჩანაშვილის „მხიარულ ბორცვში“ სპარსელი უცნაურია, ეს ეპითეტი ნაწარმოებში მეორდება. მას შეუძლია თავისი „უმიზეზო სიკეთით“ გააღიზიანოს ავაზაკი და მტვრიან ქალაქში სინდისივით იაროს.

კაცობრიობას, ადამიანთა მოდგმას (მის გარკვეულ ნაწილს), მუდმივად უწევს ბრძოლა ბოროტების, უსამართლობის წინააღმდეგ, ყოველთვის ვერ ამართლებს ჰარმონიული თანაარსებობის რუსთველისეული პრინციპი: „თხა და მგელი ერთად სძოვდეს“, ეს უდიადესი, უმნიშვნელოვანესი სურვილია ისევე, როგორც: „ბოროტსა სძლია კეთილმან...“ ამიტომ, მწერალი, პოეტი, რომელი მიმდინარეობის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს, ვერ გაექცევა ჭეშმარიტებას, სიმართლე, ხშირად, ფეხქვეშ გათელილია, სინდისი უმწეოა და შემოქმედი ადამიანები მათ დამოუკიდებლად, პერსონიფიცირებული სახით გვიხატავენ, რადგან ადამიანთა საზოგადოებაში მათი ადგილი ხშირად აღარ არის. განა რა მოუტანა დონ კიხოტს სიმართლის ძიებამ და უნიადაგო ოცნებამ...

სერვანტესის დონ კიხოტი, როგორც რელიკვიას, ისე დაატარებს სინდისს, სიმართლისთვის იბრძვის... ეტყობა, სერვანტესის დროინდელ ესპანეთში, მწერალს კიდევ ჰქონდა იმედი, ოცნებობდა, რომ ნატვრას ფრთები შეესხმებოდა, ამიტომ,

პერსონაჟის ორეულს, მისი არსების შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს: სიმართლე, სიკეთე, ჭეშმარიტება, სინდისი.

მთავარი მოქმედი გმირი მოთხრობისა, „მხიარული ბორცვი“, მაჰმუდ აალია: „თურმე რამხელა მისია დაჰკისრებია ამ პიროვნების მოვლინებას, რომ სამარადჟამოდ უნდა აღიბეჭდოს ერის ცნობიერებაში და დღენიადაგ აფხიზლებდეს და მოუწოდებდეს ადამიანებს ზნეობისა და სულიერების უწყვეტობის შესანარჩუნებლად“ [55, 71].

გ. დოჩანაშვილის პერსონაჟები თავიანთი განსხვავებულობის, გამორჩე-ულობის გამო არიან უცნაურები, ისინი არავის არ ჰგვანან, მაჰმუდ აალი უცნაურია, რადგან მისი მსგავსი პიროვნება ისპაჰანისა და მორდოვის ქუჩებსა და ადამიანებს არ ახსოვთ. უცნაურია ვასიკო კეჟერაძეც თავისი იდეებითა და ოცნებებით („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“), ის გაოცებას იწვევს. ასევე უცნაურია დონ კიხოტი, ჩაცმულობით, მისწრაფებებით, ოცნებებით... მათ, ყველას, გ. დოჩანაშვილის „მხიარულ ბორცვში“ ნახსენები „უმიზეზო სიკეთესთან მსგავსება“ აერთიანებთ, ვასიკო კეჟერაძეს, დონ კიხოტსა და მაჰმუდ აალის მხარს პერსონაჟი ჰაკი ამბა უმშვენებს (ლეო ქიაჩელი „ჰაკი ამბა“). ადამიანთათვის გაუგებარია ჰაკის უცნაურობა, ძიძიშვილისთვის თავგანწირვა გაუგებარია გემზე მყოფი კუზმა კილგასთვისაც და მას მონას უწოდებს, მისთვის ჰაკი ჩვეულებრივი გლეხია, რომელიც თავის ბატონს სწირავს თავს.

„...უცნაურობაა, აბა რა, როდესაც ძალმომრეობას ზედ ეხლები და - უთანასწორო შერკინებისას - მისი რკინის სალტეებიდან სულიერების გამოგლეჯას ლამობ“ [55, 72].

„თხრობაში უშუალოდ არსადაა აღნიშნული, მაგრამ მკითხველი ხელშესახებად გრძნობს, რომ ეს უცნაური სპარსელი, მაჰმუდ აალი, მოხეტიალე ქადაგია, თვისტომთა არსებაში ახალი იდეისა თუ რჯულის დამკვიდრებისათვის შემართული და საკუთარი ნებით მძებნელი იმ თავგანწირული აქტისა, რომელიც ქადაგებაზე უკეთ შეაგონებს ადამიანებს, თუ რას გულისხმობს, რას ელტვის, რა მიზანი დაუსახავს ახალ დოქტრინას“ [55, 73].

ფრანგი სოციოლოგი, გუსტავ ლე ბონი (1841-1931) ადამიანთა დიდი მასების ფსიქოლოგიას სწავლობდა, მისი აზრით („ბრბო“, 1895), ბრბოში მოხვედრილი ადამიანი მასის ქმედებებს ემორჩილება.

კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ა. ბაქ- რაძე (1928-1999) აღნიშნავს: „საზოგადოებაც მოქმედი და მეზრდოლი უნდა იყოს, თორემ, თუ საზოგადოება უმოქმედოა, მთვლემარე, მცონარე და გულხელდაკ-რეფილი, ხალხი გადაიქცევა ბრბოდ. ხალხი და ბრბო სწორედ იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ხალხი მოქმედია, ბრბო - უმოქმედო; ხალხი მეზრდოლია, ბრბო - მორჩილი; ხალხი - შემოქმედია, ბრბო მომხმარებელი, ხალხი თავისუფლების ტრფიალია, ბრბო - მონობისა, ხალხი მოაზროვნეა, ბრბო გონებაჩლუნგი; ხალხს რწმენა აქვს, ბრბო - ურწმუნოა; ხალხი იმედით არის სავსე, ბრბო - სასოწარკვეთილი, ხალხი მომავლის შექმნით ცოცხლობს, ბრბო - წუთისოფლის მოჭმით; ხალხი კეთილს ემსახურება, ბრბო - განჯგონებულია (საბას განმარტებით, განჯგონებული იმას ჰქვია, ვისაც ბოროტი კეთილი ჰგონია); ხალხი პიროვნებებისგან შედგება, ბრბო უსახურია, მის წევრებს ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევ...“ [3, 243].

ხოსე ორტეგა-ი- გასეტი საზოგადოებას ორი ფაქტორის - უმცირესობისა და მასების დინამიკურ ერთობად მიიჩნევს. მასა ყოველთვის არაა ადამიანთა სიმრავლე (ბრბოა), ზოგჯერ „ადამიანი - მასაა“, ანუ „საშუალო ადამიანი“, რომლისთვისაც არ არსებობს არანაირი აკრძალვა, შეზღუდვა და ის მიისწრაფვის დაიკავოს ისეთი ადგილები და მოიპოვოს ისეთი პრივილეგიები, რომელსაც ადრე ვერ ახერხებდა, გასეტის თქმით: „მასების ამბოხი ზნეობის არნახული დაცემის ნიმუშია“... და შეიძლება პიროვნული არსებობის ფარგლებსაც გასცდეს” [8, 61].

დონ კიხოტი ამალღებულია „საშუალო ადამიანებზე“, მის კეთილშობი-ღებას „ადამიანი-მასების“ თვალში მისივე გონებაარეულობა ჩრდილავს. გასეტის თქმით, კაცობრიობა განვითარების ახალ ფაზაში XVI საუკუნიდან შევიდა, მაგრამ „საშუალო ადამიანები“ შეიძლება ითქვას, ყოველთვის არსებობდნენ, სერვანტესის მახვილ თვალს არ გამოპარვია მათი „წინა პლანზე გადმონაცვლების“ საკითხი. მხოლოდ ესაა, რომ სხვადასხვა ეპოქაში ისინი სხვადასხვანაირი ქცევებით გვევლინებიან.

ბრბო დასცინის სერვანტესის დონ კიხოტს, გულგრილია მის მიმართ, ის სეირის მაყურებლადაა გადაქცეული გ. დოჩანაშვილის „მხიარულ ბორცვში“, (ისევე, - როგორც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებში „სარჩობელაზედ“, ბრბო ჩაქოლავს დამნაშავეს მიხეილ

ჯავახიშვილის „ემმაკის ქვაში“, იმეტებს მარიტას, გ. ლეონიძის „მარიტაში“, მოკვეთს ალუდას, ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურში“, ... ბრბო ვერ აცნობიერებს ლეონიდ ანდრეევის მოთხრობა „ბენ-ტოვიტში“, რომ იესო ქრისტე აცვეს ჯვარს).

როსტომ ჩხეიძის თქმით: „გ. დოჩანაშვილის „მხიარული ბორცვი“ როგორც მაჰმუდ აალის გოლგოთა“ [55, 67] „...პოლიტიკურ პამფლეტად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოთხრობად“ [55, 69]. რადგან მაჰმუდ აალის პროტოტიპი ჰყავს ქართული სინამდვილიდან-საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია.

დონკიხოტური ნიღბით გვევლინება მაჰმუდ აალი, სერვანტესის პერსონაჟით, ისიც კეთილია, მეზრძოლია, მასაც შინაგანი თავისუფლება უბიძგებს მოქმედებებისკენ, მისი სამოქმედო არეალი მთელი ქვეყანაა და სანამდეც ფიქრი მიუწვდება, არც დონ კიხოტმა და არც მაჰმუდ აალიმ არ იციან, წინასწარ, რა შეიძლება მოჰყვეს მათს თავგანწირვას, მაგრამ რომც იცოდნენ, უკან დახევა არცერთს არ სჩვევია.

მოთხრობა „მხიარული ბორცვის“ პერსონაჟი მაჰმუდ აალი დონ კიხოტით უშიშარია, მასავით სევდიანი განწყობილება ეუფლება, როდესაც ბავშვებსა და უსაქმურებს ხედავს, მისი თანამგზავრი, ისევე, როგორც იდალგოსი, სინდისი და სიმართლეა, ის არ ცდილობს გადაირჩინოს ან იმართლოს თავი, მაგრამ ყველა ამ თვისების გამო სიკვდილით სჯიან, ლამანჩელი იდალგო კი, მისგან განსხვავებით, თავის საწოლში, უფლის გადაწყვეტილებით ტოვებს ქვეყანას.

კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა(1973). გ. დოჩანაშვილის ეს მოთხრობა იწერებოდა მაშინ, როდესაც საქართველო საბჭოური სინამდვილის ნაწილს წარმოადგენდა. მწერალმა გვიჩვენა, რომ ლიტერატურა გვეხმარება სულიერი ღირებულებების შენარჩუნებაში, ის გზას გვიკვალავს თავისუფლებისკენ. მსოფლიო კულტურასთან კავშირის გარეშე, შეუძლებელია ერი დამოუკიდებლად განვითარდეს. შემოქმედი ირონიით შესცქერის თვითკმაყოფილ საზოგადოებას.

ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირი, ვასიკო კეჟერაძე, თითქოს, გაორებულ სამყაროში ცხოვრობს. გარესივრცე საბჭოურ რეალობას წარმოადგენს, გმირი, ოცნებებით, კულტურული ღირებულებებისკენ ისწრაფვის. გონებისა და რეალობის ურთიერთმიმართება წინააღმდეგობრივია. ვასიკო კეჟერაძე, შინაგანად, ლიტერატურის

სფეროში, ოცნებების სამყაროში რჩება, გაბატონებული სიყალბისა და დაცლილი სულიერების საზოგადოებაში მისი კეთილშობილი სურვილები დონკიხოტიზმს ემსგავსება.

მკვლევარი ბელა წიფურია განმარტავს: „თუკი ინტერტექსტუალიზმი გულისხმობს მხოლოდ მხატვრული ტექსტის შინაგან მიმართებას ავტორის პიროვნულ გამოცდილებაში (ან, თუნდაც, კაცობრიობის ზოგად გამოცდილებაში) უკვე არსებულ მხატვრულ ტექსტებთან, მაშინ, რასაკვირველია ეს ცნება არ გამოდგება გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის... განხილვისას. მაგრამ თუ ინტერტექსტუალიზმში შეიძლება იგულისხმებოდეს წინამდებარე ტექსტის განპირობებულობა წინამორბედი (ავტორის ინტელექტუალურ და სულიერ გამოცდილებაში არსებული) მხატვრული ტექსტებით, მაშინ გ. დოჩანაშვილის მოთხრობაც ამ მოვლენის ფარგლებში შეიძლება განვიხილოთ“ [56, 303].

ეს იყო პერიოდი, როდესაც მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ძირითად მიმართულებას თითქმის სამხრეთ-ამერიკული პროზა წარმართავდა. მოთხრობაში, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, ქართულ მწერლობასთან ერთად, სამხრეთ-ამერიკული პროზაა ნახსენები.

მალხაზ ხარბედია (1974), ქართველი ლიტერატურათმცოდნე და მწერალი, კუბელი პოეტის, ხოსე ლესამა ლიმას (1910-1976) დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილ ესეში („ხოსე ლესამა ლიმა-100“) წერს: „საქართველოში სამხრეთ-ამერიკული ლიტერატურა ყოველთვის ძალიან პოპულარული იყო, 60-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენთან გაბმით კითხულობდნენ და ხანდახან თარგმნიდნენ კიდევაც მარკესს, კარპენტიერს, ფუენტესს, მარიო ვარგას ლიოსას, ხულიო კორტასარს, მოგვიანებით კი ხუან რულფოს, ბორხესსა და კასარესსაც. ლათინოამერიკულ პროზას ჩვენში ყოველთვის ჰყავდა მოყვარული და დამფასებელი“... [115]. მწერალი გ. დოჩანაშვილი ზემოთ დასახელებულ მოთხრობაში არაერთხელ ახსენებს აღორძინების ეპოქის მსოფლიო ლიტერატურის ბუმბერაზს, სერვანტესს, მისი თქმით: „... ფიზიკოსები თუ ვერასოდეს შექმნიან „პერპეტუუმ მობილეს“, ლიტერატურამ უკვე შექმნა - ეს სწორედ „დონ კიხოტია“ [13, 86].

პერპეტუუმ მობილეს, ანუ მუდმივი ძრავის შექმნის იდეა შუა საუკუნეებში გაჩნდა. ფაბრის ნიკო წერილში: „პერპეტუუმ მობილეს კვალდაკვალ“ წერს: „ამ იდეით შეპყრობილების ოცნება იყო დედამიწაზე ციური სრულყოფილება შეექმნათ. ცაზე ვარსკვლავების მოძრაობა, რომელსაც ვერავინ შეაჩერებს, მუდმივი ძრავას იდეას შეესაბამება“... [50, 18-20].

მექანიზმს არ უნდა დასჭირდეს ენერჯის მიწოდება: „ეს ხომ საწვავის გარეშე დარჩენის პერსპექტივით უფრო და უფრო დანაღვლიანებული კაცობრიობის ოცნებაა, რადგან შიში, რომ დედამიწის ენერგეტიკული რეზერვები ამოიწურება, სავსებით საფუძვლიანია“ [50,18].

1235 წელს შეადგინა ვილარ დე ჰონკურმა ნახაზი, რომლის მიხედვითაც მანქანას შეუჩერებლად უნდა ემოძრავა.

პერპეტუუმ მობილეს იდეას შუა საუკუნეებში მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ: ლეონარდო და ვინჩი (1452-1519), საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც: „1775 წელს დაბეჯითებით სთხოვს მექანიკოსებს - საკუთარი ტალანტი მიუძღვნან სხვა რამეს და არა მუდმივ ძრავას...“ [50, 19].

თანამედროვე პირობებში, „საუკუნის მეცნიერულ სენსაციას, უჩვეულო გამოგონებას“ წარმოადგენს სენისა და მარნის დეპარტამენტის სოფელ კილი-პონ-ო-დამში ალდო კოსტას მიერ აგებული ბორბალი: „მისი შემოქმედების მწვერვალი და ფინანსური მორევი, რადგან მან გამოგონებლის ყველა დანაზოგი შთანთქა“... [50, 18], 80 წლის მოხუცმა, როგორც ფაბრის ნიკოს წერილიდან ვგებულობთ, 55 წელი 19 მეტრიანი, 4 ტონიანი ბორბლის გამოგონებას შეაღია, 10 კი მის აგებას, მაგრამ უშედეგოდ: „იმ დასკვნამდე მივედით, რომ მუდმივი ძრავის არსებობა შეუძლებელია“ [50, 20].

გ. დოჩანაშვილმა, პერპეტუუმ მობილეს გვერდით, „დონ კიხოს“ ხსენებით, რამდენიმე სიტყვით გაუსვა ხაზი სერვანტესის ნაწარმოების სიდიადესა და უკვდავებას. თუკი, ჯერ კიდევ, მეცნიერთა არმია, უშორესი დროიდან დღემდე, იბრძვის იმისთვის, რომ შექმნას ძრავა, რომელსაც ენერჯის მიწოდება არ სჭირდება, მაგრამ ვერ ახერხებს, ეს შეძლო ერთმა ლატაკმა გენიოსმა, ერთი კონკრეტული ეპოქაცა და თავისი სახელიც

უკვდავი გახადა. სერვანტესის იდეა მოგზაურობს დამოუკიდებლად, ხალხიდან ხალხში, ეპოქიდან ეპოქაში.

პერპეტუუმ მობილე, დღემდე, კაცობრიობის ისეთივე აუხდენელი ოცნებაა, როგორც, თავის დროზე, ალქიმიკოსთა დაუცხრომელი ძიება - ფილოსოფიური ქვის მოსაპოვებლად.

დონ კიხოტი, როგორც პერსონაჟი, კაცობრიობის ახდენილი ოცნებაა, ეს მწერლის, სერვანტესის, დიდი გამარჯვებაა, მაგრამ ლამანჩელი იდალგოს განუხორციელებელი იდეები, ყველა ეპოქისა და ხალხისათვის ისეთივე რეალობაა, როგორც ნაღვლიანი ოცნება პერპეტუუმ მობილეს მექანიზმის შექმნისა და ფილოსოფიური ქვის მოპოვებისა.

სამყარო კონტრასტების ასპარეზს წარმოადგენს. თუკი კაცობრიობამ იცის აუხდენელი ოცნებების, პერპეტუუმ მობილესა და ფილოსოფიური ქვის ნაღვლიანი ისტორიები, ის ასევე იცნობს მრავალი საინტერესო განხორციელებული იდეის საინტერესო მაგალითს, ერთ-ერთი-სიკეთის სიმბოლოდ ქცეული დედა ტერეზას [1910-1997] საქმიანობებია.

გ. დოჩანაშვილის მოთხრობების პერსონაჟები, კონკრეტულად კი, ვასიკო კეჭერაძე („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“) დონ კიხოტის მსგავსი ლიტერატურული ტიპია. იდალგო ბრძნული მსჯელობებით გვაფხიზლებს, მოგვიწოდებს და გვაძლევს მაგალითს, ვიყოთ კეთილები და მშვენიერები, რაც, თავის მხრივ, ღმერთთან გვაახლოებს...ამ ორ მოქმედ გმირს ბევრი საერთო აღმოაჩნდა, სრული იდენტურობით შეუძლებელია ერთმანეთს ჰგავდნენ, მაგრამ მათ ბევრი საერთო აქვთ ხასიათის თვისებებში. ორივე მეოცნებეა. ორივე მოგზაურობს, ერთი - წარმოსახვით, ლიტერატურის მეშვეობით, მეორე კი - რეალურად, როსინანტზე ამხედრებული. ორივეს ჰყავს თავისი „იდეების“ გამგრძელებელი, დონ კიხოტს - სანჩო პანსა, მორჩილი და თავისი „ბატონის“ ფსიქოლოგიური ზეგავლენის ქვეშ მოქცეული, მეორეს - კლიმი. ორივეს აქვს ბიბლიოთეკა, დონ კიხოტს რეალური, რამაც შთააგონა იბრძოლოს უსამართლობის წინააღმდეგ, ემსახუროს კეთილს, მეორეს - წარმოსახვითი „კარცერ-ლუქსი“, მეოცნებე პერსონაჟს მისი მეშვეობით სურს ადამიანები გახადოს იმაზე უკეთესი, ვიდრე არიან. არც ერთს არ ჰყავს ცოლ-შვილი. დონ-კიხოტი დულსინეაზე

ოცნებებით ცხოვრობს, ვასიკო კეჭერაძე - სატროფოზე მოგონებებით. ორივე სიკეთის უანგარო მსახურია. არც დონ კიხოტის საზოგადოებაა მზად, მიიღოს იგი ისეთი, როგორსაც იცნობს, არც ვასიკო კეჭერაძისა. გიჟად თვლიან დონ კიხოტს და ამასთანავე უკვირთ მისი უსაზღვრო განათლება, გიჟად ჩათვალა მწიგნობარი ვასიკო კეჭერაძეც თამაზმა... „გიჟია თუ რა?“ [13, 53].

ეს მსგავსებები ერთხელ კიდევ მიგვითითებს იმაზე, რომ თანამედროვე მწერლობაში, განსაკუთრებით გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან, როცა კონკრეტული ლიტერატურული მიმდინარეობის გამოყოფა გაძნელდა, პოსტმოდერნიზმმა დაიწყო ახალი ფორმების, იდეების ძიება და ეს მსოფლიო ლიტერატურის შედეგებთან ტექსტების კავშირით შეძლო. უმბერტო ეკოს მოსაზრება, რომ ყველა ეპოქას თავისი პოსტმოდერნიზმი აქვს, ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანია.

„ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“(1980-1981). მწერალი ნაირა გელაშვილი ამ ნაწარმოებს „თავისუფლების ჰიმნს“ („აფრედერიკი და განაბულჯადოქრიანი საკრავი“) უწოდებს: „მოთხრობა „ვატერ(პო)ლოო“ მთელი თავისი შინაგანი პათოსითა და გამიზნულობით თავისუფლების ჰიმნია“ [11,316] მოთხრობელი აფრედერიკ მე თავისუფლებისკენ მიილტვის. დოჩანაშვილის ნაწარმოებს „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“, ერთხმად მიიჩნევენ პოსტმოდერნისტული განწყობილების გამომხატველ ნაწარმოებად. ნაწარმოებში პოსტმოდერნისტული ტენდენციებია გამოკვეთილი: „გადაწერა“, ციტაცია, ავტორის ნიღაბი, ინტერტექსტუალობა: „...თავად გურამ დოჩანაშვილი უწოდებს საკუთარ თავს გადამწერს... „გადაწერა“ პოსტმოდერნიზმში სხვისი ტექსტების სიტყვასიტყვით გადაღებას არ ნიშნავს. როცა „გადაწერაზე“ ლაპარაკობენ, გულისხმობენ პაროდირებას, არანჟირებას, სხვა ავტორთა ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟების საკუთარ თხზულებაში გადმონერგვას...“ [27, 29].

მოთხრობაში „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“, ნაჩვენებია ღარიბი მწყემსის, ბესამეს, თავგადასავალი, რომელსაც მკითხველს აფრედერიკ მე (ავტორი) უყვება, რომელიც, გზადაგზა, მიმართავს მონოლოგებს ფრანგი მწერლის, დრამატურგისა და ისტორიკოსის პროსპერ მერიმეს (1803-1870) ნაწარმოებიდან

„კარმენი“ (რომელშიც მოთხრობილია ბოზა ქალის კარმენის ისტორია, რომელმაც თავისუფლება სიყვარულსა და სიცოცხლეზე მალა დააყენა).

გ. დოჩანაშვილმა ზემოხსენებულ მოთხრობაში „გადმონერგა“ კარმენის: „... მთავარი სიმბოლური სახე - თავისუფლება და სიყვარული“ [27, 101]. კარმენის სახე მხატვრული იდეის გამოკვეთას ემსახურება (ის თავისუფლების სიმბოლოა).

მწერალი ბესამე კაროს თავგადასავლის გაცნობით გვიჩვენებს, რომ ცხოვრება უამრავ სიურპრიზს გვთავაზობს და ადამიანები მის საფეხურებზე არბიან და ჩამორბიან. გზასაცდენილი პიროვნების გარდაქმნა შესაძლებელია და პირიქითაც...

მოთხრობაში უამრავი ქვეტექსტი და სიმბოლოა. ბესამე კარო ოცნებობს მუსიკაზე, მაგრამ ბედის ირონიით, მოხვდება „აღსადგენლებთან“, ვატერ(პო)ლოოზე, სადაც ვარჯიშობს. მწვრთნელ რექსაჩეს უჩვეულო მონდომებით, ის კარგავს პიროვნულ ღირსებებს, მაგრამ გამოჩნდება მოხუცი მუსიკოსი, რომელიც ნამოწაფარზე ზეგავლენას მოახდენს და ეხმარება მას, დაიბრუნოს ადამიანური სახე.

მოთხრობაში გამოკვეთილი რამდენიმე საკითხი, ეროვნულ ლიტერატურებში, შეიძლება ითქვას, რომ არახალია; ხელოვნება, საერთოდ, ხშირად მიმართავს მსგავს თემებს, მაგრამ საინტერესო სწორედაც იმითაა, რომ მარადიულია და სხვადასხვა ქვეყნის კულტურას აკავშირებს ერთმანეთთან.

სერვანტესის „დონ კიხოტი“ და გ. დოჩანაშვილის „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“, ერთმანეთს ენათესავენ თემებით: ოცნება, თავისუფ-ლება, უსამართლო ცხოვრება - ერთი მხრივ - „დონ კიხოტში“, მეორე მხრივ - „ვატერ(პო)ლოოში“... (რომელიც ასევე ცხოვრების სიმბოლოა). განსაცდელი ცხოვრებამ, გარემომ გადაატანინა დონ კიხოტს (განსაცდელი უნიადაგო ოცნებისა და ფუჭი, უშედეგო ბრძოლებისა) და განსაცდელი იყო ბესამე კაროსთვისაც ის, რომ ერთ პერიოდში, ასევე, გარემოს, წყალობით დაკარგა მან ადამიანური სახე.

ორივე პერსონაჟს, დონ კიხოტსა და ბესამე კაროსაც, მაღალ იდეალებზე ოცნების შემდეგ, ცხოვრება თავის ტალღებში ითრევს, იცვლებიან, სხვა პიროვნებებად გარდაისახებიან, მაგრამ ისევ გარემო აძლევს მათ საშუალებას, გამოფხიზლდნენ შექმნილი სიტუაციიდან და გააცნობიერონ ყოველივე. სერვანტესის „დონ კიხოტში“

გამათრახებულია უსამართლობა, დაუნდობლობა, ძალადობა, ასევეა გ. დოჩანაშვილის მოთხოვნაში „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“.

დონ კიხოტი ოცნებობს შეცვალოს გარემო, ქვეყანა, ამით ის სიკეთისთვის მებრძოლ, უანგარო პიროვნებად წარმოგვიდგება. სიკეთის უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენს მოხუცი მუსიკოსი გ. დოჩანაშვილის ზემოხსენებულ ნაწარმოებშიც, მისი მემკვიდრით, ბესამე კარო, მეტამორფოზას განიცდის, განიწმინდება.

გ. დოჩანაშვილის „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოების“ ფანტასტი მთხრობელის, აფრედერიკ მეს, სამოსელშიც (ისევე როგორც, სავარაუდოდ, დონ კიხოტის სახეში სერვანტესი) ავტორია შეფუთნული.

ნიშანდობლივია ის, რომ ამ ნაწარმოებში ორი ერთმანეთს მიმსგავსებული, სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვა ფიგურირებს: ვატერლოო - ვატერ(პო)ლოო.

ქალაქ ვატერლოოსთან, ბელგიაში, 1815 წლის 18 ივნისს, მოხდა ნაპოლეონ ბონაპარტის ბოლო ბრძოლა, რომელმაც წერტილი დაუსვა მის იმპერატორობას საფრანგეთში.

ვატერპოლო კი წყალბურთია, გუნდური თამაში წყალში, ბურთით. თავდაპირველად, ინგლისის საკურორტო ქალაქ ბორნმუთის ნიჩბოსანთა კლუბის წევრების მიერ გამოგონილი სპორტის ეს სახეობა მონათლეს სახელებით: „წყლის ფეხბურთი“, „წყლის რაგბი“, „წყლის ხელბურთი“. ევროპის ჩემპიონატი 1926 წლიდან იმართება კაცთა შორის, 1985 წლიდან - ქალთა შორის.

„...თამაშს სჯის 5-7 მსაჯი, შეხვედრის დაწყების წინ გუნდები საკუთარი კარის ხაზზე ეწყობიან. ამ დროს ბურთი მოედნის ცენტრში, სპეციალურ ტივტივაზე დევს. მსაჯის სასტვენის ხმაზე ტივტივა იძირება, ბურთი კი წყლის ზედაპირზე რჩება...“

მოთამაშეებს აუზის ფსკერზე დგომა და ბორტების შეხება ეკრძალებათ. აკრძალულია აგრეთვე ბურთზე ორივე ხელით შეხება (გარდა მეკარისა), ბურთის წყალქვეშ გაჩერება, უბურთო მეტოქეზე თავდასხმა, ხელის ან ფეხის კვრა. პენალტი ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ თამაშის წესები, დაცვის 5 მეტრიან ზონაში, დაირღვევა. იმარჯვებს გუნდი, რომელიც მეტოქის კარში მეტ გოლს გაიტანს...“ [102].

შესაბამისად ორი ზემოხსენებული სიტყვისა: ვატერლოო - ვატერ(პო)ლოო, მოთხრობაში ფიგურირებს ნაპოლენ ბონაპარტის სახელი და ორივეს სიმბოლური დატვირთვა აქვს.

მოთხრობა „ვატერ(პო)ლო ანუ აღდგენითი სამუშაოები“ იწყება აფრედერიკ მეს სიტყვებით. მან გაითვალისწინა, რომ ეროვნულ ლიტერატურაში ფანტასტიკური ნაწარმოებების ნაკლებობა იყო და გადაწყვიტა თვითონ შეექმნა: „...ამა მიმართების ნაწარმოები...“ [14, 419].

ამბავი ხდება ესპანეთში. ბესამე კარო ანდალუზიაში, ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა, XIX ს. I ნახევარში, ის პროვინცია მურსიის ქალაქ ალკარასში, კონსერვატორიის სტუდენტი გახდა. მაშინ თხუთმეტი წლისა იყო. ბესამე სამი წლის ასაკში დაობლდა. ჯერ დედა, მერე კი მამა გარდაეცვალა. მისთვის ქვეყნიერებაზე მხოლოდ ორი ამხანაგი არსებობდა: ტბა და სალამური.

ერთ დღეს კარო ცხვარს მწყემსავდა, მერე ტბაში შეცურდა. გზაზე ეტლი მოდიოდა, რომელსაც წინა თვალი დაუზიანდა. შიგ მსხდართაგან, სანამ შეაკეთებდნენ ეტლს, ერთ-ერთი მგზავრი, „პირქუში მოხუცი“, ცოტას გავივლიო, ტყისკენ გაემართა. შუა ველზე, ბრჭყვიალა ტბაში, შენიშნა ბესამე, რომელიც ცოტა ხანში ამოვიდა და სალამურზე დაუკრა. ხეს ამოფარებული უსმენდა მოხუცი, მერე გამოეცნაურა, მუსიკოსობა შესთავაზა. ურჩია ცხვრის ფარა თავისი პატრონისთვის ჩაებარებინა, დაითანხმა. გაემგზავრნენ: მოხუცი, ბესამე, „წანწალში გამობრძმე-დილი“ სოტო და აფრედერიკ მე (ადევნებული უჩინრად).

ბაენას დაბლობი გაიარეს, ესიხას ბორცვიდან ოთხბურჯა ხიდს მიადგნენ, მერე კი ქალაქ კორდობაში შეჩერდნენ. ბესამე ლამაზ აგურის სახლში შეიყვანეს. იქ ორი ქალი დახვდა. ერთი ახალგაზრდა, გრძელსამოსიანი, მეორე - მოხუცი, რომელიც ზურგში მუჯლუგუნებს სთავაზობდა. ახალგაზრდამ, რომელსაც ტერეზა ერქვა, ბესამე წყალში განბანა, შემდეგ კი ის მოხვდა ოთახში, სადაც მოხუცი მუსიკოსი და სოტო იყვნენ. გაუმასპინძლდნენ, შემდეგ ეტლში ჩასვეს, მთელი ღამე მგზავრობდნენ, იყვნენ უბედაში, ესტეში და „კიდევ სადღაც“, გამთენიისას, ქალაქ ალკარასს მიადგნენ. დილით, მოხუცმა ბესამეს უთხრა, ყველაზე მაღალ სახლს უნდა მიაშურო, იკითხავ ქრისტოფალდ როხასს

და შეგიშვებენო. ბესამე გუმბათისებურ ოთახში მოხვდა, ქვემო სართულზე იდგა რამონა, გოგონა, თეთრი მოხუცის შვილიშვილი.

ალკარასი აფრედერიკ მეს სატახტო ქალაქია. რიკარდოს ქუჩაზე, თეთრ შენობაში, მუსიკალური საკრავების ხმა ისმოდა: კლარნეტის, ვიოლინოსი, ბოლოს კი - ორკესტრისა. ბესამეს ჩაესმა, თითოეულ საკრავს შეახეო ხელი. ისევ ჩაესმა, ამოდიო. აიარა მარმარილოს საფეხურები. დაინახა სავარძელში მჯდარი ის მოხუცი, რომელმაც სოფლიდან წამოიყვანა. ქრისტობალდ დე როხასმა კითხვა დაუსვა, მუსიკოსობა თუ გინდაო?

ბესამე უკრავდა ფლეიტაზე. ცნობილი მუსიკოსი გახდა. გაიცნო რამონა. ერთხელ, კონცერტის შემდეგ (ბეთჰოვენს უკრავდნენ), ბესამე კარო გახდა ცუდად, ეს იყო მუსიკისგან გამოწვეული „... ესე ტკივილი ბეთჰოვენია...“ [14, 448].

ნაწარმოებში ნაჩვენებია ბესამეს კონფლიქტი ისტორიის მასწავლებელთან, კარტუზო ბაბილონიასთან, ნაპოლეონის გამო. კარტუზო ბონაპარტეს აფასებდა, ბესამე კი უპირატესობას ბეთჰოვენს ანიჭებდა. ადრე, ნაპოლეონ ბონაპარტის ბრძანებით, თურმე, ბესამეს პაპა ხიშტზე ააგეს.

კარო „ურჩობისთვის“, მასწავლებელთან კონფლიქტისთვის დაისაჯა. ის მოხვდა აღდგენით სამუშაოებზე, სადაც ემზადებიან, ვარჯიშობენ ვატერპოლოს-თვის: „...ისეთი ძალადობისმიერი მეთოდებით, რომლის ძირითადი მიზანია „გაამლიეროს“, სულიერად ძირს დასცეს პიროვნება, დააკარგინოს ყოველგვარი ადამიანური თვისებები. ამის მისაღწევად ჯუსტინო რექსაჩეს შემუშავებული აქვს ორიგინალური მეთოდები...“ [27, 103].

„...რთული თამაშის ვატერპოლოს შემსწავლელი იგივე რექსაჩი ჭერის სარკმლიდან კბილებდამრობილ ვირთხებს აყრიდა...“ [14, 473].

რექსაჩი მოცურავეებს ვიწრო საკანში ყრიდა, აღსადგენლები, წყალში, „წვრთნის“ შედეგად, ერთმანეთს უსწორდებოდნენ. რექსაჩი აუზში მყოფებს „ამტანობას უვარჯიშებდა“, მიმოდიოდა კიდეზე და არიგებდა: „...თვით ცხოვრებაა ვატერპოლო, თვითონ ცხოვრება, და ყოველი მოქალაქის მთავარი მიზანი რადგან ისაა, ცხოვრებაში რომ გამარჯვებული გამოვიდეს, გამარჯვებული კი ისე ვერ გამოხვალ, სხვას თუ არ

დაამარცხებ და სხვა რომ დაამარცხო, ათასნაირი ხერხი და ხრიკია საჭირო და ამეებს კი ვატერპოლოზე უკეთესად სხვა ვერაფერი შეგასწავლით, გვრიტნო“... [14,475] რექსაჩე „...ვისმე თითებზე შედგებოდა, შეჩერდებოდა, მიმოდიოდა...“ [18,475].

„...დაუნდობლები უნდა იყვნეთ, ჩემო კარგებო, სხვას თუ დაინდობ, ის არ დაგინდობს და ის არ სჯობია შენ არ დაინდო?“... წვრთნიდა იგი [14,475].

სამი-ოთხი თვის შემდეგ, ბესამეს, რექსაჩის დავალებით: „თავს კი არა და, თავს ქვემოთ ესხმოდნენ“ [14,487] ბესამეს კი: „ღრღნიდა ცხოვრება, ვითომ, სწორედ ეს იყო, ეს ვატერპოლო?! არდანდობა და გაუტანლობა?...“ [14, 487].

რექსაჩეს აღსადგენლებიდან, რომლებიც დროთა განმავლობაში უფრო მხეცდებოდნენ, ყველაზე უარეს მდგომარეობაში ობოლი ბესამე აღმოჩნდა, იმიტომ, რომ „მწვრთნელს“ ქრთამი ვერ მისცა. მალე ის მხეცივით დაუნდობელი გახდა. „...მწერალმა გვიჩვენა სამყაროს ზემოქმედება ადამიანზე, თუ როგორ შეიძლება გარესამყარომ შეცვალოს ადამიანი და აქციოს სრულიად სხვა პიროვნებად, რომელსაც განსხვავებული ღირებულებები გააჩნია“ [27, 104].

ადამიანური სახე ბესამეს ისევ მოხუცმა მუსიკოსმა დაუბრუნა, რომელმაც ის შეიყვანა უწმინდურ გომურში, ხელში ფლეიტა დააჭერინა და აამბორებინა. ხელოვნებასთან ზიარებით, მისი მეშვეობით, ბესამეს ადამიანური სახე დაუბრუნდა, განსაცდელგამოვლილ ბესამეს სულში აღდგა თავისუფლება და სიყვარული. ბოროტებაზე გაიმარჯვა სიკეთემ, თავისუფლებისა და სიყვარულის მეშვეობით. „ბესამე კაროს მომავალი გზა-სოფელ-სოფელ ხეტიალი, მიწაზე ცხოვრება ჯაფით,გარჯით და სიმართლით, განუყრელი ფლეიტით ხელში,და ამ გზის ბოლოს სადღაც, რომელიმე პატარა საყდართან უპატრონო საფლავი-აფრედერიკის ,ავტორისა და მკითხველის მიერ ამბივალენტურადაა განცდილი: გვახარებს, რადგან ბესამე გადარჩა შინაგან დალუპვას“[11,318].

გ. დოჩანაშვილის მოთხრობაში „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“, ნაჩვენებია კონტრასტები. აქ ერთმანეთს უპირისპირდება: ხელოვნება და ცხოვრება, შემოქმედება და ძალაუფლების მქონე პიროვნება, წინააღმდეგობები, ბოლოს, სიყვარულისა და თავისუფლების მეშვეობით, სიკეთის გამარჯვებით მთავრდება.

მოთხრობის ქვეტექსტები გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო მმართველობა უვარგისია, ნაპოლეონი არის სიმბოლო პოლიტიკური ძალისა, რომელსაც შემოქმედება უპირისპირდება.

როგორც ვიცით, გერმანელი კომპოზიტორის, პიანისტისა და დირიჟორის, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის (1770-1827), ცხრა სიმფონიიდან, მესამე - „გმირული“ (რომელიც ნაპოლეონ ბონაპარტისადმი მიძღვნილი), ითვლება მუსიკოსის სიმფონიური შემოქმედების პირველ მწვერვალად.

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი აღნიშნავდა: „- ძლიერ ვწუხვარ, რომ არ მესმის სამხედრო საქმე ისე, როგორც მუსიკის ხელოვნება, მაშინ მე მას დავამარცხებდი“ (გულისხმობს ნაპოლეონ ბონაპარტს) [59, 199].

გ. დოჩანაშვილის „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოების“ პერსონაჟ, ბესამე კაროს, უარყოფითი დამოკიდებულება ბეთჰოვენის მესამე სიმფონიისადმი, ამ მუსიკალური ნაწარმოების ნაპოლეონ ბონაპარტისადმი მიძღვნამ განაპირობა. რეალურად, კომპოზიტორი ბეთჰოვენი მაღალ ღირებულებებს აფასებდა: „... თავისუფლება და პროგრესი - აი, მიზანი ჭეშმარიტი ხელოვნებისა და მთელი ცხოვრებისა“... [59 210].

ბეთჰოვენი, მოცარტთან ერთად: „ხშირად იყვნენ ჩემი გულის მესაიდუმლენი“ [59, 215] აღიარებს ბალზაკი. ნაპოლეონი ნაწარმოებში არის სახე ძალადობისა, უსამართლობისა, ბეთჰოვენი - სიკეთისა.

გ. დოჩანაშვილის მოთხრობაში, სუბლიმირებული (ბეთჰოვენის) ძალა იმარჯვებს, რადგან: „...საკმეველივით ედებოდა ფლეიტა ჰაერს და თუ რამ იყო უწმინდურობა, სწმენდა და ითვისიერებდა“... [14, 513].

გ. დოჩანაშვილი ხელოვნებას, ლიტერატურას უდიდეს, ადამიანის გამაკეთილშობილებელ მისიას აკისრებს („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, „მიხეილი და ალექსანდრე“, „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“...), მიაჩნია, რომ გზა ბოროტებიდან სიკეთისაკენ ადამიანმა შეიძლება ხელოვნების მეშვეობით გაიკვალოს და გახდეს უკეთესი.

მოთხრობაში: „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“, ფლეიტა ჩაფიქრებული ანგელოზის სუნთქვას წააგავს“...

„... ჯერ ერთ რამედ ღირდა ეს „ჩაფიქრებული ანგელოზის“ ხატი, მერე - მისი სუნთქვა, მერე კი სალამურთაგან ამ უპირველეს საკრავთან გაიგივება“... [55, 144].

მკვლევარი როსტომ ჩხეიძე მიუთითებს, „...თავისუფლებისა და სიყვარულის საუფლოდ „ვატერ(პო)ლოო“-ში მუსიკა რომ წარმოგვიდგება, და, ამასთან, მის ერთ-ერთ ცენტრალურ თემადაც, ეს გარემოება ნაირა გელაშვილს ათქმევინებდა: ეს არის მოთხრობა მუსიკის შესახებო და მეხსიერებაში წამოუტივტივდებოდა გერმანელი რომანტიკოსები, რომელთათვისაც მუსიკა თვით სიცოცხლის სული გახლდათ, და ამიტომაც ირწმუნებოდა ნოვალისი: ყველაფერი რიტმიაო. ჰოფმანი კი ტოლს არ უდებდა; განა მუსიკის სული, ისევე როგორც სული ბგერისა, არ განმსჭვალავს მთელ ბუნებასო?“ [55, 142].

ბეთჰოვენი, ამ ნაწარმოებში, სიკეთის სიმბოლოა, მოხუცი მუსიკოსი, ქრისტობალდ როხასი კი ადამიანი, რომელმაც გარდაქმნა ნამოწაფარი: „... ხელში ფლეიტას დააჭერინებს და აამბორებინებს. თუკი გარესამყაროს ზემოქმედებით ბესამემ ადამიანობა დაკარგა, ამ ზემოქმედებითვე დაიბრუნა თავისი სახე. სიბნელეში ჩაფლული, კაცთმოყვარეობადაკარგული, დაუნდობელ მხეცად გადაქცეული, ხელოვნების წყალობით, მასთან ზიარებით იბრუნებს პირვანდელ, თავის დაკარგულ სახეს. მწერალი გვიხატავს, თუ რა შეიძლება „ნამდვილ აღდგენით სამუშაოდ“ იქცეს ბესამესნაირი განსაცდელგამოვლილი ადამიანი-სათვის“ [27, 104].

ბესამე კარო, სერვანტესის დონ კიხოტის მსგავსად, ამხელს უსამართლობას, ძალადობას, აგრესიას. მოთხრობაში ეს ნაპოლეონ ბონაპარტის სახეშია ნაჩვენები. ბესამე პირდაპირია, უშიშარი. კარტუზო ბაბილონიას, ნაპოლეონის, ბოროტების სიმბოლოს შესახებ, უპირისპირდება. კარტუზო შეახსენებს ახალგაზრდებს ნაპოლეონზე: „...მას ჰქონდა დიდი შეცდომა, რომ ჩვენს ტკბილად მშობლიურ ესპანეთს გაუფრთხილებლად თავს დაესხა, მაგრამ თავის ძალიან ცუდ საქმეში გენიოსი იყო იგი ჭეშმარიტი, დიახ, თანაც შეცდომა ვის არ მოგვსვლია“... [14, 444].

ბესამე ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, ნაპოლეონის აგრესიასა და სისასტიკეზე უშიშრად წარმოთქვამს: „...პაპაჩემის ახალგაზრდობის დროს... თურმე ჩვენს სოფლად დამპყრობლების მთვრალმა გუშაგმა უნებურად ცეცხლი წაუკიდა მინდობილ საწყობს და ეს ამბავი სოფლის კაცებს გადააბრალა...“

„...ნაპოლეონმა გზად ჩაიარა, გუშაგის ახსნა-განმარტება მოისმინა და მთელი სოფლის მამაკაცები ჩამწვრივებინა და ყოველი მესამეს ხიმტზე აგება ბრძანა“... [14, 444].

ერთხელაც კარტუზო ბაბილონიამ ისევ დასვა შეკითხვა: „...ვინ იყო ძალიან ცუდი, მაგრამ ყველაზე დიდი ადამიანი?..“ [14, 451] უპასუხეს, რომ ეს ნაპოლეონი იყო, მაგრამ „ერთადერთმა ალკარასელმა“, ბესამე კარომ, უპასუხა, რომ „კარგი, ყველაზე დიდი ადამიანი“ ბეთჰოვენი იყო, რადგან „ვინმე გამვლელმა“ შესაძლოა არ იცოდეს ყველაზე მძლავრზე“, მაგრამ იცოდეს: „თუ ვინ იყო ბეთჰოვენი“. ბესამე გააგდო გაბრაზებულმა კარტუზომ, მანაც: „...კარი არცთუ ძალიან ფრთხილად მიიხურა, ცალფლანგმოშლილმა მეჰისტორიემ დაქადნებით ასე წარმოთქვა: - შენ თუ აღდგენით სამუშაოებს არ მიგამაგრო, კაცი არ ვიყო“... [14, 453].

ბესამე კარომ არც მესამედ დაიხია უკან, ის გრძნობდა კარტუზოს დამოკიდებულებას, მაგრამ სიმართლეს მაინც უსწორებდა თვალს და მისი მორიგი შეკითხვის პასუხად, ისევ ამხილა ბოროტებად აღქმული ნაპოლეონი. მეისტორიე დაინტერესდა: „...რომელია ყველაზე დიდი ძალიან ცუდი უდიადესი ადამიანის ყველაზე დიდი დამარცხება?“.. [14, 460].

ტახოსთვის ეს იყო ვატერლოო, ბესამე კაროსთვის კი - წარწერა ბეთჰოვენის მესამე სიმფონიის თავფურცელზე, „ბონაპარტეს მიუძღვნა“... ამჯერადაც განრისხებული კარტუზო ემუქრება „აღდგენით სამუშაოებზე“ გაგამწესებო, მაგრამ ისევ ისმის ბესამე კაროს მტკიცე პასუხი: „...იმ გარდასული კაცთმკვლელისთვის ჭეშმარიტ საქმეს რად უნდა მომაცდინოთ“... [14, 461]. კარტუზო ცდილობს დაარწმუნოს მოწაფე, რომ უშუალოდ ნაპოლეონის ხელიდან არც ერთი ადამიანი არ დახვრეტილაო, ბესამე ისევ შეუვალია: „...ალბათ, არც ადამიანის ხორცი უგემნია, მაგრამ მაინც კორსიკელ კაციჭამიას ეძახდნენ“... [14, 461].

აღდგენით სამუშაოებზე გამწესებული ბესამე კაროსთვის ისევ ბევრი რამ მიუღებელია. ცდილობს, სამართლიანობისა და სიკეთის სამსახურში იყოს. სერვანტესის დონ კიხოტი ამგვარი საქმეების განხორციელებას მოგზაურობითა და მისი თანამდევი ფათერაკებით აპირებს, არც ბესამე კაროა, ამ მხრივ, გამონაკლისი, მანაც იმოგზაურა, ისიც გადაეყარა ფათერაკებს. ღარიბი მწყემსი, ბესამე კარო, მუსიკის სიყვარულით მოხუცს მიჰყვება, ბაენას დაბლობი, ესიხას ბორცვი, ქალაქი კორდოვა, უბედა, უსტე, ალკარასი... ბედმა სად არ ატარა. ღამღამობით კასერესას აღთქმულ ბორცვზე ადიოდა, რომ იქ დაეკრა ფლეიტაზე.

დასჯილი ბესამე, სანამ რექსაჩის წვრთნების „მსხვერპლი“ გახდებოდა, კიდევ ინარჩუნებდა სიკეთისა და სამართლიანობის თვისებებს. რამონას შეკითხვაზე, „- განა შეიძლება, ერთ ადამიანს რომ მეორე არ უყვარდეს და მაინც აკოცოსო?“... [14 462]. ეს როგორ შეიძლებაო, უკვირს მას და თუ მაინც ამგვარად ხდება, ძალიან ცუდიაო, პასუხობს იგი.

ბესამეს უკვირს, ალკარასს გარეთ, დიდფანჯრებიანი დარბაზიდან, სადაც აღდგენითი სამუშაოები ტარდება, წყლის დგაფუნისა და მოკლე, ძლიერი შეყვირების ხმები რომ ესმის, „საწამებელია, თუ რა...“ ფიქრობს იგი. ქუჩა-ქუჩა აფრედერიკ მე ადევნებული, „რექსაჩით მთლად დათრგუნვილია“, ნანობს: „...ჰეე, სადღა იყო დედამიწის სიკეთეები“... [14, 467] შიოდა, ციოდა, ტანჯვა-წამება გადაიტანა, მერე ჯადოქარიც და პარალელურად სიმწარეც ეწვია. ბესამე წუხდა ადამიანებზე, რამდენი რამ სჭირდებათ, მზე, ჰაერი, წყალი, მიწა მრავალფეროვანი: „...დიადი და მაღალი დედა-მიწა“... [14, 467].

მაღე: „...გასამდა ჩვენი საბრალო ბიჭი“... [14 469] ერთი ბესამე ჯადოქრის მონა იყო, მეორე რამონასი, მესამე ჩიტუნელასი, რომლის შეგონებებსაც გულშეკუმშული უსმენდა.

აღსადგენლების ცურვისას, აუზში, რა არ ხდებოდა. რექსაჩი ჯერ ვიწრო საკანში ყრიდა მათ, მერე თავზე ვირთხებს აყრიდა. ერთმანეთს აწყდებოდნენ მოცურავენი. მუსიკაზე მეოცნებე ბესამე კარო გარდაიქმნა, ადამიანობადაკარ-გული, გულგრილი და სასტიკი გახდა, არ აკლდა ფული, ბრილიანტი, ქალი, ქუჩაში მიმავალს,

თაყვანისმცემლები აეკიდებოდნენ ხოლმე, ფლეიტა დიდი ხნით იყო ობლად მიგდებული.

მოხუცმა ბესამე გომურში მუხლამდე დამბალ ნაკელში ჩააყენა, ხელში ფლეიტა ეჭირა: „...საკმეველით ედებოდა ფლეიტა ჰაერს, და თუ რამ იყო უწმინდურობა, სწმენდა და ითვისებდა“ ... [14, 513].

გ. დოჩანაშვილის მოთხრობების პერსონაჟები, დონ კიხოტის მსგავსად, სიკეთეს ემსახურებიან. იმისთვის, რომ ადამიანი გახდეს უკეთესი, გამოსავალს ვასიკო კეჟერაძე - ლიტერატურაში ხედავს („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“), შალვა კეჟერაძე სოფელ-სოფელ სიარულში, რათა თვითონაც და ადამიანებმაც შეიგრძნონ ქვეყნის სიყვარული („ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“); გრიშა კეჟერაძე („იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი“) ცდილობს ადამიანები გახდნენ იმაზე უკეთესები, ვიდრე არიან, ეს მთავარია (ანუ პრობლემა); მაჰმუდ ალის („მხიარული ბორცვი“) სამოქალაქო არეალი მთელი ქვეყანაა, ის ქადაგია, ზნეობის მცველი და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი; ბესამე კარო („ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“) ადამიანთა ბედზე დაფიქრებული, აგრესიისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლია, რომელსაც შესწევს ძალა, გააცნობიეროს ის, რომ გზასაცდენილ ადამიანებს ისევ შეუძლიათ სიკეთის სამსახურში ჩადგომა, განწმენდა. ბესამე კარო სიკეთის მსახურად რჩება, ნ. გელაშვილის თქმით: მისი: „... მომავალი გზა - სოფელ-სოფელ ხეტიალია, მიწაზე ცხოვრება ჯაფით, გარჯით და სიმართლით, განუყრელი ფლეიტით ხელში... ბესამე გადარჩა შინაგან დაღუპვას“ ... [11, 318].

ბესამე კარო („ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“) ისევე, როგორც დონ კიხოტი, შინაგანი თავისუფლებით გამოირჩევა. ისიც, როდესაც მოხუცმა ჯადოქარმა შესთავაზა, მუსიკა თუ გიყვარს თან გამომყევო, დიდი ფიქრის გარეშე დათანხმდა.

ერთს, დონ კიხოტს, მოგზაურობა ლიტერატურამ, კითხვამ თუ შთააგონა, მეორეს - ბესამე კაროს, მუსიკამ. ორივე პერსონაჟი მიემართება გზებზე ოცნებებით და არც ერთმა არ იცის წინასწარ, რა შეიძლება მოუტანოს გამოუცნობისკენ მოგზაურობამ.

ორივე იბრძვის, ოღონდ თავისებურად. დონ კიხოტი - ფათერაკებით, ქმედებებით, ბესამე კარო - სიტყვით.

დონ კიხოტისთვის ოცნებას ის წარმოადგენდა, რომ: „... დათრგუნვილი ჭეშმარიტება აღედგინა, არავითარ საფრთხეს და გაჭირვებას არ მორიდებოდა, დევნილთა და უპატრონოთ გამოსარჩლებოდა“... [37, 35].

ამისთვის მოგზაურობით, ბრძოლით უნდა მიეღწია, ბესამე კაროსთვის ოცნების განხორციელების, თავისუფლებისა და სიყვარულის მოპოვების საშუალებას მუსიკა წარმოადგენს. ამ გზაზე ისიც იბრძვის სამართლიანობისთვის, ამხელს აგრესიას, პირდაპირია და უშიშარი. ორივე პერსონაჟი ამით (დონ კიხოტი და ბესამე კარო) სიკეთის სამსახურში დგას.

„ფლეიტის „მთვარის სულის“ მოპოვებას რომ ცდილობდა ბესამე კარო, მის გამოხმობას, გამოტანას ფლეიტის სხეულიდან - და გათავისუფლებას, რაც ჯადოქრულ პროცესად განიცდებოდა, ნ. გელაშვილი ამ პროცესს სამყაროს სიწმინდესთან შინაგან ჰარმონიაში დაინახავდა, რაკილა ფლეიტას ისიც სიწმინდესთან გააიგივებდა საერთო განწყობილების მიხედვითაც და ამ სტრიქონზე დაყრდნობითაც:

- რაღაცა იყო ფლეიტის ხმაში, მძინარე ბავშვის ნიკაპზე მძიმედ ჩამოღვენილი ნერწყვივით წმინდა“... [55, 143].

ოცნების განსახორციელებლად დონ კიხოტმა „ნათლობა“ მიიღო, ის „სასაცილო წესით დალოცეს რაინდად“ [37, 45].

გ. დოჩანაშვილის მოთხრობის პერსონაჟი, ბესამე კაროც, როგორც დამწყები შემოქმედი, დიდ მუსიკოსად უცნაურად „მოინათლა“. რიკარდოს ქუჩაზე, პატარა კოშკიდან, საიდანაც კლარნეტის, ვიოლინოს, „ხვერდოვანი რაღაც საკრავისა“ და „ყოველგვარი ჰარმონიის წინააღმდეგ ამხედრებული“ ორკესტრის ხმა მოესმოდა, ვიღაც კაცმა ზემო ფანჯრიდან, გადმოსძახა, დიდი მანქანა, ქრისტობალდ როხასი გელოდებო. მარმარილოს კიბეებზე შეაჩერა გამაფრთხილებელმა ხმამ, დაიცადეო. თურმე, დიდ დარბაზშია, მაღალსაზურგეებიან სკამებზე კი უცნობი საკრავები დევს. მოესმა, ყოველ მათგანს შეეხეო: „...ჩვენი ბესამე, პატარა კარო, საკრავთა შორის

მიმოდიოდა და ყოველს ადებდა წენგოიან ხელს, იქიდან კი გამაბრუებლად ამოესმოდა ხის, ლითონისა და ცხენის ძუის ეს უმთავრესი დანიშნულება, საკრავთმეორი“... [14, 436].

ბესამემ აიარა მარმარილოს საფეხურები, შემადლებულზე, სავარძელში, სოფლიდან მისი წამომყვანი ქრისტობალდ როხასი იჯდა, რომელმაც გაუმეორა ადრე დასმული შეკითხვა, მუსიკოსობა გინდაო? როცა მიიღო დადებითი პასუხი, უთხრა, დაიჩოქეო, მერე კი დაწვებზე: „ნაძვის ხისა თუ ფიჭვის ხელისგულები...“ შემოაჭდო, კუთხეში დააყენა და უთხრა: „...მუსიკოსობა თუ გსურს, ბესამე, დიდ უღელში უნდა გაჰყო მორჩილი თავი და მაგ სიფრიფანა მხრებზე უზარმაზარი ტვირთი დაიდო, შესძლებ?

- არ ვიცი, დიახ.

- კარგად იცოდე, ბევრნაირ სიამოვნებაზე უნდა აიღო ხელი“... [14, 438].

აქ დავესესხებით როსტომ ჩხეიძის ერთ-ერთ სათაურს, რომელიც აღებულია მისივე წიგნიდან: „აღსარება გურამ დოჩანაშვილისა“... „ზურგზე - აუარება კაცის ბედი“... [55, 116], რათა მივუსადაგოთ ბესამეს ყოფას.

ბესამეცა და დონ კიხოტიც მზად არიან, აიკიდონ ზურგზე უამრავი ადამიანის ბედი, გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი პერსონაჟის მსგავსად, ადამიანთა სევდა შეაგროვონ... სწორედ ამიტომ „მოინათლა“ ორივე, ერთი - რაინდად“, მეორე - დიდ მუსიკოსად, ეს სულით ძლიერ, დიდ ადამიანებს შეუძლიათ. მათ, თითოეულს, არც აქვთ იმის დრო, რომ პირადი ცხოვრება მოიწყონ, სიყვარული მირაჟია, მიუწვდომელია და მხოლოდ ოცნებების ფერად საბურველშია გახვეული ასეთი ადამიანებისთვის.

დონ კიხოტის დულსინეა, გამოგონილი, ოცნების ქალია, რაინდს სურს, შორიდან, წარმოსახვებით, მუდმივად დაუმტკიცოს მას, რომ თვითონ ღირსეულია, ძლიერია. ბესამე კაროსთვისაც რამონა შორეული და მიუწვდომელია.

დონ კიხოტისთვის სატრფოს ხატება „დიად საქმეებსა“ და მირაჟს შორის მერყეობს. კ. გამსახურდიას თქმისა არ იყოს: „სასწორზე ორი ქმნილებაა“... („დიდოსტატის მარჯვენა“-1938) მოთავსებული, სატრფო და დიადი მიზანი. დონ კიხოტი, მუდმივად, „დიადი მიზნისთვის“ მებრძოლია.

ბესამე კაროც მსგავს მდგომარეობაშია, რამონასთან მის ერთ-ერთ დიალოგში ვკითხულობთ, ჩემი ცოლი თუ გახდები, სარეცელზე ხომ მაკოცნინებ ხოლმეო, რამონამ მიუგო, რომ ახლაც შეეძლო ეკოცნა, ოღონდ, ხელზე. ბესამე კაროს გაუხარდა და სთხოვა, მაშინ აღდგომა დღეს გაკოცებო: „...აღდგომა - დღემდე ბედნიერი ვიქნები, რადგან... რადგანაც იქამდე სულ მეხსომება, ხელზე რომ უნდა გაკოცო და, რამონა, თანაც...

- რა თანაც, ბესამე.. - გამკაცრდა გოგო.

- და თვით მოცარტიც უნდა რომ მოვისმინო “... [14, 472].

ბესამესთვის: „რაც ბედნიერ ქორწინებასავით იყო მოცარტი, ოღონდ - დიადი რამეების ... რა რამეების - ჯერ არ იცოდა, ვერ ჩამხვდარიყო, ნატიფად კეთილ სიდიადეს კი - აჰ, ძლიერ გრძნობდა“... [14, 472]

ავსტრიელი კომპოზიტორის ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის (1756-1791) „კეთილ სიდიადეს“ კი მისი დაუღალავი შრომა ქმნიდა. „უსაშინლეს დრამატულ მდგომარეობაშიც კი მუსიკა ყოველთვის უნდა ხიბლავდეს სმენას, ყოველთვის უნდა დარჩეს მუსიკად“ [59, 214].

გ. დოჩანაშვილის „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოების“ პერსონაჟი, ბესამე კაროც, სწორედ ამიტომ ცდილობს ფლეიტიდან გამოიხმოს სული. თითქოს პერსონაჟის, ბესამესი და რეალური მუსიკოსის, მოცარტის ცხოვრების დეტალები გაერთიანდა მოთხრობის მიხედვით. მოცარტის შემოქმედებას ყოველთვის, ყველა დროის შემოქმედები, მაღალ შეფასებას აძლევდნენ.

მოცარტი გენიოსია, უდიდესია, ჯოაკინო როსინის თქმით: „... რაც ჩრდილოეთმა წარმოშვა მოცარტი, ჩვენ იტალიელები, დამარცხებულნი აღმოვჩნდით ჩვენსავე მოედანზე“... [59, 203].

იოჰანეს ბრამსი აღნიშნავს: „...მოცარტისებურად ლამაზად წერა ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია“... [59, 203].

„მოცარტი - თვით მუსიკის სიმბოლოა“... ეს სიტყვები ბორის აფანასიევს ეკუთვნის [59, 203].

პეტრე ჩაიკოვსკი კი აღნიშნავს: „- ჩემი ღრმა რწმენით, მოცარტი არის უმაღლესი, კულმინაციური წერტილი, რომელსაც მუსიკის სფეროში მიაღწია სილამაზემ...“ [59, 204].

ბესამე კაროს, მოცარტის სახით, უყვარს გენიალური შემოქმედი, უყვარს მუსიკა, რომელსაც შეუძლია, ლუდვიგ ბეთჰოვენის თქმისა არ იყოს, წარმოგვათქმევინოს; „თავისუფლება-უპირველეს ყოვლისა“, უყვარს ინსტრუმენტი (ფლეიტა), რომელსაც შეუძლია მეოცნებეთა განწყობილებებიც გამოხატოს და სამხედრო ორკესტრის მეწინავეობაც შეძლოს, გვაგრძნობინოს სიყვარულიც, რადგანაც ფლეიტასთან ურთიერთობა ამბორით, ანგელოზის სუნთქვასთან მიახლებით იწყება, ანგელოზი ცისიერთანაა ახლოს, ცისიერი კი ჰარმონიაა.

მრავალმგამოვლილ „ბრძოლაგადახდილ, ფათერაკიან“ დონ კიხოტს, უძვირფასეს განძად თავისუფლება მიაჩნია: „...ვერაფერი შეედრება თავისუფ-ლებას, ვერც დედამიწის ქვესკნელში დამარხული საუნჯენი, ვერც დიდება, ვერც სხვა რამ, თავისუფლებაზე სანუკვარი ბედნიერება ამქვეყნად არ არსებობს. თავისუფლებისა და სახელისათვის თამამად შეიძლება თავგანწირვა, რადგან ნაძრახი სიცოცხლე და მონობა ყველაზე უდიდესი უბედურებაა კაცისათვის“... [37, 13].

რ. ჩხეიძის თქმით: „...თავისუფლებისა და სიყვარულის საუფლოდ „ვატერ(პო)ლოში“ - მუსიკა რომ წარმოგვიდგება, და, ამასთან, მის ერთ-ერთ ცენტრალურ თემადაც, ეს გარემოება ნაირა გელაშვილს ათქმევინებდა: ეს არის მოთხრობა მუსიკის შესახებო“... [55, 142].

ლ. მირცხულავა მიიჩნევს, რომ გ. დოჩანაშვილს ზემოხსენებულ „მოთხრობაში აფრედერიკ მე მუდმივად ესაუბრება“ პროსპერ მერიმეს მოთხრობის გმირს, კარმენს. მოთხრობილია, თუ როგორ უყვარდა მას ცეცხლთან თამაში, როგორ დაადგა მილიპულ გზას, აჰყვა კონტრაბანდისტებს და აქვე ჩნდება მთავარი სიმბოლური სახე - თავისუფლება და სიყვარული. მწერალი კარმენის მხატვრულ სახეს განსაკუთრებულ სიმბოლურ დატვირთვას აძლევს, მასში აერთიანებს ზოგადად ხელოვნების დასაყრდენ ორ არსებით ნიშანს, რომლის გარეშე ნამდვილი ხელოვნების შექმნა შეუძლებელია [27,101] „თუმცა უწესრიგოდ, მაგრამ მგონი... იქნებ თავისუფალი იყავი, არა? - მიმართავს იგი კარმენს, - თუკი ასეა, თქვენ გრძნობდით როგორც თავად საკრავი, თანაც საკრავი უზენაესი, რადგან თუმცაღა მხოლოდ ორი, მაგრამ უნეტარესი ყოვლად სიმები შიშველ სხეულზე ტან-ტანზე გაჭიმვოდათ და სიყვარული, და რადგან ყოველ საკრავში

ეს ორი მცნებაა, აკი ვიძახი; „უზენაესია - ტანჯვით საწვდომი თავისუფლება და სიყვარული, ეს ორად-ორი უმაღლესი აღზევება საიდუმლოდ ძევს“.

„კარმენი... თავისუფლებისა და დაუმორჩილებლობის სიმბოლო...“ ხოლო: „თავისუფლებისა და სიყვარულის საუფლოდ მოთხრობაში წარმოდგენილია მუსიკა...“ [11, 320], მიიჩნევს ნ. გელაშვილი.

რამდენი განსხვავებული აზრიც არ უნდა არსებობდეს კარმენის სახესთან დაკავშირებით, ის მაინც აღიქმება, როგორც თავისუფლებისა და სიყვარულის სიმბოლო, რაც შეეხება მუსიკას, ისიც გაიგივებულია თავისუფლებასთან, ბესამე კარო ცდილობდა ფლეიტიდან მთვარის სული გამოეხმო, ამით სამყაროს ჰარმონიას ზიარებოდა, ფლეიტის მეშვეობით ახალი სამყარო გახსნილიყო და მიეღო თავისუფლება ცხოვრების სამბოლოდ აღქმული ვატერ(პო)ლოსა და „ქვაკაც რექსაჩისაგან“. გარდაქმნილი, ახალ ადამიანად გარდასხეულებული ბესამე კარო შუაღამისას უკრავდა ფლეიტას, რომლის ხმები სოფლებს ფაქიზად ეფინებოდა, ავტორი მას „ღამის მაკეთილშობილებელს“ უწოდებს. ქვეყანას ფლეიტის ხმებით თავისუფლება და სიყვარული ენიჭებოდა. ბესამე კარო თავისუფალი იყო. რაც შეეხება აფრედერიკ მეს, მას ახსენებოდა: „...თავნება ქალი, სახელად - კარმენ, თავისუფლებას, სულის ველურად აყვავებულ ბუჩქნარს, მისით ეტრფოდა და დიდად უყვარდა თავისუფლება...“ [14, 115].

„ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენით სამუშაოებში“, ფლეიტაც, კარმენიც, აფრედერიკ მეს - ყველა ასოცირდება თავისუფლებასა და სიყვარულთან. მოთხრობაში კანონი, რომელიც წინააღმდეგობას უნდა უწევდეს უსამართლობას (რექსაჩს), არ ჩანს, თითქოს ყველაფერი დინებას მიუყვება.

ვაჟა-ფშაველა წერილში, „რა არის თავისუფლება?“ გამოთქვამს მოსაზრებას: „თავისუფლება ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. ბედნიერებაწართმეულს რა ჰრჩება უბედურების მეტი? - არაფერი. კიდევ იმიტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული ერი და პიროვნება. წამრთმეველნი სარგებლობენ ამ ნაყაჩადარის ბედნიერებით მხოლოდ ცოტახანს, რადგან ცხოვრების ლოღიკის წყალობით ეს ნადავლი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება.“

„ვეტერ(პო)ლოში...“ არც კანონი დგას პიროვნებაზე მაღლა და არც სიმართლის გრძნობა არსებობს, სხვას დაქვემდებარებული, დამონებული პერსონაჟი, ბესამე, ერთხანს ოცნებობს თავისუფლებაზე, მოთხრობის ფინალში ვხედავთ, რომ გარდაქმნილ კაროს ეს ნატვრა უსრულდება, ისევ საწყის მდგომარეობას უბრუნდება. შემთხვევითი არ არის, ძველთაძველი საკრავის, ფლეიტის, სიმბოლოდ გამოყენება ნაწარმოებში, ერთხელ უკვე ვთქვით, ამ მუსიკალური ინსტრუმენტით ბესამეს მთვარის სულის გამოხმობა სურდა, ამით სამყაროს ჰარმონიას ეზიარებოდა,

ფლეიტის რეალური დანიშნულება (კონკრეტულად, ფლეიტა პიკოლოსი), ასოციაციურად უკავშირდება გ. დოჩანაშვილის მიერ გამოყენებულ სიმბოლოს, სამხედრო ორკესტრს ეს საკრავი მიუძღოდა წინ. ჯარი კი ბრძოლასთან, მშვიდობასთან, თავისუფლებასთან ასოცირდება, რომლის ერთ-ერთი უპირვე-ლესი მაცნე ორკესტრში ფლეიტაა, გ. დოჩანაშვილის მოთხრობაში „ვეტერ(პო)ლო ანუ აღდგენითი სამუშაოები“ მას თავისუფლებისა და სიყვარულის მისია აკისრია. თავისუფლებაზე უკვე აღვნიშნეთ, სიყვარულს კი რაც შეეხება, ავტორი მიუთითებს, ფლეიტის ხმიანობა ამბორით იწყება, ბავშვის ნერწყვივით წმინდაა, ჩაფიქრებული ანგელოზის სუნთქვას წააგავს, რომელიც სამყაროს ჰარმონიასა და ბუნებაში გადადის, უფალს უახლოვდება, რომელიც სიყვარულია და მრავალგვარი სიყვარულის დასაბამი.

აღსანიშნავია ის, რომ ორივე ნაწარმოებში, სერვანტესის „დონ კიხოტსა“ და გ. დოჩანაშვილის „ვეტერ(პო)ლო ანუ აღდგენითი სამუშაოებში“, მოქმედებები ხდება ესპანეთში.

როგორც ვიცით, „დონ კიხოტი“ XVI საუკუნის ესპანეთის რეალისტურ სურათს ასახავს. „ვეტერ(პო)ლო ანუ აღდგენითი სამუშაოების“ სამოქმედო არეალი XIX საუკუნის ესპანეთია - სტილიზებული, ალეგორიული.

გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებს ნაირა გელაშვილი უწოდებს: „მოთხრობას მოთხრობის შესახებ...“ „აფრედერიკ მე თავად ავტორის იპოსტასია (ორივენი კი მწერლისა) ეს ნაწარმოებში არც ისე შენიღბულია. ამაზე მიგვანიშნებს მისი გვარი „მე“ (ხოლო სახელი „აფრედერიკი“ იუმორით ეს არის ფრენა, ლივლივი, ნავარდი, ფრთების გაშლა წარმოსახვისა, და მერეც, იმ აზრითაც, რომ ესაა „აფრენა“ ანუ ერთგვარი გადახრა

ნორმიდან, ჩვეულებრივი, „ნორმალური“, ცნობიერების ზღვარს გადასვლა (რასაც „ღვთაებრ სიგიჟეს“ უწოდებს ერთი დიდი გერმანელი პოეტი). აფრედერიკ მე ავტორის მეორე მე და მესამე პირია. თავად ავტორი კი მკითხველთან ერთიანდება და ამიტომ „ჩვენ“ ის სახით შემოდის თხრობაში („აფრედერიკს შეგვიცივდა“, „ჩვენი ბესამე კარო“ და ა.შ.) [11, 313].

„იუმორი, რითაც სუნთქავს მთელი მოთხრობა, პირველ რიგში, ინტელექტუალური ხასიათისააო“, მიუთითებს ნ. გელაშვილი, „უზენაესი ფანტასტი“ თვით ავტორია, „მთელ მოთხრობას წარმართავს სწორედ მისი სურვილი, აღზევდეს სული და თავისუფალი იყოს ადამიანი“ [11,319] მწერალი „თავად არის განგება“, ხოლო „მოთხრობის თემად თავად იქცევა „წარმოსახვა“, მისი ფარული კანონზომიერება და ლოგიკა“, კარმენი კი, ნ. გელაშვილის თქმით, „თავისუფლებისა და დაუმორჩილებლობის სიმბოლოა“. „აფრედერიკს ისევე ეგულება განაბული ჯადოქარი ენის გამოქვაბულში, როგორც ბესამეს ფლეიტაში. ტანჯვით და წვალებით, გონებითა და უგონობით - მთელი არსების ტანჯვითაა მხოლოდ შესაძლებელი იმ მრავალსახიანი, ლამაზი და შემზარავი ჯადოქრის გამოხმობა და მომინაურება. ბესამე და აფრედერიკი ერთნაირ გზებს მიუყვებიან: ერთის გზა ბგერების, მეორისა კი სიტყვების ტევრში გადის. როგორც ჩანს, ეს გზა არ არის უწყინარი და უვნებელი თამაში, თუ გავიხსენებთ ჰოლდერლინის სიტყვებს, რომ ადამიანისთვის ბოძებულ მადლთაგან ენა ყველაზე საშიში მადლია“ [11, 328].

ნ. გელაშვილის თქმით, თუკი ბესამე და აფრედერიკი ერთნაირ გზებს მიუყვებიან, ენის გამოქვაბულსა და ფლეიტაში, ეს გზები სიკეთისკენაა მიმართული. ასე მიუყვება სერვანტესის დონ კიხოტი გზას სიკეთის, თავისუფლებისა და სამართლიანობის საძიებლად. არა აქვს მნიშვნელობა, რა ფორმით ჩავიდნენ სიკეთეს, „გონებით“, „მთელი არსების ხარჯვითა“ თუ მოგზაურობით, მთავარია, რომ ამისი სურვილი აქვთ იმ პერსონაჟებს, რომელთაც საკაცობრიო, მარადიული პრობლემები აწუხებთ.

სერვანტესის „დონ კიხოტსა“ და დოჩანაშვილის მოთხრობაში „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“ გვხვდება გეოგრაფიული თანხვედრები: „დონ კიხოტში“ მოქმედება ხდება XVI-XVII საუკუნეების ესპანეთში, XIX საუკუნის ესპანეთია ნაჩვენები

„ვატერ(პო)ლოში...“ მწერალმა ცნობილი ადამიანების სახელები: ნაპოლეონი - პოლიტიკური ძალის (ძალადობის, ბოროტების) სიმბოლოდ გამოიყენა, ბეთჰოვენი - სიკეთის, ფლეიტა - ჩაფიქრებული ანგელოზის სუნთქვაა, მუსიკა - თავისუფლებისა და სიყვარულის, კარმენი - თავისუფლებისა და სიყვარულის.

§ 5. ლიტერატურა და მკითხველები. ორი ბიბლიოთეკა, ორი მკითხველი

რენე უელეკი და ოსტინ უორენი კითხვაში კრიტიკულ გაგებასა და შემეცნებას გულისხმობენ: „...კითხვის ხელოვნება მაინც შეიძლება იდეალს წარმოადგენდეს იმ ადამიანთათვის, რომელსაც სურს თავისი უნარების განვითარება...“ [46,21]. მხატვრული ლიტერატურის მეშვეობით, მკითხველები რეალურ და წარმოსახვით სამყაროში მოგზაურობენ, მოგონილი ამბები ზეგავლენას ახდენენ მათს ცნობიერებაზე, ბაძავენ ან გამობენ გმირებს, ყურადღებას ამახვილებენ ადამიანის დანიშნულების არსზე, ნაწარმოებებში ეძებენ ამა თუ იმ პრობლემის გასაღებს.

დონ კიხოტი და ვასიკო კეჟერაძე (კლიმთან ერთად), კითხვის პროცესში, პერსონაჟების სამყაროში ცხოვრობენ, თითქმის ერთნაირად განიცდიან მათს ყოველდღიურობას, მათს ტკივილებსა და სიხარულს.

რასაც დონ კიხოტი კითხულობდა, შეიძლება ითქვას, რომ ახლოს იყო მის სულიერ გამოცდილებასთან, ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ ვასიკო კეჟერაძეზეც.

დონ კიხოტი და ვასიკო კეჟერაძე, წაკითხულის გააზრების შემდეგ, ოცნებობენ, პირველს სურს მიბადოს რაინდებს, მეორეს კი უნდა „კარცერი-ლუქსის“ დახმარებით გარდაქმნას საზოგადოება. დონ კიხოტისთვის მთავარია მოგზაურობა, ვასიკოსთვის კი კითხვა, განსჯა, ფიქრი, მაგრამ მისი აზრით, ლიტერატურის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ კითხვა არაა: „...ყოველივე იმას, რასაც წაიკითხავ, გააზრება არ უნდა? დიდი ამბავი, ტრამვაიში დავჯდები ან დავდგები, ყირამალა დგომისასაც კი შეიძლება ფიქრი? კი მაგრამ რაზე? რაზე და, რასაც წაიკითხავ, იმაზე... ან, რაც გაგახსენდება...“ [13, 62].

კითხვის პროცესში, დონ კიხოტი იაზრებდა გარემომცველი სამყაროს მდგომარეობას, ფიქრობდა, განიცდიდა და გადამეტებულმა მგრძნობიარე დამოკიდებულებამ თავისი ქვეყნის მდგომარეობისადმი, გონება აურია, სარაინდო საქმეების ჩასადენად, ქვეყნის სიყვარულით შთაგონებული დადის, დახეტიალობს და დაემებს სიმართლეს, ცდილობს, სიკეთეს ემსახუროს. ამ მხრივ, ის ძალიან ჰგავს შალვას (გ.დოჩანაშვილი „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“), როდესაც ვასიკო

კეჟერადეს („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“) თამაზის ხელმძღვანელი ეკითხება, მარტო ცხოვრობო? რესპოდენტი მიუგებს: „...მესამე ძმაცა გვყავს, ოოო, ისაა, რაცაა, ორივესა გვჯობს, ოღონდ ჩვენთან არა ცხოვრობს, სოფელ-სოფელ დადის. მე და გრიშა თუ... აბა, როგორ გითხრათ... ჰო! მე და გრიშა თუ სამოთხრობო ხალხი ვართ, ის ძმა - მესამე სარომანოა, მაშ!“ [13,75]. ცნობილია, რომ ხელოვნებას ძველთაგან განმარტავენ, როგორც სინამდვილის მიბადვას. მკითხველები, ხშირად, ბაძავენ პერსონაჟების ქცევებს, მოქმედებებსა და მათ მიერ განვლილ გზას იმეორებენ.

შეიძლება ითქვას, რომ ის მიზანი, რაც ამოძრავებდა დონ კიხოტს, გ. დოჩანაშვილის სამ ძმა კეჟერადესაც მიაჩნდა ნიშანდობლივად, წარმმართველად, სამივეს, ცალ-ცალკე და ერთად. კეჟერადეების ლიტერატურისადმი სიყვარული, ადამიანთა უკეთესად გახდომის სურვილი, თითქოს, ერთ პერსონაჟში, სერვანტესის დონ კიხოტის ქცევებში, მეტყველებასა და მოქმედებებშია გაერთიანებული.

ჩვენ მიერ დასახელებული მოქმედი პირების მოტივაციას, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული ლიტერატურა, კითხვა ქმნის, რომელიც ვასიკო კეჟერადის თქმით, „გააზრებაცაა“ და ადამიანთა აღზრდის საუკეთესო საშუალებაც, ეს კი, თავისთავად, ისეთი საკითხებისკენ მიგვაპყრობინებს ყურადღებას, კაცობრიობის მარადიულ თემებად რომ აღიქმება: სამშობლო და ადამიანის დანიშნულება.

თუკი საუკუნეების განმავლობაში, ტრადიციულ ქართულ ტექსტებში, პერსონაჟების ხასიათებში სიყვარულს, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასა და სიკეთის გამარჯვებას, პატრიოტიზმსა და მეგობრობის დიად დანიშნულებას, დადებითსა და უარყოფით თვისებებს ექცეოდა ყურადღება, გ. დოჩანაშვილის მოთხრობაში: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, მოქმედი პირისთვის მთავარი ლიტერატურის სიყვარულია, იგულისხმება, რომ ის სიყვარულიცაა და სიკეთეც, შეიძლება მეგობრობდე მასთან და მისი ზეგავლენით გაიმარჯვო ბოროტებაზეც, ნაწარმოებში ჩამოთვლილია მწერლები, ავტორი:

„...იმეორებს იმ სახელებს, რომელთაც განსაზღვრეს მისი, როგორც მწერლის, ან როგორც პიროვნების ჩამოყალიბება“... [56,304].

ბ. წიფურას თქმით, დოჩანაშვილის ხსენებულ მოთხრობაში არა ტექსტების, არამედ სახელების კოლექციაზეა საუბარი. ავტორი „საყმაწვილო ლიტერატურით“ იწყებს: დიუმა, ჟიულ ვერნი, ჯეკ ლონდონი, „...ეს სწორედ ის ნაწარმოებებია, რომლებიც იქმნებოდნენ პროზის სრულიად კანონიკური, ტრადიციული პრინციპების თანახმად და ორიენტირებულნი არიან ტრადიციულ ადამიანურ ფასეულობებზე. ამიტომაც სწორედ მათ საფუძველზე უნდა მოხდეს პიროვნების ცნობიერების ჩამოყალიბება... მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ტექსტებია დასახელებული: თომას მანის „სიკვდილი ვენეციაში“. ლიოსა და კორტასარი თავიანთი რომანებით. ეს მოთხრობა 70-იან წლებში იწერება და ლათინური ამერიკის ლიტერატურის ბუმს აირეკლავს... მოთხრობის ინტერტექსტუალურ ველში უკვე შეჭრილნი არიან მარიო ვარგას ლიოსაცა და გაბრიელ გარსია მარკესიც“... [56, 305-306].

ვასიკო კეჭერაძის მიერ შემოთავაზებული წასაკითხავი მწერლების სია გვაგონებს გერმანელი მწერლის, ჰერმან ჰესეს (1877-1962), ესეს: „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“, რომელიც ნაწარმოებთა კატალოგს გვაწვდის. ამ მხრივ, ორივე, დოჩანაშვილი პერსონაჟის მეშვეობით, ჰერმან ჰესე კი თავისი შეხედულებით, გვმოდვრავს, რით დავიწყოთ კითხვა. ორივე შემოქმედის პათოსი, თითქმის ერთი და იგივეა: ლიტერატურა სასიკეთო იმპულსის მომცემია.

სერვანტესის პერსონაჟი, დონ კიხოტი, ლიტერატურის მოყვარულია. მან: „...რამდენიმე დესეტინა ხოდაბუნი გაყიდა, რათა საკითხავად სარაინდო წიგნები შეეძინა, და შინ იმდენი მოაგროვა ეს რომანები, რამდენის შოვნაც კი შეეძლო“. [36, 33]. დონ კიხოტს წიგნებში ამოკითხული ამბები ელანდებოდა, მოქმედ პირთა ყოველდღიურობით ცხოვრობდა, მათი გმირობების წარმოსახვით სულდგმულობდა. (წიგნებისა და იდეების (ოცნებების) სამყაროში ცხოვრობს რევაზ(რეზო) გაბრიადის (1936), ქართველი მწერლის, მხატვრის, კინოსა და თეატრის რეჟისორის, მოთხრობა „შერეკილების“ პერსონაჟი ქრისტეფორეც. ამავე სახელწოდებისაა მისივე ქართული ფილმი („შერეკილები“ - 1973).

ლიტერატურის კითხვის სიყვარულით, ტექსტებში მოხსენიებული გმირების წარმოსახვით სამყაროში ცხოვრებით, დონ კიხოტი და ვასიკო კეჟერაძე ერთმანეთს ჰგვანან.

ვასიკო კეჟერაძე, თანამოსაუბრესთან, ჩამოთვლის მწერლებსა და პერსონაჟებს, დონ კიხოტი, ძირითადად, გმირებსა და რაინდებს, წიგნებიდან.

ვასიკო კეჟერაძისთვის სამოქმედო არეალს, მისი მზერის ობიექტს, საზოგადოება წარმოადგენს, მას სურს, ლიტერატურის მეშვეობით გარდაქმნას იგი, ეს მისი აუხდენელი ოცნებაა, რადგან დიდი ლიტერატურული სამყაროს ოკეანეს თავის ფოტოკაბინეტში ქმნის, აქ მასთან შემოდინან „აურელიანოსა“ ან „ბეტან-კურის“ მსგავსი ადამიანები, რომელთაც ის ფოტოებზე აღბეჭდავს. შეიძლება მწერალს ამით იმის თქმაც სურს, რომ ლიტერატურა სიმართლის ფოტოგრაფიული ამსახველი და აუხდენელი ოცნებების აღმწერებელია. ვასიკო კეჟერაძე კლიენტებს ემსახურება და მათზე ზეგავლენის მოხდენას იმ წუთებიდანვე იწყებს, მისი ფოტოკაბინეტის კარებს რომ შემოაღებენ ხოლმე, დონ კიხოტმა კი იცის, რომ შეუძლებელია ოთახში გამოკეტილმა ადამიანმა დიადი საქმეები აკეთოს და მეოცნებე იდაღო მოგზაურობს. სერვანტესმა მკითხველი დონ კიხოტის დახატვით, ლიტერატურის მოყვარულ ყველა თაობის წარმომადგენელს დაუმტკიცა, რომ წიგნის კითხვა აუცილებელია, ადამიანს ავითარებს, მის ცნობიერებას აფხიზლებს და აკეთილშობილებს, მაგრამ გაუაზრებელ, უნიადაგო, მხოლოდ ოცნებებით არასწორად დაგეგმილ ქმედებებს ის სასოწარკვეთამდე და ტანჯვამდე მიჰყავს ისე, როგორც ლამანჩელი იდაღო, კითხვისგან გონებადაბინდული, მაგრამ საქვეყნო სევდით შეპყრობილი.

სერვანტესის შემდეგდროინდელმა თაობამ, დონ კიხოტში, საკაცობრიო იდეალებისათვის მებრძოლი მხატვრული, მარადიული სახე აღმოაჩინა.

ფრანგი მწერლის, როჟე მარტენ დიუ გარის (1881-1958), თქმით („მე ხომ ევროპის შვილი ვარ“), „რომანისტს, რომელიც მართლა რომანისტადაა დაბადებული, როგორც წესი, ცნობენ ხოლმე მისი მგზნებარე მისწრაფებით, შეაღწიოს ადამიანის ცნობიერების ყველაზე დაფარულ სიღრმეებში და თითოეულ გმირში ის ინდივიდუალური მხარე, ის თავისებურება გვიჩვენოს, რომელიც მას განუმეორებლობას სძენს“ [74] ეს მოსაზრება

სერვანტესს მიესადაგება. ორივე შემოქმედმა თავისი ნაწარმოებების პერსონაჟებს დააკისრა მისია, ლიტერატურის, კითხვის მეშვეობით, გამოეხატათ პროტესტი საზოგადოებაში არსებული ნაკლოვანებებისადმი: „კითხვაც ერთგვარი პროტესტია, როდესაც შეგიძლია შენს წარმოსახვაში შეეწინააღმდეგო ცხოვრების ნაკლოვანებებს და ეძებო ის, რაც რეალურად არ არსებობს. ჩვენთვის საჩუქრად ნაბოძებ სიცოცხლეს არ შესწევს უნარი, სრულიად დაგვიკმაყოფილოს შემეცნების წყურვილი, მაგრამ ეს სიცოცხლე ადამიანური არსის საფუძველია და გვინდა, რომ ის უკეთესად გამოიყურებოდეს. ამიტომაც ვქმნით მხატვრულ სახეებს“ [74].

ვასიკო კეჭერაძეცა და დონ კიხოტის პროტესტს კითხვის, წარმოსახვის შემდეგ გამოეხატავენ და ოცნებობენ: „სიცოცხლე ...უკეთესად გამოიყურებოდეს“.

ცნობილი ქართველი მწერლისა და პოეტის, გ. ლეონიძის, მოთხრობების კრებული, „ნატვრის ხე“, დამოუკიდებელი ნაწარმოებებისაგან შედგება, მაგრამ თითოეულს აერთიანებს ერთი მთავარი აზრი და იდეა. კოლაჟურობით, თითქოს, გ. ლეონიძის მოთხრობების კრებული, „ნატვრის ხე“, ემსგავსება გ. დოჩანაშვილის „კეჭერაძეებს“, ორივე კი, ზოგიერთი მომენტის ორონიულ-პაროდული მიდგომით, სერვანტესის „დონ კიხოტს“ (გ. დოჩანაშვილის „კეჭერაძეები“ და გ. ლეონიძის ზოგიერთი მოთხრობა).

„კეჭერაძეებს“ სამი ასპექტი აერთიანებთ: საქართველო-ლიტერატურა-ადამიანები (პატრიოტიზმი-ხელოვნება-ჰუმანიზმი), გ. ლეონიძის „ნატვრის ხის“ პერსონაჟებს კი: პატრიოტიზმი-თავისუფლების სიყვარული-ჰუმანიზმი. სერ-ვანტესის დონ კიხოტს - ესპანეთი-თავისუფლება-სამართლიანობა.

გ. დოჩანაშვილის მთავარი გმირი, ვასიკო კეჭერაძე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სერვანტესის „დონ კიხოტსა“ და მის ავტორზეც: „ვთქვათ, დგანან ერთად უნებურად ამაყი, ჩამოძონძილი, მშიერი, ხელგამხმარი, დიდებული ესპანელი ინვალიდი და გვერდით კი უდგას ეს ჩვენი ნაცნობი, ვიგინდარა, წედან რომ დაგიხასიათეთ, მერე რა, სხვადასხვა ეპოქაში რომ ცხოვრობდნენ, მაშინაც კი იქნებოდა ვინმე ასეთი, ვთქვათ, ერთად დგანან - ოცნებით სავსებით შესაძლებელია საუკუნეთა წიაღში გასეირნება, ხოდა, ჩამოივლის იმდროინდელი ჩამორჩენილი, ანდა, შესაძლოა,

ნიჭიერი მათემატიკოსიც კი და რომ ხკითხავენ - რამდენი კაცი დგას ქუჩაში? - იტყვის: „ორი“... აბა, გეკითხებით, განა ეს პასუხია? როგორ თუ „ორი“ - ის და ის - ესე იგი - ერთი პლუს ერთია? ახ, არა, არა, ხანდახან არაა მათემატიკა ზუსტი მეცნიერება...“ [13, 67].

ვასიკო კეჭერაძეს მიაჩნია, რომ ღირებულმა ნაწარმოებმა უნდა „დაგბურდგლოს“, ის განსაკუთრებულად უნდა შეიგრძნოს: „...თუ მართლა კარგი და ღირებულია, მაშინ მარცხენა ხელზე, მაჯიდან იდაყვამდე, აუცილებლად დამბურდგლავს... რა, არა გჯერათ? - და რესპოდენტი პერანგის სახელოს მალა იწევს, ამბობს: - „დონ კიხოტი“, - მკლავს გვაჩვენებს და სიმართლე - სიმართლედ: დაბურდგლულია...“ [13, 88]

„...დონ კიხოტი უფრო რეალურია, ვიდრე ყველა ბექედი და შკაფი-მაფი დედამიწის ზურგზე, რადგან დონ კიხოტი - იდეალურია... ისე კი, სხვათაშორის, სიტყვამ მოიტანა და ფიზიკოსები თუ ვერასოდეს შექმნიან „პერპერტუუმ მობილეს“, ლიტერატურამ უკვე შექმნა - ეს სწორედ „დონ კიხოტია“ ...“ [13,86]. უნებლიეთ, ბორხესის ცნობილი გამონათქვამი გვახსენდება, რომ დონ კიხოტი უფრო რეალურია, ვიდრე სერვანტესი.

მწერალი თითქოს საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას პერპეტუუმ-მობილეზე (მუდმივ ძრავაზე), რომელსაც ენერჯის მიწოდება არ უნდა დასჭირვებოდა.

ფიზიკოსთა დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ძრავის შექმნა, დონ კიხოტის „მოგზაურობამ“ კი მრავალი თავისი მსგავსი, „მეგობარი“, წარმოშვა საუკუნეების წიაღში. მეცნიერები ბაძავდნენ ერთმანეთს პერპეტუუმ მობილეს შექმნაში, მაგრამ შედეგს ვერავინ აღწევდა. „დონ კიხოტის“ ლიტერატურულ სამყაროში ჩასახლებული პერსონაჟები და მისი არქეტიპები კი მუდმივი, მოქმედი „მოსიარულენი“ აღმოჩნდნენ ეპოქების შარავზეზე და ყველა ხელოვანი ნებით თუ უნებლიეთ, ალუზიურად, ბაძავს მათ უკვდავ სახეებს.

გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟ ვასიკო კეჭერაძეს („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“), კითხვის პროცესი ნაწარმოებში მოთხრობილ ამბებს ისე განაცდევინებს, როგორც სინამდვილეში მომხდარს და ზოგჯერ ჰგონია, რომ თანამონაწილეა ტექსტებში აღწერილი მოვლენებისა. მსგავს სიტუაციაშია სერვანტესის

პერსონაჟი დონ კიხოტი („დონ კიხოტი“). დასახელებულ მოქმედ პირთა ზოგიერთი წარმოსახვა ნაწარმოებების ავტორთა მიერ განცდილადაც აღიქმება.

პერუელი მწერალი და ჟურნალისტი, ხორხე მარიო ვარგას ლიოსა (1936), ესეში („წერისა და კითხვის სადიდებელი“), მიუთითებს: „ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩემს ცხოვრებაში, და სამოცდაათი წლის შემდეგაც ნათლად მახსოვს ის საოცარი განცდა, რომლის წყალობითაც სიტყვები სურათ-ხატებად გარდაისახებოდა და ჩემს ცხოვრებას ამდიდრებდა. ამან შემადღებინა გადამელახა დროისა და სივრცის საზღვრები, კაპიტან ნემოსთან ერთად 80 ათასი კილომეტრი წყალქვეშ გამეტარებინა, დარტანიანის, ათოსის, პორთოსისა და არამისის მხარდამხარ, კარდინალ რიშელიეს ხრიკების წინააღმდეგ მებრძოლ, დედოფალს განადგურებით რომ ემუქრებოდა. პარიზის მიწისქვეშეთშიც ამოვყავი თავი და ჟანვალჟანადაც გადავიქეცი, მარიუსის უსიცოცხლო სხეული ზურგზე რომ მოეკიდებინა“ [86].

მარიო ვარგას ლიოსას თქმით, მწერლებმა ის თხრობის საიდუმლოს აზიარეს რის შედეგადაც მან შეძლო, ჩასწვდომოდა ადამიანთა შინაგან სამყაროს, „რომელიც აღმაფრთოვანებდა და იმავდროულად მამრწუნებდა თავისი სისასტიკით, დიახ, ეს მწერლები იქცნენ ჩემს გულითად და უშურველ მეგობრებად, ჩემს მოწოდებას შთაგონებით რომ ავსებდნენ. სწორედ მათ წიგნებში ამოვიკითხე, რომ თვით ყველაზე მძიმე მდგომარეობაშიც კი არ უნდა დაკარგო იმედი, რომ ცხოვრებაში არსებობს იმედგაცრუება“ [85]. ორივე მწერალს - გ. დოჩანაშვილსა და მიგელ დე სერვანტესსაც, საკაცობრიო, მარადიული პრობლემები აწუხებს. როგორც უკვე ვახსენეთ, გ. დოჩანაშვილის მოთხრობა, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, 1973 წელს, იმ პერიოდში დაიწერა, როცა მსოფლიო ლიტერატურა სამხრეთ-ამერიკულ პროზას თვლიდა წარმმართველად, მწერალმაც ყურადღება მისკენ მიმართა, იმდროინდელი ადამიანი, ქართული საზოგადოება, თითქოს, კონტრასტულ ფერებში დაგვიხატა. ის მთავარი პერსონაჟის, ვასიკო კუჟერამის თქმით, „მოიხფროა“ და სიტყვა „გავძეხის“ ასოციაციას იწვევს. ნაწარმოების შექმნას წინ უძღოდა 60-იანი წლების „დათბობის“ პერიოდის ტენდენციები. მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში ყურადღებას

ამახვილებდნენ მორალურ საკითხებზე, (ამ პერიოდში შეიქმნა გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეც“).

ნაწარმოები იწყება სოციოლოგიური კვლევის სამსახურის ხელმძღვანელისა და მეცნიერ-მუშაკის დიალოგით.

უმცროს მეცნიერ-მუშაკს, თამაზს, დაევალა ქალაქში მოღვაწე რომელიმე პროფესიის ადამიანთა ყოფა-ცხოვრების, ინტერესების შესწავლა. მან ფოტოგრაფები ამოირჩია და ხელმძღვანელის მიერ წინასწარ შედგენილი სამი ანკეტა-კითხვარი მალე შეავსო. მეოთხე რესპოდენტი ვასიკო, რომელიც ლიტერატურით აზროვნებს და ყველაფერს იმით საზღვრავს, ჯერ თამაზს, მერე კი მის ხელმძღვანელს, ნაწარმოებების პერსონაჟებს ამსგავსებს. კლიმი მისი ასისტენტი და თაყვანისმცემელია, ვასიკოს მიერ წარმოსახული იდეალური დაწესებულების „კარცერი-ლუქსის“ იდეალური „პროდუქტია“, „მიღებული“ („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“). მოთხრობაში ბევრი კომიკური ელემენტია.

ვასიკო კარგი მკითხველი და ამასთანავე მეოცნებეა. ნაწილი ადამიანებისა არ აღიარებს ლიტერატურასა და მის მოყვარულ ადამიანსაც, რადგან არა აქვს არც შესაბამისი სტიმული, არც ცოდნა. შეუძლებელია მაღალი ფასეულობების მატარებელი ასეთი პიროვნება მიიღოს არალიტერატურულმა საზოგადოებამ.

ცნობილი ქართველი მწერლის, ლიტერატურათმცოდნისა და მთარგმნელის, ოთარ ჩხეიძის (1920-2007) სიტყვები, კითხვაც უნარი და ნიჭიაო, გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოითქვა, მწერალს მიაჩნდა, რომ თუკი მკითხველის მოთხოვნილება იქნებოდა მაღალი, მწერლობაც, შესაბამისად, მაღალი დონის აღმოჩნდებოდა. გ. დოჩანაშვილის მოთხრობის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ - პერსონაჟი, ვასიკო კეჟერაძე, სწორედ ისეთივე საზოგადოების წარმომადგენელია, როგორშიც ო. ჩხეიძის მკითხველი ცხოვრობს. მკვლევარი მ.ჯალიაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში („ინტერვიუ მათა ჯალიაშვილთან“) ამბობს: „იყო მკითხველი, ეს სასწაულია...ვასიკო კეჟერაძე მკითხველის იდეალია...ოთარ ჩხეიძეს აქვს ესე „მკითხველი“, რომელშიც წერს: „მწერალი მკითხველი გახლავთ, ანუ მკითხველი განსაზღვრავს მწერლობის დონესა“ [80].

თანამედროვე მკითხველის გზები გაიყარა. ერთნი ციფრული ტექნოლოგიების, მეორენი კი - ბიბლიოთეკების საშუალებით ეცნობიან წიგნებს.

ფრანგმა მწერალმა, ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიომ (1940), ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე (2008) თავის გამოსვლაში: „...კითხვის ჩვევასა და განათლების გავრცელების მსოფლიო პრობლემებზე ისაუბრა. მისი თქმით, აუცილებელია ყველანაირი ძალებისა და რესურსების კონცენტრირება თარგმანებზე, რომლებიც მცირე ერების ენაზე უნდა შესრულდეს და ბიბლიოთეკებიც ახალი წიგნებით მომარაგდეს. მწერალი შეეხო ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებისგან მოსალოდნელ კულტურულ საფრთხეს და აღნიშნა, რომ საზოგადოების ყოველი ფენის უზრუნველყოფა თხევად-კრისტალური მონიტორით-უტოპიაა. ციფრულ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით და მასზე დამყარებული იმედებით მხოლოდ ახალი ტიპის ელიტას შევქმნით, სოციალურ ჯგუფს, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანიც მხოლოდ ის იქნება, რომ მას ხელი მიუწვდება ახალი დროის სხვადასხვა ფუფუნებაზე“ [91].

ვასიკო კეჟერაძის წარმოსახვითი ბიბლიოთეკის მკითხველები, რასაკვირ-ველია, ვერც ერთ ტექნიკურ საშუალებას ვერ მიმართავენ, რადგან ჩვეულებრივი კითხვა არ არის საკმარისი მათთვის, ნაწარმოების გასაგებად. საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებით, ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოები მოდელია. ცნობილია, რომ ის ვლინდება სიუჟეტის, ტროპების, თხრობითი სტილის, კომპოზიციისა და სხვადასხვა კოდის ერთობლიობაში. მკითხველს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნის მარაგი, რათა ჩაწვდეს: გამოსახვის საშუალებათა, ჟანრულ, კულტურის, გამოცდილების ანუ ფსიქოლოგიურ კოდებს... ამდენად, დეკოდირების პროცესს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მკითხველები: დონ კიხოტი და ვასიკო კეჟერაძე, დეკოდირების პროცესებში კარგად ერკვევიან, მაგრამ მხატვრული ტექსტის აღქმისას რეალურ სინამდვილეს წყდებიან და მათი ცნობიერება მხატვრულ სინამდვილეზე ჩერდება, ისინი წარმოსახვით სამყაროში მოგზაურობენ. დონ კიხოტი სარაინდო საქმეების განხორციელებაზე ოცნებობს, ვასიკო კეჟერაძე საზოგადოების ლიტერატურის მეშვეობით გარდაქმნაზე.

წიგნებში კი, როგორც გერმანელი მწერალი ჰერმან ჰესე მიიჩნევს, რაღაც მაცოცხლებელი, სულიერად ამაღლებული ძალაა ჩადებული. ვასიკო კეჭერაძეს ამგვარ ძალაზე ასე შეუძლია თქვას: „...თუ მართლა კარგი და ღირებულია... აუცილებლად დამბურმგლავს...“ [13, 88].

გ. დოჩანაშვილის პერსონაჟი, ვასიკო კეჭერაძე და სერვანტესის დონ კიხოტი, ლიტერატურულმა სამყარომ, კითხვამ, შეიძლება ითქვას, გამოთიშა რეალური სინამდვილიდან: შეთხზულმა, წარმოსახვითმა სამყარომ, ორივე პერსონაჟს, ვასიკო კეჭერაძესაც და დონ კიხოტსაც, ოცნება დააწყებინა.

„... ადამიანის ტვინი პირიქითაა, თუ არ იფიქრა, თუ არ დაინახა და არ იოცნება, სწორედ მაშინ იფიტება და კვდება, და რიგში დგომა რა ისეთი გაჭირვება და დროის დაკარგვაა - იდექი და იფიქრე შენთვის, ფიქრს ვინ დაგიშლის“ [13, 63].

ასე მსჯელობს ვასიკო კეჭერაძე, მას სხვა არაფერი დარჩენია, გარდა ოცნებისა, თავისი დროის არალიტერატურული საზოგადოების შემყურეს, ის შეიძლება, ნებისმიერს ან გიჟი, ან სულელი, ან მთვრალი ეგონოს, კეთილშობილური აზრების გამო, რადგან ასეთი ადამიანები თავიანთი ეპოქებისთვის უცხოა. დონ კიხოტის მიერ წარმოთქმული მოსაზრებები, მსჯელობებიც ხომ ხან ძალიან ჭკვიანური, ხან კი სულელურია. ვასიკო კეჭერაძეცა და დონ კიხოტიც ლიტერატურის უსაზღვრო მოყვარული და დამფასებლები არიან.

გ. დოჩანაშვილის მოთხრობის პერსონაჟის, ვასიკო კეჭერაძისთვის, ლიტერატურა მშვენიერი სიცოცხლეა, რომელიც სიკვდილზე ამაღლებულია... მშვენიერია მაშინაც კი, როცა არანაირი პირობები (თუნდაც „კომუნალური“) არ გააჩნია.

გ. ტაბიძის ნაწარმოებში „შერიგება“ (1915) ლირიკული გმირის სული სიკვდილზე ამაღლებულია, მასთან შერიგებულია: „ამაღლდი სულო, თეთრ აკლდამაზე, მშვენიერების ლექსით მქებელი! დღეს ყველგან მზეა და სილამაზე, სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი“. ლექსები, მზე (ღმერთი) და ამქვეყნიური ნიჭი (სილამაზე) უფრო ამშვენიერებს ცხოვრებას, ანუ გ. დოჩანაშვილის მოთხრობის პერსონაჟი, ვასიკო კეჭერაძე, და გ. ტაბიძის ლირიკული გმირი ლიტერატურის მნიშვნელობას ამგვარად გაიაზრებენ: სიკვდილი-სიცოცხლე-ლიტერატურა.

ვასიკო კეჭერაძის ასისტენტი კლიმი და დონ კიხოტის საჭურველმტვირ-თველი, სანჩო პანსა, ერთნაირი ერთგულებით ემსახურებიან ერთი - თავის „მაესტროს“, მეორე - „ბატონს“.

ვასიკოცა და დონ კიხოტიც ახალი „კლიმის“ შემქმნელები, ხოლო კლიმი და სანჩო პანსა მათი იდეების ერთგულნი და გზების გამგრძელებლები არიან. კლიმისთვის, ისევე, როგორც თავისი „მაესტროსთვის“, მაღალ ფასეულობას წარმოადგენს ლიტერატურა, ღირსეული საზოგადოება, სიცოცხლე და სიკვდილზე ამაღლება, ისევე ნაწარმოებების კითხვის მეშვეობით, სანჩო პანსასთვის კი, სამართლიანობა, დემოკრატიულობა, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოუდგენელია თავისი „ბატონის“, ხოლო კლიმისთვის კითხვა, - „მაესტროს“ გარეშე.

ვასიკოსა და დონ კიხოტის სახეებს ოცნება აერთიანებთ, კლიმი და სანჩო პანსა კი, თითქოს, ამ ოცნებების სადარაჯოზე დგანან, რათა თავიანთ „ზემდგომებს“ ასიამოვნონ და თვითონაც პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილონ, კიდევ უფრო დამშვიდდნენ და წარმოიდგინონ, რომ ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდება, კანონზომიერია და ბუნების წესების ყოველგვარი დაცვით მიმდინარეობს. არც დონ კიხოტისა და არც ვასიკო კეჭერაძის საზოგადოება იღებს სერიოზულად მათს მონდომებასა და მცდელობას, გარდაქმნან სამყარო და გახადონ იგი უკეთესი. არც ერთის საზოგადოება არ ღებულობს ამ ადამიანებს გაოცებისა და პროტესტის გარეშე, არც აინტერესებთ, იქნებიან თუ არა ისინი მათ რიგებში. ორივე პერსონაჟისდროინდელ საზოგადოებას, ესპანეთის XVI და საქართველოს XX საუკუნისას, ღიმილს გვრის მათი წარმოსახვითი სამყაროების არსებობა.

კარცერი-ლუქსი, ვასიკო კეჭერაძის ეს იდეალური, წარმოსახვითი დაწესებულება, არ სჭირდება საქართველოს, 70-იანი წლების ქვეყანას, ის დონ კიხოტის ბიბლიოთეკას წააგავს თითქოს.

გ. დოჩანაშვილის პერსონაჟს, ვასიკო კეჭერაძესა და სერვანტესის დონ კიხოტს, წიგნის, ლიტერატურის სიყვარული ამსგავსებს ერთმანეთთან.

კარცერი-ლუქსის, იდეალური წარმოსახვითი დაწესებულების შექმნის იდეა, მწერალს, გ. დოჩანაშვილს, ეპოქამ უკარნახა... იქ მკითხველები თავიანთი სურვილით

არც შედიან და არც წიგნებს ირჩევენ, მწერლის მიზანია, ადამიანებს აუხილოს თვალი, დაეხმაროს მათ გახდნენ უკეთესი.

კონტრასტული ჩანს, ამ მხრივ, დონ კიხოტის ბიბლიოთეკა. მას მხოლოდ იდაღო სტუმრობს თავის სურვილით, წიგნები კი რაინდს სამართლიანობისთვის ბრძოლისთვის განაწყობენ.

ბიბლიოთეკა მხატვრულ სახედ ცნობილ ნაწარმოებებშია გამოყენებული. ხორხე ბორხესის „ბაბილონის ბიბლიოთეკაში“ (1941), უმბერტო ეკოს „ვარდის სახელში“ (1980). ორივე ნაწარმოებში ის სამყაროს სიმბოლოდაა ჩათვლილი. ზემოხსენებული ბიბლიოთეკები ლაბირინთებია.

„აღორძინების პერიოდში ჰუმანისტები სამყარო-ლაბირინთის ცენტრად ადამიანს აღიარებენ... აქ ერთ სიბრტყეზე განლაგდება ღმერთისა და ადამიანის პოზიციები... ლაბირინთი რჩება სამყაროს სახე-ხატად, მაგრამ თუ ადრე იგი კოსმოსის სიმბოლო იყო, ახლა იგი უფრო ქაოსს ან რაღაც შუალედურს - ქაოსმოსს (ჯოისის ნეოლოგიზმი) აღნიშნავს“... განმარტავს სოფიკო კვანტალიანი ესეში „გზა ლაბირინთიდან (ხ. ლ. ბორხესი „ბაბილონის ბიბლიოთეკა“, უ. ეკო „ვარდის სახელი“)“... მკვლევრის თქმით, ეკოს ბიბლიოთეკაში მოხვედრილი ცნობისმოყ-ვარენი იქვე იმ სივრცეში სამუდამოდ იკარგებიან, მისი სტრუქტურა „დედამიწის კონტინენტების ანალოგიითაა შექმნილი, ერთდროულად ლაბირინთიცაა, მაგრამ ბორხესის ბიბლიოთეკის ლაბირინთიდან არ არის გამოსავალი, ის უსასრულო გზაა ცენტრისკენ“.

დონ კიხოტის ბიბლიოთეკა, რომელშიც მოთავსებულ წიგნებს მღვდელი და დალაქი მოიხსენიებენ სიტყვებით: „უბედურების მიზეზნი“, „კასრივით გაბერილი“, „უხეში, უხეიროდ მოთხრობილი“, „დასაწვავად განწირულნი“... კოცონზე იწვის, მერე ამოქოლავენ ბიბლიოთეკის კარებს, იდაღო ეძებს და ვერ პოულობს, თითქოს ლაბირინთებში დახეტიალობს, უმბერტო ეკოს „ვარდის სახელშიც“ ბიბლიოთეკა ლაბირინთია, რომელშიც შეღწევაცა და იქიდან გამოსვლაც ძნელია. იქ მკვლევლობები ხდება ბიბლიოთეკაში შენახული აკრძალული წიგნის, არისტოტელეს „პოეტიკის“ მეორე ნაწილის გამო. ბოლოს ისიც, ბენედიქტელთა მონასტერი, რომელიც, ნაწარმოების მიხედვით, იტალიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს, ბიბლიოთეკითურთ, 1327

წელს იწვის. დონ კიხოტის ბიბლიოთეკის წიგნებიც მისმა „კეთილისმყოფელებმა“ დაწვეს.

წარმოსახვითი კარცერი-ლუქსი ვასიკოს ოცნებამ შექმნა, დონ კიხოტს კი, პირიქით, თავისმა რეალურმა ბიბლიოთეკამ უბოძა ოცნება. სერვანტესის იდაღოს ბიბლიოთეკა, ეკოსა და ბორხესის ბიბლიოთეკებიც მხატვრულად სხვადასხვანაირად აღწერილი ლაბირინთებია, ხეტიალის, მოგზაურობის, მიებისა... გ. დოჩანაშვილის „კარცერი - ლუქსი“ კეთილშობილური ოცნების ნაყოფია, მისკენ სავალი გზები ძალიან ჰგავს ი. ლომოურის „შემთხვევის“ ბაქანზე მდგომთა ჩაკეტილ სივრცეს, აქ ადამიანები ვერ ხვდებიან, რომ გვირაბის ბოლოს შუქია, რომელიც მხოლოდ მისკენ მიმავალთ უსხივოსნებს გზებს და არა უმოქმედო, უმიზნო რეალობას შერიგებულთ. ერთი მკითხველი, ვასიკო კეჟერაძე, თავის ლაბორანტთან, კლიმთან ერთად, ლიტერატურის მეშვეობით, დაუსწრებლად მოგზაურობს ქვეყნებში, ფიქრობს, იტანჯება, განიცდის. მეორე, დონ კიხოტი, საჭურველმტვირთველი მეგზურის თანხლებით, რეალურად ხეტიალობს ქვეყნიერებაზე, წინააღმდეგობებს არ ებუება და თავისებურად იბრძვის სამართლიანობის აღსადგენად.

ორივესთვის წიგნია ორიენტირი, ცხოვრების გზის მაჩვენებელი, ამის გამო, ერთსაც და მეორესაც, ადამიანები ხან ღიმილით, ხან გაკვირვებით, ხან კი გაგულისებით შეჰყურებენ. ვასიკოცა და დონ კიხოტიც მუდმივად ცდილობენ, მოიშველიონ აზრები ამა თუ იმ ნაწარმოებიდან, შეგონებებისათვის და რაღაცების დასასაბუთებლად.

ორივე პერსონაჟი სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ეპოქის მარტოსული, სულიერად მსგავსი, მეოცნებე ადამიანია.

გ. დოჩანაშვილის პერსონაჟი, ვასიკო კეჟერაძე, მართალია, სხვა ჟანრის, უფრო მცირე მოცულობის მოთხრობაში სახლობს, ვიდრე სერვანტესის დიდტანიანი რომანის მოქმედი პირი, დონ კიხოტი, მაგრამ, თითქოს, 70-იანი წლების მეოცნებე ვასიკო თითქმის ატარებს აღორძინების პერიოდის, ასევე მეოცნების, დონ კიხოტის, ბევრ ნიშან-თვისებას. ორივე პერსონაჟი ცდილობს ცხოვრებისეული ყოველგვარი რეალობა დაუკავშიროს წიგნებში ამოკითხულს და ამით დაიმშვიდოს თავი, ან ვიღაცას დაუდასტუროს ამა თუ იმ ქმედების მართებულობა. ჯერ, პირველ რიგში, შევეცდებით,

დონ კიხოტის იმ მსჯელობებს მივყვით კვალდაკვალ, რომელიც წიგნმა, ლიტერატურამ შთააგონა.

თავდაპირველად, როდესაც იდალგოს ათასგვარი დაპირებით თავბრუდახ-ვეულმა გლებმა, სანჩო პანსამ, გადაწყვეტილება მიიღო, ცოლ-შვილი დაეტოვებინა და დონ კიხოტის საჭურველმტვირთველი გამხდარიყო, სთხოვა თავის „ბატონს“, ვირით წამოგყვებო, ახალგამომცხვარი „რაინდი“ სახტად დარჩა: „დაფიქრდა და ცდილობდა თავისი წიგნებიდან მოეგონებინა - რომელიმე რაინდს როდისმე ჰყოლია ვირით მოსიარულე საჭურველმტვირთველი, თუ არაო, და თუმცა ამგვარი ვერა მოიგონა რა...“ [37,76].

ქარის წისქვილებთან მებრძოლ რაინდს, დევებად რომ მოეჩვენა ისინი, შუბი დაემტვრა, შეწუხებულმა, გულისტკივილით, სანჩოსთან საუბარში, ისევ წიგნიდან ამოკითხული აზრებით დაიმშვიდა თავი: „სადღაც წამიკითხავს, რომ ერთ ესპანელ რაინდს, დონ დიეგო პერეს დე ვარგასს, ბრძოლაში მახვილი გასტეხია, მუხის ვეება ტოტი მოუტეხია, მსხვილი კეტით შეიარაღებულა და იმით თურმე იმ დღეს იმდენი საგმირო საქმე ჩაუდენია და იმდენი მავრი დაუხოცნია, რომ ხალხმა მეტსახელად მავრთამჟლეტი დაარქვა...“ [37,80] რაინდმა თავისი საჭურველმტვირთველი დააიბედა, რომ თვითონაც მოსტეხდა მუხის ტოტს, საგმირო საქმეებს ჩაიდენდა, სანჩოს კი დიად საქმეთა მონაწილედ გახდიდა.

დონ კიხოტს წიგნი სატრფოზე ფიქრებშიც ეხმარება.

ტყეში, ხის ძირას, შეღამებულზე, დასასვენებლად შეჩერებულმა ჩვენი მოგზაურებიდან, ერთმა - სანჩო პანსამ, კარგად დაიძინა, ხოლო მეორემ - დონ კიხოტმა: „...მთელი ღამე თვალმოუხუჭავად თავის გულისვარდ დულსინეაზე ფიქრებში გაატარა, რადგან არ უნდოდა იმ ჩვეულებას გადასულიყო, რაც თავის წიგნებში ამოეკითხნა მოგზაურ რაინდებზე, რომელნიც ტყესა და უდაბნოებში ღამეებს სატრფოზე ფიქრებში ათევდნენ ხოლმე“ [37,81].

დონ კიხოტს თავისი სიძლიერისა და უპირატესობის დამტკიცება, სანჩო პანსასთან საუბარში, ისევ სარაინდო წიგნების მეშვეობით სურს: „...სადმე გაგიგონია ან წაგიკითხავს, რომ მოგზაური რაინდი სამსჯავროში მიეხმოდ...“ [37,93] „... სადმე

რომანებში წაგიკითხავს, რომ ვინმე სხვა რაინდი ასე ჩემებრ გულადი ყოფილიყოს“ [37,94].

ჩვენი მოგზაურისთვის წიგნები წარმოადგენს არგუმენტირების მთავარ საშუალებას. ერთმა აზნაურმა, ვივალდომ, მას ჰკითხა, ამ მშვიდობიან დროსა და მშვიდობიან ქვეყანაში აგრე შეიარაღებულს მოგზაურობა რა მიზეზით განგიზრახავსო. როდესაც დონ კიხოტმა აუხსნა: „ჩემი წოდება და დადებული აღთქმა სხვაგვარი მოგზაურობის ნებას არ მამლევს... მოუსვენარი ცხოვრება და შრომა ეგრეთ წოდებულ მოგზაურ რაინდებს ხვდომიათ წილადო...“ [37,112]. გაკვირვებული ვივალდო სთხოვს აუხსნას, რას უწოდებს „მოგზაურ რაინდებს“. დონ კიხოტი არგუმენტად წიგნებს იშველიებს: „... არ წაგიკითხავთ ინგლისის მატთანენი და ისტორია, სადაც მოთხრობილია საგმირო საქმეები მეფე არტურისა... ამ დიდებული მეფის დროს იყო დაფუძნებული მრგვალი მაგიდის რაინდთა დასი!“ [37,112] დონ კიხოტი უხსნის ვივალდოს, რომ ამ დასის წევრებზე მოთხრობილია წიგნებში, მათ ერქვათ მოგზაური რაინდები და თავს ვალდებულებად თვლიდა მათ მიერ „ანდერძად დატოვებული უმაღლესი აღთქმანი“ შეესრულებინა [37,113].

მოვიხმობთ დონ კიხოტის მიერ წარმოთქმულ წინადადებებს, რომლებიც, უშუალოდ, გვიჩვენებს იმას, რომ რაინდი არგუმენტირებასა და ციტირებას, წიგნებიდან ამოკითხული აზრებით ახერხებს: „აბა, ერთი ისეთი სარაინდო მოთხრობა მიჩვენეთ, სადაც რაინდს მიჯნური არა ჰყავდეს“ [37,115]. „ჩემს დღეში არსად წამიკითხავს, რომ მოგზაურ რაინდებს სადმე ფუნდუკში ფული გადაეხადოთ!..“ [37,150]. „ერთი უჩინარი, მაგრამ დიდად სარწმუნო მწერალი კიდევ გვიამბობს, რომ რაინდი ფეხოსი ... შეეპყრათ...“ [37,113].

„არც ერთ სარაინდო წიგნში არ წამიკითხავს, - წაკითხვით კი ბევრი წიგნი წამიკითხავს, - რომ ვისმე ყბედ საჭურველთმტვირთველს თავისი ბატონისათვის იმდენი ელაპარაკოს, რამდენსაც შენ მელაპარაკები...“ [37,183].

„ჯერ არასოდეს მომხდარა, რომ ხმაღს კალამი დაეჩლუნგებინოს ან კალამს ხმალი“ [37,162].

„მინდა აშკარად დაგანახოთ, ვინ უფრო ღარიბია, ესპანელი მხედარი, თუ ესპანელი მწიგნობარი; და მაშინ დარწმუნდებით, რომ ესპანელ მხედარზე ღარიბი ქვეყანაზე აღარავინ არის“ [36, 391].

„იარაღს მწიგნობრობაზე უპირატესობა აქვს. ამაზე დავა ჯერ აქამდის არ გადაწყვეტილა. ორივე მხარეს ამ საგანზე თავისი საბუთი მოჰყავს. სიტყვიერება ისე ვერ იარსებებდა, ვინაიდან ომს თავისი კანონები აქვს და იმ კანონებს ექვემდებარება იგი; ხოლო კანონებს მწერლობა და მეცნიერება ჰქმნის“ [37,392].

„...სად გინახავს ან წაგიკითხავს, რომ მოგზაური რაინდის საჭურველ-თმტვირთველს ვაჭრობა დაეწყო რაინდთან - თავის ბატონთან, და ძალა დაეტანებინოს: ამდენი და ამდენი უნდა მომცეო, თუ ჩემი სამსახური გინდაო. ჩაყურყუმელდი, ჩაყურყუმელდი, ავაზაკო, მხდალო ურჩხულო, ჩაყურყუმელდი-მეთქი გეუბნები, რაინდთა რომანების mare magnum-ში და, თუ შენ იქ ერთ საჭურველთმტვირთველს იპოვი, რომ ისე ელაპარაკოს და ეფიქროს, როგორც შენ ახლა მელაპარაკები, მაშინ ის ნათქვამი შეგიძლია ამ შუბლზე მიმაღურსმნო...“ [38,216].

ვასიკო კეჟერამისთვის ისეთივე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ლიტერატურა, კითხვა, როგორც დონ კიხოტისთვის.

ვასიკო თამაზს წიგნის პერსონაჟს ამსგავსებს: „თქვენ ძალიან ჰგავხართ აურელიანო სქელს...“ [13, 53].

ის საყვედურით შესცქერის მოსაუბრეს:

„...თქვენ ბეტანკურიანი რომანი არ წაგიკითხავთ...“ [13, 53].

„...არც ანსელმოიანი რომანი? ლიოსასი, მარიო ვარგასის...“

- ა... რა

- და... კორტასარი?

- ეეე... არა.

...

- ბედნიერი კაცი ყოფილხართ.

რატომ?

- რატომ და წინ ისეთი დიდი ბედნიერება გელით, მე კი ეს ბედნიერება უკვე განვლილი მაქვს. ეეჰ...

- რა ბედნიერება?

- პირველად წაკითხვის...“ [13, 53].

ვასიკო შეკითხვაზე, უყვარს თუ არა თავისი საქმე, პასუხობს:

„- მე ძალიან მიყვარს ლიტერატურა“ [13, 55].

ბინის კომუნალური პირობები, ვასიკო კეჟერაძეს, მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნია ცენტრალური გათბობა, მაინც კარგი აქვს:

„...მაქვს წიგნების ორი უზარმაზარი კარადა, თაროები, მოხერხებული სავარძელი და ტორშერი - მხარს ზემოთ, ნათურა...“ [13, 55].

მოდას, ვასიკო, ისევ წიგნთან კავშირში წარმოიდგენს.

„- მოდაზე რა აზრისა ბრძანდებით? - როგორი ტანსაცმელი მოგწონთ...“

მაგრამ იმან თქვა:

- ფართოჯიბიანი. ისე კი სულ ერთია...

- როგორ თუ ფართოჯიბიანი? რისთვის...

- ნებისმიერი წიგნი რომ ჩაეტიოს...“ [13, 57].

სერვანტესის პერსონაჟს, დონ კიხოტს, ძალიან უყვარს კითხვა, ასევე ვასიკო კეჟერაძესაც. მას ეკითხებიან:

„როგორი ფილმები მოგწონთ განსაკუთრებით?“

- ტიტრებიანი...“ [13, 56].

ვასიკოს ასეთი პასუხი იმან განაპირობა, რომ ტიტრების წაკითხვა მოსწონს, მისთვის არც იუმორისტულ ჟურნალებში დაბეჭდილი მასალებია უცხო. შეცბუნებულ თამაზს ასე მიმართავს:

„- არ შეიძლება, ასე უსახელოდ რომ დავმორდეთ ერთმანეთს, - ჯერჯერობით ჩვენი საუბარი იუმორისტულ ჟურნალში დაბეჭდილ მასალას ჰგავდა“ [13, 57].

ვასიკო თამაზს უხსნის, რომ ლიტერატურის სიყვარული მხოლოდ წიგნის კითხვა არაა, წაკითხულის გააზრებაცაა.

კუყერამეს მიაჩნია, რომ ფიქრი და წარმოდგენა თვალბუქულ ადამიანსაც კი შეუძლია. მის კითხვაზე, თვალდახუჭულმა რა დაინახეო, პასუხად მიიღო:-

„... აპარატი.

ხოო, აი, ხომ ხედავთ, აპარატიც კი ჩაგრჩათ გულში და ... ქვეყნად რამდენი რომანია ისეთი, რომელიც გაცილებით საინტერესოა, ვიდრე ყოველნაირი აპარატი დედამიწის ზურგზე, აი, მაგალითად, თუ წაგიკითხავთ ... რომელი ერთი გკითხოთ ... ქალბატონი ბოვარი თუ წაგიკითხავთ.

- ეეე ... არა ...

- მაგ პასუხისთვის რომ შეგაქოთ, ხომ არ ვიქნები გულწრფელი?“ [13, 65].

ვასიკო, თითქოს, საგანგებოდ ახსენებს ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსის, გუსტავ ფლობერის (1821-1880), რომანს „მადამ ბოვარი“ (1857).

ამ ნაწარმოებმა, თავის დროზე, იმდროინდელი საფრანგეთის მორალი უჩვენა მკითხველებს. ფრანგი მწერალი, ემილ ზოლა (1840-1902), მიიჩნევდა, რომ „დაიწერა ახალი ხელოვნების კოდექსი“, გი დე მოპასანის (1850-1893) აზრით კი, „მადამ ბოვარი“ რევოლუცია იყო ლიტერატურაში..... ესოდენ საქვეყნო, ხანგრძლივი სახელი „დონ კიხოტისა“ ჩვენ გვეხმარება განვმარტოთ „ქალბატონი ბოვარის“ საყოველთაო დიდება. მართლაც, შესანიშნავია, რომ ორივე ეს თვალსაჩინო ნაწარმოები ანტირომანული რომანია. „დონ კიხოტი“ გამოჩნდა ურიცხვი სარაინდო რომანების გამოსვლის შემდეგ და დაცინვით მოსპო მათზე მოდა...“ [31,214].

- ქალბატონი ბოვარი დონ კიხოტით მეოცნებეა და მასაც ძლიერ უყვარს ლიტერატურა: „...ეს ქალი ცხოვრებისგან იმას კი არ ელის, რაც ცხოვრებას შეუძლია მას მისცეს, არამედ იმას, რასაც რომანისტები, პოეტები, მხატვრები და მოგზაურობათა აღმწერნი ჰპირდებიან. მას სწამს ბედნიერება, არაჩვეულებრივი ვნებები და სიყვარულით თრობა, რადგან წიგნებში ამოკითხული ეს სიტყვები მას საუცხოოდ ეჩვენება. ქალს წაკითხული აქვს „პოლი და ვირჟინი“ და ხშირად ოცნებობს ზამბუკის პატარა ქოხზე. როცა ვალტერ სკოტი წაიკითხა, ოცნებობდა სასახლეებზე, რომელთაც ქონგურებიანი კომკები ამშვენებს, რომელთაც ემა თავის გარშემო ვერ ამჩნევს

ნორმანდიული სოფლის ბუნების ნამდვილ სილამაზეს. სამყარო, რომელშიც მას ცხოვრება უნდა, ანრი რუსოს სამყაროს ჰგავს“ [31,321].

ქალბატონი ბოვარი სულიერ სფეროში, ლიტერატურაში, პოულობს ხსნას. შარლი, მისი მეუღლე, ერთ-ერთ პერსონაჟთან, ლეონთან, საუბარში აღნიშნავს, რომ ემა: „ შინ ჯდომასა და წიგნის კითხვას ამჯობინებს.

- როგორც მე, - ჩაურთო ლეონმა, - აბა, იმას რა სჯობია, საღამოთი ბუხართან იჯდე და წიგნს კითხულობდე, მაშინ, როცა გარეთ მრისხანე ქარი ფანჯრებს აწყდება, ოთახი კი ლამპრითაა გაბრწყინებული?

- დიახ, ამას მართლაც არაფერი შეეძრება, - თქვა ემამ და თავისი შავი თვალები მიაშტერა.

- აღარაფერზე ფიქრობ, - განაგრძობდა ვაჟი, - დრო მიდის, უმოძრაოდ დასეირნობ ნანატრ ქვეყანაში და აზრიც, ოცნებასთან ხელგადახვეული, წვრილმანებით ტკბება ან ავანტიურების განვითარებას ელტვის, თქვენი ფიქრი წიგნის გმირებში გადადის. ასე გგონია, ეს შენა ხარ, მათი სამოსი რომ ჩაგიცვამს და მათებრ მოქმედებ.

- ეგ მართალია! ეგ მართალია! - იმეორებდა ქალი“ [51, 83].

ზემოთ დასახელებულ პერსონაჟებს (დონ კიხოტი, მადამ ბოვარი, ვასიკო კეჟერაძე), ოცნება და ლიტერატურის სიყვარული აერთიანებთ, სამივე მიუწვდომელი მიზნისკენ მისწრაფვის. შეიძლება ითქვას, რომ თავიანთი კეთილშობილური ოცნებებით, დონ კიხოტი და ვასიკო კეჟერაძე მარადიული პერსონაჟები არიან. ვასიკოსთვის ცხოვრებისეული ზიგზაგების, დაბრკოლებების გადალახვისა და წარმატებების მიღწევის საზომი ლიტერატურული ნაწარმოებისა და მისი ავტორის სიაკვარგე და სიძლიერეა.

„...სერვანტესიდან მოყოლებული ტოლსტოიმდე ყველა უდიდესი მწერლის წარმატება იმით უნდა აიხსნას, რომ მათ შესანიშნავად ეხერხებოდათ ისეთი გმირების შექმნა, რომელთა შეყვარება შეიძლება მთელი მათი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით“ [31,561].

თამაზი (მთხრობელი) იხსენებს („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“), როგორ მიუგო მან რთულ შეკითხვაზე („რომელზედაც უცებ, ერთბაშად

ვერავინ პასუხობს...“): „მოგწონთ ცხოვრება?“, „გააჩნია, იმ დღეს როგორი ავტორი შემხვდება...“ [13, 65].

ვასიკო - რესპოდენტი აღნიშნავს, რომ პერსონაჟები მის პროფესიულ საქმიანობაშიც საინტერესონი არიან: „ხანდახან ისეთი საინტერესო პერსონაჟი შემხვდება, მაპატიეთ, მაგრამ, აი, თქვენსავით, ახ, როგორ ჰგავხართ აურელიანოს, ოღონდ გასქელებამდე, თამაზი, ჩემო, როგორ, აი, ეს კი, მაგალითად, - პინცეტი დაადო რომელიღაც ახალშობილს, - უწყინარი კაცი უნდა იყოს, თქვენ წარმოიდგინეთ, არიან ბოროტებიც, და გაბლენძილს რა გამოლევს, გვხვდებიან სათნოებიც, გამოვდივარ თუ არა კრებებზე? არა, არა, ჯერ ეგ ერთი, ფოტოგრაფებს იშვიათად გვიწვევენ კრებებზე, და გინდაც ყოველდღე გვქონდეს, მაინც არ გამოვალ სიტყვით - არ შემიძლია ერთნაირად მივმართო სხვადასხვა განათლებისა და ხასიათის ადამიანებს, როგორ შეიძლება მიმართო ორ კაცს ერთნაირად, მაშინ, როდესაც ერთს წაკითხული არა აქვს ... რომელიმე დიდი მწერალი ... არ წაუკითხავს სტენდალი, მეორეს კი გადაბულბულებული აქვს, განა შეიძლება, ამ ორ კაცს ერთი და იგივე სიტყვებით მიმართო?“ [13, 66]. ვასიკოს აზრით, ლიტერატურაში: „უზუსტობა არასოდეს არ მოხდება... ვერავინ იტყვის, ესპანეთში ერთ დროს ორი მხედარი რომ დაბორიალობდა - არა, ერთი, მაღალი, გამხდარი - დაბორიალობდა და მეორე - დაბალი, მსუქანი - დაჰყვებოდა“ [13, 67].

თამაზის ხელმძღვანელი ვასიკომ წიგნის პერსონაჟს მიახსენებდა: „ჯანჯაკომო სემინარიოა...“ „პირველი შვილი, მარშალის უფროსი ძმა...“ „ვინ მარშალი...“ „- ვინ და ბეტანკური...“ [13, 72] დაბნეული ხელმძღვანელისგან როდესაც გაიგებს ვასიკო, რომ მას „ბეტანკურიანი რომანი“ არ წაუკითხავს და არც კორტასარს იცნობს, ხელს ჩამოართმევს და მიულოცავს, რომ მას „პირველად წაკითხვის“ დიდი სიამოვნება ელის.

ვასიკოს უამრავი მწერალი მოსწონს, როგორც დონ კიხოტს:

„... რომელი მწერალი მოგწონთ?

- რომელი საათია, კლიმ? - მოულოდნელად კითხვებს სვამს რესპოდენტი.

- ოთხს უკლია ჩარეჟი, - პასუხობს კლიმი.

- ოო... იმათ ჩამოთვლას ვეღარ მოვასწრებ - მუშაობას ხუთზე ვამთავრებთ...“ [13,

ხელმძღვანელის კითხვაზე: „თქვენს ნება-სურვილზე რომ იყოს ... ცხოვრებას როგორ მოაწყობდით...“ [13, 76] ვასიკო პასუხობს: „...როგორ და, მთელ ქალაქს კარცერებით მოვფენდი“, „...ეს არ იქნება კარცერი ჩვეულებრივი გაგებით. ეს იქნება კარცერი-ლუქსი...“ „...ეს იქნებოდა კარცერი ლუქსი, წიგნებიანი თაროებით სავსე, რბილი, მოხერხებული სავარძლით, კოხტა მაგიდაზე ნათურა სოკოთი, ეს იქნებოდა კარცერი - ოცნება ყოველი წიგნის მოყვარულისთვის, რას იზამ, ყველას არ შეუძლია ბიბლიოთეკაში კითხვა, და ვინც თავისი ფეხით შევა ჩემს მიერ შემოღებულ მოწყობილობაში, მაშინ ეს ოთახი იქნება უბრალოდ - ლუქსი, მრავალთათვის კი კარცერი-ლუქსი...“ [13, 77].

კარცერი-ლუქსი იმათთვის იქნებოდა „მოწყობილობა“, ვისაც ამქვეყნად არანაირი მიზანი არა აქვთ და დროს ფუჭად კარგავენ ქუჩაში ანგლობასა და სტვენა-დიდინში, ასეთებზე, ვასიკოს თქმით, ის და კლიმისნაირები ზრუნავენ: „-ტაც! ხელს ვსტაცებთ და ზემოაღწერილ კარცერში მიგვყავს...“ „ძალისძალათი“ „შესაძლოა, ხელის ამოტრიალებაც კი დაგვჭირდეს...“ [13, 77]. სერვანტესის პერსონაჟს, დონ კიხოტს, თავისი ოცნების ბიბლიოთეკა უკვე აქვს, ყოველგვარი ძალდატანებისა და ვინმეს მოწოდების გარეშე შედის იქ, კითხულობს, ჯერ ოცნებით მოგზაურობს გარდასულ რაინდულ საქმეთა სამყაროში, შემდეგ- რეალურად და ნახევრაშემლილი იდალგო საქვეყნო საქმეებზე იწყებს ზრუნვას, მოქმედებს, ცდილობს, იბრძვის...

როგორც უკვე ვთქვით, ვასიკო კეჟერაძე ოცნებით ქმნის ბიბლიოთეკას, „კარცერ-ლუქსს“, ასევე, ოცნებითვე აიძულებს საზოგადოების უსაქმურ ნაწილს, წაიკითხოს, იაზროვნოს: ზემოთ ვახსენეთ, რომ ბორხესისა და ეკოს მიერ დახატული ბიბლიოთეკები ლაბირინთებია. ბორხესის გზა სამყაროს ცენტრისკენ მიემართება, ეკოსი კი დახლართულია და იქიდან კი, პერსონაჟებიცა და მკითხველებიც, გამოსასვლელს ეძებენ. გ. დოჩანაშვილის ვასიკოს საოცნებო ბიბლიოთეკისკენ უსაქმური „ჯეელები“ არც იყურებიან, მათ არც კი აინტერესებთ ლაბირინთად ქცეული სამყაროს შეცნობა, მაგრამ თუკი იძულებით გაუყენებენ გზას „კარცერი-ლუქსისკენ“, რასაკვირველია, გაჩნდება კითხვა:

„- მერედა, რა გამოვა ამით?..“

- ვისგან?..

- თქვენი ჯეელისაგან?..

აქ კი რესპოდენტი საზეიმოდ აცხადებს:

- რა გამოვა, და ... რომელიმე კლიმი!

პატარა ხანს ჩუმად არიან, მერე კი ხელმძღვანელი ჯიუტად განაგრძობს.

- და ამით რაღა გამოვა?..

- რომელიმე კლიმისგან? მეტი რაღა უნდა გამოვიდეს, დალოცვილო, მივიღებთ ადამიანს, ვისაც ძლიერ უყვარს ლიტერატურა.

- ლიტერატურა, ლიტერატურა, - ღიზიანდება ხელმძღვანელი, - დიდი ამბავი!..

- რაო, რა? - ყურს არ უჯერებს განცვიფრებული რესპოდენტი, - ნუთუ ამისი ახსნაც საჭიროა?

- სცადეთ, - მე გისმენთ.

- ვცადო? - დაფიქრებული ამბობს რესპოდენტი, თვალეში უყურებს, ვცადო? მაშინ ჯერ მარტივად აგიხსნით - ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი...“ [13, 82].

ძალიან ჰგავს დონ კიხოტის სანჩო პანსასთან ერთად რეალური მოგზაურობა, ვასიკო კეჟერაძისას, კლიმთან ერთად, წარმოსახვებში.

ფოტოგრაფი, კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, იმდენად განსხვავებული, ჩასახლებული ჩანს ნაწარმოებების კითხვისგან მიღებული განცდების სამყაროში, რომ თამაზის ხელმძღვანელს, ინტერვიუერს, შთაგონებით უყვება: „...მრავალჯერ მოვმკვდარვართ და ყველაფერი, აჰ, ყველაფერი გამოგვიცდია - მეფედ ვუკურთხებივართ, სიკეთისათვის ხის ხმლით გვიბრძოლია, ხან დაფნა დაგვიდგამს თავზე, ხანაც - ეკალი, სქელი ხალიჩაც გაუშლიათ ჩვენს სავალ გზაზე, ყვავილმომყრილი და ნაკვერჩხლებზეც შიშველი ფეხისგულებით გვივლია... ქარაფშუტულად გვიქაქანია, მოცლილნი, ენას ვატლიკინებდით და ისეც მომხდარა, ბაგედახშულთ, უთქმელთ, დიდხანს გვიტარებია უცხო საიდუმლო, ეჰ, ის ხმაური მაინც გვესმოდა... და ბევრი, ბევრი სიცოცხლე გვინდოდა, ბევრნაირი, სხვადასხვა და ჩვენ ჩვენს ოთახებში, მაგიდისაკენ თავდახრილნი, ათასნაირი სიკვდილით მოვმკვდარვართ - ზღვაში

ჩავძირულ-ვართ, ქუსლში დავჭრილვართ, გილიოტინაზე ავსულვართ, ფათერაკგადახდილ-ნი, საწოლში მშვიდად გარდაცვლილვართ, დავლუპულვართ გარემორტყმულნი, კატისთვალეზა ვაჟკაცის - ელ სორდოს გვერდით, სხვაც მოგვიკლავს და მერე გვინანია, ოოო, რა უცნაურად, როგორ ... მიწისთვის გვიკოცნია და მისი წმიდათაწმიდა ნამცეცები აგვყოლია ტუჩებზე, შურის საძიებლად ავმხედრებულ-ვართ, გვივლია, გვიწანწალნია დაკლაკნილ გზებზე...“ [13, 83].

ვასიკოს მონოლოგიდან ვგებულობთ, რომ ამ მეოცნებე და წიგნების სამყაროში ოცნებებით დამკვიდრებულ ადამიანს, კლიმთან ერთად, მიაჩნია, რომ „ყველაზე უკეთ ბუნინთან წვიმდა“, „დონ ჟუან მკითხველებს“ ჰყვარებიათ, ნატაშა, სონეჟკა, ტონკა... და კიდევ ვინ იცის, რამდენი ქალი, სად არ უვლიათ „გალუნული დანით - მაჩეტითი ეკლიანი ბუჩქები - კაატინგა“ უკაფიათ, უოცნებიათ მათათა მწვერვალებზე. „კაცი ვერ იტყვის, თუ ვინაა ჭეშმარიტად ნამყოფი პერუსა და ნიგერიაში...“ ვასიკო თუ „რომელიმე ჩიბუხგაჩრილი ლოცმანი, „რომელმაც გემით მთელი მსოფლიო შემოიარა“ [13, 85]. ლიტერატურისმოყვარულ ფოტოგრაფს მიაჩნია, რომ მკითხველი სასწაულია, მას შეუძლია ისედაც ვიწრო საძილე ტომარაში შეეყვარებულეზს შორის იწვეს და არ იყოს ზედმეტი, რადგან „ავტორმა ასე ინება“. ის კითხვასა და ღვინის სმას შორისაც რაღაც საერთოს პოულობს, იმიტომ, რომ: „ორივეს ეგრეთწოდებულ პიროვნების თავისუფლებასთან მივყავართ, ოღონდ ერთი - მიშვებული, აგდებული და ულამაზო თავისუფლებაა, უპასუხისმგებლობით გამოწვეული, მეორე კი - შემართებული, გამოცდილი და ყოვლისშემძლე, ამაღლებული...“ [13, 86].

გ. დოჩანაშვილის პერსონაჟს მიაჩნია, რომ კარცერ-ლუქსში ლოთები არიან გამოსამწყვდევენი და „მსხვილ-მსხვილი ვაჭრები“, მათ ვერ ჩავთვლით ბედნიერად. ფიზიკისგან განსხვავებით, ლიტერატურამ შექმნა პერპეტუუმ მობილე: „იმიტომ კი არა, რომ უფრო ადვილია, არა - უბრალოდ, ლიტერატურას შესაძლებლობა აქვს მეტი, ვიდრე ათასწაირ ლაბორატორიებსა და დანადგარებს...“ [13, 86].

დონ კიხოტიცა და ვასიკოც კარგი მკითხველები არიან, ორივე თავისებურად ეთაყვანება თავის ბიბლიოთეკას, ერთი - ნამდვილს, მეორე - წარმოსახვითსა და სასურველს. ორივეს ძალიან უყვარს კითხვა, ორივემ იცის ლიტერატურისა და დიდი

მწერლების ფასი, ცდილობენ სხვებსაც შეახსენონ, აგრძნობინონ, რომ ჭეშმარიტება სტრიქონებიდან შეიძლება ამოვიკითხოთ და თან იმით ვიხელმძღვანელოთ. ორივე პერსონაჟი თავისებურად ცდილობს ამ საკითხის გადაწყვეტას, დონ კიხოტი ხშირად წარმოთქვამს: „არსად წამიკითხავს...“. „არც ერთ სარაინდო წიგნში არ წამიკითხავს“, „სად გინახავს ან წაგიკითხავს...“ ამგვარი მიმართვებით ის თანამოსაუბრეს შეახსენებს, რომ ის, რაც წიგნებში არ წერია, შეიძლება არც იყოს ჭეშმარიტება, ხოლო, რაც შეეხება ვასიკოს, ოცნების კარცერ-ლუქსში, მისი თქმით, იმიტომ მოათავსებდა და გამოჰკეტავდა „მსხვილმან-მსხვილმანებს“, რომ „შვლის ნუკრის ნაამბობის“ კითხვისას შვლის მწვადი კი არ გახსენებოდათ, არამედ: „სულ სხვა რამ, უფრო მთავარი... შეიცნობდნენ, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილ, დიდ მწერლებს“... [13, 87].

პერსონაჟებზე ხშირად საუბრობს დონ კიხოტი, არც ვასიკოსთვისაა ეს მომენტი უცხო, მისი თქმით, სუსტი მწერლებიც არიან „უსიცოცხლო, უცხვირპირო პერსონაჟებით“ [13, 87].

მწერლებზე მოსაზრებებს გამოთქვამენ დონ კიხოტიცა და ვასიკოც.

ვასიკოს მიაჩნია, რომ არსებობს მწერალი სპეკულიანტი, კარგბეწვიანი ნადირების მხოცველი, მწერალი - ვაჟკაცი, რომელიც ლომს ხახაში უყოფს თავს, სხვები - ყელბაფთიანი ძაღლების, ზოგიერთები კი მგლის მომთვინიერებელი. ვასიკოსთვის მწერლის იდეალი „მგელზე ამხედრებული ამაყი გლახაა, არწივით მხარზე“: „... დიდი მწერალი ისაა, ვინც დიდ ნაწარმოებებს წერს“ [13, 88].

დონ კიხოტი, სარაინდო რომანების მოტრფიალე იდალგო, ცდილობს შემოქმედის აზრი ამოიცნოს. ის სოფლის მღვდელს ხშირად ეკამათება იმაზე, თუ რომელი მწერლის ნაწარმოების მოქმედი პირი სჯობს, პორტუგალიელი მწერლის მორაეს კაბრალის პალმერინო ინგლისელი თუ სარაგოსელი მონტალვოს ამადის გალელი. მიაჩნია, რომ ესპანური უძველესი ეპოსის პერსონაჟი სიდ რუი დიასი (ეპოსი „სიმღერა ჩემს სიდზე“) სახელოვანი რაინდია. პატივს სცემს შუა საუკუნეების ესპანური ეპოსის გმირს - ბერნარდო დელ კარპიოს, ხოტბას ასხამს იტალიელი პოეტის, ლუიჯი პულჩის სახუმარო პოემის „მორგანტე უფროსის“ გმირს, გოლიათ მორგანტეს, ყველაზე მეტად კი

მოსწონს რეინალდო მონტალბანელი - იტალიის გამოჩენილი პოეტის - ლუდოვიკო არიოსტოს ცნობილი პოემის „შმაგი როლანდის“ მოქმედი პირი.

დონ კიხოტი, ჩვეულებრივ საუბარშიც, მოიხსენიებს მწიგნობრებს: „თავი და ბოლო მწერლობისა და მწიგნობრობისა ის არის... რომ სამართლიან კანონის აღსრულებას დაეხმაროს, მართლმსაჯულებას გამარჯვება მისცეს...“[37,389]. აქ მან სიტყვიერება და საზოგადოებრივი მეცნიერებები იგულისხმა, იურისპრუდენციის ჩათვლით.

გ. დოჩანაშვილის მოთხრობის „იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი“ (1969) მთავარი გმირი, გრიშა, ისევე, როგორც ვასიკო და სერვანტესის გმირი, პოეზიაზე საუბრობს. მისთვის „პრობლემა, ანუ როგორც გრიშა მეორენაირად უწოდებს, „მთავარი“ ისაა: „ეცადო, რომ შენი წყალობით ნაცნობები გახდნენ უკეთესები, ვიდრე არიან“[13, 13].

დონ კიხოტიც იმავეს ცდილობს, მას სურს, სამართლიანობა აღადგინოს, ბოროტება დათრგუნოს, წარსული, გარდასული ცხოვრება დააბრუნოს და თავისი ქმედებების სისწორე წიგნებიდან ამოკითხული აზრებით დაასაბუთოს.

ვასიკო კეჟერაძეც კითხვას, ლიტერატურას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან ის აღზრდას ემსახურება და, ვინც კითხულობს, მისი აზრით, უკეთესი ხდება.

გრიშასთვის (ვასიკო კეჟერაძის ძმა, „იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი“) „მთავარი“ ადამიანთა გარდაქმნაა და ამაში ერთ-ერთი წვლილი პოეზიას, კითხვას მიუძღვის. მისი თქმით, „წყალწყალა პოეზია“, სიმღერებად მოარული ზოგიერთი „ცუდი ნიმუში“, „მარტივი მელოდიისა და ცუდი პოეზიის სინთეზი“, ადამიანს შეიძლება მაინც მოეწონოს, რაც ცუდია: „მთავარი გავიწყდება და კოხტა და მორგებული, რითმაშეწყობილი სტრიქონები გაბრუებს...“[13, 16].

გრიშას აზრით, ადამიანები, მართალია, უნდა გახდნენ უკეთესები, მაგრამ ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, ამაში მათ ცუდი ლიტერატურული ნაწარმოებები უშლით ხელს. გრიშა ისევე, როგორც დონ კიხოტი, ლიტერატურის, კითხვის ზეგავლენის ქვეშ არიან, რაინდი სიკეთისთვის, სამართლიანობისთვის მეზრძოლია, თავის მისიად ბოროტების დათრგუნვა მიაჩნია, ასევე გრიშაც, ადამიანთა გარდაქმნის ერთ-ერთ ფაქტორად ლიტერატურას მიიჩნევს.

ვასიკოსა და გრიშა კეჟერაძეების მესამე ძმა, შალვა („ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება ანუ მესამე ძმა კეჟერაძე“, 1978), ფიქრობს, რომ სპორტი მეტი უპირატესობით სარგებლობს, ვიდრე პოეზია, რადგან, პირველში მიმბაძველობა (მაგ. ცნობილი ფეხბურთელის ილეთების გამეორება) დადებითად აღიქმება, იგივე არ შეიძლება ითქვას პოეზიაზე, საზოგადოება, ხალხი უარყოფითად იღებს სხვის სტრიქონებს მიმსგავსებულ ან გამეორებულ ელემენტებს („სადაა ხარ, ჩემო ელიკო“...). არც წერა-კითხვის მცოდნეების გამართლება შეიძლება, შალვას აზრით, ისინი ამოკლებენ სიტყვას: „ესე იგი“. „ამას არ სჯობდა, კილონახევრიანი წიგნი ტყვილა არ დაგეწერა?“ [13, 104].

შალვას უყვარს სამშობლო, ლიტერატურა, ადამიანები, სწორედ ეს აძლევს სტიმულს, დონ კიხოტის მსგავსად, იოცნებოს, იხეტიალოს, ლიტერატურაზე იმსჯელოს.

„...სამნი ძმანი კეჟერაძეები. ერთი ერთგან იწევდა, მეორე - მეორეგან, მესამე სულ სხვა საითკენაც... მაგრამ ერთმანეთს... მაინც ჰგავდნენ“ („ცალ-ცალკე და ერთად“) [13, 140].

ორ მკითხველს, ვასიკოსა და დონ კიხოტს წიგნების, კითხვის სიყვარული, ოცნება, და ორი, ნამდვილი და წარმოსახვითი ბიბლიოთეკები აახლოებს, ორივე პერსონაჟი გვიჩვენებს, რომ ოცნება, უკეთესის მოლოდინის სურვილი, კარგია, მაგრამ რეალობას მოწყვეტილი წარმოსახვები ფუჭად იკარგება, არაფრის მთქმელია, უშედეგოა.

გრიშა („იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი“) დონ კიხოტით პოეზიის მოყვარულია, მიაჩნია, რომ ადამიანთა უკეთესად გახდომაში კარგმა ლიტერატურულმა მასალამ შეიძლება დადებითი როლი ითამაშოს.

კითხვა განაწყობს ადამიანებს სიკეთისთვის. როგორც ამერიკელი მწერალი, მოაზროვნე ტორო ჰენრი დევიდ (1817-1862), ესეში „კითხვა“, მოგვითხრობს „მან განიცადა გავლენა იმ წიგნებისა, „მთელ მსოფლიოში ხელიდან ხელში რომ გადადიან“, ავტორს სიკეთე წიგნებმა მიანიჭა, ის მოიხმობს ინდოელი პოეტის ქამარ უდინ მასტის სიტყვებს: „ჭიქა ღვინით თრობის სიამე ეზოტერულ მოძღვრებათა წვენისათვის მიდარებიაო...“ რომელსაც ასოციაციით გ. დოჩანაშვილ-ლის სტრიქონებთან მივყავართ:

„არის რაღაც საერთო ღვინის სმასა და კითხვას შორის“... („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“).

ტორო ჰენრი დევიდ კლასიკოსებს „ადამიანის უკეთილშობილეს ფიქრთა ჩამწერთ“ უწოდებს, „ნამდვილი... თავდავიწყებული კითხვა ჭეშმარიტად კარგი წიგნებისა - კეთილშობილური საქმიანობაა“ [45, 231].

დონ კიხოტი, რასაკვირველია, ყოველთვის არ კითხულობდა „ჭეშმარიტად კარგ“ წიგნებს, ამიტომ გონება აერია, მაგრამ მისი ბრძნული მსჯელობები გვიჩვენებს, რომ თავისი ორმოცდაათი წლის გარკვეული მონაკვეთი ღირებული ლიტერატურების კითხვაშიც განვლო, ასეთი წიგნები კი, ტოროს თქმით, „მსოფლიო საგანძურია“, „მათი ავტორები... ყველა მეფესა და იმპერატორზე უფრო მეტ გავლენას ახდენენ კაცობრიობაზე“ [45, 234].

გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟებს: ვასიკოს, შალვას, გრიშას, მაჰმუდ აალის, ბესამეს დონკიხოტური სულისკვეთების, კეთილშობილ, სამართლიან და განათლებულ გმირებს, უყვართ სამშობლო, ლიტერატურა, თავისუფლება, მუსიკა. ისინი ცდილობენ ადამიანები გახადონ უკეთესი.

მათი მსჯელობებიც ქვეყნისა და ხალხის მიმართ კეთილი განზრახვითაა შთაგონებული, მაგრამ, ყველანი, რეალობას მოწყვეტილი არიან.

დონ კიხოტის მსჯელობები (ზოგჯერ გონებაარეული, ზოგჯერ ჭკვიანური) გვიჩვენებს, რომ კითხვამ, ეს მოგზაური რაინდი, სასიკეთოდ განაწყო, მართალია, უშედეგოდ, მაგრამ მაინც დაასახვინა ისეთი კეთილშობილური მიზანი, რომელსაც, ალბათ, ადამიანთა სიმრავლეს კი ვერ მოიფიქრებდა.

ვასიკოსა და მისი ძმების, გრიშასა და შალვას, ოცნებები მიუღწეველია.

XX საუკუნის ქართველ მწერალთაგან, ჩვენი მოსაზრებით, დონკიხოტსა და დონკიხოტიზმს გ. დოჩანაშვილმა ყველაზე მეტად გადაუხადა ხარკი თავისი შთამბეჭდავი პერსონაჟების დახატვით, რემინისცენციებით.

შედარებების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის, „კაცი რომელსაც ძლიერ უყვარდა ლიტერატურა“, პერსონაჟი, ვასიკო კუყერაძე, ხასიათის თვისებებით, როგორც ლიტერატურული ტიპი, ძალიან ახლოს დგას

სერვანტესის დონ კიხოტან. ამ ორი პერსონაჟის საერთო დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ორივე მეოცნებეა, ვასიკოს ლიტერატურის სიყვარულმა შთააგონა იოცნებოს იმაზე, რომ კითხვის მეშვეობით, „კარცერ-ლუქსით“ ადამიანები გახადოს უკეთესი, ამიტომ მოგზაურობს, წარმოსახვით, ასისტენტთან ერთად. ლიტერატურამ უბიძგა დონ კიხოტს სასიკეთო საქმეები ჩაედინა, უსამართლოთათვის თვალი აეხილა ან ებრძოლა მათ წინააღმდეგ, ამიტომ იწყებს ისიც ხეტიალს, გულუბრყვილო საჭურველმტვირთველის მეგზურობით.

ვასიკო კეჟერადის „მეგზური“ კლიმია, რომელსაც ისევე სჯერა მისი, როგორც სანჩო პანსას დონ კიხოტისა.

ორივე პერსონაჟს აქვს ბიბლიოთეკა, წარმოსახვითი და ნამდვილი.

ვასიკოცა და დონ კიხოტიც უცოლშვილონი არიან. მათ ურთიერთისაგან ის განასხვავებს, რომ ვასიკოს ოცნება, გახადოს ადამიანები იმაზე უკეთესი, ვიდრე არიან, ფოტოკაბინეტის სივრცეში იბადება და იქვე რჩება. ფოტოგრაფი არ აქტიურობს, არანაირ გეგმას არ სახავს იმისთვის, რომ რაიმე მოინდომოს. ვასიკოს საუბრის თემა ლიტერატურის ფარგლებს არ სცილდება, განსხვავებით იდალგოსაგან. ახალგაცნობილ ადამიანებს, ის მუდმივად ლიტერატურულ პერსონაჟებს ამსგავსებს, რაც დონ კიხოტს არ ახასიათებს.

ფოტოგრაფს არ სურს დააბრუნოს წარსული, ის აწმყოში ცხოვრობს და ოცნებობს მომავალზე. დონ კიხოტი ცხოვრობს სამივე დროში, ცდილობს დააბრუნოს წარსული, იმოქმედოს აწმყოში და იბრძოლოს მომავალი თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის.

§6. სიქველისა და სიკეთის ხვედრი რევაზ მიშველაძის პროზაში („დიოგენი“, „ვინ დამეძებს“, „61-11-25“, „ქველი“, „უფასო პანსიონატი“)

ქართველი მწერალი, ნოველისტი და კრიტიკოსი, რევაზ მიშველაძე (1940), წერილს - „ენა და მწერალი“, მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებით იწყებს: „ენა მწერლობის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს: გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება“...

მწერლობა მოკლედ, ლამაზად და საინტერესოდ წერაა - სხვა არაფერი...“ [88].

სწორედ, მოკლედ და ლამაზადაა გადმოცემული მწერლის ნოველებში მთავარი სათქმელი.

მკვლევარ ლ. სორდიას თქმით: „რევაზ მიშველაძე უდიდესი ნოველისტია. მეცნიერი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი. თვითშეცნობილ შემოქმედს ღრმად აქვს გაცნობიერებული საკუთარი მწერლური ქიმია და ალქიმია...“

მისი სამყარო ერთდროულად არის უბრალო და დიადი, გასაგები და იდუმალი, მისაწვდომი და რთული, ხოლო ამ განუმეორებელი პოეტური მატერიკის შესასვლელ კარში თვით შემოქმედი მიგვიძღვის, მხოლოდ ჭეშმარიტი ოსტატისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-მეცნიერული ჟესტებით გვიკვლევს გზას!“ [39, 9].

პოეტი შოთა ნიშნიანიძე (1929-1999) რ. მიშველაძეს „ნოველის ოსტატს“ [38, 3] უწოდებს.

მწერლის რჩეული ნაწარმოებების კრებულის გარეკანზე (2001), შემოქმედზე, რამდენიმე სიტყვიანი, პირუთვნელი შეფასებაა: „პოპულარული ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, რევაზ მიშველაძე, თანამედროვეობის ობიექტურ, მხატვრულ მატთანეს ჰქმნის...“

... ქართული პროზის ნაცადი ოსტატის ნოველა კარგა ხანია მსოფლიოს გზებზე გავიდა... 2001 წელს ცალკე წიგნებად უკვე გამოიცა ინგლისურ, სპარსულ, ესპანურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე“ [28, 1].

რ. მიშველაძის ნოველათა („დიოგენი“, „ვინ დამეძებს“, „61-11-25“, „ქველი“ „უფასო პანსიონატი“), პერსონაჟები, სულიერად, მსოფლიო ლიტერატურის უბრწყინვალესი

წარმომადგენლის, სერვატესის ლამანჩელ იდალგოს, ენათესავებიან, დონკიხოტურ სულისკვეთებას ავლენენ.

„დიოგენი“(1980). ნოველის პერსონაჟ გოგიტა ჩიტაიას დონკიხოტური, შეუძლებელი მიზანი დაუსახავს. მას აწუხებს სიყვარულისა და პატივისცემისაგან დაცლილი ურთიერთობები, ავისა და კარგის აღრევა, დამნაშავეთა სამყარო, სიკეთის კვდომა და გადაუწყვეტია „მართალთა ლაშქრის“ შექმნა“ [39, 303].

„გადავეჩვიეთ ერთმანეთის მოფერებას და პატივისცემას ადამიანები... ძალიან გავუტურამგელდით ერთმანეთს. მთელი ცხოვრება ვასწავლით კაცს ქურდობას და კარგად რომ ისწავლის, სწორედ მაშინ წავუჭერთ ყელში ხელს, ვინ გასწავლა, საიდან შეითვისე ეს მურტალი საქმეო... რაც დრო გადის, უფრო და უფრო ძნელი რომ ხდება ავი კაცის კარგისგან გამიჯვნა? რა დახვეწილი მანერებით, რა ანგელოზის ნიღბებით დააბიჯებენ მგლები ცხვართა შორის ... ბევრმა დაივიწყა, რომ ერთი ანგარიშის ჩაბარება, სამსჯავროზე ერთი წარდგენა... ერთი განკითხვის დღე ყველას ელის...“ [28, 301-302].

ნოველა „დიოგენი“ მოგვითხრობს მემანქანე ვარდენ მამაკაიშვილზე, რომელმაც ლიანდაგზე წაქცეული კაცი შეამჩნია. დაამუხრუჭა, მაგრამ ხედავდა, რომ ლოკომოტივს დროზე ვერ შეაჩერებდა, ამიტომ კარი გააღო, გადახტა და ადამიანი გადაარჩინა.

ვარდენი, გამოჩენილი გმირობისთვის, სადგურის უფროსმა, საპატიო რკინიგზელის ნიშნით დააჯილდოვა და თან, საჩუქრად, გაზეთი „ინდუსტრიული ქაქუჩეთი“ გადასცა. ერთ-ერთი სათაური, „შემთხვევა“, მისი გმირობის ამბებს უყვებოდა მკითხველებს. გაუმართეს ბანკეტიც, მიულოცეს. გავიდა დრო. ორი წლის შემდეგ, მარტომცხოვრებ მხსნელს ესტუმრა ის ადამიანი, ვინც სიკვდილს გადაარჩინა, გოგიტა ჩიტაია, მაგრამ მალე სინანულის გრძნობა დაეუფლა, როდესაც მიხვდა, რომ სტუმარი „დიოგენი“ აღმოჩნდა:

„კაი კაცის აღმოჩენაზე ვმუშაობ. ჩემი ფანარი ასეთია. დავდივარ ამ ქვეყანაზე მიამიტი კაცის ნიღბით და ხალხს საგმირო საქმეების ჩადენის პირობებს ვუქმნი“... [29,302]. გოგიტა გაოცებულ „გადამრჩენელს“ უყვებოდა, როგორ დატოვა სხვადასხვა დროს, რამდენიმე ტაქსში ფული და საბუთები, წინასწარი განზრახვით, დაენახა, „დარჩენილ“ ნივთებს დაუბრუნდნენ თუ არა, გაოცებულ მასპინძელს უამბო როგორ

ისკუპა, ერთხელაც, ტანსაცმლიანად რიონში, თავისივე „მშველელის“ აღმოსაჩენად... „...მაიმუნობისთვის მივიღე ეს ჯილდოც და სახელიც?..“ განაწყენდა ვარდენი. გოგიტამ მიუგო: „...შენ შენი საქმე ხომ გულით გააკეთე. შენ კაი კაცი ხარ და გეკუთვნოდა... ჩემი საქმე შენ სულ არ გეხება...“ [29, 303].

რ. მიშველადის დიოგენი- გოგიტა დადის, თითქოს, ბერძენი ფილოსოფოსის დიოგენი სინოპელის (ძვ. წ. 412 - ძვ. წ. 323) შორეული ეპოქის გადამახილს აყოლილი. გადმოცემის თანახმად, როგორც ვიცით, ის ქალაქში სანთლით დადიოდა და ამბობდა: „ვეძებ ადამიანს“.

სიკეთის წყურვილი ყოველი ნორმალური ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებაა და მისი გამოვლენის მრავალნაირი გზა არსებობს, მაგრამ თითქოს დიოგენი-გოგიტა, თავისებურად, ძველი საბერძნეთის კინიკური (ცინიკური) სკოლის (დაარსდა ძვ.წ. 380) სოკრატულ (ძვ. წ. 470 - ძვ. წ. 469) დებულებას: „ბედნიერება სიკეთის მიღწევაშია“ ავითარებს.

ნაწარმოების პერსონაჟის დონკიხოტურ საქციელში მწერლის ირონია იკითხება. ნოველის სათაური „დიოგენი“ მიგვანიშნებს, რომ გოგიტაც, თავისი უცნაური საქციელით ისევე განმარტოებული და გაუცხოებულია ადამიანთათვის, როგორც დიოგენე კასრში (დიოგენი, გადმოცემის თანახმად, ადამიანებს ურჩევდა ბუნებასთან დაახლოებას, საზოგადოებისაგან გაქცევას) და ისევეა დონკიხოტური კეთილშობილებით გატაცებული, როგორც მიგელ დე სერვანტეს საავედრას რომანის პერსონაჟი, ლამანჩელი იდალგო, სიკეთის ჩადენის ოცნებით შეპყრობილი.

„ვინ დამეძებს“(1981). დონკიხოტური სიკეთის გასაოცარი მაგალითია რ. მიშველადის ნოველაში „ვინ დამეძებს“, რომელიც სოფელ დიდმიწაში მომხდარ ამბავს გვიამბობს.

ბრბო უკან მიჰყვება: „მაზუთით გაპოხილი ხის ბოდის“ დანომვრით გართულ უცხო კაცს. მან დაინტერესებულ სოფლელებს ამცნო, რომ აქ ელექტრონის რკინის ბოდები აღიმართებოდა, ძველი კი, შეეძლოთ, სურვილისამებრ, გამოეყენებინათ. ბრბო ძველი ბოდებისაკენ გაიქცა. ყველამ სათავისოდ დაიწყო მათი დანომვრა. უცხო კაცი დიდმიწის

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, პარმენ კაკაბაძეს, კაკო რატიანად წარუდგა, მას ისე შინაურულად შეხვდა, რომ გაკვირვებულს გონზე მოსვლაც არ აცალა.

კაკო რატიანის თქმით, ის გეოლოგიური პარტიის უფროსია და ამ სოფელში შტაბი ექნება, ნავთს ეძებენ. ამ საქმიანობისათვის თავმჯდომარის „ვილისი“ და მუშახელი ითხოვა. კაკო რატიანმა პარმენი დაითანხმა, მერე მუშებსაც საქმე მიუჩინა, თანამდებობებიც ჩამოარიგა, ყველას მაღალ ანაზღაურებას დაჰპირდა.

თხუთმეტი დღის შემდეგ გეოლოგიური პარტიის უფროსი უკვე დიდი პატივით სარგებლობდა: „კაკო რატიანის ავტორიტეტმა კულმინაციურ წერტილს მაშინ მიაღწია, როდესაც მისი თაოსნობით ბრიგადამ გზის რემონტი დაამთავრა და სოფლის ცენტრში აბანოს მშენებლობა დაიწყო“ [28, 80].

ხელფასი კი იგვიანებდა. ერთ თვეში კაკო რატიანი გაქრა. ვიქტორ მაისურაძემ თავისი მდგმურის საწერ მაგიდაზე წერილი იპოვა, კაკო დიდმიწელებს ბოდიშს უხდიდა იმის გამო, რომ მათ ტოვებდა, ხელფასის გაცემის დრო ახლოვდებოდა, მას კი თანხა არ ჰქონდა. მალე მილიციის ქვეგანყოფილებამ დაიწყო „გაიძვერა“, „აფერისტი“ რატიანის მოძებნა.

გაწბილებული ადამიანები ამბობდნენ: „რა უნდოდა“, „რას გვერჩოდა“, „ეგება ღმერთი იყო... და ვერ ვიცანით...“ [28, 81].

გეოლოგიური პარტიის უფროსის წერილმა, თითქმის ყველაფერს ახადა ფარდა, ვერავინ ვერ ხვდებოდა, რას ნიშნავდა ყოველივე, „გაიძვერობისა“ და „აფერისტობის“ კვალიც, რაიმეს გამორჩენის მიზნით, გამორიცხული იყო:

„დიდი მადლობა ყველაფრისათვის, ძვირფასო დიდმიწელებო, მე თქვენ მიყვარხართ, იცოდეს ღმერთმა. გტოვებთ, რადგან ხელფასის გადახდის დრო ახლოვდება, ამდენი ფული ვინ მომაქვავა. მე ერთი საწყალი კაცი ვარ... თქვენთვის არაფერი მომიპარავს, არაფერი წამირთმევია“ [28, 80].

„61-11-25“ (1983). რევაზ მიშველაძის ნოველა „61-11-25“ მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ დარეკა გელას ოჯახში უცნობმა ქალმა და სთხოვა, ჩაეწერა მისი ტელეფონის ნომერი, რათა დილით შეხმთანებოდა მას, ავადმყოფ ნელი კვიციანს, ვაშლოვანის თხუთმეტი ნომერში მცხოვრებს. ზარის ხმაზე, თუკი არავინ უპასუხებდა,

ესე იგი, ქალი გარდაცვლილი იქნებოდა და მასაც სასწრაფო დახმარებისთვის უნდა ეცნობებინა. გელამ დახმარება შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო, უცნობმა ყურმილი დაჰკიდა.

მას შემდეგ, ყოველ დილით, გელა იმ უცნობს ურეკავდა შინიდან, სამსახურიდანაც, ესაუბრებოდა, მოიკითხავდა. მის დონკიხოტურ თავგამოდებასა და ყურადღებას, მის თანაგრძნობასა და კეთილშობილებას ავადმყოფი ქალი შესაბამისად აფასებდა: „...არის-მეთქი ამ გაცივებულ ქალაქში კიდევ კაცი, რომელსაც სხვისი შველის სურვილი და უნარი შერჩენია-მეთქი. იქნებ, თქვენმა კაიკაცობამ მე წუხელის სიკვდილს გადამარჩინა ... თქვენ კეთილშობილი კაცი ხართ და გინდათ თქვენი ყურადღებით პატივი მცეთ, შემეხმიანოთ!!..“ [29, 568].

მწერლის თქმით, „სიბრალულის გრძნობას დიდად სჭარბობდა სხვა უფრო ძლიერი, რისთვისაც გელას ანგარიში ვერ მიეცა“ [29, 568].

გელას მეტისმეტი თავგამოდება ქალისთვის მალე ზედმეტი და მოსაბეზრებელიც კი აღმოჩნდა, რადგან ავადმყოფს, „სიცოცხლესთან ანგარიში“ უკვე გასწორებული აქვს: „ადამიანებთან ურთიერთობის რკვევა კარგა ხანია დავამთავრე, გათავისუფლებით ჩემთან შეხმიანების თქვენი ჯენტლმენური მოვალეობისაგან“ [29, 568].

გელა, დონ კიხოტის მსგავსად, სწორედ იქ აქტიურობს ხოლმე, სადაც მას არც მოელოან. არაფერს ითხოვენ მისგან, მაინც ძალისხმევას არ იშურებს. ეს არის კეთილშობილება კაცისა, რომელსაც მეტად სათუთი გული აქვს. მას, სხვის „სიკვდილთან შებრძოლება და სიცოცხლის გახანგრძლივება“ მოკითხვითა და საუბრით სურს, ერთი კვირის განმავლობაში ავადმყოფს დღეში სამჯერ ურეკავს, სიახლეებზე უყვება, რჩევებს აძლევს, ზრუნავს მასზე, სანამ ორშაბათ საღამოს, გაზეთ „თბილისში“, სამგლოვიარო განცხადება არ ამოიკითხა. მის საფლავზე, (როცა ყველა წავიდა), „მქრქალი წყვილიდან“ გამოსულმა გელამ, ალუბლის ტოტები დააწყო, ერთხანს მდუმარედ იდგა და მერე გაუყვა ბილიკს.

ხოხე ორტეგა-ი-გასეტის „კეთილშობილება“ სისხლსავსე არსებობის სინონიმად მიაჩნია („მასების ამბოხი“, 1930): „კეთილშობილი კაცი ცდილობს თავის „მე“-ზე ამაღლდეს და პიროვნული არსებობის ფარგლებსაც გასცდეს. ამრიგად, კეთილშობილი

ადამიანის ცხოვრება ძირეულად უპირისპირდება ჩვეულებრივი „საშუალო“ ადამიანის ყოფას“... [8,64].

რ. მიშველამის ნოველების გმირები გიგა ხაჩიძე, მზია სულხანიშვილი, გოგიტა ჩიტაია, კაკო რატიანი, გელა კეთილშობილი, უცნაური, აქტიური და სულიერებით დონ კიხოტის მონათესავე პერსონაჟები არიან. ხასიათის თვისებებით ლამანჩელი იდალგოს სულისკვეთებას ავლენენ. მეტისმეტი მიამიტობის გამო, ისინი უხერხულ მდგომარეობაშიც აღმოჩნდებიან ხოლმე. გიგა ხაჩიძეს ბევრი წყენა არგუნა თავისმა კეთილშობილებამ. გულგატეხილია მზია სულხანიშვილი, განუხორციელებელი იდეის გამო. გოგიტა ჩიტაიას გრძნობებისგან დაცლილი ურთიერთობები აწუხებს, კაკო რატიანი, საქვეყნო საქმისთვის თავდადებულია, მაგრამ იძულებულია გაუჩინარდეს, რომ არა მისი „კეთილშობილური“ სიცრუე, სოფელში ბევრი რამ გაუკეთებელი დარჩებოდა. გელა სასიკვდილოდ განწირულ უცნობ ქალს თანაუგრძნობს, მაშინაც კი, როცა ავადმყოფს არანაირი სურვილი არა აქვს, მოუსმინოს მის სატელეფონო საუბრებს, თავს მაინც არ ანებებს. რ. მიშველაძე მიგვანიშნებს, რომ მისი ნაწარმოების პერსონაჟები კეთილშობილი, მაგრამ დონკიხოტური სულისკვეთების ადამიანები არიან. კეთილშობილებას, ზოგჯერ გაუაზრებლად ჩადენილს, უარყოფითი შედეგი მოსდევს, მოთხრობები „ქველი“, „ვინ დამეძებს“, „61-11-25“, ამის ნათელ მაგალითებს გვიჩვენებს.

ქველი“ (1983). პოსტსაბჭოთა პერიოდში სოციალისტური რეალიზმი ერთადერთ მიმდინარეობას არ წარმოადგენდა. „XX საუკუნის უკანასკნელი ოცწლეული და XXI საუკუნის დასაწყისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მონაკვეთია ქართული მწერლობის ისტორიაში... საინტერესოა 70-80-იანი წლები. რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „გარდამავალი“... სხვადასხვა მიმდინარეობებისთვის დამახასიათებელი თვისებები შეერწყა ერთმანეთს, თითქოს გაჩნდა ქაოსი მწერლობაში... ქაოსის ერთ „სფეროში“ გამაერთიანებელს ეწოდა „პოსტმოდერნიზმი“ [27,4]. საბჭოთა იმპერიის დაშლის, ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების შემდეგ, რეალიზმს, ლიტერატურულ მიმდინარეობას, ჩამოშორდა საბჭოური იდეოლოგია, მაგრამ საყოველთაო სიმშვიდემ ვერ დაისადგურა, არსად ჩანდა კეთილდღეობის წანამძღვრები, ქვეყანამ გადაიტანა სამოქალაქო

დაპირისპირებების პერიოდი, ომები(თბილისი, სამაჩაბლო, აფხაზეთი), გაჩნდა უნდობლობა და შიში მომავლისა. ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა ლიტერატურაში. რევაზ მიშველადის ჩვენ მიერ დასახელებული ნაწარმოებების პერსონაჟების სამოქმედო არეალი 1980-1996 წლებია, ქართული საზოგადოების ცხოვრებაში 90-იანი წლების დასაწყისი კრიზისული და რთულია, ბევრი ადამიანის ოცნება და მცდელობა არსებული სიტუაციის შეცვლისა, დონკიხოტიზმს ემსგავსება. მწერალმა ობიექტური სიმართლით ასახა იმდროინდელი ყოფის სურათები.

მოთხრობა „ქველის“ მთავარი მოქმედი გმირი „შუახანს გადაცილებული, შავმოსასხამიანი კაცი“, პოსტსაბჭოთა სივრცის ბინადარია, „ახალმა დონ კიხოტმა“, გიგა ხაჩიძემ, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ორმოცდასამი წლის ასაკში, დაიწყო ისევ მუზეუმში მუშაობა, აგროვებდა ფულს ყულაბაში, რათა შემდეგ დანაზოგით პირადი საქმეები მოეგვარებინა, ცოლი შეერთო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, უკვე ორმოცდათვრამეტი წლისამ, გადაწყვეტილება შეცვალა: „...ერთი აზრი დაეუფლა, ამდგარიყო და ეს ფული ეჩუქებინა იმისთვის, ვისაც წვრილშვილი ჰყავდა და ხელმოკლედ ცხოვრობდა...“ [29,17], ის ერმინე სახამბერიძის ოჯახს ესტუმრა, დიასახლისს, პისტის, თავისი ვინაობა გაუმხილა: მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვმუშაობ და სოფელ ბალახვანიდან ვარო, შემდეგ კი ორი ათასი მანეთი გადასცა საჩუქრად: „... ეს ფული თქვენია და მოიხმარეთ როგორც გაგეხარდებათ, ჩემი არ იყოს, არც თქვენ ყოფილხართ მაინცდამაინც ხელმომართული. ცოტათი მაინც წინ წაგწევთ ეს ფული“ [29,15]. პისტი, თავის შვილებთან ერთად, „უცნაურ სტუმარს“, დიდხანს შეჰყურებდა, ის კი, დონკიხოტურად თავგამოდებული, თვალს მიეფარა. გიგა კმაყოფილია, რომ დანაზოგი, პატიოსანი შრომით მოპოვებული ფული, მრავალშვილიან, ღარიბ ოჯახს გადასცა საჩუქრად. მას ისევე არ მიუღია მადლობა გაღებული სიკეთისთვის, როგორც დონ კიხოტს, არაერთი თავგამოდებისათვის. მიუხედავად ამისა, გიგა ხაჩიძე მაინც არ ნანობს ჩადენილ საქციელს ისევე, როგორც კეთილი ლამანჩელი იდალგო თავის თავს გადამხდარ სასიამოვნო თუ სამწუხარო თავგადასავლებს, მაგრამ ის სერვანტესის გულუბრყვილო პერსონაჟივით გაოცებულია იმით, რომ მისი არ ესმით ადამიანებს. მასპინძელმა ვერ დაიჯერა მეცნიერის უანგარობის ამბავი, გაუკვირდა, ეჭვი

შეეპარა, შეეცადა გამოერკვია „სიმართლე“, ამით შეურაცხყო იგი და მეტისმეტად შეაწუხა.

თავდაპირველად, გიგა ხაჩიძეს, ჯერ უშანგი ჭედია ესტუმრა ირონიით, ეჭვებით შეპყრობილი, რომელიც ერთგულებასა და უღალატობას ეფიცებოდა, მას არ სწამდა ამგვარი ქველმოქმედებისა და გიგას საქციელში რაღაც ქვეტექსტებს ეძებდა, „საიდუმლოს“ შენახვისათვის დახმარებასაც დაჰპირდა და არც რაღაც „წილის“ მოთხოვნა დავიწყებია. გაბრაზებულ გიგას თვით სახამებერიძეც ესტუმრა, რომელმაც ჩათვალა, რომ თანხა მთავრობამ გამოგზავნა და მეტს მოითხოვდა, უკვირდა, რომ ორი ათას მანეთს „რაიმე საბუთი, კვიტანცია“ არ მოჰყოლია და ხელიც არაფერზე ჰქონდა მოსაწერი, თან აინტერესებდა, ადრე იცნობდა თუ არა გიგა ერმინეს ცოლს, პისტის.

მესამე პიროვნების, ყმაწვილის, აღმასკომის თანამშრომლის ვიზიტმა და მასთან დიალოგმა გიგა ხაჩიძე კიდევ უფრო გააგულისა. სტუმარმა დამოძღვრა იგი: „...რაც შენ გააკეთე, სიკეთე არ არის. ანუ, უფრო სწორად, გულუბრყვილო, სულელური სიკეთეა... ადამიანები კარგა ხანია გადაეჩვივნენ ასეთი „სიკეთეების“ ჩადენას...“ [29, 30].

სტუმარმა გიგას საქციელს „ხალხოსნური ქველმოქმედება“ უწოდა, რომელიც: „...მოდაში აღარ არის. კაცისთვის ორი ათასი მანეთის ჩუქებას დღეს დამცირების, შეურაცხყოფის ელფერიც ახლავს“ [29,30]. მწერალმა ამ მოთხრობით გვიჩვენა ის მწარე რეალობა, რაც ახლდა პოსტსაბჭოთა სივრცეს, რომელიც არ შეცვლილა, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნილი საზოგადოება დაბნეულია, ეჭვიანობს, განიცდის, მის ერთ ნაწილს უკვირს ზოგიერთისგან ადამიანთა კეთილდღეობისათვის მეტისმეტი თავგამოდების მაგალითები, ისევე, როგორც დონ კიხოტის დროინდელ ესპანეთს იდალგოს ქმედებები. სიკეთის გამღები ადამიანები ჰგვანან უცნაურ მარტოსულებს, ისინი გაკვირვებასა და ეჭვებს იწვევენ (გიგა ხაჩიძე), ან ღიმილს გვრიან მნახველთ (დონ კიხოტი). მწერალი ადამიანის დანიშნულების საკითხზე ამახვილებს ყურადღებას: „რ. მიშველაძის შემოქმედების ცენტრში ყოველთვის ადამიანი დგას, სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა ეროვნების, ასაკის, სქესის, გემოვნების, საქმიანობის, „ახალი დონ კიხოტები, ახალი დიოგენები, ახალი წმინდანები და ავაზაკები“... [39, 7].

რევაზ მიშველამის ადამიანი არის: „...თავისი ქცევის, ხასიათის სოციალურ-ფსიქოლოგიურ, მორალურ-ეთიკურ და სხვა მრავალ განზომილებებში გამოვლენილი“ [39,10].

მკვლევარ ლ. სორდიას თქმით: „ინტელიგენტთა ერთი ნაწილი თუ ფარისეველ-მწიგნობართა კასტაში მოიაზრება, არიან ადამიანებზე, სიკეთეზე ფანატიკურად შეყვარებულები, გენეტიკური კოდებიდან რომ დაჰყვებათ ხოლმე უანგარო კეთილშობილება, ივიწყებენ პირადულს და უკანასკნელ დანაზოგს გასცემენ ხოლმე გაჭირვებულებზე, თანაც ყოველგვარი აფიშირების გარეშე“ [39, 301]. არც გიგას სურდა გახმაურებულიყო მის მიერ ჩადენილი საქციელი. ის უანგარო კეთილშობილებამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა.

„კარგი საქმის უანგაროდ კეთების სურვილი რომ არ უჩნდებოდეს ადამიანს, ცხოვრება უფერულ ტრამალს დაემსგავსებოდა და სული ერთფეროვნების ნაცრისფერი ნისლიდან ვერ გამოაღწევდა. ხშირად სიკეთის რეალობად ქცევა სულიერ მოთხოვნილებად ისეთ ადამიანებს ექცევათ, რომელთაც ყველაზე მეტად უჭირთ ეკონომიკურად, მაგრამ ამ ამალღებულ მიზანს უნდობლობის, ექვის, დაუჯერებლობის, გულგრილობის სენით დანადმული ველი აუფასურებს“ [39, 302].

რ. მიშველამის პერსონაჟებს სიკეთის ჩადენის შინაგანი მოთხოვნილება აწვალვით და სხვებსაც ამის მაგალითს უჩვენებენ, მაგრამ დონკიხოტურად. მათი იდეები ან განუხორციელებელია, ან იმდენად უცნაური, რომ ლამაზჩელ იდალგოს ჰგვანან, მის მონათესავე ტიპებს, მისი არქექტიპით ინსპირირებულს წარმოადგენენ.

რ. მიშველამის ნოველებზე მუშაობისას, გამოიკვეთა ავტორის მთავარი სათქმელი: დონკიხოტურად თავგამოდებული ადამიანების სიქველესა და სიკეთეს, უკუღმართი ან მოუწესრიგებელი, ადამიანური ურთიერთობებისაგან დაცარიელებულ ეპოქაში მწარე ხვედრი ხვდებათ ხოლმე წილად.

„უფასო პანსიონატი“ (1991). ნოველა „უფასო პანსიონატის“ მთავარი მოქმედი გმირი, არაფორმალური გაერთიანება „სი ქოულ ბატას“ წევრი, ოცდაჩვიდმეტი წლის მარტოხელა დედა, მზია სულხანიშვილია. მას უფასო პანსიონატის გახსნის იდეა დაეებადა. მან აღმასკომის თავმჯდომარეს ამცნო ამის თაობაზე, ქართულსა და

ინგლისურში ჩემს ბინაში ვამეცადინებ, ისტორიისა და მათემატიკის პედაგოგებსაც გამოვინახავო, მაგრამ მხარდაჭერა ვერ მიიღო. სინქრონული თარგმნის კურსების მუშაკმა ქალმა, მხოლოდ „სიტყვიერი დასტური“ მიიღო. თავმჯდომარემ პირველად ნახა ასეთი უცნაური „მთხოვნელი“, ჩათვალა, რომ ამ ბოზოქარ საუკუნეში მისი ჩანაფიქრი ტყუილს ჰგავდა.

კეთილშობილმა ქალმა თანაკურსელ დოცენტ ჩაფიძეს სთხოვა ისტორიაში ემეცადინა ხელმოკლე ოჯახის შვილები, ესტუმრა მოსწავლეთა მშობლებს: კირვალიძეებს, ახობაძეებს, შვანგირაძეებს, ხაბურძანიებს, მაგრამ ვერაფერს მიაღწია.

გულგატეხილი, დონკიხოტური სულისკვეთების კეთილშობილი ქალი შინ, ხატის, ანთებული სანთლების წინ დგას და შვებას ლოცვებში პოულობს.

მწერლის პერსონაჟი ირონიით შესცქერის სოციალისტური რეალიზმის იდეებს, კომუნიზმის უტოპიას, დონკიხოტურ ოცნებას, კაცობრიობის ნათელ მომავალზე. კომუნისტური იდეოლოგიის წარმომადგენელთა გეგმის მიხედვით, მოსახლეობის ყველა ფენა უზრუნველყოფილი უნდა გამხდარიყო, ბედნიერებას კი საზოგადოების ყველა სფეროში დაესადგურებინა, და, რასაკვირველია, ეს, პირველ რიგში, ცოდნის კერებს უნდა შეხებოდა. საზოგადოებრივი აზროვნება ორ ნაწილად იყო დაყოფილი, ერთნი ეჭვის თვალთ უყურებდნენ მეოცნებე იდეოლოგებს, მეორენი-გულუბრყვილოდ იჯერებდნენ რომ, ერთ მშვენიერ დღეს, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლებოდა, მაგრამ „უფასო პანსიონატის“ პერსონაჟი მზია სულხანიშვილის მსგავსად (რომელსაც თავიდან ჰგონია, რომ პანსიონატი შეიძლება უფასო იყოს და დალხენილი, მოცლილი ადამიანები, კეთილშობილურ საქმიანობაში მხარს აუბამენ) საბოლოოდ გულგატეხილნი რჩებოდნენ.

ნოველა „დიოგენის“ პერსონაჟი გოგიტა ჩიტაია „სიკეთის კვდომით“ შეწუხებულია ისევე, როგორც დონ კიხოტი, მას ხშირად აცვიფრებს ის, რომ კეთილშობილური ქმედებების სანაცვლოდ წყენას ღებულობს, ქვეყანაზე სიკეთის დეფიციტია და მიზნად ისახავს, მას ემსახუროს, მაგრამ ლამანჩელი იდალგოსგან იმით განსხვავდება, რომ ეძებს „გმირებს“, თავგამოდებულ ადამიანებს თავისებური ხერხით,

თვალთმაქცობითა და ფარულად ცდილობს სხვებიც აიყოლიოს. დონ კიხოტი სანჩო პანსას მეგზურობით კმაყოფილდება.

ნოველა „ვინ დამეძებს“ დონკიხოტული სულისკვეთების პერსონაჟს, კაკო რატიანს გვიხატავს:

1. კაკო რატიანი სწორედ იქ აღმოჩნდა სიქველის ჩასადენად, სადაც აუცილებელი იყო გულისხმიერი ადამიანის ყოფნა და მოქმედება, ასევე უცებ განსაზღვრავდა ხოლმე დონ კიხოტი (მართალია, ზოგჯერ მცდარად), ვისთვის გაეწვდინა დახმარების ხელი.

2. ორივე პერსონაჟი კეთილშობილია, მეოცნებე და, თავისებურად აქტიური.

პერსონაჟ კაკო რატიანსა და დონ კიხოტს ერთმანეთისაგან განასხვავებთ შემდეგი გარემოებები:

1. კაკო რატიანი თავიდან მალავს სიმართლეს და დონკიხოტურ ქველმოქმედებას ისე ჩადის, დონ კიხოტს არ შეუძლია იცრუოს.

2. იდალგო არასდროს არ უჩინარდება შემთხვევის ადგილებიდან, კაკო რატიანის კვალი კი ქრება.

ნოველის „61-11-25“ გმირი გელაა, რომელიც დონკიხოტურად თავგამოდებულია.

1. გელა დონ კიხოტს ემსგავსება იმით, რომ უცნობისადმი გადაჭარბებულ ყურადღებას იჩენს.

2. გელას, დონ კიხოტით, გაჭირვებულის თანადგომა შეუძლია.

3. დონ კიხოტის სასიკეთო ჩარევას ამა თუ იმ საქმეში, ზოგჯერ მომაბეზრებლად თვლიან, გელას გადაჭარბებული ყურადღებაც უცნობ ქალს ღლიდა.

4. ეს ორი პერსონაჟი იმით განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ იდალგო თვითონ ეძებს ფათერაკებს, ჩადის საქველმოქმედო ქმედებებს, გელას კი, მის ოჯახში, შემთხვევით აწკრილებულმა ტელეფონის ზარმა უბიძგა, დაინტერესებულიყო სხვისი ბედით, შემდეგ კი აღმოჩინა საკუთარ თავში, რომ შუა გზაზე არ შეეძლო უყურადღებოდ მიეტოვებინა პიროვნება.

ნოველა „ქველის“ პერსონაჟი გიგა ხაჩიძე კეთილშობილია, ისევე, როგორც დონ კიხოტი, ისიც მზადაა გაჭირვებულს ამოუდგეს გვერდით.

1. დონ კიხოტსა და გიგას ცოლ-შვილი არ ჰყავთ.

2. გიგას ქმედება განცვიფრებას იწვევს ისევე, როგორც დონ კიხოტის არაერთი საქციელი.
- 3 მრავალი დამცირება ერგო ლამანჩელ იდალგოს სიკეთის ჩადენისათვის, ისევე როგორც გიგა ხაჩიმეს.
4. დონ კიხოტი და გიგა ხაჩიმე ერთმანეთს , ძირითადად, იმით ემსგავსებიან, რომ ნოველა „ქველის“ პერსონაჟი, გიგა ხაჩიმე, დონ კიხოტით თავგამოდებულია.
5. გიგა ხაჩიმე უანგაროდ იღწვის იდალგოსავით.

იდალგოსა და ქველ პერსონაჟს შორის მსგავსებათან ერთად განსხვავებებიცაა

6. გიგა ხაჩიმის სასიკეთო ქმედება ერთჯერადია, დონ კიხოტისა კი მრავალჯერადი გამეორებული.
7. გიგა ხაჩიმე ვერ უძლებს მის კეთილშობილებაში დაექვებული ადამიანების ვიზიტებსა და საუბრებს , ბრაზდება და ლამის სანანებლად გაუხდეს სხვისთვის გაღებული სიკეთე, დონ კიხოტი არასდროს არაფერს ნანობს და მედგრადაც უმკლავდება წინააღმდეგობებს.

ნოველა „უფასო პანსიონატის“ პერსონაჟის კეთილშობილური ქმედება, რათა:

1. უფასოდ ამცადინოს მოსწავლეები, დონკიხოტურია, არც სერვანტესის რომანის გმირი მოითხოვს ვინმესგან ჩადენილი სიკეთის საფასურს.
2. „უფასო პანსიონატის“ პერსონაჟმა ვერ მოახერხა მოემძებნა თანამზრახველები, ისევე, როგორც დონ კიხოტმა (ერთგული სანჩოს გარდა).
3. პერსონაჟ მზია სულხანიშვილს დონ კიხოტისგან ის განასხვავებს, რომ წარუმატებლობის შემდეგ ხელჩაქნეული, გულგატეხილი და განმარტოებულია, მორიგი სიკეთის გამოვლენის სურვილი ეკარგება, ლამანჩელი იდალგოსგან კი შორსაა ხელჩაქნეულობა, მისი გამარჯვებებისა და დამარცხებების რიცხვი ტოლია, ის მუდმივად ეძებს, მოქმედებს, იბრძვის.

§7. დინკიხოტიზმი და გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობანი“

თანამედროვე ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, გოდერძი ჩოხელის (1954-2007), შემოქმედებას ტრადიციული, რეალისტური იდეები ასაზრდოებს. მას, ხშირად, გენიოსი ვაჟა-ფშაველას ჰუმანიზმის გამგრძელებლად მიიჩნევენ, ამბობენ, რომ XIX საუკუნის ამ შესანიშნავმა შემოქმედმა დიდი ზეგავლენა მოახდინა მასზე: „გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას დიდი ვაჟა-ფშაველას აჩრდილი დასცქერის. არა მარტო ფშაველი გენიოსის, მისი სულიწმიდის მადლით მოსილ სიტყვას კაცობრიობის გულისა და გონის უმაღლესი საფეხურების ნათელიც შეუკრებია“ [43, 3].

„გოდერძი ჩოხელის პროზას ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის ტრადიციები, სულიერება მსჭვალავს, აწმყოს პრობლემების ძირეული წვდომის პარალელურად, მომავალში გასაღწევი გზების, ქვეყნის შუქნიშნის პოვნა იყო მისი მთავარი ორიენტირი“ [43, 4].

მწერლის, კინორეჟისორისა და კინოსცენარისტის გ. ჩოხელის შემოქმედებამ ქართული პროზის სამყაროში დიდი ხანია დაიმკვიდრა საპატიო ადგილი.

მწერლის პირველი მოთხრობა 1977 წელს დაიბეჭდა, ჟურნალ „ცისკარში“, პირველი წიგნი გამოიცა 1980 წელს („წერილი ნაძვებს“).

გოდერძი ჩოხელი ავტორია პოეტური და პროზაული ნაწარმოებებისა, რომლებიც თარგმნილია ინგლისურ, იაპონურ, გერმანულ, იტალიურ და ა.შ. სხვა ენებზეც.

დამდგმელი რეჟისორისა და სცენარისტის ფილმები საერთაშორისო და ეროვნული კინოფესტივალის პრემიებითა და პრიზებით დაჯილდოვდა, მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია (1991).

მწერლის შემოქმედებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ნაწარმოებს „სულეთის კიდობანი“ (2001). მარი ცქიფურიშვილთან ინტერვიუში (მართლმადიდებლური ფორუმი. 2007 წ. 17 ნოემბერი, მწერალი 16 ნოემბერს გარდაიცვალა) ვკითხულობთ, რომ რომანი „სულეთის კიდობანი“ პუბლიცისტურია, რომელშიც: „მყარი და რეალური

სამყაროა აღწერილი. ერთი შეხედვით, ვიდაცას შეიძლება მოეჩვენოს, რომ კონკრეტული დროა აღებული და ეს ჩვენი ცხოვრებაა“ [112].

მკვლევარ ლუარა სორდიას თქმით: „სულეთის კიდობანში“ ასახულია მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის მოვლენები, გლობალიზმის, მასონობის საფრთხე, რაც, უპირველესად, მცირე ერებს უქადის გადაშენებას.

წიგნში ორი ზესახელმწიფოს, ჩრდილოეთისა და დასავლეთის ალტერნატი-ვაა, ჩვენს თავზე ბედისწერის მიერ ისევ დაკიდებული დამოკლეს მახვილის საშიშროება ილანდება.

„გადაურჩება თუ არა ეპოქის უღმობელ ქართველებს ჩვენი პატარა ქვეყანა, რას უმზადებს მას მომავალი, სად, რაში, როგორ ვიპოვოთ გადარჩენის გზა? ჩვენი სამშობლოს ყოფნა-არყოფნის ეს მარადაქტუალური კითხვა აფორიაქებს ყოველ ნამდვილ ქართველს და სწორედ ამ სატკივარს უღრმავდება ავტორი.

გადარჩენისთვის აუცილებელია რწმენის, ტრადიციების, სულიერების ერთგულება, ეროვნული იდეოლოგია, არ უნდა ვიყოთ არც ჩრდილოეთის, არც დასავლეთის მონა, ასეთია მწერლის აზრი“ [42, 122] .

რომან „სულეთის კიდობანის“ მთავარი მოქმედი გმირი შულლიანთ სებაა. ნაწარმოების სიუჟეტი გუდამაყრის ფონზე იშლება.

მკვლევარ თამარელა წოწორიას თქმით, „გოდერძის გუდამაყარი ერთი დიდი წიგნია, რომელიც სულმოუთქმელად იკითხება. ეს ისეთი წიგნია, მისი არც დაკეცვა შეიძლება და არც წაკითხვა - არ წაკითხვა არის ჩვენი ნება“ [57, 139] .

შულლიანთ სება, ყველას, ერთსა და იმავე წინადადებას უმეორებს სევდიანად: „აეგეთია ეს ცხოვრება“. წუთისოფლის არსზე, მის ფილოსოფიაზე არავინ წუხს, არავის აინტერესებს, არც სებას ნათქვამს აქცევს ვინმე ყურადღებას, მხოლოდ მისი პატარა შვილია დაინტერესებული, როგორია ცხოვრება. სება განუმარტავს: „ისე იწყება, შენ არავინ გეკითხება და ისე მთავრდება, არც მაშინ გეკითხება ვინმე რამეს“ [54, 7].

შულლიანთ სება პატრიოტია, მას „არ ასვენებს ყველასათვის უცხო, ყველასგან უგულვებელყოფილი, მსოფლიოს მიერ გულგრილობისთვის განწირული სამშობლოს

ბედი და გადაწყვეტს გუდამაყრის მუზეუმის დაარსებას, რათა უკვდავყოს თავისი ქვეყანა, მისი წარსული, აწმყო, მონობას გადაარჩინოს ეს რჩეული მხარე.

გუდამაყრის მუზეუმი სიმბოლოა ეროვნული სახელმწიფოსი, რომელმაც მსოფლიოს უნდა ამცნოს თავისი ღირსეული არსებობის შესახებ“ [40, 290].

რომანს ეპიგრაფად უძღვის ამონარიდი დაბადებიდან. უფლის თქმით, ის აღარ დაწყევლის მიწას, „რადგან ბოროტებისკენაა მიდრეკილი ადამიანის გულისთქმა მისი სიყრმიდანვე...“

ვიდრე ქვეყანა იქნება, არც თესვა და მკა, არც ყინვა და სიციხე, არც ზაფხული და ზამთარი, არც დღე და ღამე არ გაუქმდება...“ [54, 5].

ავტორი ეპიგრაფიდანვე მიგვანიშნებს, რომ შუღლიანთ სებას მხოლოდ სიკეთე ამოძრავებს, ის ცდილობს, გამოაფხიზლოს ხალხი, შეახსენოს მათ, რომ „წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი“ (ილია ჭავჭავაძე), მისი გაფრთხილებას: „ხალხო, თვალსა და ხელსშუა გვეცლება წარსული“ და „მამა-პაპათა ადათ-წესები“, ყურს არ უგდებენ, დამცინავად შეჰყურებენ, აღარ ადარდებთ, თუ როგორ „დაიცლება ეს ხეობა და ისტორიას აღარ დარჩება სამახსოვრო, თუ ვინ ვიყავით, რანი ვიყავით“, თავისი მსჯელობით, შუღლიანთ სება, ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „მგზავრის წერილების“ (1861) პერსონაჟ ლელთ ღუნიას ემსგავსება, ალუზიით-გალაკტიონს („დაკარგულია გზა მოხვევისი“... ლექსიდან: „ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს“, 1927).

სება მისტირის „მთაზე გაჭრილ ძველ ნაგზევარს“, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და ერეკლე: „მაგ გზით გადადიოდნენ ქვენამთაზე, ჩადიოდნენ ხევში და კეტავდნენ დარიალანის კარს“ [54, 9].

მისი თქმით, „გადაგვარების გზაზე“ დგანან ხეობის მკვიდრნი. სოფელ ჩოხიდან „გორგასლის ნაგზევიდან“ სება „წარსულის ნაშთებს ეძებს“ [54, 10].

„დარიალანის კარი“ გახსნილია და „სარუსე გზად“ ქცეულა, ნადგურდება ხატის ტყე, ნიკოლოზის ძეგლს ლენინისა და სტალინის სკულპტურები ცვლის, თანმიმდევრობით, სიტუაციისა და დროის შესაფერისად, ხატის მოედანზე, რუსული ბასტიონის მშენებლობის შემდეგ, კოლმეურნეობის კანტორა, შემდეგ კი საქონლის ფერმა შენდება.

სებას იდეა, ააშენოს მუზეუმი და ამით დაიცვას, შემოუნახოს შთამომავლობას ხეობის წარსული, სერვანტესის პერსონაჟ დონ კიხოტის ოცნების ასოციაციას იწვევს, აღადგინოს გარდასული ეპოქა.

შულლიანთ სებას წამოწყებას, მის უანგარო თავდადებას ირონიით შესცქერიან „პრაქტიციზმის ტყვე ადამიანები, როგორც გიორგი ლეონიძის მეოცნებე, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ჩორეხს, როგორც ქრისტეფორე თამარიძეს „ნიშარძეულის წყალში“, რომელმაც უკანასკნელი დანაზოგი დახარჯა სოფლის მოსარწყავი მოწყობილობებისათვის, მაგრამ სოფელი მაინც ვერ აიყოლია სასიკეთო საქმეში“ [40, 291].

შულლიანთ სებამ თავის მიერ აშენებულ მუზეუმში მრავალფეროვანი ექსპონატები განათავსა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ფარდაგი, საქართველოს რუკის გამოსახულებით. მუზეუმი, როგორც უკვე ვახსენეთ, ეროვნული სახელმწიფოს სიმბოლოა, იქ სებას მიერ განთავსებული ექსპონატები „მარადიული ფასეულობებია“ „უნდა გადავარჩინოთ წარსულის სასიცოცხლო ტრადიციები, გავისივრებოთ და აწმყოშივე ვაშენოთ მომავალის მყარი საძირკველი“ [40, 289].

გ. ჩოხელი ჰუმანური იდეებით იყო შთაგონებული, მარადიულად აწუხებდა კითხვა, როგორ ეშველება ადამიანთა სატკივარს? მისი ყველა ნაწარმოები, თითქოს, ადამიანთა სევდისა და სიცოცხლის დანიშნულებაზე დაფიქრებაა. მწერალი ამგვარ საკითხებზე სხვა ნაწარმოებებშიც ამახვილებს ყურადღებას.

მეცნიერ ნინო ვახანიას თქმით: პოემაში „სურვილების ასრულება“ გ. ჩოხელი „ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნას ამჟღავნებს... შეიძლება თუ არა როდესმე კაცობრიობამ მიაღწიოს იდეალურ ცხოვრებას, როცა არავის ეშიება, არავის ეციება, არავის ეტკინება. ყველა ჰუმანისტის ეს აუხდენელი ოცნება ვაჟა-ფშაველამ ასე გამოთქვა: „რომ არცა ვისა შიოდეს და არცა ვისა წყუროდესო“ [16,110].

გ. ჩოხელის გმირთა გალერეა ძირითადად გუდამაყარშია. აქ ცხოვრობს ბიბლა, რომელიც ოცნებობს არარეალურზე, ააშენოს ერთი დიდი სახლი, სადაც ადამიანები სიამტკბილობით, უზრუნველყოფილნი იქნებიან. გუდამაყარში აგროვებს გამიხარდაი ადამიანთა დარდებს („ადამიანთა სევდა“, 1984), „თევზადქცეული“ გამიხარდაი აქ,

არაგვის ერთ-ერთი მორევიდან, აგზავნის წერილებს („თევზის წერილები“,1989) და უარყოფს ადამიანად ყოფნას...

შთამბეჭდავია მწერლის რომანი „წითელი მგელი“(1988), რომელიც, ამ მიმართულებით, საგანგებო შესწავლას საჭიროებს.

გ. ჩოხელი ავტორია მოთხრობისა „მგელი“. ნაწარმოები თავისი არსით, ფინალით, თითქოს მწერლის დევიზს წარმოადგენს და ასოციაციურად ეხმიანება სერვანტესის საყოველთაოდ ცნობილი პერსონაჟის ცხოვრების საზრისს, იყოს სიკეთის მსახური და სხვასაც შთააგონოს ეს კეთილშობილური აზრი: „გამოდმა სოფელი ჩოხია, გაღმით საკიდობნაის ხევი. შუაში შავი არაგვი მოდის.

ხეობა ვიწროა, გაღმიდან რომ მგელმა დაიყმუვლოს, გამოდმა სოფელში კაცს გული აუფორიაქდება იმიტომ, რომ მგელს ცივი და გამყინავი ხმა აქვს.

ხოდა ყმუის მგელი. სამი დღეა განუწყვეტლივ ყმუის“ [107].

მოთხრობაში გამიხარდასა და მისი ცოლის დიალოგია გადმოცემული, „მგელს რაღაცა უჭირს“ და მასთან უნდა წავიდეო, ეუბნება ცოლს, მიდის და თან თოფი არ მიაქვს: „გადაივლის არაგვს, აივლის საკიდობნაის მთას და მიაგნებს მგელს... სიკეთე კრთება მისი თვალებიდან... დიდი ეკალი აქვს მგელს ფეხში შერჭობილი... ამოაძრო... გაბრუნდა მათი სახლის დერეფნიდან მგელი...

... ცოლმა ხარის ყანწში ჟიპიტაური დაუსხა, გამიხარდამ თქვა:

- ყველას გაუმარჯოს, ვისაც უჭირს ამ ქვეყანაზე!
- აუუუ! ... მოისმა სადღაც შორიდან მგლის ყმუილი...

... მე კი რატომღაც მინდოდა სიკეთის ყმუილი მოგესმინათ აქედან ყველას“ [107].

გ. ჩოხელის „სულეთის კიდობნიდან“ სებას უკიდეგანო სიკეთე ასხივებს, მისი ქმედებებში დონკიხოტური შტრიხები იკვეთება. გ. ჩოხელის მოთხრობის „ბედისწერის თეატრის“ მოქმედი პირია ოფელია, თეატრის სუფლიორი, ერთ დღეს, ზედმეტი აღმოჩნდა სამსახურში: „მსახიობები უკვე თვითონ სწავლობდნენ ტექსტებს“... ქალს თავისი ოთახის კარი ბოქლომით დახვდა დაკეტილი. დაღონებული სუფლიორი „შექსპირის დროინდელი ფუმფუმა თეთრი კაბით“, უაზროდ, რომელიღაც მატარებელში ჩაჯდა და უმისამართოდ სადღაც გაემგზავრა. გაჩერებაზე ჩამოვიდა, იარა და დააკაკუნა

უცხო კარზე. შვეიდა. ოთახში მწოლიარე სნეულმა ქალმა „უცნაურად ჩაცმულ ოფელიას რომ მოჰკრა თვალი“... „სულეთის“ ანგელოზად მიიღო“... ოფელია მიხვდა და „გადაწყვიტა, ეს როლი ეთამაშა“... ავადმყოფი დაარწმუნა, რომ მის წასაყვანად არ მოსულა, სნეულს გადარჩენის იმედი მიეცა, „ჯანსაღად წამოდგა“... ამით ყველა გააოცა, მაგრამ „სულეთის ანგელოზი“ სინდისმა შეაწუხა და სიმართლე თქვა. გამოჯანსაღებულმა მასპინძელმა ეს რომ გაიგო, განიცადა და გარდაიცვალა. ოფელია. იდუმალი ხმის კარნახით, მონასტრისკენ მიუყვება გზას. მისმა გაუცნობიერებლად ჩადენილმა „სიკეთემ“ სნეულს, რამდენიმე დღით, ცხოვრება გაუხანგრძლივა, სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა. თითქმის ამგვარად, მცირე დროით, ჩაენერგა დონ კიხოტის ყოვლისშემძლეობის რწმენა ანდრესსაც, რომელსაც ბატონი სცემდა, მაგრამ რაინდი გზას რომ გაუდგა, ყმაწვილს სასტიკად გაუსწორდნენ, ოფელიას აღიარებამაც სნეულს დიდი ტკივილი მიაყენა: „... ღმერთო, მიშველე! - ყვიროდა გამწარებული და ამ ყვირილში გარდაიცვალა“... მწერალმა სამი როლი არგუნა ოფელიას, მოკარნახის, „სულეთის ანგელოზისა“ და მონასტრისკენ მიმავალი მგზავრისა.

გ. ჩოხელის ნაწარმოებების პერსონაჟები თავიანთი კეთილმოქმედებით ღმერთს უახლოვდებიან, მაგრამ ადამიანთა თანამდევ სევდასა და წუთისოფლის განსაცდელსაც გვერდს ვერ უვლიან.

სებას ოცნება, მისი ყოველი ქმედება, აწ გარდასული დროის, კულტურისა და ისტორიის თავმოყრის მცდელობაა, მას ისევე სურს მუზეუმში მოაქციოს და შეინარჩუნოს წარსულის ექსპონატები, როგორც დონ კიხოტს-დააბრუნოს რაინდული საუკუნე. „სულეთის კიდობანი“ გვიჩვენებს, რომ წარსულის დაფასება და პატივისცემა ერის მეხსიერებაში შემონახული სულიერების საგანძურია, მაგრამ მისადმი დონკიხოტურ დამოკიდებულებას, დაცალკევებული ადამიანების აქტიურობას, მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოსდევს. მწერალი მეტაფორულად და ალეგორიულად ასახავს ყველა იმ უბედურებას, რომელიც „პანდორას ყუთიდან“ ეფინება ქვეყნიერებას.

მწერლის მიზანდასახულობას ადამიანებისადმი, ქვეყნის წარსულისადმი, დიდი სიყვარულის გაცხადება წარმოადგენს.

გ. ჩოხელის „სულეთის კიდობანს“ ეპიგრაფად უძღვის ავტორის სიტყვები: „მე მიყვარხართ, მიყვარხართ, რადგან მიყვარს ღმერთი და ღმერთმა თქვენთან ერთად მარგუნა სიცოცხლე დედამიწაზე“ [54, 1].

გოდერძი ჩოხელის „პროზის უპირველესი მასაზრდოებელია წმინდა წერილის სიბრძნე, ცნობილ ღვთისმეტყველთა, ფილოსოფოსთა, ხალხური შემოქმედების მოგვთა, ქართველი თუ უცხოური კლასიკოსების ნააზრევი“... [43, 4].

„დიდება ღმერთის ძალასა... დიდება! დიდება...“ [54, 80], მიმართავენ ერთმანეთს „სულეთის კიდობანის“ პერსონაჟები, ისინი ისევე აფასებენ ღმერთს, როგორც დონ კიხოტი განადიდებს უფალს.

გ. დოჩანაშვილის პერსონაჟი, აფრედერიკ მე, გაიგივებულია ავტორთან.

ი. ლომოურის პერსონაჟი, მოთხრობა „შემთხვევის“ მეოცე მონაწილე თვით ავტორია.

სებაც, ალბათ, თვით გ. ჩოხელის ალტერ-ეგოა.

„სულეთის კიდობანის“ შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ პერსონაჟი შულლიანთ სება ტიპოლოგიურად ლამანჩელ იდალგოს ჰგავს:

1. სება ცდილობს შეინარჩუნოს გუდამაყრის წარსული, დონ კიხოტსაც სურს დააბრუნოს ესპანეთის რაინდული საუკუნე.
2. ორივე პერსონაჟი ოცნებობს.
3. შულლიანთ სებას, ისევე როგორც დონ კიხოტს, სიკეთე ამომძრავებს, ერთს სურს დააარსოს მუზეუმი, სადაც თავისი კუთხის „წარსულს“ მოუყრის თავს, მეორეს უნდა რომ სიკეთეს ემსახუროს, იმოგზაუროს და დაჩაგრული სიმართლე აღადგინოს.
4. სებას ერთადერთი თანამგრძნობელი ჰყავს - პატარა შვილი, დონ კიხოტს - სანჩო პანსა.
5. სებას საქმიანობას ყველანი ირონიით შესცქერიან, ისევე როგორც დონ კიხოტისას.
6. სებას ყველა ქმედება დონკიხოტურია.

7. სება მუზეუმს აარსებს, რათა თანამემამულეებს ქვეყნის ისტორიასა და კულტურაზე ცნობები შემოუნახოს, ოცნებობს, ერის მეხსიერებას უდარაჯოს, დონ კიხოტი ცდილობს რაინდული საუკუნე დააბრუნოს, რათა ქვეყანას სასიკეთოდ წაადგეს.

8. ორივე პერსონაჟი თავისი ოცნების გასახორციელებლად შესაბამის ქმედებას იწყებს. სება აარსებს მუზეუმს, დონ კიხოტი კი სამართლიანობის აღსადგენად და სიკეთის ჩასადენად მოგზაურობს.

სებასა და დონ კიხოტს შორის განსხვავება ისაა, რომ ერთს სევდამ და სინანულმა („ა, ეგეთია ცხოვრება“) დააწყებინა მუზეუმზე ფიქრი, მეორეს კი სარაინდო რომანების კითხვამ უბიძგა სიკეთის ჩასადენად დაეწყო მოგზაურობა.

§8. მიუღებელი რეალობიდან ვირტუალურ სამყაროში გაქცევა.

ირაკლი ლომოურის „შემთხვევა“

ქართველი პროზაიკოსი, დრამატურგი და მთარგმნელი, ირაკლი ლომოური (1959), ავტორია მოთხრობების კრებულებისა: „შემთხვევა“, „ექსლიბრისი“, „სიტყვაკაზმული კაქტუსი“, „პარალელური საქართველოს ქრონიკები“, ორი დეტექტიური რომანისა: „მკვლელობა სექსოლოგიურ ცენტრში“, „ქალაქ ტფილისის მარკა, ანუ მკვლელობა ოჯახურ წრეში“. გამოცემული აქვს საბავშვო წიგნი „33 სახალისო რითმოცანა“, ავტორია სცენარებისა, პიესებისა, ინგლისურიდან თარგმნა ო'ჰენრის მოთხრობების კრებული, მერაბ კოკოჩაშვილმა, 2005 წელს, მისი ნაწარმოების მიხედვით გადაიღო მხატვრული ფილმი „უსუი“.

ი. ლომოურს აკუთვნებენ მიმდინარეობას „რეალიზმი მოდერნიზმის ხერხებით“. მის შემოქმედებას უწოდებენ „აბსურდულ მისტიფიკაციებს - ცხოვრებისეული აბსურდების მიხედვით“ [81], თვითონ ავტორი განმარტავს: „არ ვიცი, რომელ თაობას ვეკუთვნი, არასდროს მქონია შინაგანი ერთობის განცდა... არანაირი თაობები, არანაირი

გაერთიანებები, - ამბობს ირაკლი ლომოური „კავკასიურ სახლში“ გამართულ თავის ლიტერატურულ საღამოზე“ [77].

ი. ლომოურის პირველი მოთხრობა „შემთხვევა“ 1981 წელს დაიბეჭდა. მკვლევარი ნინო ჩხიკვიშვილი წერს: „თავის დროზე, 80-იანი წლების დასაწყისში, სრულიად ახალბედა მწერლის ერთ-ერთმა მოთხრობამ, კონკრეტულად კი „შემთხვევამ“ (მეტროში აქლემების გამოჩენის დაუჯერებელ ამბავს რომ მოგვითხრობს) დიდი აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია... „ნობათის“ ის ნომერი ხელიდან ხელში გადადიოდა და ბევრს რეალური და ირეალური ერთმანეთში ერეოდა“ („ირაკლი ლომოური“) [109]. „გამოქვეყნებისთანავე ამ მოთხრობამ ყურადღება მიიქცია“... [87]. ნაწარმოებში ასახული ამბავი ირეალურია.

პერუელი შემოქმედი, მარიო ვარგას ლიოსა (1936), სანობელე ლექციაში „წერისა და კითხვის სადიდებელი“ (2010), აღნიშნავს: „ლიტერატურა ცხოვრების ყალბად ასახვას, თუმცა სწორედ მისი დახმარებით შეიძლება ცხოვრების უკეთ გაგება, იმ ლაბირინთში ორიენტირება, რომელშიც ვიბადებით, დავბორიალობთ და ვკვდებით. ლიტერატურა ანაზღაურებს იმ ღალატსა და იმედგაცრუებას, რეალური ცხოვრება რომ გვატეხს თავს“ [85]. მიუხედავად იმისა, რომ ი. ლომოურის ნაწარმოები ფანტასტიკურ-სიმბოლურია, მან მიზანს მიაღწია, მკითხველთა დიდმა ნაწილმა ის გაითავისა და გაიგო მისი მთავარი არსიც. რეალობას გაურბის მოთხრობა „შემთხვევის“ პერსონაჟი. კორესპონდენტ ირინე მჭედლიძესთან ინტერვიუში: „აქლემების ქარავანს გაყოლილი ახალგაზრდა მწერლის ვნებები“, მწერალი ირაკლი ლომოური ამბობს: „... ამ მოთხრობაში მთავარი ის კი არ იყო, რომ მეტროში აქლემების ქარავანი გამოჩნდა, არამედ ის, რომ მას ერთი ახალგაზრდა კაცი გაჰყვა. ესაა მოთხრობა გაქცევაზე აუტანელი რეალობიდან“ [89].

საბჭოთა სინამდვილეში მყოფი მოთხრობის პერსონაჟი მისტიკურ ქარავანს მიჰყვება და ქრება. მას არ სურს ამ რეალობაში ყოფნა.

ნაწარმოების სიუჟეტი უჩვეულო, ფანტასტიკას მიმსგავსებულ ამბავს გადმოგვცემს: თბილისის მეტროპოლიტენში, „პოლიტექნიკური ინსტიტუტის“ ბაქანთან, „წერეთლის მოედნიდან“ მოემართებოდა აქლემების ქარავანი, მათ მსვლელობას მხოლოდ ორი წუთი მოუწდა. შემდგომ ერთ წუთში კი, ჩვეულებრივი

განრიგით, ჩამოიარა მატარებელმა. უჩვეულო სანახაობით განცვიფრებული, ერთი მგზავრი ახარხარდა, მეორემ ლოცვა წარმოთქვა, ერთსაც, ერთ წუთში, თმა გაუთეთრდა, მომდევნოს მშობიარობა დაეწყო, თოთხმეტ ადამიანს გული შეუწუხდა, საგამოძიებო ჯგუფმა და საგანგებო კომისიამ ვერაფერი დაადგინა. სამი დღის მერე საქმე დაიხურა. ბაქანზე ირინა დვალიშვილი დარჩა, ვერავინ გაარკვია, იყო თუ არა მეოცე მოწმე ამბისა, დვალიშვილი ამტკიცებდა, რომ იყო, ოცი-ოცდაორი წლის ახალგაზრდა კაცი, რომელიც ქარავანთან ერთად გაქრა.

დასახელებული მგზავრებიდან (მოწმეებიდან), ირინა დვალიშვილის გარდა, რომელიც ყოველდღე, სხვებისგან განსხვავებით, ჩადიოდა „პოლიტექნიკური ინსტიტუტის“ ბაქანზე და დიდხანს იდგა უსაქმოდ, ვიღაცას ელოდა. ყველამ შეწყვიტა მეტროპოლიტენით სარგებლობა.

ნაწარმოებში მეოცე მონაწილე თვით ავტორია, რომელსაც სურს აწმყოდან ოცნებაში, მომავალში გადასახლდეს, გაექცეს აბსურდულ ყოველდღიურობას. ირინა დვალიშვილის სახე გვიჩვენებს, რომ საბოლოოდ არ ქრება ავტორი (მეოცე მონაწილე), წავიდა (ოცნებებში), დროებით გაუჩინარდა, მაგრამ დარჩა, როგორც დროთა კავშირი, როგორც სასურველი მომავალი სამართლიანობის ამსახველი რეალური სახე. ბაქანი, ლიანდაგი, აქლემები, რიცხვი 19, ბედუინები, ჩაკეტილი სივრცე, შესაძლოა, მეტაფორულ-სიმბოლური ნიშნების შემცველი იყოს, ამ მხრივ, ის ასოციაციურად, ქართული თეატრისა და კინოს რეჟისორ რობერტ სტურუას (1938) სპექტაკლ „მეფე ლირს“ (1987) მივამსგავსეთ.

თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი („სცენურ-სივრცითი მეტაფორის სემანტიკა რობერტ სტურუას სპექტაკლში „მეფე ლირი“) „სტურუა - შველიძის სცენოგრაფიული სამყაროს“ განხილვისას, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ რეჟისორი მეტაფორულ-სიმბოლურ ნიშნებს მიმართავს: „შექსპირის შეხედულება სამყაროზე - „მთელი სამყარო-თეატრია“, განსახიერებელია დეკორაციებში“, მაყურებელთა დარბაზი და სცენა გაერთიანებულია, „ჩაკეტილ სივრცეს ქმნის“, „მაყურებელი ავტომატურად ჩართული ხდება მოქმედებაში, როგორც მეთვალყურე“, „მკაცრი კანონების და ტოტალიტარული სახელმწიფოს გამოხატვის მცდელობაა ყველა დეტალში“... ერთი შეხედვით უცხო და

უცნაური, თითქოს შეუსაბამო დეტალები თანდათან ორაზროვან სიმბოლურ შინაარსს იძენს: თუნდაც ლიანდაგი (ჩიხი ვაგონეტით, იგივე ქოხით) ლირის საბოლოო სადგურად რომ იქცევა და მის გამოუვალ მდგომარეობას გამოხატავს. ლიანდაგი კი ასოციაციას აღძრავდა საბჭოთა კავშირის დროს ხალხის გადასახლებასთან და დახვრეტასთან“... [108].

მეტაფორულ-სიმბოლური ნიშნების შემცველია „შემთხვევის“ სამოქმედო არეალი. აქ „ჩაკეტილი“ სივრცე, მეტროპოლიტენია(ბაქანი), ლიანდაგი-გზაა, აბსურდიდან (აწმყოდან) მომავალში გადასასვლელად. საიდანღაც მოსული და გამქრალი „შემთხვევის“ ბედუინები მომთაბარეები, ზაფხულობით ოაზისებში მობინადრე (დანარჩენ დროს კი უდაბნოში მოხეტიალე) უცხოტომელები არიან, მათი გამოჩენა, სიმბოლურად, საქართველოში (ოაზისში), ხეტიალისა და გაქრობის ასოციაციებს იწვევს.

აქლემი „სიმბოლოა ქრისტიანულ ხელოვნებაში“ (გ. კენჭოშვილი), ის თავშეკავების, ხოლო მისი ბეწვი იოანე ნათლისმცემლის ნიშანია. აღორძინების ეპოქაში, ხელოვნებაში მას გამოხატავდნენ როგორც ყრმა იესოს წინაშე დაჩოქილს [82]. მოთხრობაში რიცხვი 19 ფიგურირებს, რომელიც მაჰმადიანური რელიგიის საკრალურობის მაჩვენებელია („ყურანი - რიცხვი 19“)[106]. თუკი დონ კიხოტი, ხშირად, ავტორის სათქმელს ამბობს და: „მწერალი მკითხველია...“ (ო. ჩხეიძე) ან, ზოგ შემთხვევაში, პერსონაჟი. ი.ლომოურის „შემთხვევის“ მოქმედი პირი, მეოცე მონაწილე (მწერლის პროტაგონისტი), ქრება, იკარგება ოცნებებში; ის მკითხველებს ამცნობს, რომ მოაზროვნე ადამიანები იმდროინდელი საბჭოთა სინამდვილის მიმართ პროტესტს, თითქმის, ამგვარად გამოხატავენ, ვერც მიდიან რეალობიდან, მაგრამ ვერც რჩებიან აბსურდულ ყოფაში „ვერდარჩენის“ სურვილს მეოცე მონაწილე, მწერალი, საზოგადოებას მოთხრობით ამცნობს, რადგან ნაწარმოები და კითხვა, იმ კონკრეტული დროისათვის, არის ერთადერთი გზა, საშუალება საზოგადოების ინფორმირებისათვის, „ლიტერატურა ადამიანთა მრავალგვაროვნებიდან ძმობას ბადებს და იმ საზღვრებს შლის, უვიცობამ, იდეოლოგიურმა, რელიგიურმა, ენებრივმა სხვაობებმა და სიბრიყვემ რომ წარმოქმნეს“(მარიო ვარგას ლიოსა). მართალია, დიდი ხანი არ აშორებს ლომოურის პერსონაჟს, 1989 წლის 9 აპრილს, როდესაც ცხოვრებაში კოლონიური პერიოდი

დასრულდა და საქართველო პოსტკოლონიურ სივრცეში აღმოჩნდა. ტერმინი „პოსტკოლონიური“, მართალია, გვიჩვენებს, რომ ქვეყანა თავისუფალია კოლონიური მმართველობისგან, მაგრამ ადამიანთა ცნობიერებას ჯერ კიდევ ვერ წაუშლია საბჭოური მმართველობის ანაბეჭდები, ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში არსებობს ძველი ნაკვალევი, ახალ პოლიტიკურ ვითარებასთან შეგუება მტკივნეულია, ბევრი რამე აბსურდულ სურათს ხატავს.. 80-იან წლებამდე, კულტურული სივრცე დაახლოებით იმგვარ განწყობილებას გამოხატავს, როგორცაა ნაჩვენები გ. დოჩანაშვილის ნაწარმოებში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ (1973), ჯ. ქარჩხაძის „მარიანა“ (1974), ირაკლი ლომოურის ნაწარმოების მიხედვით, ბედუინების გამოჩენა მეტროში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიმბოლურად, უცხოტომელთა მისტიკურ, მოულოდნელ და გაურკვეველ „შემოჭრას“ ასახავს ქართულ რეალობაში, „ჩაკეტილ სივრცეში“, მათი ხილვა გვირახში მყოფ ყველა ადამიანზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს, მერე დრო საოცარი სისწრაფით გარბის, იგი „შეკუმშულია“ და ქარავანიც მიდის, გაურკვეველი მიმართულებით, ზოგიერთი პერსონაჟის მეხსიერებამ ვერც კი შემოინახა მათი დროებითი მოვლენის ამბავი, მხოლოდ ერთი ელოდება ბაქანზე ვიღაცას თუ რაღაცას. ადამიანთა მეხსიერების დაკარგვა ცხოვრების გარკვეული მონაკვეთიდან ამოვარდნის მაჩვენებელია, ირინეს სახე კი მოლოდინის, ცხოვრებაში ეროვნული მეხსიერების დაბრუნების მაჩვენებელი. (ქართველი ფილოსოფოსი, მერაბ მამარდაშვილი (1930-1990), საბჭოურ რეჟიმს ცხოვრებიდან ამოვარდნას, ხოლო პოსტსაბჭოურ პერიოდს კი დაბრუნებას უწოდებდა).

ი.ლომოურის პერსონაჟი, მეოცე მონაწილე, დონკიხოტური ნიღბით, სიმართლის ძიებით, საზოგადოებისათვის სასარგებლო ქმედებით (რაც, სავარაუდოდ, ადამიანთა გამოფხიზლებას ისახავს მიზნად, ლიტერატურის მეშვეობით), სერვანტესის იდალგოს ენათესავება... მოთხრობა „შემთხვევის“ პერსონაჟი, დონ კიხოტის მსგავსად, წარმოსახვით მოგზაურობს. მკვლევარი ნინო გოგიაშვილი ქართულ ლიტერატურულ მასალებში ნაჩვენებ გზებს ცხოვრებას, მიმართულებასა და ბედს უკავშირებს („გზის სემიოტიკა ქართული მასალების მიხედვით“) : „იგივე შეგვიძლია ვთქვათ ევროპულ და

მსოფლიო ლიტერატურაზე; მაგალითისთვის გავიხსენოთ ოდისევსი, დონ კიხოტის და სხვათა გზები“ [75].

მიაჩნიათ, რომ დონ კიხოტის მანტიაში, ხშირად, შეიძლება ავტორი, მიგელ დე სერვანტეს საავედრა გვევლინებოდეს, რომელიც თავისი ნაწარმოებით თვალს უხელს არა მარტო XVII საუკუნის ესპანეთს, არამედ მთელ კაცობრიობას. თაობიდან თაობას გადაეცემა მისი ნააზრევი. ეს პროცესი უსასრულოდ გრძელდება, რეალური ცხოვრების გარდაქმნის სურვილით მოგზაურობს მრავალი იდალგო და ისევე იკარგება ოცნებებში, როგორც ი. ლომოურის მოთხრობა „შემთხვევის“ ავტორი, რომელიც, სერვანტესის მსგავსად, იდუმალ მანტიაში გახვეულა (მეოცე მონაწილე ნაწარმოებისა) და პროტესტს ისე გამოხატავს.

„დონ კიხოტი“ პროტესტია ესპანეთის XVI, ხოლო „შემთხვევა“ კი - საქართველოს XX საუკუნის სინამდვილისა. ორივე ნაწარმოები ეპოქით უკმაყოფილებას გამოხატავს.

ი. ლომოური, არსებული რეალობის გამო, გულისტკივილს სხვა ნაწარმოებებშიც გამოთქვამს და მკითხველებს ხსნის გზას სთავაზობს. თავისი მოთხრობებისა და ნოველების წიგნზე: „პარალელური საქართველოს ქრონიკებიდან“ (2011) მწერალი ამბობს: „აქ გამოხატულია ჩემი ტკივილი, მძაფრი დამოკიდებულება რეალობისადმი... თუ ჩვენ ყველანი საკუთარი საქმით ვეცდებით, ერისა და ქვეყნისათვისაც რაღაც გავაკეთოთ, მაშინ გადავრჩებით“... [92].

მკვლევარ მარინე ტურავას თქმით: „აქლემების ქარავანს ადევნებული მგზავრისთვის“, „ახალგაზრდა მწერლისათვის იმდენად აუტანელი გახდა მის გარშემო გამეფებული სიყალბე, რომ მოთხრობის მეოცე პერსონაჟი, ავტორის ორეული, აქლემების არარსებულ ქარავანს მიჰყვება წარმოსახვით, ვირტუალურ სამყაროში... მისი ლიტერატურული დებიუტი „შემთხვევა“ XX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს ანარეკლია“... [101].

„კვირის პალიტრის“ კორესპონდენტთან, ლელა ჯიყაშვილთან, საუბრისას (2012), მწერალმა ი. ლომოურმა აღნიშნა: „წლები დამჭირდა, რომ მივმხვდარიყავი - გვირაბის ბოლოს ნათელია და უნდა იარო იმ სინათლისკენ - ღმერთისკენ, ლაბირინთიდან რომ გამოხვიდე... მქონდა განცდა, რომ მეტაფიზიკურად მარტო ვარ სამყაროში. ასეთი

განცდით სასოწარკვეთის ზღვარზე ხარ, ცხოვრებას აზრი არ აქვს...“ [118]. „შემთხვევის“ ეპიზოდი ჩაკეტილ სივრცეშია, მოძრაობა ლიანდაგზე საწინააღმდეგო მიმართულებით ხდება, გვირაბის ბოლო (შუქი) ჯერ კიდევ შორსაა.

პოეტ, ჟურნალისტ ბელა ჩეკურიშვილს მიაჩნია, რომ ი. ლომოურის შემოქმედება „რეალურად აბსურდული და გროტესკულია“, „მწერალი აბსურდის ჟანრში მუშაობს თუ რეალისტურში, იმ ეპოქის სათქმელს ამბობს, სადაც ცხოვრება უწევს. ირაკლი ლომოურის მოთხრობებსაც ქართული ყოფა უდევს საფუძვლად, იქნება ეს რეალური თუ ირეალური...“ [96].

ეს მოთხრობა, ვფიქრობთ, მწერლის ერთგვარი პროტესტის გამოხატულებაა საბჭოური იდეოლოგიისადმი, იმ პერიოდში შემოქმედთ არ ჰქონდათ ასპარეზი ხელოვნებისთვის, განსხვავებული აზრი დალატად მიიჩნეოდა.

ი. ლომოურის მოთხრობის პერსონაჟი ზოგადი სახეა აწმყოთი უკმაყოფილო მოწინავე ადამიანებისა, ის მიგელ დე სერვანტეს საავედრას იდაღოსავით ოცნებობს, ავტორიცა და მოქმედი პირიც ერთნაირად გაურბის არსებულ რეალობას. ერთფეროვანია ი. ლომოურის მოთხრობაში აღწერილი საზოგადოება, არც სერვანტესის „დონ კიხოტის“ გარემოა, ამ მხრივ, მრავალფეროვანი.

შედარებითმა ანალიზმა, „...რომელიც ეფუძნება მსგავსების პრინციპებს... როცა მასალის შეგროვებისა და მისი შემდგომი კლასიფიცირების მეშვეობით ხდება ძირითადად პირდაპირი დამთხვევების, თანხვედრების ფიქსაცია...“ [9, 33], მოგვცა იმის შესაძლებლობა, გაგვეჩვენა, გაგვეანალიზებინა: „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე მდგარი საკითხებიდან ერთ-ერთი ყველაზე არსებითი - რეცეფციის პრობლემა“ [9, 43], რომელიც „მწერლის შემოქმედების... ეროვნული ლიტერატურის აღქმას, შემოქმედებით ათვისებას ახლებურად გააზრებას...“ (ნ. გაფრინდაშვილი) გულისხმობს.

ჩვენთვის საინტერესო იყო გაგვეთვალისწინებინა: „... გლობალიზაციის პირობებში მასობრივი და ზოგადეროვნული კულტურების ურთიერთზემოქმედების პრობლემები...“ (გაფრინდაშვილი) [9, 17].

მსოფლიო ლიტერატურული შედეგის, სერვანტესის „დონ კიხოტისა“ და ი. ლომოურის „შემთხვევის“ მაგალითზე, შედარებითმა კვლევამ მიგვიყვანა დასკვნამდე: ორივე შემოქმედი, სავარაუდოა, თავიანთი ნაწარმოებების პერსონაჟებს წარმოადგენენ. მათთვის მიუღებელია ყოველდღიურობა და ლიტერატურაში (ნაწარმოებებში) უჩინარდებიან, ორივეს ეპოქის რეალობა უბიძგებს, გაერიდოს თავისი დროის ყოფას, მაგრამ მაინც დარჩეს პროტესტის გამომხატველ, უნიადაგო მეოცნებედ, რომელსაც სიტუაციის შეცვლის ძალა არ შესწევს.

მიგელ დე სერვანტეს საავტოროს არ მოსწონდა ესპანეთში გაბატონებული აბსოლუტური მონარქია, ინკვიზიცია, არც იმ მწერლებს თანაუგრძნობდა, რომლებიც ხოტბას ასხამდნენ მათ. 1614 წელს მწერალმა გამოსცა სატირული პოემა „პარნასზე მოგზაურობა“, რომელშიც: „...პოეტი სასტიკად კიცხავს და ამათრახებს იმ ქიმიურულ მწერლობას, რომელიც აბნელებს ხალხთა მასების შეგნებას და ცდილობს დაარწმუნოს ისინი, რომ ამქვეყნად ყველაფერი კარგია, ყველაფერი გამართლებულია“ [1, 256].

ნ. აგიაშვილის ბიოგრაფიული რომანი „სერვანტესის ცხოვრება“ მოგ- ვითხრობს, როგორ აღმხედრდნენ დრამატურგები სერვანტესს, ლოპე დე ვეგას მეთაურობით. ის აკრიტიკებდა „სამეფო კარის დაქირავებულ პოეტებს“, ამის გამო ყველა შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს: „...ეს აღშფოთება და გულისწყრომა შემდეგ აშკარა მტრობაში გადავიდა და სერვანტესი სიკვდილამდე ამ მტრული განწყობილების მსხვერპლი იყო...“ [1, 257].

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დონ კიხოტის სახეში, შესაძლოა, სერვანტესი იგულისხმებოდეს...

რაც შეეხება ი. ლომოურის „შემთხვევის“ ერთ-ერთ პერსონაჟს, როგორც აღვნიშნეთ, გაუჩინარებული მეოცე მონაწილე მწერლის პროტოტიპია, სერვანტესის მსგავსად, ისიც ხედავს, რომ მის ირგვლივ ცხოვრება აბსურდია, ოცნებობს, გადასახლდეს მომავალში, უჩინარდება, მაგრამ არა საბოლოოდ, ის, სავარაუდოდ, რაღაც სიახლით უნდა მოვევლინოს საზოგადოებას ამის ასოციაციას ერთ-ერთი პერსონაჟის, ირინას, მოლოდინი აღძრავს, გოგონა დგას ყოველდღე ბაქანზე და ვილაცას ელოდება (სავარაუდოდ ავტორს).

მიგელ დე სერვანტეს საავტორო არა მარტო ესპანეთს, არამედ კაცობრიობასაც თვალნათლივ დაანახა ოცნებებში ჩაფლული დონ კიხოტის სახით სიმართლე, ი. ლომოურის „შემთხვევის“ მეოცე მონაწილემ კი თავისი „გაუჩინარებით“ გვიჩვენა, რომ საჭიროა გავექცეთ აბსურდს, გამოვხატოთ პროტესტი მიუღებელი რეალობისადმი.

ორივე მწერლისთვის მიზნის მიღწევის საშუალებაა, ლიტერატურის მეშვეობით, საზოგადოებას ამცნოს სიმართლე.

ჩაკეტილ სივრცეში (რომელსაც ნაწარმოებში გვირაბი განასახიერებს) ქარავანი (აქლემი-თავშეკავების, ღვთის თაყვანისცემის სიმბოლო...) საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს ლიანდაგზე (გზის, დროის, სივრცის სიმბოლო).

ბაქანზე მდგომნი (მორჩილი, უმოქმედო, დაბნეული საზოგადოება) ვერც კი იხსენებს, იყო თუ არა მათთან ერთად მეოცე მონაწილე (მწერლის ალტერ-ეგო), რომელიც გაუჩინარდა.

ი. ლომოურის „შემთხვევა“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოური იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართული პროტესტია, იმდროინდელ საქართველოში განსხვავებული, ორიგინალური შეხედულებები მიუღებელი იყო; ხელოვნებას რეალური სივრცე არ ჰქონდა სამოქმედოდ.

60-იანი წლების მეორე ნახევარში, საბჭოთა კავშირში, „დათბობის“ პერიოდი დამთავრდა და დაიწყო „უძრაობის ხანა“. რომელმაც მწერლობაში ე.წ. „ესოპეს ენა“ დაამკვიდრა, რაც ნიშნავდა სიმართლის შეფარვით თქმას. 70-იანი, 80-იანი წლების მწერლობაში ეს ტენდენცია დაიხვეწა. „საბჭოური ცხოვრების სისტემამ განაპირობა ის გარემოება, რომ ესოპეს ენა ძალზე მოხერხებული აღმოჩნდა 70-80-იანი წლების მწერლობისთვის. იმისთვის, რომ რეალური ობიექტი გახდეს ხელოვნების საგანი, იგი უნდა იყოს მარტივი, ერთმნიშვნელოვანი, ერთგვარ საბურველში უნდა გაეხვიოს და განზოგადდეს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა გაჩნდეს დისტანცია რეალურ ცხოვრებასა და მხატვრულ გამონაგონს, შემოქმედებით ფანტაზიას შორის. ასეთ შემთხვევაში ტექსტი იძენს დამატებით მნიშვნელობას: იგი, ერთი მხრივ, ინვარიანტული წაკითხვის საშუალებას იძლევა და, მეორე მხრივ, მკითხველსაც ლიტერატურულ პერსონაჟად აქცევს“.[26,127].

ი. ლომოურის 1981 წლით დათარიღებულ მოთხრობაში სათქმელი შეფარვითაა გადმოცემული, ავტორი კავშირს ამყარებს მკითხველთან, მაგრამ ცდილობს „ცენზორისთვის“ ყოველივე დარჩეს შეუმჩნეველი.“... ტექსტი ინვარიანტული წაკითხვის საშუალებას იძლევა, როგორც ეს ზემოდასახელებულ ამონარიდში აღვნიშნეთ. ცნობილია, რომ მიგელ დე სერვანტეს საავედრას რომანი „დონ კიხოტი“, შეიქმნა როგორც იმდროინდელი იმ სარაინდო რომანების პაროდია, რომელიც სინამდვილის ასახვაში უბადრუკი იყო. ორივე მწერალი აპროტესტებს, გაურბის რეალობას და ოცნებობს უკეთეს მომავალზე.

დასკვნა

მსოფლიო ლიტერატურის შედეგები ეროვნული ლიტერატურების განვითარების ნიშანსვეტს წარმოადგენენ, ამ მხრივ, სერვანტესის „დონ კიხოტის“ პოპულარობამ დიდად შეუწყო ხელი მისივე მსგავსი პერსონაჟების არსებობას მსოფლიო ლიტერატურაში.

მიგელ დე სერვანტეს საავედრამ, რეალისტმა მწერალმა, ასახა სინამდვილე, რაც, თითქოს, მემკვიდრეობით გადაეცა მსგავსი იდეებითა და პრობლემებით დაინტერესებულ ეროვნულ ლიტერატურებს.

XX საუკუნის ქართულ მწერლობაში არაერთ ნაწარმოებში, ვხვდებით დონკიხოტური რემინისცენციების მაგალითებს. შემოქმედთა ნააზრევში, მათი არსებობა განაპირობა ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ, მსოფლიო კულტურულ სივრცესთან სინთეზის სურვილმა.

ქართველ შემოქმედთა მიერ შექმნილი მხატვრული სახეების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი უნებლიე რემინისცენციის ნიშნებს ავლენენ (თუ არ ჩავთვლით კ.ლორთქიფანიძის მოთხრობას „გაუმარჯოს დონ კიხოტს,“ და გ.დოჩანაშვილის ნაწარმოებს „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, რომლებიც, ჩვენი აზრით, მიზანმიმართული რემინისცენციის მაგალითებია.).

უნებლიე რემინისცენციის გამოვლინებებს ვხვდებით გ. ლეონიძის, ჯ. ქარჩხაძის, გ. დოჩანაშვილის (ზოგიერთ მოთხრობაში), რ. მიშველაძის, გ. ჩოხელის, ი. ლომოურის შემოქმედებაში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ კაცობრიობის მოწინავე გამოცდილებამ, განვითარებულმა მსოფლიო კულტურულმა სივრცემ, ასახვა ჰპოვა ქართულ ეროვნულ ლიტერატურაში.

ნაწარმოებები, რომლებიც ჩვენ ჩავთვალეთ დონკიხოტური რემინისცენ-ციების შემცველ ტექსტებად, არ შეიცავენ ციტირებებს შესადარებელი ნაწარმოებიდან, არ მეორდება მხატვრული კონსტრუქციები, ისინი უფრო შემოქმედთა ქვეცნობიერი აზროვნების მიერ აღბეჭდილი ნაკვალევია. ლიტერატურათმცოდნეობის შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებით დავადგინეთ, რომ შესადარებელ ობიექტებს შორის მსგავსება-განსხვავებებია, ისინი დავაჯგუფეთ და დავაპირისპირეთ, შევისწავლეთ ტიპოლოგიური თანხვედრების მაგალითები. ამ შრომით, შეუძლებელია საკითხი ამოწურულად ჩავთვალოთ. მიგვაჩნია, რომ სერვანტესის პერსონაჟ იდალგოს მარადიულმა სახემ, უბრალოდ, ხელი შეუწყო მისი ხასიათის თვისებების, რემინისცენციებისა და ალუზიების დამკვიდრებას მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში. სიკეთისათვის ბრძოლა, თავისუფლება, გულმოწყალება, სიმტკიცე, საკუთარი ღირსების დაცვა, დაჩაგრულთა გამოსარჩლება, ოცნება, პატრიოტიზმი... მარადიული, საკაცობრიო ღირებულებებია, რომელზეც ყველა ქვეყნის მწერალმა შეიძლება გაამახვილოს ყურადღება, მაგრამ მეტისმეტად პოპულარული, ყურადსაღები პერსონაჟი, თავისი სახელის ზეგავლენით, უფრო სასურველსა და ბრწყინვალეს ხდის ამა თუ იმ ნაწარმოებს.

სხვა კულტურასთან ზიარება, მოწინავე ლიტერატურული ტენდენციების გათავისება და მისი დამკვიდრება აერთიანებს სამყაროს.

„დონ კიხოტი“ ესპანეთის XVI საუკუნის რეალისტური სურათების ამსახველია, რომანის მთავარი გმირის არქექტიპით ინსპირირებულ სახეთა არსებობა XX საუკუნის ქართულ მწერლობაში - ამავე ეპოქის სულისკვეთების გამომხატველია.

თუკი სერვანტესმა თავის დროის მწერლობის უბადრუკობის ჩვენება განიზრახა, ქართულმა მწერლობამაც, იდეოლოგიური ძალადობით დათრგუნულმა, თავისი

ეროვნულობის, თავისუფლებისა და ღირსების შენარჩუნება დონ კიხოტის არქექტიპებს შეფარებულმა ლიტერატურული მაგალითების მეშვეობით შეძლო.

დონ კიხოტი საკაცობრიო კულტურის, ლიტერატურის მეტაფორაა, რომელსაც აკისრია მისია, კეთილშობილებისკენ, ჰარმონიული საზოგადოებისკენ, სამართლიანობისა და თავისუფლებისკენ ეძიოს გზები, მაგრამ სამყარო, რომელიც მრავალშრიან ვარდს წააგავს, ყველა დროის ლიტერატურისგან მოითხოვს მოგზაურობას სიკეთისა და მშვენიერებისაკენ, ამდენად, პრობლემა მარადიულია და მუდმივად აქტუალური.

რეალისტი სერვანტესის უკვდავ რომანში ისევია „ტექსტები ტექსტში“, ისევია ნახსენები მსოფლიო კულტურის მოამაგეთა სახელები, როგორც პოსტმოდერნისტთა ნამუშევრებში, ე.ი. შეიძლება ითქვას, რომ ხშირად ზღვარი იშლება მიმდინარეობათა შორის, მათ შორის მსგავსებას უამრავი სხვაობაც სდევს და, პირიქითაც.

„დონ კიხოტი“ ყველა დროისა და ეპოქის კულტურას აერთიანებს. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის დონკიხოტისეული პერსონაჟები არქექტიპ-პერსონებს წარმოადგენენ და, ამ მხრივ, ურთიერთმიმართებაში არიან. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, რითაც ის კაცობრიობაზე ახდენს ზეგავლენას ისაა, რომ მიგელ დე სერვანტეს საავედრას რომან „დონ კიხოტ ლამანჩელის“ მთავარ სათქმელს ბიბლიური ჭეშმარიტებები, რელიგიური და ზნეობრივი კოდექსების პარალელები გასდევს ნათელ ზოლად, სიკეთე და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა, აი, საკითხები, რომელიც მუდმივად სულ უშფოთებს იდაღოს, ის იცავს მარადიული ჭეშმარიტებების პრინციპებს: „ვინც სიკეთეს მიელტვის, მადლს მოიხვეჭს, ბოროტების მძებნელს კი ბოროტება ეწევა“ (იგავნი სოლომონისა, თ. 10-11,28), [4,468].

„უსამართლობის მთესველი უბედურებას მოიმკის და მრისხანების კვერთხი გაუტყდება“ (იგავნი სოლომონისა, თ. 22-23,8), [4,475].

„სიკეთის კეთება ნუ მოგვწყინდება, რადგან თავის დროზე მოვიმკით, თუ არ მოვდუნდებით“ (პავლე მოციქული, გალატელთა 6,9).

სერვანტესი, დონ კიხოტის მეტაფორული სახით, გვიჩვენებს სინამდვილისაგან შორს მდგარი მწერლობის (ლიტერატურის) უბადრუკობას (ყველაზე უკეთ ეს მის სატირულ პოემაში „მოგზაურობა პარნასზე“ გამოვლინდა).

თემა „დონკიხოტური რემინისცენციები მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“ გულისხმობდა იმის შესწავლას, თუ როგორ, რა კონტექსტში აღიქვა ეროვნულმა მწერლობამ სხვა ქვეყნის ხელოვნება, როგორ გამოვლინდა მის ცნობიერებაში მსოფლიო კულტურულ სივრცესთან მიახლოების, ინტეგრირების საკითხი.

ვასკენით, რომ ქართული ეროვნული ლიტერატურა შეიძლება მოვიაზროთ მსოფლიო კულტურის კონტექსტში.

მიგვაჩნია, რომ საკვლევი, ამ მხრივ, კიდევ ბევრი ქართველი მწერლის შემოქმედებაა.

ნაშრომი „დონკიხოტური რემინისცენციები მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“ შესრულდა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებზე, მის მეთოდებზე დაყრდნობითა და ერთმანეთისგან დროითა და სივრცით დაშორებული ეპოქების, კონკრეტული პერიოდების, სოციალ-პოლიტიკური ვითარებების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აგიაშვილი ნ. სერვანტესის ცხოვრება. თბ.: „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“, 2011, 278 გვ;
2. აქუბარდია კ; ჩვენი იდეალია ჭეშმარიტი რაინდი. „ლიტერატურული საქართველო“, 1970, №4, გვ.2
3. ბაქრაძე აკაკი სკოლას. თბ.: „უნივერსალი“, 2004, 343 გვ;
4. ბიბლია. თბ.: „პალიტრა L“, 2013, 999 გვ;
5. ბორხესი ხ. ენიგმათა სარკე. თბ.: „ლომისი“, 1996, 126 გვ;
6. ბორხესი ხ. შვიდი საღამო. „ჩვენი მწერლობა“, 2008, №17 (69) გვ. 24-29;
7. ბოჭორიშვილი ა. თხზულებები. თბ.: „მეცნიერება“, 1991, 344 გვ;
8. გასეტი ხ. მასების ამბოხი. თბ.: „ხომლი“, 1993, 223 გვ;
9. გაფრინდაშვილი ნ. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები. თბ.: „მერიდიანი“, 2012, 318 გვ;
10. გაფრინდაშვილი ნ. მირესაშვილი მ. ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები. თბ.: „ინოვაცია“, 2008, 480 გვ;
11. გელაშვილი ნ. აფრედერიკი და განაბულჯადოქრიანი საკრავი (გ. დოჩანაშვილის მოთხრობა „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“ ქართული ენა და ლიტერატურა [5 ტომად]. ტ .5. XX საუკუნის ქართული ლიტერატურა. „გამოცდების ეროვნული ცენტრი“, თბ.: 2009,313-328 გვ;
12. გერგედავა ლ. ლიტერატურული მოზაიკა. თბ.: „უნივერსალი“, 2012, 169 გვ;
13. დოჩანაშვილი გ. კეჟერაძეები. თბ.: „ლაშარელა“. 2005, 197 გვ;
14. დოჩანაშვილი გ. მოთხრობები თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1987, 630 გვ;
15. ეკო უ. ვარდის სახელი. თბ.: „დიოგენე“. 1980, 840 გვ;
16. ვახანია ნ. გოდერძი ჩოხელის პოეტური აბრისი. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომები. თბ.: „გრიგოლ რობაქიძის სახ.სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“. 2012, 238 გვ;
17. იუნგი გ. ფსიქოლოგია და ალქიმია. თბ.: „დიოგენე“. 2005, 520 გვ;

18. კალანდაძე გ. გიორგი ლეონიძე. თბ.: „მერანი“, 1979, 195 გვ;
19. კვაჭანტირაძე თ. სასიტყვეთი. თბ.: „მეცნიერება“. 2002, 607 გვ;
20. კუცია ნ. ქართული რომანის პარადიგმები. თბ.: „მერიდიანი“. 2009, 187 გვ;
21. ლეონიძე გ. ნატვრის ხე. თბ.: „ნაკადული“. 1976, 251 გვ;
22. ლეონიძე გ. საიუბილეო კრებული. თბ.: „მეცნიერება“. 1970, 311 გვ;
23. ლორთქიფანიძე კ. რჩეული თხზულებანი. ტ. I. თბ.: „მერანი“. 1977, 527 გვ;
24. მაჩაღო ა. რ. ხუან დე მარიენა. თბ.: „არტანუჯი“. 2012, 131 გვ;
25. მირესაშვილი მ. ისტორიული რომანის ჟანრული თავისებურებანი. თბ.: „ინოვაცია“. 2005, 282 გვ;
26. მირესაშვილი მ. „დათბობისა“ და „უძრობის“ პერიოდები და მათი კრიზისი (1953-1985 წლები), სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია. წიგნი II. თბ.: „ნეკერი“, 2010, 227 გვ;
27. მირცხულავა ლ. პოსტმოდერნიზმი - ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ. თბ.: „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“. 2010, 247 გვ;
28. მიშველაძე რ. იღბლად გადარჩენილი ნოველები. თბ.: „მნათე“. 1992, 250 გვ;
29. მიშველაძე რ. რჩეული ნოველები. თბ.: „ნეკერი“. 2001, 514 გვ;
30. მიშველაძე რ. რჩეული ნოველები სამ ტომად. ტ. I. თბ.: „მერანი“. 1994, 652 გვ;
31. მორუა ა. ლიტერატურული ეტიუდები. თბ.: „საბჭოთა საქართველო“. 1998, 603 გვ;
32. ნიკოლეიშვილი ა. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები. II. ქუთაისი. „ქუთაისის გ. ტაბიძის სახ. სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი“, 1997, 479 გვ;
33. ნადირაშვილი დ. ფსიქოლოგიური გავლენა. თბ.: „დიოგენე“. 2006, 236 გვ;
34. პარანდოვსკი ი; სიტყვის ალქიმი. „ქართული ლიტერატურა“, 1998, №1, 108-117 გვ;
35. პაჭკორია ო; ერთი კარგი წელიწადი. „ლიტერატურული საქართველო“, 1970, №50, გვ. 1-2;
36. სამშობლო მისი ლექსის სახელი. თბ.: „განათლება“, 1970, 332 გვ;

37. სერვანტესი მ. მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტი ლამანჩელი. წიგნი I. თბ.: „ნაკადული“, 1985, 551 გვ;
38. სერვანტესი მ. დონ კიხოტი. წიგნი II. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1959, 586 გვ;
39. სორდია ლ. რევაზ მიშველადის ნოველათა სამყაროში. თბ.: „ნეკერი“, 2001, 511 გვ;
40. სორდია ლ. ანტიციპაცია XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. თბ.: „უნივერსალი“, 2011, 304 გვ;
41. სორდია ლ. გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა. თბ.: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1993, 232 გვ;
42. სორდია ლ. რწმენისა და სამშობლოს მომავლის გადარჩენის პრობლემა გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობნის“ მიხედვით. რობაქიძის სახ.უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომები. თბ.: „გრიგოლ რობაქიძის სახ.სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2012, 238 გვ;
43. სორდია ლ. გოდერძი ჩოხელის „მგელი“. თბ.: „უნივერსალი“, 2009, 95 გვ;
44. ტაბიძე გ. რჩეული. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1973, 654 გვ;
45. ტორო ჰ. ესეები. თბ.: „მერანი“, 1989, 233 გვ;
46. უელეკი რ. უორენი ო. ლიტერატურის თეორია. თბ.: „თსუ-ს გამომცემლობა“, 2010, 532 გვ;
47. უეარი კ; მართლმადიდებლობის გზა. „არჩევანი“, 2007, №2, გვ. 9-18;
48. უნამუნო მ; დონ კიხოტის სამარე. „ჩვენი მწერლობა“, 2008, №20(72), გვ. 29- 34;
49. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. ტ. III-IV. თბ.: „ადამაშენებელი“, 1998, 637 გვ;
50. ფაბრის ნიკო; პერპეტუუმ-მობილეს კვალდაკვალ, „junior“, 2010, №17, გვ. 18-20 ;
51. ფლობერი გ. მადამ ბოვარი. თბ.: „დიოგენე“, 2008, 548 გვ;
52. ქიქოძე გ. წერილები, ესეები, ნარკვევები. თბ.: „მერანი“, 1985, 598 გვ;
53. ქურციკიძე ე. მოდებაძე მ. მაჭარაშვილი კ. ნარგიზაშვილი ა. მსოფლიო ლიტერატურის შედეგები. თბ.: „მერიდიანი“, 2002, 407 გვ;
54. ჩოხელი გ. სულეთის კიდობანი. თბ.: „გუმბათი“, 2011, 144 გვ;
55. ჩხეიძე რ. აღსარება გურამ დოჩანაშვილისა. თბ.: „ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება“, 2011, 269 გვ;

56. წიფურია ბ. კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს (ინტერტექსტუ-ალიზმი გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“), ქართული ენა და ლიტერატურა [5 ტომად]. ტ.5. XX საუკუნის ქართული ლიტერატურა. თბ.: „გამოცდების ეროვნული ცენტრი,“ 2009, 303-312გვ;
57. წოწორია თ. „თევზის წერილები“ და „წერილი ნამკვებს“, რობაქიძის სახ.უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომები. თბ.: „გრიგოლ რობაქიძის სახ.სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2012, 238 გვ;
58. ხითარიშვილი ქ; უფლის მეორედ მოსვლის იდეა. „ჩვენი მწერლობა“, 2008, №19 (71);
59. ხუჭუა პ. მუსიკის სამყარო. თბ.: „განათლება“, 1987, 221 გვ.
60. Багно В. Дорогами Дон Кихота, М.: „Книга“, 1988, 447 с.
61. Гассет Х. Эстетика. Философия культуры. М.: „Искусство“, 1991, 63 с.
62. Дюришин Д. Теория сравнительного изучения литературы. М.: „Прогресс“, 1979, 318 с.
63. Набоков.В. Лекции о „Дон Кихоте“. Санкт-Петербург.: „Азбука-классика“, 2010, 318 с.
64. Красноглазов А. Сервантес. М.: „Молодая гвардия“, 2003, 300 с.
65. Canavaggio, Jean (2011). „Miguel de Cervantes Saavedra - Autor Biografia". bib.cervantesvirtual.com (in Spanish). Retrieved 7 April 2011.
66. „Cervantes, Miguel de". Encyclopaedia Britannica. 2002.
67. „Cervantes, Miguel de". The Encyclopedia Americana. 1994.
68. Sacchetti, Maria (2001). Cervantes' Los trabajos de Persiles y Sigismunda: A Study of Genre. Tamesis Books. ISBN 978-1-85566-077-9.
69. Ormsby, John. „Don Quixote – Translator's Preface – About Cervantes And Don Quixote". The University of Adelaide Library. London: Smith, Elder. Retrieved 2007-01-02.

70. არტმანი ჰ. პოეტური აქტის რეაპუნქტიანი პროკლამაცია. arilimag.ge.
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.06.2013
71. ბარბაქაძე ც. კონცეპტი-ოცნება. Semioticsjournal.wordpress.com
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.06.2013
72. ბაქრაძე ა. ლეგენდა. <http://vangogen.blogspot.com/2013/11/>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.12.2013
73. ბრეგაძე ლ. ქვეტექსტის ფუნქციისა და ფუნქციონირებისათვის. lib.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
74. გარი რ. მე ხომ ევროპის შვილი ვარ.<http://mastsavlebeli.ge>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.06.2013
75. გოგიაშვილი ნ. გზის სემიოტიკა ქართული მასალების მიხედვით.
www.nplg.gov.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
76. გაზეთების მატთანე. www.nplg.gov.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2013
77. გელოვანი ნ. მწერალი, რომელიც არცერთ თაობას არ ეკუთვნის. <http://archive.today>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.06.2013
78. დარჩიაშვილი რ. ხარანაულები. Burusi.wordpress.com
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.06.2013
79. ვაჟა-ფშაველა. მოგონება.<http://tagiweb.com/mogoneba-1890>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.06.2013 87.
80. ინტერვიუ მაია ჯალიაშვილთან.<http://armuri.4forum.biz/>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.06.2013
81. ირაკლი ლომოური. <http://ka.wikipedia.org/wiki>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.06.2013
82. კენჭოშვილი გ. სიმბოლო ქრისტიანულ ხელოვნებაში. www.nplg.gov.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
83. კუნდერა მ. ფარდის მიღმა. გახეული ფარდა. arilmag.ge

- უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.06.2013
84. კუტხეე ჯ. მძინარე მზეთუნახავი.arili.blogspot.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.06.2013
85. ლიოსა ხ. წერისა და კითხვის საგალობელი. <http://mastsavlebeli.ge>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.06.2013
86. ლიოსა ხ. წერა-კითხვისა და მხატვრული წარმოსახვის ქებათა-ქება.
<http://mastsavlebeli.ge>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.06.2013
87. მახობეშვილი გ. ირაკლი ლომოურის „შემთხვევა“.http://presa.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
88. მიშველაძე რ. ენა და მწერალი.lib.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.06.2013
89. მჭედლიძე ი. აქლემების ქარავანს გაყოლილი ახლგაზრდა მწერლის ვნებები.
armuri.4forum.biz
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
90. ნემსაძე ა. გზის სივრცული და წარმოსახვითი განზომილებანი ოთარ ჭილაძის
რომანებში. www.nplg.gov.ge
91. ნობელის პრემიის ლაურეატი ციფრულ ტექნოლოგიებს არ აღიარებს.
<http://arilimag.ge>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.06.2013
92. ნოზაძე თ. ირაკლი ლომოურის შემოქმედებითი სადამო.
<http://www.ambioni.ge/irakli-lomouri>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
93. ომიადე ს. გზა,როგორც ლინგვოსემიოტიკური ნიშანი.www.nplg.gov.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.06.2013
94. ომიადე ს. გზა ლაბირინთიდან. www.nplg.gov.ge,
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.06.2013
95. ჟენეტი ჟ. ლიტერატურის უტოპია.arilimag.ge.

- უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.06.2013
96. რეალურად აბსურდული და გროტესკული. <http://24saati.ge>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
97. როლბერგი პ. დონ კიხოტი საქართველოში: სერვანტესისა და ჭავჭავაძის
გოდერძი ჩოხელისეული სინთეზი. <http://georgianart.ge>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.06.2013
98. რუისი ა. ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის. lib.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.06.2013
99. საქართველოს საპატიო საკონსულო. ნობელის კომიტეტი: „დონ კიხოტი-ყველა
ხალხისა და ყველა დროის საუკეთესო წიგნი“. Consulate-georgie.org
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.06.2013
100. საქართველოს ოლიმპიელთა გუნდი. წყალბურთი. www.Sok.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.06.2013
101. ტურავა მ. აქლემების ქარავანს ადევნებული ახალგაზრდა.
www.nplg.gov.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
102. ქარჩხაძე ჯემალ-მწერალი. Karchadze.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
103. ქარჩხაძე ჯ. შემოქმედების კანონი. www.lit.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
104. ქარჩხაძე ჯ. პუბლიცისტიკა. www.lit.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
105. ლაღანიძე მ. მიგელ დე უნამუნო , lib.ge ,
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
106. ყურანი-რიცხვი-19. www.myvideo.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
107. ჩოხელი გ. მგელი. lib.ge,
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.06.2013

108. ჩხარტიშვილი ლ. სცენურ-სივრცითი მეტაფორის სემანტიკა სპექტაკლში
„მეფე ლირი“. semioticsjournal.wordpress.com
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
109. ჩხიკვიშვილი ნ. ირაკლი ლომოური. libofund.blogspot.com
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
110. ჩხეიძე რ. აპოლოგია ლუარსაბ თათქარიძისა. Burusi.wordpress.com
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.06.2013
111. ჩხეიძე რ. ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი. www.laprensailerica.com
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.06.2013
112. ცქიფურიშვილი მ. მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ვარ შეწუხებული -
ინტერვიუ გოდერძი ჩოხელთან. <http://church.ge>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.06.2013
113. წიგნები. ესპანელი მეცნიერები სერვანტესის ნემტს ეძებენ. www.ambebi.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2013
114. ჭილაძე ო. ბედნიერი ტანჯული. www.literatura.mcvane.ge
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2013
115. ხარბედია მ. ხოსე ლესამა ლიმა-100. arilimag.ge.
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
116. ჯალიაშვილი მ. დროის მეტაფიზიკა ქართულ მოდერნისტულ რომანში.
Semioticsjournal.wordpress.com
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.06.2013
117. ჯალიაშვილი მ. მარგინალობის ასპექტები. www.nplg.gov.ge,
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.06.2013
118. ჯიყაშვილი ლ. „ოქროს რვეული“ მარტოობიდან კაცობრიობას.
<http://ftp.kvirispalitra.ge/>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2013
119. Гассет Ортега-и-Хосе - Размышления о Дон Кихоте. rouallib.ru
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2013

120. Дон Кихот . <http://feb-web.ru>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.06.2013
121. Дон Кихот Сервантеса - энциклопедия испанской жизни XVI-XVII в.
<http://www.pandia.ru>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.06.2013
122. Дон Кихот. <http://www.bibliogid.ru>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.
123. Компрачикосы. <http://dic.academic.ru>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.20
124. Корконосенко К. Кихотизм — индивидуальная религия Мигеля де Унамуно.
www.plam.ru
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2013
125. О романе „Дон Кихот“. <http://www.1143help.ru>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.06.2013
126. Унамуно М. Житие дон Кихота и Санчо. www.profilib.com
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.06.2013
-